



ISSN-0132-6058

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

# მასპნა



675-ი  
2014

ისტორიის,  
არქეოლოგიის,  
ეთნოლოგიისა და  
ხელოვნების  
ისტორიის  
სერია

## 2

### 2014

ისტორიის  
არქეოლოგიის  
ეთნოლოგიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

Series  
of History,  
Archeology,  
Ethnology  
and  
Art History

108



თბილისი  
Tbilisi

2. 2014



## სარედაქციო კოლეგია:

ზურაბ აბაშიძე, ზაზა ალექსიძე, მარიამ დიდებულიძე, სერგო ვარდოსანიძე, ბუბა კუდავა, გიორგი ლორთქიფანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), გურამ ლორთქიფანიძე, დავით ლორთქიფანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ლია მელიქიშვილი, როინ მეტრეველი (რედაქტორი), დავით მუსხელიშვილი, ოთარ ჟორდანია, კიაზო ფიცხელაური, კახა შენგელია, ნანა ხაზარაძე, ოთარ ჯაფარიძე.

## Editorial Board:

Zurab Abashidze, Zaza Aleksidze, Mariam Didebulidze, Otar Japaridze, Nana Khazaradze, Buba Kudava, David Lordkipanidze, Giorgi Lordkipanidze (Editorial Manager), Guram Lordkipanidze, Mariam Lordkipanidze, Lia Melikishvili, Roïn Metreveli (Editor), David Muskhelishvili, Kiazō Pitskhelauri, Kakha Shengelia, Sergio Vardosanidze, Otar Zhordania.

ტექსტის

რედაქტორ-კორექტორი: ირმა რუხაძე

Text corrector-editor: Irma Rukhadze

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: პაატა ქორქია

Computer design: Paata Korkia

## შინაარსი

<b>ინტარვიუ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის რექტორთან ირმა რუხაძე.</b> ახალი თაობის ვალია – მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მსოფლიო ასპარეზზე ქართველოლოგიის წარმატებაში.....	5
<b>საქართველოს ისტორია</b>	
<b>ნინო ჯაველიძე.</b> ეთნონიმების „აბაზგი“ და „აბაზა“ რაობის საკითხი ბერძნულ-რომაული და სომხური წყაროების მიხედვით .....	12
<b>თემურ თოდუა.</b> მოსინოიკების პროქსენოსი.....	26
<b>არჩილ ჩაჩხანი.</b> თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ შექმნის იდეოლოგიურ-პოლიტიკური წანამძღვრები .....	32
<b>ომარ გოგიაშვილი.</b> ილია ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ .....	46
<b>დეკანოზი მიქაელ ქაბაშვილი.</b> მღვდელ ალექსი ბაქრაძის ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიწერილი წერილები .....	60
<b>მსოფლიო ისტორია</b>	
<b>არჩილ კალანდია.</b> ახალი აბრეშუმის გზა. ახალი რეალობა .....	67
<b>ანატოლი მატვიენკო.</b> მუნიციპალური გაერთიანების წინაპირობები და შედეგები .....	75
<b>არქეოლოგია</b>	
<b>კიაზო ფიცხელაური.</b> სამხრეთ კავკასია და ჩრდილო სტეპური სამყარო შუაბრინჯაოს ხანაში.....	83
<b>ეთნოლოგია</b>	
<b>გიორგი გიგაური.</b> პიქტოგრამები და კოსმოლოგია.....	97
<b>ისტორიოგრაფია</b>	
<b>გურამ ლორთქიფანიძე.</b> ქართული ანტიკური ხანის არქეოლოგიის ისტორიოგრაფია XX–XXI სს. მიჯნაზე (ნაწილი II) .....	106
<b>მერაბ კალანდიაძე.</b> დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში .....	118
<b>კუპალიაცია</b>	
<b>«ცხოვრება და ღვაწლი წმიდისა მამისა ჩვენისა დავით გარეჯელისა».</b> რუსულ ენაზე თარგმნა გივი წულაიამ .....	130
<b>საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიიდან</b>	
<b>ჯუანშერ ვათეიშვილი.</b> პეტრე დიდის წარმომავლობის საკითხისათვის .....	139
<b>ვახტანგ გურული.</b> გაყალბებული ისტორია ჰეგემონისტური პოლიტიკის სამსახურში (ა. ეპიფანცევის სტატიის გამო) .....	153
<b>საისტორიო მაცნეობის გამომწვევი ფაქტორები</b>	
<b>ოთარ ფორდანი.</b> ისტორიკოსი გიორგი ძიძარია – 100 .....	170
<b>ოთარ ჯანელიძე.</b> მეცნიერი და მოღვაწე. პროკოფი რატიანი – 100 .....	176
<b>ნათელა ჯაბუა.</b> ღვაწლმოსილი მეცნიერი. პარმენ ზაქარაია – 100 .....	184
<b>გურამ ლორთქიფანიძე.</b> ალექსანდრე გამყრელიძის გახსენება .....	189
<b>კრიტიკა და გიგლიოგრაფია</b>	
<b>გონელი არახაშია.</b> ღირსშესანიშნავი წიგნი საქართველოს სამხედრო ისტორიაში.....	195
<b>ახალი წიგნები .....</b>	201
<b>ქრონიკა და ინფორმაცია</b>	
<b>გონელი არახაშია.</b> საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია .....	202
<b>თამაზ სანიკიძე.</b> ხელოვანი და მეცნიერი – ნუგზარ ანდლულაძე .....	205

## CONTENT

<b>I. Rukhadze.</b> Interview with the rector of Iv. Javakhishvili Tbilisi State University .....	5
<b>GEORGIAN HISTORY</b>	
<b>N. Javelidze.</b> The “abazg” and “abaza” ethnonims meaning according greek-latinian and armenian historical sources data .....	24
<b>T. Todua.</b> The Mossinoikoi’s proxenos .....	30
<b>A. Chachkhiani.</b> The Ideological and Political Preconditions for Establishing the Self-Proclaimed “South-Western Caucasian Democratic Republic” .....	44
<b>O. Gogjashvili.</b> Ilia Chavchavadze regarding national and religious tolerance of the Georgian people .....	57
Archpriest <b>M. Chabashvili.</b> Priest Alex Bakradze’s Letters .....	66
<b>WORLD HISTORY</b>	
<b>A. Kalandia.</b> New Silk Road. New Reality .....	73
<b>A.S. Matvienko.</b> Preconditions and consequences of municipal amalgamation .....	75
<b>ARCHAEOLOGY</b>	
<b>K. Pitskhelauri.</b> South Caucasus and steppe world in the middle bronze age .....	95
<b>ETHNOLOGY</b>	
<b>G. Gigauri.</b> Pictograms and cosmology .....	97
<b>HISTORYOGRAPHY</b>	
<b>G. Lortkipanidze.</b> Georgian historiography on classical (ancient) archaeology at the turn of XX-XXI centuries (Part II) .....	115
<b>M. Kalandadze.</b> Source Study Issues of Western Europe and America in Georgian historiography .....	128
<b>PUBLICATIONS</b>	
Live of David Garejeli. Russian translation by <b>G. Tsulaia</b> .....	138
<b>FROM THE HISTORY OF GEORGIA-RUSSIAN RELATIONSHIP</b>	
<b>J. Vateishvili.</b> For the question of ancestry of Peter the Great .....	139
<b>V. Guruli.</b> The forged history on service gegemonisticheskaya of policy (concerning Andrey Epifantsev’s article) .....	169
<b>PROMINENTS FIGURES OF THE SCIENCE OF HISTORY</b>	
<b>O. Zhordania.</b> <i>Giorgi Dzidzaria – 100</i> .....	170
<b>O. Janelidze.</b> <i>Prokopi Ratiani – 100</i> .....	176
<b>N. Jabua.</b> Merited Scientist (Parmen Zakaraia – 100) .....	184
<b>G. Lortkipanidze.</b> In Memory of Alexander Gamkrelidze .....	189
<b>CRITICISM AND BYBLIOGRAPHY</b>	
<b>G. Arakhamia.</b> Noteworthy book in the military history of Georgia .....	195
New books .....	201
<b>CURRENT EVENTS AND SCIENTIFIC INFORMATIONS</b>	
<b>G. Arakhamia.</b> International scientific conferences .....	202
<b>T. Sanikidze.</b> Artist and scientist – Nugzar Andguladze .....	205

ირმა რუსაძე

**ახალი თაობის ვალია – მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს  
მსოფლიო ასპარაზზე ქართველოლოგიის წარმატებაში**

უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აკადემიკოსი ვლადიმერ პაპაია ჩაუდგა სათავეში. მასთან საუბარი უნივერსიტეტში ქართველოლოგიური მეცნიერებების საერთო დონის განსაზღვრისთვის მოვისურვეთ, რაზეც რექტორი დაწვრილებითი საუბრისთვის სიამოვნებით დაგვთანხმდა. საინტერესოა, ქართველოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების ეს უძველესი კერა აგრძელებს საუკუნოვან ტრადიციას?

**– რა არის ოდითგან უნივერსიტეტის მისია?**

პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელიც დღეს მისი დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის, სახელს ატარებს, 1918 წელს შეიქმნა, რათა საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურაში განსაკუთრებული როლი შეესრულებინა. ქართულ უნივერსიტეტს უნდა აღეზარდა მეცნიერთა თაობები და ხელი შეეწყო მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მისია იყო და არის ქართველოლოგიური დარგების განვითარება. სიტყვა „განვითარება“ შეიძლება, ცოტა შეუსაბამოც კი იყოს, იმ ეპოქის კონტექსტს თუ გავითვალისწინებთ, რადგან ქართველოლოგია ამ დროს ყალიბდებოდა, როგორც მეცნიერების ახალი დარგი თავისი მრავალი შენაკადით.

ქართველოლოგია – ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერება ქართველებისა და საქართველოს შესახებ, სხვანაირად მას საქართველოსმცოდნეობაც შეიძლება ეწოდოს. იგი მრავალდისციპლინური დარგია, რომელიც გულისხმობს ქართული ენის, ამ ენაზე შექმნილ ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, ქართველების მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნების, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის და სხვათა კვლევას. მეცნიერების ეს დარგი სწავლობს ყველაფერს, რაშიც საუკუნეების განმავლობაში ქართველმა ხალხმა ჩადო თავისი სული და გონი და შექმნა ის სიმდიდრე, რომელიც დღეს განსაზღვრავს მის იდენტობას. ყოველივე ეს ბუნებრივად განაპირობებს ამ დარგისადმი დიდ ინტერესს არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

ქართველოლოგიის განვითარებას ჩვენთვის, მცირერიცხოვანი, მაგრამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მქონე ერისათვის, დღეს,



როცა არც თუ ისე დიდი ხანია, რაც მოპოვებული გვაქვს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მეცნიერულთან ერთად ეროვნული მნიშვნელობაც აქვს. ამიტომ სრულიად ლოგიკურია ჩვენი ინტერესი და მოტივაცია, ყველანაირად შევეუწყოთ ხელი ქართველოლოგიის განვითარებას. სრულად გვაქვს გაცნობიერებული ქართველოლოგიის ადგილი და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამიტომ ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად მისი არსებობის თითქმის საუკუნის განმავლობაში იყო და რჩება სწორედ ამ დარგების განვითარების ხელშეწყობა. უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს ის ქართველოლოგიური მეცნიერული მიმართულებები და დარგები, რომელთაც დაეფუძნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. მათი არსებობის ისტორია სწორედ უპირველეს ქართულ სამეცნიერო კერაში – უნივერსიტეტში – დაიწყო.

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტიც, რომ პირველი დისერტაცია, რომელიც უნივერსიტეტში იქნა დაცული გახლდათ ქართველოლოგიის დარგში – კერძოდ, ქართულ ენათმეცნიერებაში. ეს გახლდათ უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის აკაკი შანიძის დისერტაცია. მას შემდეგ ჩვენს უნივერსიტეტში ყოველწლიურად ათეულობით ქართველოლოგიური ხასიათის სამეცნიერო ნაშრომი იქმნება, რომელთა დიდ ნაწილს საკმაოდ სერიოზული გამოხამურება აქვს საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეშიც.

უნივერსიტეტის მიერ პრიორიტეტულად მიჩნეულ ამ დარგს სახელმწიფოს მხარდაჭერაც აქვს. სახელმწიფომ სრულიად სამართლიანი და გონივრული გადამწყვეტილება მიიღო, როდესაც ქართველოლოგიური დარგები პრიორიტეტულ მიმართულებებად გამოაცხადა და რამდენიმე საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა პროგრამულად დააფინანსა, რამაც საშუალება მისცა ასობით სტუდენტს უფასოდ ესწავლა ქართული ფილოლოგიის, ისტორიის თუ არქეოლოგიის სპეცილობებზე. რასაკვირველია, სასურველია ამ სპეციალობების ჩამონათვალი გაიზარდოს და სწავლის საფასურის გადახდის გარეშე ცოდნის მიღების შესაძლებლობა მიეცეთ იმ სტუდენტებსაც, რომლებიც ირჩევენ, მაგალითად, ეთნოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, კულტურის კვლევების სპეციალობებსაც, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად 400 სტუდენტს აქვს საშუალება საკმაოდ მაღალი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტი უყენებს აბიტურიენტებს, გახდეს ქართული ენის, ლიტერატურის თუ ისტორიის, არქეოლოგიის და ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, უკვე თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია.

**– შეგიძლიათ განსაზღვროთ, რა ფუნქციას ასრულებს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში ჰუმანიტარული ფაკულტეტი?**

დღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს უდიდესი მისია აქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მაღალკვალიფიციური თანამედროვე კადრების მომზადება ქართველოლოგიაში. მათ უნდა გააგრძელონ და ახალ სიმაღლეზე აიყვანონ არსებული ტრადიციები, თანამედროვე სამეცნიერო მიღწე-

გების გათვალისწინებით იკვლიონ ქართული ენა, მწერლობა, ხელოვნება... ახალი თაობის ვალია, არა მარტო შეინარჩუნონ და გააღრმავონ ეს მიმართულებები, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ქართველოლოგიის კიდევ ერთი ასპექტის განვითარებაში, კერძოდ, მსოფლიო ასპარეზზე გაიტანონ ქართველოლოგიის წარმატებები, ხელი შეუწყონ მიღწეული შედეგების პოპულარიზაციას მსოფლიოს აკადემიურ წრეებში. ქართველოლოგია სწორედ ის დარგია, რომელიც პოლიტიკური რუკის გვერდით საქართველოს მყარად დაუმკვიდრებს ადგილს მსოფლიოს კულტურულ რუკაზეც.

ქართველოლოგიების ვალია, უფრო მეტად, უფრო ღრმად გააცნონ ჩვენი კულტურა მსოფლიო საზოგადოებას. ამ კვლევებით მარტო ქართველი მეცნიერები არ არიან დაინტერესებულნი. უცხოელი მეცნიერებების ინტერესი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული, ზოგს კონკრეტულად საქართველო აინტერესებს, ზოგს საქართველო რეგიონულ კონტექსტში აინტერესებს, ზოგი მსოფლიოს სხვადასხვა ერების ლიტერატურების, ენების, კულტურების ტიპოლოგიური მიმართებების კვლევამ დააკავშირა ქართულ ენას, ლიტერატურას, კულტურას... ჩვენთვისაც, ბუნებრივია, საინტერესოა, რა ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურასა თუ ხელოვნებას მსოფლიო ლიტერატურაში, ხელოვნებაში... როგორ ხედავენ და აფასებენ ამ ასპექტს ჩვენი უცხოელი კოლეგები.

საქართველო ცივილიზებული მსოფლიოს ორგანული ნაწილია. შეუძლებელია მსოფლიო ისტორიის შესწავლა საქართველოს ისტორიის გარეშე. მაგალითად, ვერც ერთი მედიევისტი ვერ ჩაატარებს სრულყოფილ კვლევას, თუ არ გაითვალისწინებს ქართულ მასალას, საქართველოს ისტორიას, შუა საუკუნეებში შექმნილ მდიდარ და საინტერესო წერილობით ძეგლებს. თუმცა უნდა ითქვას, რომ მათი ფასი და მნიშვნელობა კარგად იციან ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმა და ხშირად იმონებენ კიდევაც. ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართულ წყაროთმცოდნეობას – ისტორიის მიმართულებით, ტექსტოლოგიას – ფილოლოგიის მიმართულებით. ვერც მსოფლიო ხელოვნების ისტორია იქნება სრულყოფილი ქართული ხელოვნების გარეშე.

სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ქართული ფოლკლორი. ქართული ფოლკლორის კომპარატივისტული კვლევა მრავალ საინტერესო კითხვას გასცემს პასუხს არა მარტო რეგიონული, არამედ უფრო ფართო მასშტაბის კვლევებშიც.

ქართული მასალით დაინტერესებული მრავალი ცნობილი მკვლევარი ჩამოდის მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრიდან. ისინი ჩვენს პროფესორებს ინვევენ თავიანთ სამეცნიერო ფორუმებზე, თვითონაც იღებენ მონაწილეობას ჩვენი კონფერენციების მუშაობაში, რაც, ერთი მხრივ, დააჩქარებს ქართველოლოგიის მასალების მსოფლიო სამეცნიერო წრებრუნვაში ჩართვას და, მეორე მხრივ, თავიდან აგვაცილებს თვითიზოლაციისა და საინფორმაციო ვაკუუმის უარყოფით შედეგებს.

### - რამდენად ინტერესდებიან უცხოელი მეცნიერები ქართველოლოგიით?

რაც შეეხებათ უცხოელ მეცნიერებს, შემოდის დავასახელო რამდენიმე მათგანი, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი აქვთ შეტანილი ქართველოლოგიური დარგების განვითარებასა და პოპულარიზაციაში და დღესაც აგრძელებენ საქმიანობას.

საზღვარგარეთული ქართველოლოგიის, როგორც დარგის, ჩანასახები მე-19 საუკუნეში გაჩნდა, მაგრამ ქართველოლოგია, როგორც სამეცნიერო დარგი, მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა. მათ შორის, ვინც პროდუქტიულად მოღვაწეობს ამ სფეროში და ინტენსიურად არის ჩართული მუშაობაში ერთობლივი პროექტებით, ერთობლივი გამოცემებითა და მთელი თავისი საქმიანობით, უპირველეს ყოვლისა, დავასახელებ ცნობილ გერმანელ ქართველოლოგს - პროფესორ ჰაინც ფენრიხს. მან თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარ თემად საქართველო და ქართველები, მათი ენა, მწერლობა და კულტურა აირჩია და პირნათლად ემსახურა საზღვარგარეთული ქართველოლოგიის განვითარებას. იგი ავტორია ათეულობით მნიშვნელოვანი ნაშრომისა ქართველოლოგიაში, ათწლეულების განმავლობაში იყო გერმანულენოვანი ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალის „გიორგიკის“ რედაქტორი. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტმა, პირველს, სწორედ ჰაინც ფენრიხს მიანიჭა უცხოელი ქართველოლოგებისათვის დანესტებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია, რომელიც ყოველ ორ წელიწადში გაიცემა.

რამდენიმე დღის წინ პროფესორმა ჰაინც ფენრიხმა კიდევ ერთი ახალი ნიგნი გამოგვიგზავნა. „მონატრების ძახილი“ - ასე ჰქვია მის ნიგნს, რომელშიც ქართული ლიტერატურის ნიმუშების მის მიერ შესრულებული გერმანული თარგმანებია დაბეჭდილი. მას უყვარს საქართველო და ყველაფერი, რასაც ქართველები ქმნიდნენ და ქმნიან. იგი არის მაღალი რანგის მეცნიერი, რომლის შრომები ევროპის ძალიან პრესტიჟულ გამოცემლობებში იბეჭდება. ჰაინც ფენრიხი წარმატებით მუშაობს ქართველოლოგიაში, კერძოდ, ლინგვისტიკაში, ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტორიაში. ბოლო პერიოდში მან მშვენიერი ნიგნი გამოსცა საქართველოს ისტორიაზე.

უცხოელი ქართველოლოგებისაგან უნდა დავასახელოთ - გერმანელი მეცნიერი პროფესორი ვინფრიდ ბოედერი, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. მას საქართველოსთან ურთიერთობის დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ავტორია არაჩვეულებრივი სამეცნიერო ნაშრომებისა ენათმეცნიერების დარგში, თუმცა შედარებით კვლევებშიც წარმატებით მუშაობს.

მეტად საინტერესოა ფრანგი ქართველოლოგის ბერნარ უტიეს, მოღვაწეობა, რომელიც პირველად 1975 წელს ჩამოვიდა და ამის შემდეგ ოცდაცხრამეტჯერ არის ნამყოფი საქართველოში. მან ორიოდე თვის წინაც მეტად საინტერესო ლექციები წაიკითხა ჩვენს უნივერსიტეტში. ბატონი ბერნარ უტიე 40 წელია მუშაობს ქართველოლოგიაში. ჩვენ შევთანხმდით, რომ მისი ქართველოლოგიური მოღვაწეობის 40 წლის იუბილე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ უნივერსიტეტში. იგი მეტად აქტიური და მოუღლეელი მკვლე-

ვარია. ქართულ ხელნაწერებს ეძებს ყველგან, უცხოეთის ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, მონასტერთა წიგნსაცავებში, ეძებს და პოულობს კიდეც. ბოლოს ჩვენთან სომხეთიდან ჩამოვიდა და ძალიან საინტერესო ახალი ინფორმაცია ჩამოიტანა მატენადარანიდან, იქაური ხელნაწერთა ცენტრიდან, სადაც მან მიაკვლია სომხური ხელნაწერი წიგნების ყდების თავფურცლებად გამოყენებულ ძველი ქართული ასომთავრულით შესრულებულ ხელნაწერების ფურცლებს. ბატონი ბერნარი ახლა მათი აღწერილობის შედგენაზე მუშაობს. მას ჭეშმარიტად უყვარს ქართული კულტურა, იცის მისი მნიშვნელობა და ინტენსიურად ცდილობს მის პოპულარიზებას.

ევროპაში მოღვაწე თანამედროვე ქართველოლოგებიდან აუცილებლად უნდა დავასახელო მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი იოსტ გიპერტი, რომელმაც არაჩვეულებრივი მონაცემთა ბაზა შექმნა ქართული ტექსტებისა (ARMAZ, TITUS), რომლებშიც თავმოყრილია, ძველი, საშუალო და ახალი ქართულის წერილობითი ძეგლები, უძველესი წარწერები, ხელნაწერები. ეს არის სპეციალურად დამუშავებული საძიებო სისტემით აღჭურვილი ბაზა, რომლის გამოყენება შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ამჟამად ფოლკსგანგენის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა ამ ბაზის საფუძველზე ქართული ენის ეროვნული კორპუსის შესაქმნელად, რომელშიც ფაქტობრივად ქართულ ენაზე შექმნილი ყველა სახის ტექსტი იქნება შეტანილი. ქართული ენის ეროვნული კორპუსი შექმნის ლინგვისტური კვლევების ფართო შესაძლებლობებს და ასევე ახალ მიმართულებას კვლევისათვის. ამ საკითხზე ბატონი იოსტი თავის ნორვეგიელ კოლეგასთან - პაულ მორიერთან - ერთად და ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორ მანანა თანდაშვილთან ერთად მუშაობს, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. პროექტში ქართველი მეცნიერები, მათ შორის ჩვენი უნივერსიტეტის ლინგვისტებიც არიან ჩართულნი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ცენტრის ნაყოფიერი მუშაობა. იქ მოღვაწეობს ბატონი დავით ყოლბაია და სწორად წარმართავს ქართული კულტურის პოპულარიზების საქმეს. იგი ბევრს თარგმნის, მრავალი წელია ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებს, რომელიც წმ. მღვდელმონაწამე გრიგოლ ფერაძის ხსოვნას ეძღვნება. მისი ორგანიზებითა და ხელმძღვანელობით ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ცნობილი ქართველოლოგები იკრიბებიან ვარშავაში და მსჯელობენ ქართველოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. წელს დეკემბრის დასაწყისში ეს სიმპოზიუმი მეთორმეტედ გაიმართება. ბატონი დავით ყოლბაიას რედაქტორობით და ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორების იან მალიცკისა და მამა ჰენრიხ პაპროცკის აქტიური მხარდაჭერით ვარშავაში იბეჭდება ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი Pro-Georgia, რომლის 20-ზე მეტი ნომერია უკვე გამოსული.

უნდა აღინიშნოს პროფესორ ქეეინ თუითის ქართველოლოგიური მოღვაწეობა, რომელიც იენისა და კანადის უნივერსიტეტებში მუშაობს. იგი კა-



ეკასიოლოგიის დეპარტამენტს განაგებდა იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში, ახლა კი იენიდან ისევ კანადაში დაბრუნდა. მან კარგად იცის ქართული, ძირითადად ეთნოგრაფიის მიმართულებით მუშაობს, თუმცა ყოველთვის აქტიურად არის ჩართული თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაშიც.

ცნობილი ქართველოლოგები არიან იტალიელი მეცნიერი ლუიჯი მაგაროტო, რომელიც დიდი ხანია ქართული კულტურისა და მწერლობის შესწავლით არის დაინტერესებული, ამერიკელი მეცნიერი სტივენ ჯონსი, რომელმაც შესანიშნავი წიგნი გამოსცა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის შესახებ, იაპონელი მკვლევარი იასუჰირო კოჯიმა, რომელიც 15 წლის წინ ჩამოვიდა პირველად საქართველოში და მალე ისწავლა არა მარტო ქართული, არამედ ქართველური ენებიც. ამერიკაში მოღვაწეობს ქართველოლოგი, ლინგვისტი ალის ჰარისი, ინგლისში - დიან ჰოლისკი, გერმანიაში - შტეფი ხოტივარი-იუნგერი, კიევის უნივერსიტეტის პროფესორია ქართველოლოგი ლიუდმილა გრიციკი და სხვანი.

ქართველოლოგიური კვლევებისადმი ინტერესი შეიმჩნევა ახალი თაობის მკვლევრებშიც. ესენი არიან მაგისტრანტები და დოქტორანტები, მართალია, ვერ ვიტყვი, რომ ათობით ჩამოდიან, მაგრამ წელიწადში ერთი ან ორი უცხოელიც რომ ჩამოდის ასეთი სურვილით, ესეც დიდ წარმატებად მიგვაჩნია. ისინი ძირითადად გერმანული უნივერსიტეტებიდან არიან. ქართველოლოგიის სკოლა გერმანიაში შეიქმნა და ეს ტრადიცია, საბედნიეროდ, გრძელდება. ვიმედოვნებთ, რომ დღეს სტუდენტური თუ აკადემიური პერსონალის გავცლით პროგრამების ფარგლებში საქართველოში რამდენიმე თვით ჩამოსულ სტუდენტებსა თუ ახალგაზრდა მკვლევრთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც სამომავლოდ თავიანთ სამეცნიერო საქმიანობას ქართველოლოგიას დაუკავშირებენ.

**- უნივერსიტეტში თუ არსებობს რაიმე გეგმა, რომ უცხოელი ქართველოლოგები იქნენ ნახალისებულნი, გარდა დაჯილდოვებისა, ურთიერთობის სხვა ეფექტური ნახალისება რა შეიძლება მათ შევთავაზოთ?**

სახელმწიფოებრივ დონეზე, რამდენადაც ვიცი, მათი ნახალისება ნაკლებად ხდება, ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ბევრი მათგანი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად და ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არის არჩეული.

ქართველოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოდან წასულ ქართველ მეცნიერებს, რომლებსაც პროფესორის პოზიცია უჭირავთ სხვადასხვა უნივერსიტეტში (მაგალითად, პროფესორები რეუვენ ენოხი, კონსტანტინე ლერნერი, გასტონ ბუაჩიძე, მანანა თანდაშვილი, და სხვები). ისინი ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის დესპანები არიან. მათთან ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ძალიან მნიშვნელოვანია ქართველოლოგიური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დონე, ჩვენი უცხოელი ქართველოლოგების შემდგომი დაინტერესების თვალსაზრისითაც,**

საქართველოში არსებობს რამდენიმე ინსტიტუტი, რომლებიც მუშაობს ქართველოლოგიური პროფილით. მათგან გამორჩეულია ენათმეცნიერების, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტები, ხელნაერთა ეროვნული ცენტრი, სახელმწიფო მუზეუმი და ხელოვნების ინსტიტუტი; აგრეთვე, კვლევითი ცენტრები. ამას ემატება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულები, სადაც ხდება კვლევისა და სწავლების შერწყმა. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები საკმაოდ სერიოზულ კვლევებს აწარმოებენ, რომლის შედეგები იბეჭდება მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის იმ სამეცნიერო ჟურნალებშიც, რომლებიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოდის. კერძოდ, ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგი“, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გამოიცემა და ამჟერად ბექდურ ვარიანტს ელექტრონულიც დაემატა. ასევე ორენოვანი სამეცნიერო საერთაშორისო რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი „სპეკალი“. ამ ჟურნალებში ძალიან საინტერესო ქართველოლოგიური ნაშრომები იბეჭდება. რაც უფრო მეტი იქნება ასეთი ჟურნალი, მით უფრო ფართო იქნება ჩვენი მეცნიერების ასპარეზი და მით უფრო აქტიურად შეძლებენ ისინი პოპულარიზაცია გაუწიონ ქართველოლოგიას.

მნიშვნელოვანია ფართომასშტაბიანი სამეცნიერო ფორუმების ჩატარება, რომლებზედაც შეიკრიბებიან ქართველოლოგები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ერთი ასეთი მასშტაბური სამეცნიერო სიმპოზიუმის ჩატარება ქართველოლოგებისა 2016 წლის ოქტომბერშია დაგეგმილი, ეს იქნება რიგით მეშვიდე ქართველოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი. ამ მნიშვნელოვან სამეცნიერო ფორუმზე თავს მოიყრიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქართველოლოგები ადგილობრივ მკვლევრებთან ერთად და იმსჯელებენ ქართველოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ქართველოლოგიის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საზაფხულო ქართველოლოგიური სკოლების არსებობა, ქართველოლოგიაში ახალი თაობის ჩართვისთვის. ამ თვალსაზრისით უნდა გააქტიურდნენ სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. ამ კუთხით სტუდენტების ნებისმიერი აქტივობა უნდა იყოს ხელშეწყობილი და ნახალისებული. იმედის თვალით შევყურებთ ჩვენს სტუდენტებს, რომ ისინი თავიანთი კვლევებით შეძლებენ საერთაშორისო ასპარეზზე ქართველოლოგიური მეცნიერებების პოპულარიზაციას, მის სათანადო დონეზე წარმოჩენას.

## ნიმუ ჯავალიძე

**ეთნონიმაზის „აბაზგი“ და „აბაზა“ რაობის საკითხი  
 ბერძნულ-რომაული და სომხური წყაროების მიხედვით**
**12. აბაზგი – იმიერქართველი და აბაზგია – დასავლეთ საქართველო.**

როგორც ვხედავთ, ორი აბაზგის თემას ბერძნულ-რომაული და სომხური ისტორიოგრაფიის არაერთი მემატრიანე უთმობს ადგილს. ამჯერად გვსურს იმ წყაროებზე შევჩერდეთ, სადაც აბაზგი დასავლელ ქართველს გულისხმობს, ხოლო აბაზგია – ეგრისის ანუ აფხაზეთის სამეფოს ნიშნავს.

პირველი დოკუმენტური წყარო, სადაც აბაზგები დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას აღნიშნავს, გახლავთ V საუკუნით დათარიღებული *Notitia Dignitatum*<sup>1</sup>, რომელიც აღმოსავლეთ რომის იმპერიის ყველა სამოქალაქო თუ სამხედრო თანამდებობის პირთა ნუსხას შეიცავს. ამ დოკუმენტში აღმოსავლეთ პროვინციების საჯარისო ნაწილების შემადგენლობაა აღწერილი და ცნებით აბაზგები დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებს გულისხმობენ. კერძოდ, საბუთში ნათქვამია, რომ „...იქ იმყოფებოდნენ აბაზგების ფრთა, იბერთა პირველი ერთეული, მეცხრე კოჰორტა ქანებისა“ [6: 171]. კონტექსტიდან ჩანს, რომ აბაზგები არა ერთ რომელიმე ტომს, არამედ იმიერ საქართველოს მოსახლეობას აღნიშნავს, ვინაიდან ტექსტის მიხედვით აბაზგები და იბერები თანაფარდ მხარეებად არიან წარმოჩენილნი. იოანე ანტიოქიელიც (VII ს.) აბაზგების ქვეყანას ახსენებს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით: „იაფეტის მოდგმას წილად ზედა... მთელი მინა-წყალი ევქსინის პონტოს გარშემო... კავკასიის მთებში და აბაზგების ქვეყანაში მდებარე მინა“ – ვკითხულობთ წყაროში [14: 4-5]. ცხადია, აბაზგიის ქვეყანა აქ დასავლეთ საქართველოს უნდა ნიშნავდეს, რომელიც შავ ზღვასა და კავკასიონის მთებს შორის იყო გადაჭიმული.

შემდეგი ბიზანტიელი მემატრიანე ნიკოლოზ მისტიკოსი (IX-X ს.ს.) გახლავთ. იგი აბაზგიას დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის სამეფოს მნიშვნელობით ახსენებს და გვამცნობს, თუ როგორ გააქრისტეანა აფხაზთა მეფე გრიგოლმა (გიორგი II, 922-957 წ.წ.) ალანთა ტომი [22: 214]. ბასილი სოფენელმა (IX ს.), რომელიც ავტოკეფალური საეპისკოპოსოების ნუსხას იძლევა, იცის, რომ არსებობს აბაზგიის (დას. საქართველოს) ეპარქია, სადაც დაფუძნებულია „სებასტუპოლის ავტოკეფალი“. ამას გარდა, როდესაც საეკლესიო მოღვაწე ანტიოქიის IV სამოციქულო საყდრის განვრცობის

1 დახასრული. დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის ... სერია, №1, 2014.

საკითხს ეხება, შენიშნავს, რომ მისი საზღვრები „იბერიამდე და აბასგამდე ვრცელდება“-ო [22: 128, 173-8]. ე.ი. ბასილი სოფენელისთვის აბასგისი ეპარქია იგივე დასავლეთ საქართველოს ეპარქიაა, რომელიც ამ ნუსხის შექმნის დროს, ჩანს, ცალკე არსებობდა და ჯერაც არ იყო მცხეთის საკათალიკოსოს მიერთებული. უნდა ითქვას, რომ იმავე ხანის სომეხი საეკლესიო მოღვაწე იოანე დრასხანაკერტელიც (IX-X ს.ს.) სიტყვებს „აფხაზთა მთავარი“ და „მეგრელთა მეფე“ დასავლეთ საქართველოს მეფის მნიშვნელობით იყენებს და მისთვის აფხაზიცა და მეგრელიც იმიერ ქართველს ნიშნავს. სათანადო მაგალითები იოანე კათალიკოსის თხზულებიდან აქვე მოგვყავს: მისი თქმით, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მოუხმო „აფხაზთა უფროსს“, სომეხთა მთავრებს, აშოტ კურაპალატს, ძეს სმბატისას, რათა ისინი ერთობლივად შებრძოლებოდნენ მტერს [23: 54-55]. ცხადია, აქ „აფხაზთა უფროსი“ დასავლეთ საქართველოს მეფეა. ქვემოთ ავტორი აგრძელებს თხრობას და დასავლეთ საქართველოს უკვე „ეგრისს“ უწოდებს, ხოლო მეფეს ხან „ეგრისის მეფის“, ხანაც „მეგრელთა მეფის“ სახელით მოიხსენიებს. მაგ.: „აშოტ ერისთავთერი-სთავს ეგრისის მეფეც კი ერთობის სიყვარულისთვის თანა შეეკრა“ [23: 21]. სხვაგან კიდევ, როდესაც მოგვითხრობს ადარნასე კურაპალატ – ქართველთა მეფის (888-923წ.წ.) მცდელობის შესახებ, რომელიც ქართლისა და სხვა მხარეების გაერთიანებისკენ იყო მიმართული, შენიშნავს, რომ მისი საბრძანებლის საზღვარი გაიზარდა, გაიზიდა და შეეხო დიდი ზღვის კიდეს, ეგრისის საზღვრებს და დიდი მთის – კავკასიის ძირს [23: 26]. აქაც ეგრისი იგივე აფხაზეთის სამეფოა. აქვე იოანე დრასხანაკერტელი შენიშნავს, რომ „ადარნასე ქართველთა მეფეს მისი საკუთარი სიძე, მეგრელთა მეფე კონსტანტინე შენიშნაღმდეგა და უმუხთლა“-ო [23: 32-33]. ერთი სიტყვით, იოანე კათალიკოსი თავის ნაშრომში დასავლეთ საქართველოს ხან აფხაზეთს უწოდებს, უფრო ხშირად კი მასთან ეს ტერიტორია ეგრისია, ხოლო კონსტანტინე III-ს ჯერ „აფხაზთა უფროსად“ მოიხსენიებს, სხვაგან კიდევ მას „მეგრელთა“ ან „ეგრისის მეფედ“ წარმოაჩენს. მისთვის ცნებები აფხაზეთი და ეგრისი იდენტური სიდიდეები, ხოლო აფხაზი და მეგრელი მოსახლეობა – ორივე დასავლეთ საქართველოს მცხოვრებს ნიშნავს.

X საუკუნის ავტორი კონსტანტინე პორფიროგენეტი „აბაზგიის ქვეყანას“ ახსენებს, რომლის ქვეშ დასავლეთი საქართველო იგულისხმება. იგი აბაზგიის ჩრდილოეთ საზღვრად მდ. ნიკოფსიას ასახელებს, ხოლო სამხრეთ საზღვრად სოტერიუპოლისი ესახება. ამ ცნობასთან დაკავშირებით მკვლევარი ს. ყაუხჩიშვილი მართებულად შენიშნავდა, რომ, რადგანაც აქ ნახსენები აბაზგია და იბერია საიმპერატორო კარზე განიხილებოდა თანაბარი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ ერთეულებად, ამიტომაც ამ შემთხვევაში აბაზგია მთელ დასავლეთ საქართველოს ნიშნავს [22: 233]. იმავე მნიშვნელობითაა გამოყენებული სიტყვა „აბაზგია“ X საუკუნეშივე შექმნილ „სვიდას ლექსიკონშიც“, სადაც მოთხრობილია ბიზანტიელთა მიერ დასავლეთ საქართველოში გაგზავნილი სამხედრო ექსპედიციის შესახებ და ნათქვამია, რომ 832 წელს აბაზგიაში ბიზანტიის ჯარი იქნა გაგზავნილი [22: 327]. ე.ი. აქაც

IX საუკუნის მოვლენების აღწერისას ბიზანტიელები აბაზგიას დასავლეთ საქართველოს უწოდებენ. აქვე უნდა გავიხსენოთ იმავე პერიოდის სომხურ ისტორიოგრაფიაში წარმოდგენილი სათანადო ცნობებიც. სომეხი მემატიანე ფსევდო შაპუზ ბაგრატიუნი, ვინც სმბატ I სომეხთა მეფის მოღვაწეობას აღწერს, დასავლეთ საქართველოს ასევე მოიხსენიებს აფხაზეთად, ხოლო აფხაზთა მეფეს „ლაზკების მეფეს“ უწოდებს. მოვუსმინოთ მემატიანეს: „იმ დროს განიზრახა სმბატმა დამოყვრებოდა ლაზკების, იგივე აფხაზების მეფეს. ცოლად შერთო აფხაზთა მეფის დათოსის ქალიშვილი თავის ვაჟს მუშეგს ... მაგრამ აი განიზრახა სმბატმა დაეპყრო აფხაზთა რაიონი, რომელიც შირაქის სიახლოვეს მდებარეობდა, სახელდობრ: კანგარი, გოგშენი, გაილცეხი, კოლა, არტანი“. ამის გამო „აფხაზთა მეფე“ დათოსი ატყვევებს საკუთარ სიძეს, სმბატის ვაჟიშვილს და იგი მამას წერილით შესჩვილებს, რომ „იმ მიწების გამო, რომლებიც შენ წაართვი აფხაზთა მეფე დათოსს, მე დილეგში ბორკილ-დადებული ვიმყოფები“-ო. ამას მოჰყვება ლაშქრობის სამზადისის, აფხაზთა ქვეყნისკენ გამგზავრების, მისი დარბევისა და ქართული მიწების მიტაცების აღწერა [24: 186-194].

სტეფანოზ ტარონელი ასოლიკი თავის ნაშრომში აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-ს (893-929) „ეგერთა მეფეს“ უწოდებს და მოგვითხრობს, თუ როგორ გადავიდა აფხაზეთში (დას. საქართველო) სომეხთა მეფე სმბატი და ივერიის მეფის ატერნერსეხის მეშვეობით ეგერთა მეფე კონსტანტინე შეიპყრო [25: 111]. სხვაგან კიდევ მოგვითხრობს ბაგრატ III-სა და დავით კურაპალატს შორის დამატული ურთიერთობის ეპიზოდს და ამბობს, რომ „აფხაზთა მეფე ბაგრატი, შვილი გურგენისა, გაემართა დავით კურაპალატისა და თავისი ბაბუის „ბაგარატის“ წინააღმდეგ და კავკასიის მთების (ლიხის მთის) აქეთა მხარეს, მდ. მტკვრის ნაპირას ბანაკი დასცა“-ო [25: 180]. როგორც ვხედავთ, სომეხი მემატიანესთვის, რომელიც საქართველოს გაერთიანების ამბებს მოგვითხრობს, აფხაზთა მეფე იგივე ეგერთა მეფეა, აფხაზეთი კი დას. საქართველოს ნიშნავს.

და ბოლოს, უნდა ვახსენოთ XVIII ს-ის ავტორი ლუკა კარინელი, ვინც თავის თხზულებაში „მემუარები“ იმერეთის მეფე სოლომონ I-ის შესახებ ამბობს, რომ სოლომონი იყო მეფე აფხაზთა, რომელთაც ბაშიაჩუკს და იმერლებს ეძახიანო: „Царь Соломон ахазов, которых называют башначух и Имерети“ [26: 334] – ვკითხულობთ წყაროში. ე.ი. აქაც აფხაზი იმერ ქართველს ნიშნავს.

ამრიგად, ზემოხსენებული ბიზანტიურ და სომეხ ავტორთა ნაშრომებში ნათლად ჩანს, თუ როგორ ფართოვდება შუა საუკუნეების განმავლობაში ცნება „აფხაზეთის“ (აბაზგია) შინაარსი და იგი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობას იძენს. ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც აფხაზეთის სამთავრომ თანდათან შეიერთა ჯერ სანიგთა, შემდგომ მისიმიანთა, აფსილთა მიწები და ბოლოს დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოაქცია თავისი გავლენის ქვეშ, მისი ტერიტორიული განვრცობის კვლად ცნება აფხაზეთის შინაარსობრივი დატვირთვაც იცვლება და VIII საუკუნის უკანასკნელი ათწლეულებიდან იგი ენაცვლება ცნება ეგრისს. ამიერიდან სახელწოდება აფ-

ხაზეთის სამეფო ეგრისის სამეფოს ადგილას მკვიდრდება და გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს ნიშნავს. ეს ისტორიული რეალობა შესაბამისად ქართულ ისტორიოგრაფიაში ჰპოვებს ასახვას, საიდანაც უცხოენოვან წყაროებშიც ვრცელდება. ამიტომაცაა, რომ ხსენებული პერიოდის ბიზანტიელი და სომეხი მემატრიანეები ლაზიკას, ეგრისს და აბაზგიას (აფხაზეთი) ერთმანეთთან აიგივებენ. მათთვის „აბაზგიის სამეფო“ და „ეგერის სამეფო“ თანაფარდი სიდიდეებია, ხოლო „აბაზგიის მეფე“, „აფხაზეთა მთავარი“, „ეგერის მეფე“ ან „მეგრელთა მეფე“ ერთი და იმავე შინაარსის სიტყვებია. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ამ წყაროებში ნახსენები ლაზიკა, ეგერი და აბაზგია დასავლეთ საქართველოს ნიშნავს, ხოლო ლაზები, მეგრელები, აფხაზები – ერთი და იგივე ცნება – იმიერ ქართველია.

### 3. აბაზგი – ქართველი და აბაზგია – სრულიად საქართველო.

და ბოლოს, X-XV საუკუნის ბიზანტიური და სომხური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები აბაზგიას სრულიად საქართველოს უწოდებენ და მათთვის აბაზგი ზოგადად ქართველია. ამ მხრივ აღსანიშნავია მიხეილ ატალიატეს, იოანე იტალოსის, იოანე ზონარას, დუკას, არისტარკე ლასტივერტეცის, უხტანესის, კირაკოს განძაკეცის, მხითარ აირივანეცის, არაქელ დავრიუციცისა და სხვათა ნაშრომებში შემონახული ცნობები.

იოანე ზონარა საქართველოს უწოდებს აბაზგიას, ხოლო გიორგი I-ს „აბაზგიის მთავრად“ მოიხსენიებს [16: 228-30]. იოანე იტალოსი, რომელიც იოანე პეტრიწის მასწავლებელი იყო, თავის მოწაფეს მოიხსენიებს როგორც „აბაზგ გრამატიკოსს“. ცხადია, ბიზანტიელი მოღვაწე პეტრიწს აბაზგს იმიტომ უწოდებს, რომ აბაზგი და ქართველი მაშინ ერთი მნიშვნელობის ცნებები გახლდათ. მიხეილ ატალიატემ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ფაშს აღწერა თანადროული ისტორიული მოვლენები და მათ შორის ბიზანტიასაქართველოს ურთიერთობების ამსახველი ამბებიც. გიორგი I-ის კეისრის წინააღმდეგ აჯანყების შესახებ თხრობისას იგი, მსგავსად თავისი თანამედროვე იოანე იტალოსისა, ქართველებს აბაზგებს უწოდებს [16: 27-30]. აქვე უნდა ითქვას, რომ მიხეილ ატალიატესთვის საქართველო არის იბერია. როდესაც იგი გიორგი I-ის მეფობის ფაშს მომხდარ მოვლენებს აღწერს, ქვეყნის ხსენებისას ყოველთვის იყენებს სიტყვას იბერია. თუმცა ქართველს მუდამ აბაზგს უწოდებს. ავტორი იბერებს, როგორც ქართველებს, ერთადერთხელ ახსენებს, როდესაც პირენეის იბერების აღმოსავლეთისკენ გადმოსახლებაზე საუბრობს და შენიშნავს, რომ იმ დროიდან მოყოლებული აქაც იბერები (ანუ ქართველები) ცხოვრობენო. სხვა დანარჩენ შემთხვევაში ქართველების აღსანიშნავად იგი იყენებს ცნებას აბაზგები. ერთი სიტყვით, ატალიატეს ნაწერის მიხედვით ქვეყანას ჰქვია იბერია და მისი ხალხია აბაზგები. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ხსენებული პერიოდის ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში აბაზგები და იბერია, გნებავთ იბერები და აბაზგია, ერთსა და იმავე ცნებებს – ქართველებს და საქართველოს ნიშნავს და ზოგჯერ ავტორები იბერიას დასავლეთ საქართველოსაც უწოდებენ. ჩვენი

ნათქვამის მართებულობას მეორე ბიზანტიელი მემატრიანის, ნიკიფორე ქსანთოპულოსის (XIII-XIV ს.ს.) ნათქვამიც ცხადყოფს – ქსანთოპულოსი ევაგრი პონტოელს, რომელიც IV ს-ში მოღვაწეობდა, მოიხსენიებს როგორც შთამომავლობით იბერთაგანს [19: 106-113]. ამრიგად, ზემოაღნიშნული ბიზანტიელი ავტორებისთვის ქართველები არიან აბაზგები, ქვეყანას კი იბერია ჰქვია.

ბიზანტიელი ქრონოგრაფი იოანე კინამოსი (XII ს.) ქართველებს ორივე ცნებით, აბაზგებითა და იბერებით აღნიშნავს. თავდაპირველად იგი წერს, რომ ბიზანტიელთა ჯარში სხვათა გვერდით იბერები და მასაგეტებიც მსახურობდნენ, რომელნიც ერთ-ერთი ბრძოლის დროს ისრების სატყორცნელად გაუგზავნიათ. უფრო ქვემოთ კი შენიშნავს, რომ კეისარ მანუელ კომნენოსთან ერთად ელჩები იმყოფებოდნენ, მათ შორის აბაზგებისა და იბერიელებისა“-ო [16: 144-45]. ცხადია, აქ კინამოსი ორივე სიტყვით – აბაზგითა და იბერით – ზოგადად ქართველის ცნებას გულისხმობს. იმავე საუკუნეში მოღვაწე გიორგი კედრენე, როდესაც X ს-ის ამბებს მოგვითხრობს, აბაზგიას, როგორც სრულიად საქართველოს, მრავალგზის ასხენებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია ის, რომ კედრენე საქართველოს ასევე ორი ცნებით, აბაზგით და იბერიითაც ერთდროულად მოიხსენიებს. მაგ., იგი აღწერს ბაგრატ III-სა და ლიპარიტს შორის ჩამოგდებული შულს და ამბობს: „[ლიპარიტი] შიდა აბაზგიაში, სამეფო სასახლეში რომ მოხვდა ... მთელი იბერიის ბატონ-პატრონი გახდა“-ო. სხვაგან კიდევ თხრობას აგრძელებს: „ბაგრატი [გახდა] ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა“ [15: 67]. ცოტა ქვემოთ კი, მისი თქმით, ბაგრატი საკუთარ თავს „პატარა ქვეყნის აბაზგიის“ მეფედ მოიხსენიებს. ცხადია, ბიზანტიელი ქრონოგრაფი თხრობისას სრულიად საქართველოს გულისხმობს. სხვაგანაც გიორგი კედრენე ქართველებს აბაზგებს უწოდებს: „ამ ბრძოლაში დაეცა აბაზგების ჯარის საუკეთესო ნაწილი“, ანდა ეს პასაჟი: „მეფის (ბიზანტიის) ბანაკი შიშმა მოიცვა, ეშინოდათ, ვაითუ აბაზგებსა (გიორგი I-ის ჯარი) და აჯანყებულებს (განდგომილი ნიკიფორე ქსიფიას ჯარი) შორის მოეგმწყდებოდა“-ო [15: 46, 45]. როგორც ვხედავთ, გიორგი კედრენესთვის აბაზგები იგივე ქართველებია.

სომეხი მემატრიანე არისტარკეს ლასტივერტეცისთვისაც (XI ს.) აფხაზი იგივე ქართველია და მისთვის ბაგრატ III, გიორგი I და ბაგრატ IV აფხაზთა მეფეები არიან. ის კი არადა, ავტორი ერთგან მეფე გიორგი I-ს ყოველგვარი ტიტულის გარეშე უბრალოდ „აფხაზის“ სახელით მოიხსენიებს („ბასილი II-მ ძღვენით გაგზავნა აფხაზის შვილი, რომელიც მძევლად ჰყავდა“), ისევე, როგორც იოანე პეტრინი „აფხაზი გრამატიკოსი“ იყო ბიზანტიელი მწერლისთვის. ამას გარდა, არისტარკეს ლასტივერტეცი გვაუწყებს, რომ, როდესაც 1054 წელს სომხეთში „სიკვდილისმომტანი სულთანი შემოჭრილა და დაბანაკებულა, მას მარბიელი თარეში მოუწყვია სამ მხარეს: ჩრდილოეთით – აფხაზთა ციხემდე და პარხარის (პარიადრის) მთამდე და კავკასიის მთის ძირამდე“ [27: 23, 42, 46, 70]. ამ ამონარიდიდან აშკარაა, რომ სომეხი მწერლისთვის აფხაზეთი სრულიად საქართველოა, აფხაზთა მეფე – ქართველი მეფეა, ხოლო აფხაზი – ქართველია. კიდევ ერთი წარმომადგენელი XI ს-ის სომხური ის-



ტორიოგრაფიისა უხტანესი, რომელიც ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ განყოფას აღწერს, თავისი ნაშრომის 67-ე თავში, თავდაპირველ ტომთა დამკვიდრებისა და განსახლების თაობაზე მსჯელობისას გვაუწყებს: „ხოლო პონტოს ნაპირზე რომ დაბანაკდა, ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე. შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება. ურიცხვია სახელი თითოეული გავარისა, რომლებიც მის გარშემოა და სხვა გავარებისა ქალაქ თბილისის გარშემო. რომელთაც ეწოდებათ: ნანარეთი, ჯავახეთი, თრიალეთი, ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ვერიას უწოდებდნენ. აქ (კი) ქართველნი ეწოდებათ“ [28: 67]. ამრიგად, უხტანესი აღწერს ტერიტორიას შავი ზღვიდან ვიდრე სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე და მას აფხაზეთს უწოდებს. ე.ი. მისთვის აფხაზეთი და საქართველო ერთი ცნებაა, ხოლო აფხაზეთი იგივე ქართველები არიან.

სომეხთა კათალიკოსის ნერსეს შნორჰალის „ცხოვრების“ ავტორის თქმით, რომელიც XII საუკუნის შუა წლების მოვლენებს აღწერს, მუსლიმთაგან დევნილი სომეხები აღმოსავლეთისკენ ისწრაფოდნენ, რადგან იმედი ჰქონდათ „იქაური გაძლიერებული ქართველთა ქვეყნის მთავრისა და აფხაზთა მეფის“. ავტორი აქ ორმაგი ტიტულით – „ქართველთა ქვეყნის მთავარი და აფხაზთა მეფე“ – აფხაზისა და ქართველის იგივეობას უსვამს ხაზს. ამას გარდა XII საუკუნის დროინდელ ერთ სომხურ „მოკლე ქრონიკა“-ში ვკითხულობთ, რომ „აფხაზთა მეფეს“ 1176 – 1177 წ.წ.-ში ანისი მისი მფლობელისთვის დაუბრუნებია. აქაც საქართველოს მეფე გიორგი III აფხაზთა მეფედ არის მოხსენიებული, ვინაიდან იმ ხანად აფხაზი ქართველს ნიშნავდა. XIII საუკუნის ავტორი ვარდან ვარდაპეტი, როდესაც ბაგრატ III-ის მოღვაწეობას მოგვითხრობს, შენიშნავს, რომ „ბაგრატი, შვილი გურგენისა, აფხაზთა ზედა მეფობდა“-ო. ასევე აფხაზთა მეფედ მოიხსენიებს იგი ბაგრატის ვაჟს გიორგი I-საც (Гургий), თუმცა სხვაგან მას „იბერთა მეფესაც“ უწოდებს [29: 117]. ეს ფაქტი კი ცხადყოფს, რომ სომეხი მემატინანისთვის აფხაზიცა და იბერიც ერთი და იგივე ცნებაა და ამ ორივე სიტყვით იგი ქართველს გულისხმობს. ერთგანაც ავტორი ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირებას აღწერს და შენიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც „იბერთა მეფის გიორგის ადგილი მისმა ვაჟმა ბაგრატმა დაიკავა, ლიპარიტმა „იგი აიძულა აფხაზეთის სიღრმეში გაქცეულიყო და თავად დაეუფლა ქვეყანას“ [29: 123]. ამ მონათხრობიდან ჩანს, რომ ვარდან დიდისთვის იბერია და აფხაზეთი ასევე ერთი და იგივე ქვეყანაა. იგივე ტენდენცია იკვეთება სომეხ ავტორთა ნაშრომებში, რომლებშიც შემდგომი საუკუნეების მოვლენებია ასახული. კირაკოს განძაკეცი (XIII ს.) აღწერს რუსუდანის მცდელობას, როგორმე თავისი ვაჟი აეყვანა სამეფო ტახტზე და იქვე შენიშნავს, რომ რუსუდანი აფხაზეთსა და სვანეთში გაიქცა, საიდანაც ბათუ ყანს ელჩები გაუგზავნა-ო [30: 181]. მართალია, ამ ამონარიდიდან ძნელია დაზუსტებით იმის თქმა, თუ კონკრეტულად რას გულისხმობს ავტორი გამონათქვამით „აფხაზეთსა და სვანეთში“, მაგრამ მისი





შემდგომი თხრობა ნათელყოფს, რომ ტექსტში სიტყვით აფხაზეთი სრულიად საქართველო იგულისხმება. მოუფსმინოთ მას: „ამასობაში ქართველი მეფე დავითი, ლაშას ძე ... გადაიღალა, შეწუხდა მრავალი ხარკის გამო ... მან დატოვა თავისი ქალაქი თბილისი, ტახტი და ყოველივე, რაც გააჩნდა და აფხაზეთის სიღრმეში, სვანეთის სიმაგრეებში გაიქცა [30: 63]. ამკარაა, რომ აფხაზეთი აქ საქართველოა და სვანეთი თბილისიდან წასული მეფისთვის საქართველოს სიღრმეში მდებარეობს. იმავე ფაქტს ეხმიანება მოგვიანო ხანის ავტორი არაქელ დავრიჟეციც (XVII ს.), რომელიც წერს, რომ 1259 წელს ქართველთა მეფე დავითი (ულუ) აფხაზეთში ჩავიდა“-ო [31: 479]. დავრიჟეცი საუბრობს 1259 წლის აჯანყების შესახებ, როდესაც სამცხეში მყოფი დავით VII დამარცხდა და იგი იძულებული გახდა, ქუთაისში წასულიყო. ვინაიდან სამცხე-საათაბაგო უკვე ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ამის გამო სომეხი ავტორი დავით ულუს მიერ საათაბაგოს დატოვებას და ქუთაისში გადასვლას „აფხაზეთში ჩასვლას“ უწოდებს: საქართველო აფხაზეთია, ხოლო სამცხე-საათაბაგო აფხაზეთი აღარაა, რადგანაც იგი გამოყოფილია საქართველოსგან. სტეფანოზ ორბელიანი (XVIII ს.) თავის ნაშრომში „ცხოვრება ორბელიანთა“ („სისაკანის სახლის ისტორიის“ 66-ე თავი) საუბრობს XI საუკუნეში „ისმაილიანთა“ წინააღმდეგ მებრძოლი ლიპარიტის შესახებ. წყაროს მიხედვით „თავადი ლიპარიტი“ ამბობს: „მე ვარ ლიპარიტი აფხაზთა“ —ო (ანუ ქართველი). ნიშანდობლივია, რომ სომეხი მემატრიანე თვითონ ლიპარიტის პირით გვაუწყებს, რომ აფხაზი იგივე ქართველია. აფხაზები იგივე ქართველები არიან კიდევ ერთი სომეხი მემატრიანე მხითარ აირივანეცისთვის (XVIII ს.). მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულიად თავისებურად ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ ეწოდათ ქართველებს მეორენაირად აფხაზები („მეფე სმბატ ტიეზერაკალმა ... შეიპყრო ქართველთა მეფე დემეტრე და მრავალ ქართველს ხელები დაუხაზა, რის გამოც მათ აფხაზნი ეწოდათ“), მის ნათქვამში მთავარი ისაა, რომ აფხაზი ზოგადად ქართველს ნიშნავს [32: 74]. ამავე საუკუნის პოეტი ფრიკი, სომხური საერო პოეზიის ფუძემდებლად რომ სახელდება, ასევე ახსენებს აფხაზებს. ფრიკს ეკუთვნის ერთი ლექსი, რომლითაც ღმერთს მიმართავს და წუხს, რომ „ყველას სხვადასხვა ენა აქვს და ერთმანეთისა არ ესმით“. შემდეგ ჩამოთვლის ამ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ეთნოსებს.

„ერთი სომეხია, მეორე ქართველი,  
 ერთი ტაჯიკი, მეორე ასური,  
 ერთია ისრაელ-ებრაელი,  
 სხვა კი სარკინოზი.  
 ერთი ალანი – მზის მსახური,  
 სხვა ჯადოქარი და აფხაზი.  
 ერთი ქურთი – ქანანელი,  
 სხვა თათარი – თორგომელი.  
 ერთი მონღოლი, ხატაელი,  
 სხვა ჯალათა – სამარყანდელი,

ერთი ფრანგია და ლათინელი,

სხვა ვენეციელ-გენუელი.

ერთი რომაელი და ბერძენი,

სხვა რუსია და ჰუნნი“ [33: 147-48].

ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს აფხაზი და ქართველი სხვადასხვა ეთნოსის აღნიშნავს და ამ სიტყვებით ავტორი სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხს გულისხმობდეს. მაგრამ აქ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. პირველი ის, რომ იმჟამინდელ მემატრიანეთათვის უცხო არ იყო საქართველოს აღსანიშნავად ერთდროულად რამდენიმე ცნება გამოყენებინათ. მაგალითისთვის ბიზანტიელი იოანე კინამოსის და გიორგი კედრენეს თხრობის სტილი შეგვიძლია გავიხსენოთ. კინამოსი ქართველებს, როგორც წესი, იბერიელებს უწოდებს, თუმცა ერთგან „აბაზგებისა და იბერიელების ელჩების“ შესახებ საუბრობს და ამ ორი ცნებით ქართველ ელჩებს გულისხმობს. ანდა გიორგი კედრენეს ცნობები მოვიხსნოთ, ავტორი ქართველს ყოველთვის აბაზგს უწოდებს, საქართველოს – აბაზგიას. მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ ბაგრატი იყო მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა-ო. ე.ი. კედრენე სიტყვებს „იბერია“ და „აბაზგია“ სრულიად საქართველოს მნიშვნელობას ერთნაირად ანიჭებს. მეორეც, მაშინდელ სომხურ წყაროებშიც იბერია, საქართველო და აფხაზეთი ერთ ცნებად აღიქმება და მემატრიანეები ამ სიტყვებით სრულიად საქართველოს გულისხმობენ. მეტიც, ზოგჯერ ისინი ერთი ამბის გადმოცემის დროს ქართველთა ქვეყანას იბერიასაც ეძახიან და იმავდროულად აფხაზეთს. შორს რომ არ წავიდეთ, ვარდან დიდისა და არაქელ დავრიჟეცის აქ მოხმობილი ცნობების გახსენებაც საკმარისია. ვარდან ვარდაპეტი გიორგი I-ს ჯერ აფხაზთა მეფეს უწოდებს, იქვე კი იბერთა მეფედაც მოიხსენიებს. ანუ ერთ სიუჟეტურ ქარგაში ქართველს აფხაზსაც უწოდებს და იბერსაც. ან, თუნდაც არაქელ დავრიჟეცის ნათქვამი მოვიხსნოთ, ვინც დავით ულუს შესახებ ამბობს, რომ „ქართველთა მეფე სამცხიდან აფხაზეთში ჩავიდა“-ო. აქაც, ავტორისთვის მიუღებელი არ არის ქართველი და აფხაზეთი ისე დაანწყვილოს, როგორც ქართველი და საქართველო. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრიკიც თავის ლექსში აფხაზს და ქართველს ერთი შინაარსით იყენებს. მესამეც, ფრიკის ლექსში განსხვავებულ ენაზე მოსაუბრე ეთნოსები გარკვეული პრინციპით არიან ერთმანეთთან შედარებული. კერძოდ, სხვადასხვა მოდგმის ხალხი საერთო გეოგრაფიული არეალის, ასე ვთქვათ, „სამეზობლო ფაქტორის“ მიხედვით წყვილდებიან. ფრიკისთვის აფხაზები და ქართველები სხვადასხვა ტომისანი რომ ყოფილიყვნენ და მათ თავთავიანთი სამეტყველო ენა ჰქონოდათ, მაშინ იგი ამ ორ ხალხს, ერთმანეთის მეზობლად რომ ცხოვრობდნენ, ურთიერთს შეადარებდა და „ანტიონიმურ წყვილად“ წარმოაჩენდა, სწორედ ასე არიან დანწყვილებულნი ებრაელი და არაბი, ქურთი და თორგომელი, მონღოლი და სამარყანდელი, რომელი და ბერძენი, რუსი და ჰუნი და ა.შ. მაგრამ ლექსში ასეთი შედარება არ გვხვდება, ქართველი და აფხაზი შეპირისპირებულია არა ერთმანეთთან, არამედ საქართველოს ჩრდილოეთით და სამხრეთით მცხოვრებ ეთნოსებთან – ალანსა

და სომეხთან. ამიტომაც, ჩვენი აზრით, ფრიკის ლექსში ქართველიცა და აფხაზიც ერთ ცნებას, ზოგადად ქართველს ნიშნავს. მეოთხე, პოეტი ლექსში სხვა ეთნოსსაც მოიხსენიებს რამდენიმე სახელით. მაგ., იგი ვენეციელს, გენუელსა და რომაელს ისე ახსენებს, თითქოსდა გენუასა და ვენეციის მკვიდრნი სხვა ერს განეკუთვნებოდნენ და რომაელი კი სხვა ყოფილიყოს: ვენეციელ-გენუელს იგი ენობრივად ფრანგს უპირისპირებს, რომაელის სამეტყველო ენა კი ბერძენის ენასთანაა შედარებული, არადა ადრე შუა საუკუნეებში გენუელები და ვენეციელები ეთნიკურად რომაელები იყვნენ, შემდეგ კი გენუელებიც, ვენეციელებიც და რომაელებიც – იტალიელები ხდებიან. ასე რომ, აქაც ერთი და იგივე ეთნოსი, ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ისეა წარმოჩენილი, თითქოსდა სხვადასხვა ეთნოსები ყოფილიყვნენ. ერთი სიტყვით, ფრიკის დროინდელ სომხურ და სხვაენოვან ისტორიოგრაფიაში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ მემატრიანეები არცთუ იშვიათად ერთ კონტექსტში ქართველის მნიშვნელობით ხმარობენ სინტაგმებს „აფხაზი და იბერი“, ანდა „აბაზგი და იბერი“, ხოლო საქართველოს აღსანიშნავად „აბაზგიას და იბერიას“ ერთდროულად ახსენებენ. ყოველივე ზემოთქმულს თუკი გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამგვარი დამოკიდებულება ფრიკის შემოქმედებაშიც აისახა და, ჩვენი აზრით, პოეტი აფხაზსა და ქართველს არა ერთმანეთს უპირისპირებს, არამედ ამ ცნებებით ზოგადად ქართველს გულისხმობს.

ბიზანტიელი მემატრიანე ეფრემი (XIV ს.) თავის „ქრონიკაში“, სადაც საქართველოში მიმდინარე ისტორიული ამბებიცაა აღწერილი, სიტყვით აბაზგი ქართველს აღნიშნავს. თანაც თხრობის დროს ცნებებს აბაზგები და იბერები ერთმანეთის მონაცვლეობით იყენებს [16: 90-91]. ანუ მისთვის აბაზგი და იბერი ერთმანეთის ტოლფასი ცნებებია და ქართველს ნიშნავს. მომდევნო ბიზანტიელი ავტორი, აბაზგების ქვეშ ქართველს რომ გულისხმობს, გახლავთ XV საუკუნეში მოღვაწე დუკა. ქრონოგრაფი 1344 წლის ამბების აღწერისას შენიშნავს, რომ: „თურქები ... ცხვრებივით [ყველას მიერეკებოდნენ] გასაყიდად ისე, როგორც სკვითებსა და აბაზგებს“-ო. ცოტა ქვემოთ კი, როცა 1400 წელს მომხდარ ამბავს მოგვითხრობს, ამბობს, რომ სპარსეთიდან წამოსული თემურ ლენგი ტანაისის მხარეს მისულა და ტავროსკვითები, ჯიქები და აბაზგები შემოუკრებია, ბოსფორში დაბები დაუნგრევია, შემდეგ კი არმენიის მიწა-წყალზე გადასულა და დიდძალი ჯარით კაპადოკია გაუვლია [34: 26]. ამ ორივე ეპიზოდში დუკა სიტყვით აბაზგები ზოგადად ქართველს გულისხმობს.

ერთი სიტყვით, ცნებების აბაზგი (აფხაზი) და აბაზგია (აფხაზეთი) რაობის შესახებ არსებული ეს ცნობები, IX-XV საუკუნეების ბიზანტიურმა და სომხურმა წყაროებმა რომ შემოგვინახეს, ცხადყოფენ, რომ ზოგი ავტორი არა მხოლოდ იმიერ ქართველებს და დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, არამედ ისინი ამ ცნებებს უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მათთვის აბაზგია სრულიად საქართველოს ნიშნავდა, ხოლო სიტყვით აბაზგი ისინი ზოგადად ქართველს მოიხსენიებდნენ.

ამრიგად, ბერძნულ და სომხურ წყაროებში დამონმებულ ცნებას – აბაზგი (ბერძნული) და აფხაზი (სომხური) სამი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი

აღნიშნავდა: 1. ქართველ ტომს; 2. იმიერ ქართველს; 3. ზოგადად ქართველს. ხოლო სიტყვით აბაზგია (ბერძნული) და აფხაზეთი (სომხური) წყაროებში აღნიშნავდნენ ან აფხაზეთის სამთავროს (VIII ს.-მდე), ან გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს (VIII-X ს.ს.), ან კიდევ სრულიად საქართველოს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აბაზგი აფხაზთა ტომის სახელის ბერძნული ვარიანტია, რომელიც ბერძნებმა მათი ენისათვის ბუნებრივი გზით გარდაქმნეს და დაამკვიდრეს (თ. გამყრელიძე). აბაზგების ტომი ისტორიულ წყაროებში პირველად II საუკუნიდან ჩნდება. თუმცა ის, რომ აბაზგებს იმ დროისთვის საკუთარი „ქვეყანა“ ჰქონდათ დაარსებული და ჰყავდათ „მეფე“, მეტყველებს ეგრისის მიწა-წყალზე ამ ტომის უფრო ადრინდელ მკვიდრობას. წყაროთა თანახმად, აბაზგთა ტომი ძველთაგანვე, ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთში, შავი ზღვის სანაპიროსა და კავკასიონის კალთებს შორის მკვიდრობდა. სხვა სამკვიდრო ადგილი მათ არ ჰქონიათ. აბაზგები ტომით ქართველები იყვნენ და არსებობდნენ და ვითარდებოდნენ სხვა ქართველ ტომთა გარემოცვაში. მათი სამეტყველო ენა იყო ქართული და ისინი ქრისტიანები იყვნენ. წყაროებში აბაზგებს „იბერთა თვისტომი“ უწოდებდნენ. აბაზგთა სამთავრო, რომელიც თავდაპირველად ეგრისის სამეფოს ერთ კუთხეთაგანს წარმოადგენდა, თანდათან ძლიერდება და, როგორც ზემოთ ვთქვით, VI საუკუნიდან იერთებს სხვა ქართულ სამთავროებს, კერძოდ სანიგეთს, აფსილიას, მისიმიანეთს, ხოლო VIII ს.-ის ბოლოდან იგი ეგრისის სამეფოს დანარჩენ მიწებსაც შემოიმტკიცებს და ამიერიდან გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოს ეგრისის სამეფოს ნაცვლად აფხაზეთის სამეფოს უწოდებენ. და ბოლოს, როდესაც აფხაზეთის ბაგრატიონთა დინასტიიდან გამოსული მეფენი მთელ საქართველოს გაერთიანებენ, სიტყვა აფხაზეთი სრულიად საქართველოს მნიშვნელობას იძენს, ვიდრემდე სახელმწიფო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად არ დაიშლება. ეს პოლიტიკური პროცესი და მისი თანმდევი შინაარსობრივი ცვლილება ცნებისა „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ ასევე ნათლად არის წარმოჩენილი ზემოგანხილულ ბერძნულ და სომხურ წყაროებში.

ამავე წყაროთა მონაცემებიდან ისიც ცხადდება, რომ ეთნონიმ აფხაზის ბერძნული ვარიანტის – აბაზგის მსგავსი სახელწოდების ტომები: აბხეთა-აპშეგი, აბზოე და სხვ. კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე მიწებზე მკვიდრობდნენ, გენეტიკურად ეს ტომები სკვითურ-სარმატული წარმომავლობისანი იყვნენ და მათი საბინადრო ადგილები აზოვისპირეთიდან კასპისპირეთამდე იყო გადაჭიმული. ისინი მრავალენოვანი ტომები იყვნენ, რომლებიც მრავალრიცხოვნობითაც გამოირჩეოდნენ. ამ ტომებს შუა საუკუნეებში აბაზას სახელით იცნობდნენ და სწორედ ისინი იყვნენ სომხური წყაროების „ნამდვილი აბაზები“, რომელთაც ბერძნები „მასაგეტ აბაზგებს“ უწოდებდნენ. მათ არ ჰქონდათ დამწერლობა, ხასიათდებოდნენ წარმართული წეს-ჩვეულებებით და ნომადი ტომების ყოფით გამოირჩეოდნენ. ისტორიულ წყაროებში ნახსენები „იბერთა თვისტომი აბაზგები“, ეგრისის სამეფოს მიწა-წყალზე რომ მკვიდრობდნენ და „ნამდვილი აბაზები“, სხვაგვარად „მასაგეტი აბაზგები“, რომელნიც იმიერკავკასიაში ცხოვრობდნენ, სრულიად სხვადასხვა

ეთნოსებს განეკუთვნებოდნენ. ამ ორ მოდგმას ერთმანეთთან არც გენეტიკურად, არც ენობრივად, არც აღმსარებლობით და არც კულტურულად საერთო არაფერი ჰქონდა. „იბერთა თვისტომი აბაზგები“ ქართველი ტომთაგანი იყვნენ, „მასაგეტი აბაზგები“ კი – სკვით-სარმატთა ტომებს განეკუთვნებოდნენ.

ერთი სიტყვით, ბერძნული და სომხური წყაროებიდან დასტურდება, რომ ისტორიულ სარბიელზე აბაზგთა ტომის გამოჩენისთანავე იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელსაც კავკასიონის ქედი ორ ნაწილად ჰყოფდა, არსებობდა ორი ურთიერთგანსხვავებული ეთნოსი, რომელთა თვითსახელებსაც უცხოელები ერთმანეთთან აიგივებდნენ. ამიერკავკასიის მიწაზე, „გერისის, ანუ აფხაზეთის, ანუ იმერეთის სამეფოში“ ცხოვრობდნენ აფხაზები, ტომით ქართველნი და მათი ეთნონიმის ბერძნული ვარიანტი გახლავთ აბაზგი. იმიერკავკასიის ტერიტორიაზე დამკვიდრებულნი იყვნენ აბაზას მრავალრიცხოვანი ტომები, რომელთაგან ზოგიერთი სახელწოდება ფორმალურად მსგავსი იყო აფხაზი ტომის ბერძნულენოვანი სახელისა. სწორედ ამ მსგავსი სახელების მქონე ეთნონიმების გაიგივებას ეფუძნება ის, რომ შუა საუკუნეების ბერძნულ და სომხურ წყაროებში გაჩნდა „ორი აბაზგის“ და კიდევ „ორი აბაზას“ ცნებები. სინამდვილეში არ არსებობდნენ არც ორი აბაზგის ტომები და არც „ორი აბაზას“ მოდგმა. ერთი იყო აფხაზი – ქართული ეთნოკულტურული სამყაროს კუთვნილება და მეორე იყო აბაზა – სკვით-სარმატ ტომთა ერთი ჯგუფის კრებითი სახელი. ამ სხვადასხვა ეთნონიმების ერთმანეთთან დაკავშირება შედეგი იყო ბერძნულ მეტყველებაში არსებული ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც ბერძენი ავტორები უცხო ტომის თვითსახელს საკუთარი ენის ნორმების მიხედვით გარდაქმნიდნენ და თავიანთ თხზულებებში ამ სახეცვლილ ვარიანტებს ამკვიდრებდნენ.

წინამდებარე ნაშრომში ეთნონიმების „აბაზგი“-სა და „აბაზა“-ს რაობის საკითხი ბერძნული და სომხური წყაროების მიხედვით განვიხილეთ. ამ თემამ ასახვა შუა საუკუნეების დასავლეთეფროპულ, აღმოსავლურ და რუსულ ისტორიოგრაფიაშიც ჰპოვა. ჩვენც კვლევის შემდგომი გაგრძელება და წარმართვა სწორედ ამ მიმართულებით გვესახება.

#### წყაროები და ლიტერატურა:

1. Латышев В.В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. I, ч. I, С-Пб., 1893.
2. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1983.
3. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭალაძისა, თბილისი, 1961.

4. ორფიკული არგონავტიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნ. მელაშვილმა, თბილისი, 1977.
5. Латышев В.В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. II, ч. 1, С-Пб., 1904.
6. გეორგიკა, ტ. I, თბილისი, 1961.
7. გეორგიკა, ტ. II, თბილისი, 1965.
8. გეორგიკა, ტ. III, თბილისი, 1936.
9. ლ.ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1962.
10. История Египте Вардапета, Борьба Христианства с учением Зороастровым в пятом столетии, в Армении. Перевод с армянского П. Шаншиева, Тифлис, 1853.
11. История Армении Фавстоса Бузинда, перевод с древнеармянского и комментарии М.А. Геворгяна, под ред. С.Т. Еремяна, вступ. статья Л.С. Хачикяна, Ереван, 1953.
12. მოესეს ხორენაცი, სომხეთის ჰისტორია, ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბილისი, 1984.
13. История Епископа Себеоса, перевел с четвертого исправленного япмянского издания С.Т. Малхасянц, Ереван, 1939.
14. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი I, თბილისი, 1941.
15. გეორგიკა, ტ. V, თბილისი, 1963.
16. გეორგიკა, ტ. VI, თბილისი, 1966.
17. Армянская география VII века по Р.Х. (приписываемая Моисею Хоренскому), издал К.П. Патканов, С-Пб., 1877.
18. ЖМНП, К.П. Патканов, из нового списка географии приписываемой Моисею Хоренскому, 1883, март, ч. ССXXVI.
19. გეორგიკა, ტ. VII, თბილისი, 1967.
20. თომა მენოფელი, ისტორია ლანგ-თემურისა, შესავალი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის, თბილისი, 1937; თომა მენოფელი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, ძველსომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ, თბილისი, 1987.
21. Л.М. Меликсет-Беков, Pontica Transcaucasica Ethnica (по данным Миная Медичи от 1815-1819 гг.), "Советская этнография", 1950, №2.
22. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, თბილისი, 1952.
23. იოანე დრასხანაკერელი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ ი. აბულაძისა, თბილისი, 1937.
24. История анонимного повествования Псевдо Шапуха Багратуни, перевод с древнеармянского, предисловие и комментарии М.О. Дербинян-Меликян, Ереван, 1971.
25. Всеобщая история Степаноса Таронского Асох'ика по прозванию. Переведена с армянского и об'яснена Н. Эмманым, Москва, 1864.
26. Л.М. Меликсет-Бек. Вопросы этнографии Грузии в древнеармянских источниках; Вопросы этнографии Кавказа, Тбилиси, 1952.
27. არისტარკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებით და საძიებლოთ გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1974.
28. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1975.

29. Всеобщая история Вардана Великого, перевел Н. Эмин (с примечаниями и приложениями), Москва, 1861.
30. Киракос Кандзакеци, История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л.А. Ханларян, Москва, 1976.
31. Аракел Давრიжеци, Книга историй, перевод с армянского, предисловие и комментарий А.А. Ханларян, Москва, 1973.
32. მზითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბილისი, 1990
33. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1941.
34. გეორგიკა, ტ. VIII, თბილისი, 1970.
35. ლ. გიგაური, საქართველო სიმეონ ერევანცის „მემუარებში“ (XVIII ს-ის II ნახევარი), თბილისი, 1997.

NINO JAVELIDZE

**THE “ABAZG” AND “ABAZA” ETHNONIMS MEANING  
ACCORDING GREEK-LATINIAN AND ARMENIAN HISTORICAL  
SOURCES DATA**

Summary

From the late ancient period in geographical area, which was divided in two parts by Caucasian mountain ridge, there were living different ethnic tribes, whose names were identified with each other by Greek-Latinian and Armenian analysts. In fact in the kingdom “Egrisi, or Abkhazeti, or else Imereti” from the ancient there was leaving Abkhaz tribe - ethnic Georgians. In the Byzantine historical source data there was the Greek version “Abazg”, which was in accordance with Georgian ethnonim “Abkhazi”. The Greek version “Abazg” arose from the Greek language’s norms of word formation. At the same time in the North Caucasus territories there were settled down numerous Skythian tribes Abazas, whose name (Abaza) formally looked like the Greek version name Abkhazi - Abazg. On the base of the likeness of these two names in the Byzantine and Armenian historiography arose the meaning of “two Abazgs” (Greek version) or else “two Abazas” (Armenian version). In fact there were existed in the nature not “two Abazgs” and nor “two Abazas”. “Abazg” meant the Abkhazi tribe, which was the part of a Georgian ethnocultural world and spoke on Georgian language. But in the middle centuries the name “Abaza” was the gathering name of some Skyth-Sarmatian tribes, who lived on the “Aziatic Sarmathy” territories.

Н.М. ДЖАВЕЛИДЗЕ

## ЗНАЧЕНИЕ ЭТНОНИМОВ «АБАЗГ» И «АБАЗА» ПО ДАННЫМ ГРЕКО-ЛАТИНСКИХ И АРМЯНСКИХ ИСТОРИЧЕСКИХ ИСТОЧНИКОВ

Резюме

С позднеантичных времен в географическом ареале, разделенном Кавказским хребтом на две части, проживали этнически разные племена, названия которых византийские и армянские летописцы отождествляли друг с другом. На самом деле в царстве «Эгриси, или Абхазии, или же Имеретии» издревле проживало племя Абхазов, этнически – Грузин. В византийских исторических источниках грузинскому этнониму «Абхазии» соответствовало слово «Абазг» – греческий вариант, возникший согласно нормам словообразования греческого языка. Вместе с тем, на территории современного Северного Кавказа в то время обосновались многочисленные скифские племена Абазов, название которых (Абаза) формально было схожим с греческим вариантом названия Абхазии – Абазг. На основании сходства этих двух имен в византийской и армянской историографии появилось понятие «двух Абазгов» (греч.) или же «двух Абазов» (арм.). Тогда, как в природе никогда не существовало ни «двух Абазгов», ни «двух Абазов». «Абазг» обозначал племя Абхазов, являющееся частью грузинского этнокультурного мира и говорящее на грузинском языке. «Абаза» же в средние века являлось собирательным именем некоторых скифо-сарматских племен, проживающих на территории «Азиатской Сарматии».



## თავური თოღა

### მოსინოიკების პროქსენოსი

სამხრეთ პონსტოსპირეთში განსახლებულ მრავალრიცხოვან ეთნოსთა შორის ანტიკური ტრადიცია განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მოსინოიკებისადმი. ისინი მოხსენიებულია ჰეკატეოს მილეტელის (fr. 204), ფსევდო სკილაქსის (Fr., 328); პეროდოტეს (III, 93-94); სტრაბონის (XII, 3, 18); დიოდორე სიცილიელის (XIV, 30, 6); ფსევდო-არისტოტელეს („საოცარ ამბავთა შესახებ“, 835); ნიკოლოზ დამასკელის (125); სკილაქს კარიანდელის (86); სკიმნოს ქიოსელის (900-910); აპოლონიოს როდოსელის (II, 379-383; 1015-1031); დიონისიოს პერიეგეტის (762); დიონისიოს ჰალიკარნასელის (I, 26, 2) თხზულებებში.

შედარებით უფრო ვრცელ და ამავე დროს მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას გვანვდის ქსენოფონტი. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქსენოფონტის „ანაბასისში“ დაცული ცნობა მოსინოიკების პროქსენოსზე, რომელიც უდავოდ სპეციალურ შესწავლას იმსახურებს. ქსენოფონტი გადმოგვცემს: ელინების სამხედრო შენაერთები, „როდესაც მიუახლოვდნენ მოსინოიკების საზღვარს, გაგზავნეს მათთან ტრაპეზუნტელი ტიმესითეოსი, რომელიც მოსინოიკების პროქსენოსი იყო“ [1: V, 4, 2].

პროქსენოსი, სტუმართმოყვარეობის თანაზიარი წესი, ელინურ სამყაროში საერთაშორისო ურთიერთობათა თავისებური მარეგულირებელი ინსტიტუტი იყო, რომელიც თანამედროვე საკონსულოების მსგავსი ჩანს. ჯერ კიდევ, არქაულ და კლასიკურ ეპოქებში, როგორც მართებულად მინიშნებენ ფ. ედკოკი და დ. მოსლი, თუ მეზობელ პოლისებს შორის კონტაქტების რეგულირების საკითხი იდგა, სამხედრო-პოლიტიკური ალიანსების შექმნიდან დიპლომატიური ქმედებების სფერო ფართოვდება და მათი პროცედურა რთულდება [2:121-122]. ამავე დროს, ბერძნული პოლისებისა და მათი გარემომცველი სამყაროს სამხედრო-პოლიტიკური თუ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას თან სდევდა საერთაშორისო კონტაქტების მარეგულირებელი ინსტიტუტების უნიფიცირების პროცესი; ზოგიერთმა ძველმა ინსტიტუტმა კი ახალი ფუნქცია შეიძინა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენდა პროქსენოსის ინსტიტუტი, რომელიც ძვ. წ. IV ს-ში პოლისთაშორისო სავაჭრო კავშირების გაღრმავებას ხელს უწყობდა; ასევე ის დიპლომატიურ და პოლიტიკურ ფუნქციებსაც ასრულებდა [3: 78].

პროქსენოსად, როგორც ნესი, ირჩევდნენ ისეთ პირს, რომელიც ნამყოფი იყო საპროქსენოსო ქვეყანაში და მასთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა; ფლობდა მათ ენას და კარგად იყო გათვითცნობიერებული უცხო ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებაში. ტრაპეზუნტიელი ტიმესითეოსი აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

ტიმესითეოსი, როგორც ქსენოფონტის ცნობიდან ჩანს, ფლობდა მოსინოიკების ენას. იგი ელინებსა და „პირიქითელ“ მოსინოიკებს შორის მოლაპარაკების დროს თარჯიმნის ფუნქციას ასრულებდა. მან ასევე კარგად იცოდა მოსინოიკებში არსებული პოლიტიკური სიტუაცია: ტიმესითეოსმა აცნობა ქსენოფონტს, რომ მოსინოიკები ორ ურთიერთდაპირისპირებულ ძალებად არიან დაყოფილი და ერთმანეთს ებრძვიან ჰეგემონიისათვის [1: V,4, 2-3].

მართალია, მოსინოიკების საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე არც ერთი ბერძნული პოლისი არ არსებობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტრაპეზუნტსა და მოსინოიკებს შორის გარკვეული ურთიერთობა უნდა ყოფილიყო და ტრაპეზუნტის ზოგიერთი მოქალაქე მოსინოიკების პროქსენოსები იყვნენ. ვფიქრობთ, ტიმესითეოსის ძირითადი ფუნქცია ტრაპეზუნტიელებსა და მოსინოიკებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების რეგულირება უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასეა, მაშინ ისმის კითხვა, რა კომერციული ინტერესები ჰქონდათ ტრაპეზუნტიელებს მოსინოიკების რეგიონში და პირიქით?

მოსინოიკების საცხოვრისი შავი ზღვის სანაპიროზე, კერასუნტსა და კოტიორას შორის მდებარეობდა. მათ აღმოსავლეთით კოლხები და დრილები ემეზობლებოდნენ, ხოლო დასავლეთით ხალიბები, რომლებიც მოსინოიკების ქვეშევრდომები იყვნენ; რეგიონი მთაგორიანი და კომპაქტურად დასახლებული იყო. ქსენოფონტის „ანაბასისში“ საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი მოსინოიკების ყოფა-ცხოვრება და მრეწველობა. მოსინოიკების დასახლებების ძარცვის დროს, როგორც ქსენოფონტი გადმოგვცემს, ელინებმა შეამჩნიეს პურის დიდი მარაგი, რომელიც წინაპართა ანდერძის თანახმად, წინა წელს იყო განაწილებული; ახალი პური კი თავთავებად ჰქონდათ დახვავებული“ [1: V,4, 27]. არ არის გამორიცხული, რომ ტრაპეზუნტი მარცვლეულით მოსინოიკების რეგიონიდანაც მარაგდებოდა. პონტოსპირეთის ქვეყნებიდან ბერძნულ ქალაქებში პურის ექსპორტზე ჯერ კიდევ ჰეროდოტე მიანიშნებდა [4: VI,147]; პოლიბიოსიც მოუთითებდა, რომ „პონტოს ირგვლივ მცხოვრები ხალხები რომაელებსა და ბერძნებს პურით ამარაგებდნენ“ [5: IV, 38].

მოსინოიკებს შესაძლოა ტრაპეზუნტში გაჰქონდათ ასევე წაბლი და დამარილებული თევზი, რითაც, როგორც ამას ქსენოფონტი გადმოგვცემს, მდიდარი იყო ეს რეგიონი [1: 4,28]; საექსპორტო ნედლეულად ითვლებოდა, აგრეთვე ხე-ტყევი. ქსენოფონტი და ასევე სხვა ძველი ავტორებიც მიანიშნებდნენ მოსინოიკების ერთი მთლიანი ხისაგან გამოთლილი ნავების შესახებ [1: V,4, 11; 6: 200; 7: XII, 3,18]. მოსინოიკები ხის მასალას მშენებლობაშიც ხშირად იყენებდნენ. ციხე-სიმაგრეები და საცხოვრებელი სახლები ხისგან იგებოდა. ასე რომ, ტრაპეზუნტი ამ მხრივაც უნდა ყოფილიყო აღნიშნული

რეგიონით დაინტერესებული. ტრაპეზუნტი ხომ გემთმშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. იგი მუდამ ძლიერ და მრავალრიცხოვან ფლოტს ფლობდა [8: 78], რაც შესაბამისი რაოდენობის ხის მასალას მოითხოვდა.

მართალია, ქსენოფონტთან ოდნავი მინიშნებაც კი არ არის მოსინოიკებში მესაქონლეობის განვითარების შესახებ, მაგრამ ის, როგორც მთაგორიანი ქვეყანა, ვფიქრობთ, მეურნეობის ეს დარგი უნდა ყოფილიყო აქ ნამყვანი. ამის არაპირდაპირ მონიშნავდა შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ტრაპეზუნტელებმა, ქსენოფონტისავე ცნობით, ელინთა სამხედრო შენაერთებს მდიდრული ძღვენი გაუგზავნეს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სახით [1: IV, 8, 23]. მათი გარკვეული ნაწილი, ალბათ, მოსინოიკეების ქვეყნიდანაც უნდა ყოფილიყო იმპორტირებული.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქსენოფონტის არაპირდაპირი მინიშნება მოსინოიკების მიერ ელინებისათვის ლითონის იმპორტირების შესახებ [1: V, 4, 14]. ძველ ბერძნულ მწერლობაში ერთხმადაა აღიარებული, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი ლითონით მდიდარი რეგიონი იყო. ბერძენი ავტორები ამ შემთხვევაში გულისხმობდნენ ხალიბებს, რომლებიც ბინადრობდნენ რკინის საბადოებით მდიდარ მხარეში და მათ სახელი გაითქვეს, როგორც მელითონეობაში დახელოვნებულმა ტომებმა. ხალიბურმა რკინის ნაწარმმა და ხალიბებმა, როგორც მაღალი ხარისხის ფოლადის ოსტატებმა, ისე გაითქვეს სახელი, რომ ძველბერძნულ ენაში მათი სატომო სახელწოდება – „ხალიბი“ ფოლადის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრდა [9: 142]. ანტიკურ წყაროებში პონტოდან იმპორტირებული ლითონი ზოგჯერ სინოპურ, ამისურ ან მოსინოიკურად იწოდებოდა. ეს ცნობა იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამ ნავსადგურებიდან გაჰქონდათ რკინა შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრებში, რის შესახებაც ქსენოფონტი არაფერს ამბობს, თუმცა მის „ანაბასისში“ დაცულია მცირე, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ცნობა ხალიბების შესახებ. ელინებმა მოსინოიკების ქვეყანა რომ გადაიარეს, ხალიბებთან მივიდნენ, „ისინი – წერს ქსენოფონტი – ცოტანი იყვნენ, ემორჩილებოდნენ მოსინოიკებს და რკინის დამუშავებით ცხოვრობდნენ“ [1: V, 5, 1].

*ჩვენთვის უცნობია რა ფორმით გამოიხატებოდა ხალიბთა მორჩილება.* რამდენადაც ხალიბები თავიანთ ქვეყანაში აგრძელებდნენ ცხოვრებას და თავიანთი ტრადიციული საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, ეს კი არ უნდა ყოფილიყო ხალიბთა მონებად გადაქცევის მიმანიშნებელი, არამედ მათ გარკვეული სახის ხარკი უნდა გადაეხადათ. ვფიქრობთ, ხარკი ხალიბებს რკინის სახით უნდა გაეღოთ. თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რატომ ესწრაფვოდნენ ტიმესითეოსის მსგავსი ბერძენი კომერსანტები მოსინოიკებთან მეგობრობას და თანამშრომლობას. მოსინოიკების მეთაურები ისაკუთრებდნენ დამორჩილებული ხალხების პროდუქციას და მათ ელინურ კოლონიებთან საქონლის გაცვლის სახით იყენებდნენ.

ჩვენთვის უცნობია ასევე, თუ რა მექანიზმით ხორციელდებოდა მოსინოიკებისა და ტრაპეზუნტელების სავაჭრო-ეკონომიკური ოპერაციები ანდა

რა სახის პროდუქცია გააქონდათ ელინელ კოლონისტებს მოსინოიკების ქვეყანაში!

ქსენოფონტის ცნობებიდან ჩანს, რომ მოსინოიკები საკვებ პროდუქტებს ინახავდნენ ამფორებში და სხვა სახის ჭურჭელში [1: V,4,28-29]. ვფიქრობთ, ნაწილი ამ კერამიკული ნაწარმისა, განსაკუთრებით ამფორებისა, ელინური კოლონიებიდან უნდა ყოფილიყო იმპორტირებული; რაც შეეხება სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების მექანიზმებს, ალბათ, ფულადი ოპერაციების გზით ხორციელდებოდა. მის არაპირდაპირ მონაბრუნებელად შეიძლება ჩაითვალოს პეროდოტეს ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც, სპარსელებს ხარკის სახით მოსინოიკები 300 ტალანტს უხდიდნენ [4: III, 94], რაც მოსინოიკებში ფულად-სასაქონლო მურნეობის განვითარებაზე მიუთითებს. არ არის გამორიცხული, რომ სინოპეს მსგავსად [8:90], ტრაპეზუნტშიც აბორიგენ მოსახლეობასთან ვაჭრობის მიზნით მცირე ნომინალები იჭრებოდა.

ასე რომ, ამგვარი ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები როგორც მოსინოიკებისთვის, ასევე ტრაპეზუნტელებისთვისაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. მის ეფექტურ რეგულირებას, დროის გარკვეულ მონაკვეთში ახორციელებდა ტიმესითოსი, რომლის ძირითადი ფუნქციაც პოლისსა და „ბარბაროსულ“ სამყაროს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მონესრიგება და განვითარება წარმოადგენდა. ქსენოფონტის საჯაროსო შენაერთების სამხრეთ პონტოსპირეთში სამხედრო კამპანიის დროს კი მოსინოიკების პროქსენოსის კომპეტენციის სფერო ფართოვდება. მას მოცემულ ვითარებაში სამხედრო-პოლიტიკური რეგულირების ფუნქციაც დაემატა და ამ მხრივ, ის გარკვეულ წარმატებასაც აღწევს. მართალია, მან ვერ მოახერხა „პირიქითელი“ მოსინოიკების დაყოლიება, რომ ელინები მათ ტერიტორიაზე გაეტარებინათ, სამაგიეროდ, „პირაქეთელ“ მოსინოიკებსა და ელინებს შორის მოლაპარაკების პოზიტიურად დასრულება შეძლო [1: V,4,8-9]. ტიმესითოსის შუამავლობით მოხერხდა „εἰσέξειν“ – ურთიერთდახმარების ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც საკმაოდ აპრობირებული მეთოდი იყო ძველ საბერძნეთში. ძვ. წ. IV ს-დან მისი როლი განსაკუთრებით გაიზარდა. ამგვარი ხელშეკრულების დარღვევისას სავსებით სამართლიანი და ლეგიტიმური ხდებოდა სამხედრო კამპანიის დაწყება [2: 200]. ელინური დიპლომატიური ნორმების მიხედვით მოხერხდა ასევე ἄμφισβητος-ს მორიგების, შეთანხმების მიღწევა. ეს ტრადიციული ელინური წესი გულისხმობდა ჯერ ცალკეულ ინდივიდებს შორის, ხოლო შემდეგ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებას. ის განსაკუთრებით არსებით როლს ასრულებდა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა რეგულირებაში და თითოეული მათგანის სტატუსს განსაზღვრავდა [10:105].

დაბოლოს, ყოველივე აღნიშნული პროცედურის ჩატარების შემდგომ ელინებსა და „პირაქეთელ“ მოსინოიკებს შორის „σφαχίαι“-ს, სამხედრო კავშირის გაფორმებით დასრულდა, რაც ასევე ერთობ გავრცელებული და აპრობირებული მეთოდი იყო ბერძნულ სამყაროში [2:191].

ამრიგად, ქსენოფონტის ცნობა მოსინოიკების პროქსენოსის შესახებ მრავალმხრივ საინტერესოა. ჯერ ერთი, ძვ. წ. V-IV სს-ში ელინურ სამყაროში პროქსენოსის ინსტიტუტი მრავალფუნქციური ხდება; მეორე, საპროქსენოსო პრაქტიკა გამოიყენებოდა არა მარტო პოლისთაშორისო, არამედ „ბარბაროსულ“ სამყაროსთან კონტაქტების რეგულირებისთვისაც. დაბოლოს, აღნიშნული ცნობა ელინურ აპოიკიასა და მოსინოიკებს შორის ინტენსიური დიპლომატიური თუ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მონშობაცაა და ამდენად ის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

#### წყაროები და ლიტერატურა:

1. Xenophon. Anabasis von Forbiger A; Woyte C, Leipzig, 1964.
2. F. Adcock, D. Mosley. Diplomacy in ancient Greek. London, 1975.
3. S. Perlman. A note of the political implications of Proxenia in the fourth century B. C. - Classical Quarterly, VII, 1958.
4. Herodotos Historien, von Feix J., München, 2963.
5. Polybius, The Histories with an English translation, by W.R. Paton, London, 1954.
6. Scymni Chi periegesis von A. Meincke, Berlin, 1846.
7. Strabo, Geography by H. Jones. London, 1917-1932.
8. М. Максимова. Античные города юго-восточного причерноморья. М.-Л., 1956.
9. თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი“. თბ., 1967.
10. G. Stecraix. Notes of jurisdiction in the Athenian empire. - Classical Quarterly, XI, 1961.

TEMUR TODUA

### THE MOSSINOIKOI'S PROXENOS

#### Summary

Xenophon gives us various interesting information about Mossinokoi. In this regard, of particular interest it the information kept in Xenophon's „Anabasis“.

Proxeno's, the shared rules of hospitality, was establishment of regulation of international relations in the Greek world. The main function of Timesiteos of Trapezunt was to regulate Trade - Economic contacts between Mossinoikoi's and Trapezunt. During the military campaing of Xenophon's troops in the South Pontus the of competence extended. It took over functions of military regulation and so he succeed: he brokered a Military Union between „Praketel“ Mossinoikoi and Greeks.

Т.Т. ТОДУА

**ПРОКСЕНИЯ МОССИНОЙКОВ**

Резюме

Известный древнегреческий (5 в. до. н.э.) историк Ксенофонт предлагает весьма различную информацию о моссинойков. В этом отношении особенный интересе представляет сохранившиеся в «Анабасисе» Ксенофонта сведения о проксене моссинойков.

Проксения – Обычай взаимного гостеприимства была институтом регулирования международных отношений в греческом мире. Основной функцией проксеном моссинойков некоего гражданина Трапезунта Тимесития была регулирование торгово-экономических контактов между моссинойков и Трапезунтом. Во время военных кампаний войск Ксенофонта в южно Понтийском государстве, сфера компетенций проксенома моссинойков расширяется. Тимеситий выполнял и военно-политические функции и он в этом отношении достигает успехов: посредничеством Тимесития оформляется военный союз между моссинойков и греками.

არჩილ ჩაჩხიანი

**თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის  
დემოკრატიული რესპუბლიკის“ შექმნის იდეოლოგიურ-  
პოლიტიკური ნაწიამღვრები**

თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ ან ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის“ შესახებ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებისა თუ ნაშრომების ჩამონათვალი ერთობ მწირია. ზოგიერთ ავტორთა ნაშრომში კი, გარკვეული უზუსტობები და შეცდომები შეინიშნება. ამ ფსევდოსახელმწიფოს მთავრობის შემქმნელებად სამცხე-ჯავახეთის ქართველი მუსლიმი ბეგები არიან წარმოდგენილნი. ეს კი სიმართლეს არ შეესაბამება. ამ მცდარ მოსაზრებას დასაბამი პირველი ქართული რესპუბლიკის პერიოდის ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა ვიქტორ ნოზაძემ დაუდო თავის ნაშრომში „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“. მსგავს მოსაზრებებს პერიოდულად იმეორებენ შემდგომი ეპოქის ქართველი მკვლევარებიც. ბატონი ვიქტორი წერს:

„სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის“ სახელმწიფოს პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურად საძირკველი ჩაეყარა უკვე 1917 წელს აბასთუმანში მოწყობილ მაჰმადიანთა ყრილობაზე. ამ ყრილობამ მაშინ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვით – აჭარა, არტაანის მხარე, ახალციხე და ახალქალაქის მაზრები ყარსის ოლქს უნდა გაერთიანებოდა და შექმნილიყო, ამგვარად, ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, სადაც მაჰმადიანური მოსახლეობა ამის შედეგად გაერთიანებული იქნებოდა. მაგრამ ეს გეგმა მაშინ ცხოვრებაში არ გატარდა და ეხლა შეუდგენენ მის განხორციელებას, ხოლო უკვე სხვა სახით – სახელმწიფოს შექმნით. აშკარაა, მესხეთის საქმეს გამოცდილი და ჭკვიანი ნება ხელმძღვანელობდა.

რა იყო ეს უცნაური „ყარსის მთავრობა“? ვინ შეადგინა იგი და რას ემსახურებოდა? ამ საქმეში ასპარეზზე მოსჩანს სერვერ-ბეგ ათაბაგი, სამცხე-საათაბაგოს უკანასკნელი შთამომავალი, ქობლიანის პრინცი“ [1: 48]. და შემდეგ – „რასაკვირველია, სერვერ-ბეგი და მისი მომხრენი, რომელთაც შექმნეს „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობა, არა ცხრებოდნენ და როდესაც ქართულმა ჯარებმა ახალქალაქი დაიკავეს, სერვერ-ბეგმა თავისი რაზმებით ქართულ ჯარებს ბრძოლა გაუმართა, დაამარცხა კიდეც ეს მცირე ნაწილები, რომელნიც იძულებული გახდნენ ბორჯომისაკენ დანუღლიყვნენ“ [1: 51].



დიახ, „ქვაბლიანელი პრინცი“ (Принц Коблианский) – სერვერ ბეგ ჯაყელიც და ზოგიერთი სხვა ქართველი მუსლიმი ბეგიც, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მათი ასეთი პოზიცია მნიშვნელოვანწილად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ რეგიონში გატარებული გაუთვლელი პოლიტიკისა და გაუაზრებელი აგრარული რეფორმის შედეგი იყო. დიახ, ქართველი მაჰმადიანი ბეგები უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მუსლიმთა სეპარატისტულ შეიარაღებულ გამოსვლებს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, მაგრამ მათ „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობა არ შეუდგენიათ. ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლ რენეგატ ბეგებს სერვერ ბეგ ჯაყელთან ერთად წარმოადგენდნენ: ომარ ფაიკ ნემანზაღე ყიფიანი, აჰმედ ბეგ ფეფინაშვილი, ზია ბეგ აბაშიძე, ბინალი ბეგ ვაჩნაძე, ზია ბეგ ავალიშვილი და სხვანი.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ახალციხის მკვიდრი, ზაქარია დიდიმამიშვილი ზემოთ ჩამოთვლილ რენეგატ ბეგებს შორის ბახში ბეგ მაჩაბელსაც ასახელებს [2: 42]. მაგრამ ბატონი ზაქარია აშკარად ცდებდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახალციხეში დატრიალებული იმდროინდელი მოვლენების უშუალო თვითმხილველი და თანამონაწილე იყო. მოგვიანებით, იგი ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორის, გენერალ გიორგი კვინიტაძის ბრძანებით შექმნილი ამ მოვლენების შემსწავლელი კომისიის ერთ-ერთი წევრი იყო ახალციხის ლტოლვილთა კომიტეტიდან [3]. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ მუსულმანთა წარმომადგენლობიდან ამავე კომისიის წევრს წარმოადგენდა ბახში ბეგ მაჩაბელიც. მაჰმადიანთა სეპარატისტული მოძრაობის საწყის ეტაპზე ბახში ბეგ მაჩაბელი მართლაც ანტისახელმწიფოებრივ პოზიციებზე იდგა და ამ მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერსაც წარმოადგენდა. მაგრამ ეს მხოლოდ საწყის ეტაპზე. ძალიან მალე იგი ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა და ბოლომდე, ღირსებით ემსახურებოდა ამ საქმეს. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას ჩვენს მიერ მოპოვებული უტყუარი საარქივო დოკუმენტები გვაძლევენ [4], [5], [6].

ზაქარია დიდიმამიშვილის პოზიცია ბახში ბეგ მაჩაბელთან მიმართებაში კი, იმით უნდა აიხსნას, რომ მის დღიურებში ბოლო ჩანაწერი 1919 წლის 10 მარტსაა გაკეთებული. ზემოთ ხსენებული დოკუმენტი [4] კი, 1919 წლის 15 მარტით თარიღდება. ასე რომ, ბატონ ზაქარიას ბახში ბეგ მაჩაბლის მონაწილეობა კომისიის მუშაობაში და მისი შემდგომი ბრძოლა ქართული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ ვერანაირად ვერ ექნებოდა დაფიქსირებული. პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ბახში ბეგ მაჩაბელი ბოლომდე საქართველოს ერთგულ ჯარისკაცად დარჩა. იგი არათუ დადგა სახელმწიფოებრივ პოზიციებზე, არამედ საქართველოს მთავრობის მიერ მისივე შექმნილი საკავალერიო ესკადრონის მეთაურადაც დაინიშნა ქართული არმიის პოლკოვნიკის წინით, რომლის მოქმედებებმაც მნიშვნელოვნად დააჩქარეს მესხეთ-ჯავახეთში სეპარატისტული შეიარაღებული ამბოხის ლიკვიდაციისა და აჭარის დანარჩენ საქართველოსთან შემოერთების რთული და მტკივნეული პროცესი [7].



რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ ბეგებს; არც ერთი მათგანი, და მითუმეტეს, არც ბახში ბეგ მაჩაბელი, ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში“ არ ირიცხებოდა. „ქვაბლიანის პრინცი“ – სერვერ ბეგ ჯაყელი ათაბაგი, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ისლამური საბჭოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანის, ე.წ. „ახალციხის ისლამური საბჭოს“ თავმჯდომარეს წარმოადგენდა, რომელიც მალე გარდაიქმნა „ახალციხის ეროვნულ საბჭოდ“, შემდეგ კი – ე.წ. „ახალციხის ეროვნულ მთავრობად“. „ახალციხის ეროვნულ მთავრობად“ და არა „ყარსის მთავრობად“...

„სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ მთავრობის მეთაურს კი, ყარსის მკვიდრი, ყოფილი ცარისტი, და შემდეგ ოსმალ ოფიცერი, იბრაჰიმ აიღინ ბეგ ჯიჰანგიროლი (ჯიჰანგირზადე) წარმოადგენდა. მთავრობის შემადგენლობა კი, ასეთი იყო:

1. საგარეო საქმეთა მინისტრი – ფაჰრეთინ ერდოღანი;
2. იუსტიციის მინისტრი – ალბაბაბეგოღლი აბას ალი ბეგი;
3. სამხედრო მინისტრი – ჯიჰანგიროლი ჰასან ბეგი; (პრემიერის ძმა – ა. ჩ.);
4. განათლების მინისტრი – ქსენოფონ მიხეილ ანდრიანოვი;
5. კავშირგაბმულობის დეპარტამენტის თავმჯდომარე – ორლოვი;
6. ფინანსთა მინისტრი – შუდადაბეგოღლი მეჰმედ ბეგი;
7. საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრი – მაჰმუდ ბეგი;
8. კვების მრეწველობის მინისტრი – ჰასანბეგოღლი მეჰმედ ბეგი;
9. სატყეო, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის დეპარტამენტის თავმჯდომარე – ალი აქბარ მულან ბეგი; [8: 180]

თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ მთავრობის შემადგენლობის თურქულსაგან ცოტა განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობენ აზერბაიჯანული წყაროები.

1. მთავრობის თავმჯდომარე – იბრაჰიმ ბეი ჯანგიროვი;
2. სამხედრო მინისტრი – ჰასან-ბეი ჯანგიროვი;
3. შინაგან საქმეთა მინისტრი – რიზა-ბეი;
4. საგარეო საქმეთა მინისტრი – ფაჰრედინ-ბეი;
5. ფინანსთა მინისტრი – მამედ-ბეი სულთანოვი;
6. გზათა მიმოსვლის მინისტრი – აჰმედ-ბეი გაჯიევი;
7. მინათმოქმედების მინისტრი – მოლა ველამი;
8. იუსტიციის მინისტრი – აბას ალი-ბეი ალიბეკოვი;
9. ჯანდაცვის მინისტრი – მულანლინსკი;
10. განათლების მინისტრი – ქსენოფონ ანდრიანოვი;
11. სურსათის მინისტრი – იუსუფ იუსუფოვი [9: 138-139].

საკუთრივ, ე.წ. „ახალციხის ეროვნული მთავრობის“ შემადგენლობას კი შემდეგი სახე ჰქონდა:

1. მინისტრი-პრეზიდენტი – ომარ ფაიქ ყიფიანი;
2. სამხედრო მინისტრი – სერვერ ბეგ ჯაყელი;
3. მინათმოქმედების მინისტრი – ზია ბეგ ავალიშვილი;



4. შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრი – მურზა მუსაკაიევი;

დიახ, სერვერ ბეგ ათაბაგი-ჯაყელი „ახალციხის ეროვნული მთავრობის“ ე.წ. „სამხედრო მინისტრს“ წარმოადგენდა. ბატონ ვიქტორ ნოზაძეს ცალსახად ვეთანხმებით იმ დასკვნაშიც, რომ „ყარსის რესპუბლიკის“ შემდგომი ტერიტორიული ექსპანსიის პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო ეროვნული თვითშეგნების გრძობადაკარგული რენეგატი ქართველი ბეგების როლი. მაგრამ მის დასკვნებში მთავარ შეცდომას ის წარმოადგენს, რომ „ყარსის რესპუბლიკის“ შექმნის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საწყისებს არა აბასთუმანში გამართულ ქართველ მაჰმადიანთა ყრილობაზე და არა 1917 წელს ჩაეყარა საფუძვლები, არამედ გაცილებით უფრო ადრე, სულ სხვა პოლიტიკურ სივრცესა და სულ სხვა პოლიტიკურ ვითარებაში. იმაში კი ცალსახად ვეთანხმებით ბატონ ვიქტორს, რომ – „მესხეთის საქმეს გამოცდილი და ჭკვიანი ნება ხელმძღვანელობდა“... აღნიშნული საკითხი თავისი პოლიტიკური და იდეოლოგიური ასპექტებით გაცილებით უფრო ღრმა და მოცულობითია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. საკითხში სრულად გარკვევისათვის საჭიროა უფრო მასშტაბურად შევხედოთ პრობლემას და ისე განვიხილოთ იგი. ამისათვის კი, I მსოფლიო ომის დამამთავრებელ ფაზასა და ამ ომში ჩართულ ოსმალთა იმპერიას უნდა დაეუბრუნდეთ.

1918 წლის შემოდგომისათვის I მსოფლიო ომის ფრონტებზე „ოთხთა კავშირისათვის“ სამხედრო-სტრატეგიული ვითარება უკიდურესად დამძიმდა. 1918 წლის სექტემბერში ბრიტანელთა მიერ სირია-პალესტინის ფრონტზე წარმატებით აღსრულებული ე.წ. „არმაგედონის ოპერაციის“ შემდეგ, ოსმალთა მე-7 და მე-8 არმიები სასტიკად მარცხდებიან. 29 სექტემბერს ბულგარეთი აცხადებს კაპიტულაციას – „ოთხთა კავშირი“ იშლება. 27 ოქტომბერს კი, კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, ოსმალთა იმპერია წყვეტს საომარ მოქმედებებს და ითხოვს ზავს. საზავო მოლაპარაკებები კუნძულ ლემნოსის პორტ მუდროსში შედგა, ამიტომ იგი ისტორიაში მუდროსის ზავის სახელით შევიდა [10: 11]. ზავის პირობებით ოსმალურ შენაერთებს უნდა დაეტოვებინათ ოკუპირებული ტერიტორიები, ამიერკავკასიაში კი ბრიტანული შენაერთები უნდა შესულიყვნენ [11: 521]. 1918 წლის 13 ნოემბერს მოკავშირეთა ფლოტილია კონსტანტინოპოლში შედის, ჯარები კი იკავებენ ქალაქის სტრატეგიულ ობიექტებს [12: 99].

ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატი (სამხედრო მინისტრი – ისმაილ ენვერ ფაშა, სამხედრო-საზღვაო მინისტრი – აჰმედ ჯემალ ფაშა, შინაგან საქმეთა მინისტრი და დიდი ვეზირი – მეჰმედ თალაათ ფაშა) და ე.წ. „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტია (Itihat ve Terakki) დამარცხდა. იტიჰადისტთა პარტია ფორმალურად დაშლილ იქნა, ხოლო მის ქონებას კონფისკაცია ჩაუტარდა... სულთან ვაჰიდედინის (მეჰმედ VI) მიერ იტიჰადისტთა პარტიის ლიდერები კანონგარეშედ და დამნაშავეებად გამოცხადდნენ.

მუდროსის ზავმა უმძიმეს პირობებში ჩააყენა თურქული სახელმწიფო. იურიდიულად და შინაარსობრივად ეს იყო უსიტყვო კაპიტულაციის აქტი –

ოსმალთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი. ამ აქტით ნერტილი უნდა დას-  
 მოდა „ახალგაზრდა თურქთა“ მმართველობის ხანას და ოტომანთა იმპერიის  
 მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მთელი ამიერკავკასია  
 დიდი ბრიტანეთის ერთპიროვნული გავლენის ზონად გამოცხადდა და ბრი-  
 ტანული ჯარების სარდლობაც რეგიონის მართვის შესაბამისი მანდატით აღი-  
 ქურვა. მანდატის თანახმად, სამივე რესპუბლიკის დედაქალაქში ბრიტანელთა  
 საოკუპაციო ნაწილები უნდა შესულიყვნენ. ამ ჯარების საერთო ხელმძღ-  
 ვანელი, სპარსეთში დისლოცირებული ბრიტანული კონტიგენტის სარდალი,  
 გენერალ-მაიორი უილიამ მონტგომერ ტომსონი ნოემბრის პირველ რიცხ-  
 ვებში ენზელიდან ბაქოში გამოგზავნილ ტელეგრამაში მკაცრად მოითხოვდა,  
 რომ თურქულ შენაერთებს ორ კვირაში დაეცალათ ბაქო, ხოლო ერთ თვეში  
 – მთელი ამიერკავკასია. ნაყენებული ულტიმატუმის საფუძველზე, თურქებმა  
 იძულების წესით დაიწყეს ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიების და-  
 ტოვება [13: 255].

ანტანტის ქვეყნების მიერ ოსმალთა ტერიტორიების ოკუპაციის დან-  
 ყებამ ანატოლიაში საპროტესტო მოძრაობა ააგორა. კონსტანტინოპოლმა  
 გამოსავლის ძიება დაიწყო. საჭირო იყო ქმედითუნარიანი, ეფექტური წი-  
 ნააღმდებობის ორგანიზება იმპერიაში, რომელიც შექმნილ სიტუაციას გა-  
 მოასწორებდა. ამისათვის შორს წასვლა და ახალი ვერსიების გამოგონება კი  
 სულაც არ გახდა საჭირო. იმპერიის გავლენიანი წრეები მზად აღმოჩნდნენ  
 ისტორიის მიერ მორთმეული ამ მძიმე გამოწვევის მოსაღებად. „ერთიანობისა  
 და პროგრესის“ პარტიის მიერ კონტრმოქმედებების საიდუმლო გეგმა უკვე  
 შემუშავებული იყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში იმპერიის  
 ევროპულ ნაწილში ტერიტორიების პერმანენტულმა დაკარგვამ, აგრეთვე  
 „დიდი თურანის“ იდეების ეფემერულობამ, ოსმალთა ხელში მხოლოდ ანა-  
 ტოლია დატოვა, რომელმაც თურქულ ნაციონალურ ფსიქოლოგიაში ნელ-ნე-  
 ლა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ევროპიდან თურქთა დევნის ასწლიანმა  
 პროცესმა, XX საუკუნის დასაწყისიდან ანატოლიას თურქთათვის განსა-  
 კუთრებული სტატუსი შესძინა. ეს იყო ამ ხალხის გადარჩენისათვის საჭირო  
 „საარსებო სივრცე“, თურქი ხალხის ბოლო თავშესაფარი.

თუ ოსმალთა ისტორიას გადავხედავთ, ამ ტერიტორიებისათვის სტრატე-  
 გიული მნიშვნელობის მინიჭება მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან  
 დაიწყო. მანამდე იმპერიის „გულს“ აღმოსავლეთი ხმელთაშუაზღვისპირე-  
 თი და კონსტანტინოპოლი წარმოადგენდა. ახლა კი, თურქულ პრესაში შემ-  
 დეგი მიმართვები გაჩნდა: „მამულიშვილნო, მოდიო, კარგად დავფიქრდეთ!  
 თუ ჩვენ ეხლაც არ მივაქცევთ ანატოლიის მოსახლეობის მოთხოვნებს ყურ-  
 ადლებას და მათ დახმარების ხელს არ გაუწოდებთ, ამით ჩვენს მარჯვენას  
 მოვიკვეთავთ. ჩვენი არმიის ჯარისკაცთა უმეტესი ნაწილი – ანატოლიელები  
 არიან. ანატოლიაა ჩვენი მარჩენალი“ [14: 80].



I მსოფლიო ომში ჩართვის წინ ოსმალთა იმპერიის გენერალურ შტაბში მუშაუდებოდა გეგმები, რომელიც ომის მიმდინარეობის ყველა შესაძლო ვარიანტსა და შედეგებზე იქნებოდა გათვლილი. „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ომის დასრულების ყველა შედეგი განსაჯა და ის შემთხვევაც გაითვალისწინა, თუ ომში ოსმალთა იმპერია დამარცხდებოდა. ასეთ შემთხვევაში, შერჩეულ იქნა ანატოლიის რეგიონში გამაგრებისა და ბრძოლის იქ გაგრძელების გრძელვადიანი სტრატეგია. შედეგნილ იქნა საბრძოლო მოქმედებათა თანმიმდევრული გეგმაც“ [15: 263]. გეგმის შესაბამისად, იმპერიის მმართველი ტრიუმვირატისა და გენშტაბის თაოსნობით შეიქმნა ე.წ. „სპეციალური ორგანიზაცია“ – Teşkilât-ı Mahsusa, რომელიც კონსტანტინოპოლისა და სრუტეების დაკარგვის შემთხვევაში, წინააღმდეგობის მოძრაობას ჩაუდგებოდა სათავეში იმპერიის აღმოსავლეთ ვილაიეთებში. Teşkilât-ı Mahsusa წარმოდგენდა სამხედრო საიდუმლო სამსახურის ოსმალურ ვარიანტს, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენდა სადაზვერვო, საინფორმაციო და პროპაგანდისტული მუშაობის წარმოება და ე.წ. „პარტიზანული რაზმების“ შექმნა. ენვერ ფაშასა და სამხედრო სამინისტროს სტრატეგიული გათვლა ისეთი იყო, რომ თუ I მსოფლიო ომის მსვლელობაში მოკავშირეები სრუტეებსა და კონსტანტინოპოლს დაიკავებდნენ, მაშინ საყოველთაო „პარტიზანული მოძრაობა“ უნდა დაწყებულიყო იმპერიის შიდა რეგიონებში და უპირველეს ყოვლისა, ანატოლიაში. Teşkilât-ı Mahsusa არ წარმოადგენდა მხოლოდ სამხედრო ორგანიზაციას. იგი ამავე დროს პოლიტიკური ორგანიზაციაც იყო, რომლის იდეოლოგიური ლერძი პანისლამისტურ და მოგვიანებით, პანთურანულ იდეებზე იყო დაფუძნებული.

ამ გეგმების დახვეწას გენერალურ შტაბში და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უკვე 1915 წლის დამდეგიდან, სარიყამიშის ოპერაციის დასრულებისთანავე მიუბრუნდნენ, რომელიც კავკასიის ფრონტზე გაშლილი ოსმალთა მე-3 არმიისათვის სრული კატასტროფით დასრულდა. Teşkilât-ı Mahsusa-ს გეგმის რეალური ამუშავება კი ბრიტანელთა მიერ უკვე ჰალიოპოლისის ოპერაციის დროს დაიწყო 1915 წლის ბოლოდან, როდესაც ბრიტანელებმა დიდი საზღვაო დესანტი გადმოსხეს დარდანელზე და ოსმალთა იმპერიას აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში დიდი პრობლემები შეუქმნეს. ფრონტზე მიმდინარე ბრძოლების პარალელურად, თურქი ოფიცრები ადგილებზე იღებდნენ დავალებებს ორგანიზება გაენათ წინააღმდეგობის მოძრაობისათვის, შეეიარაღებინათ ხალხი და მომზადებულიყვნენ ხანგრძლივი თავდაცვითი ბრძოლებისათვის. იმის ალბათობა, რომ ბრიტანული დესანტი ოსმალთა თავდაცვის ზღუდეს გაარღვევდა და ანატოლიაში შემოვიდოდა, დიდი იყო. წინააღმდეგობის ორგანიზებასთან ერთად, გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო მთავრობის ევაკუაცია კონსტანტინოპოლიდან ცენტრალურ ანატოლიაში, ესკიშეჰირში ან კონიაში. დარდანელის ოპერაციის მიმდინარეობისას ამ გეგმის ნაწილის ამუშავებაც კი მოხდა – სახელმწიფო არქივისა და ხაზინის ნაწილი მართლაც ესკიშეჰირში იქნა გატანილი. და აი, ახლა, თურქებს შეიძლება თავისი ბოლო თავშესაფარი, თავისი ქვეყნის ბოლო კუთხე – ანა-

ტოლია დაეკარგათ. ერთის მხრივ, გრძელდებოდა დარდანელის ბრძოლები, ხოლო მეორეს მხრივ, მიმდინარეობდა მუშაობა ანატოლიის უკანასკნელ თავშესაფრად გადაქცევისათვის.

პალიპოლისის ოპერაცია 259 დღე მიმდინარეობდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში თურქეთის ბედი ბენეზე ეკიდა. ოსმალთათვის ეს მართლაც ნამდვილი „ცეცხლოვანი გეგნია“ იყო, როგორც ამას ამ ამბების თვითმხილველი, ცნობილი თურქი ისტორიკოსი, შევკეტ სურეია აიდემირი (Şevket Süreyya Aydemir) აღნიშნავდა [16: 228]. მაგრამ მაშინ იმპერია გადარჩა. „დარდანელის გმირის“, პოლკოვნიკ მუსტაფა ქემალის უნარიანი ხელმძღვანელობის წყალობით ოსმალებმა შეძლეს თავდაცვითი პოზიციების შენარჩუნება, ბრიტანული დესანტის ნარჩენები კი, დარდანელიდან ევაკუირებულ იქნა.

მუდროსის ზავის დადების შემდეგ ექსიტინადისტების მიერ იქმნება სხვადასხვა საიდუმლო თუ ნახევრად საიდუმლო დიდ-პატარა ორგანიზაციები – თადარიგის ოფიცერთა ასოციაცია, სხვადასხვა კორპორაციული გილდიები, ეროვნული კონგრესი, თურქეთის სხვადასხვა ვილაიეთის მოსახლეობის უფლებათა დაცვის საზოგადოებები, „ეროვნული ისლამური საბჭოები“ და ა.შ. კონსტანტინოპოლში განახლდა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, რომლებიც ცდილობდნენ შეექმნათ ეროვნული ბლოკი თურქეთის ერთიანობის დაცვისათვის [17: 281-282]. 1918 წლის ნოემბერში „უფლებათა დაცვის საზოგადოებები“ შეიქმნა ედირნეში, დასავლეთ თრაკიაში, ყარსსა და იზმირში, ურფაში – დეკემბერში, ტრაპიზონსა და არზრუმში კი – 1919 წლის თებერვალში.

წინააღმდეგობის მოძრაობის ახლადშექმნილ ორგანიზაციათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი „ყარაქოლი“ (Karakol) იყო, რომელიც 1918 წლის ოქტომბრის ბოლოს დაარსდა და ომის შემდგომი ოკუპაციის პერიოდის თურქული ნაციონალისტური მოძრაობის პირველ ცნობილ ასოციაციას წარმოადგენდა. მისი დაარსების იდეა მეჰმედ თალაათ ფაშას ეკუთვნოდა, რომელიც მან ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას წამოაყენა. საინტერესოა ამ ორგანიზაციის სახელწოდება, რომლის მნიშვნელობაც სიტყვათა გარკვეულ თამაშზე იყო აგებული. ერთის მხრივ, იგი „შავ ხელს“ (Kara kol) ნიშნავს, მეორეს მხრივ – „გუშაგს“ (Karakol). მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობას მესამე ინტერპრეტაციაც ჰქონდა. ორგანიზაციის უშუალო დამაარსებლები Teşkilât-ı Mahsusas წვერი, პოლკოვნიკი ყარა ვაზიფი და კონსტანტინოპოლის იტიპადისტთა ხელმძღვანელი, ყარა ქემალი იყვნენ. სწორედ ყარა ქემალმა და ყარა ვაზიფმა შეურჩიეს ორგანიზაციას ეს დასახელება, რომელიც ზემოთ მოყვანილ მნიშვნელობებთან ერთად, მათ საკუთარ სახელებსაც შეიცავდა. ასე რომ, ისედაც მკაცრად გასაიდუმლოებული ორგანიზაციის სახელწოდების მნიშვნელობაც ძალიან ჩახლართული და მრავალაზროვანი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ „ყარაქოლის“ შექმნის იდეა თალაათ ფაშას ეკუთვნოდა, ორიგინალობით ეს იდეა ნამდვილად არ გამოიჩინოდა. იგი ზემოთ ხსენებული Teşkilât-ı Mahsusas-ს ბაზაზე შეიქმნა და გასაგები ხდება, რომ დაარსების დღიდანვე მასზე დიდი გავლენა ეწვერ ფაშას ჰქონდა. „ყარაქოლი“

მკაცრად გასაიდუმლოებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომლის აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ვინაობა, რაოდენობა, შეხვედრის ადგილები, კონტაქტზე გასვლის წესები და შიდა სუბორდინაციის სისტემა, სრულიად დახურული იყო. როგორც სამხედრო დაზვერვის ბაზაზე შექმნილი ორგანიზაცია, მისი წევრების უმეტესობა დაზვერვის სამსახურის ყოფილ წევრებსა და აგენტებს წარმოადგენდნენ. „ყარაქოლის“ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა კი, ასეთი იყო: ბაჰა საიდი, ყარა ვაზიფი, რეფიკ ისმაილი, ჯემალედინ სამი, გალათალი შევეკეტი, ედიპ სევეტი და ალი რიზა ბებე [18: 25].

მეტად საინტერესოა ამ ორგანიზაციის წესდების მე-3 მუხლი, სადაც სოციალისტური იდეოლოგიის გარკვეული შტრიხებიც კი შეიმჩნევა. თურქი მკვლევარის, პროფესორ ნერსინ ერსოი მაკმიკინის (Nersin Ersoy McMeekin) მიხედვით: „ყარაქოლი თავის ძალაუფლებას ანხორციელებს მშვიდობისმოყვარე დელეგატების, ყველა სოციალისტური და პროლეტარული ჯგუფების მიერ ინტერნაციონალური განხილვების მეშვეობით, თურქული მუსლიმური ცენტრის, აგრეთვე თვითოეული ადამიანისა და ყველა ორგანიზაციის მხრიდან, ვისთვისაც მისაღებია „ყარაქოლის“ მიზნები“ [19: 26]. მუსტაფა ქემალ ათათურქის მიხედვით კი – „ყარაქოლის“ ინსტრუქციებში დაყენებულ იქნა საკითხი „ნაციონალური არმიის“ შექმნის შესახებ. ინსტრუქციებში ნათქვამი იყო, რომ „ამ არმიის გენერალისიმუსი, მისი შტაბის პირადი შემადგენლობა, ასევე უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობა: არმიებისა და კორპუსების სარდლები, დივიზიის მეთაურები, მათი შტაბის ოფიცრები, ინიშნებიან არჩევითი წესით. ამავე დროს, მათი პერსონების იდენტიფიცირება არ ხდებოდა, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება კი ხორციელდებოდა საიდუმლო რეჟიმში“ [20: 70].

თავდაპირველად ეს ორგანიზაცია დაკავებული იყო სადაზვერვო მუშაობის წარმოებით, აგრეთვე საოკუპაციო რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილი კონსტანტინოპოლის ოფიციალური მთავრობის მხრიდან იტიჰადისტთა დევნის აღკვეთით. შემდგომში „ყარაქოლის“ აქტივობამ მოიცვა ანტანტის მიერ უკონტროლო ან ნაკლებად კონტროლირებად ტერიტორიებზე გავლენის გაზრდა, იქ იარაღის, საბრძოლო მასალებისა და აღჭურვილობის ფარულად გატანა და გადაამალვა. ამით, ჯერ კიდევ Teşkilât-ı Mahsusa-ს მოქმედების პერიოდში შექმნილი იარაღის საიდუმლო საწყობების რაოდენობა ანატოლიაში კიდევ უფრო იზრდებოდა. ახალ ვითარებასთან შესაბამისობაში, „ყარაქოლმა“ შეძლო გაეჭრა ახალი საკომუნიკაციო და სატრანსპორტო არხები კონსტანტინოპოლსა და ანატოლიას შორის, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა გადაამალული იარაღისა და საბრძოლო მასალების ნელ-ნელა ანატოლიასა და კავკასიაში გატანა. თურქი მეცნიერის, პროფესორ შუჰნაზ ილმაზის (Şuhnaz Yılmaz) მიხედვით, „ყარაქოლის“ მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას შეადგენდა აგრეთვე ექსიტაჰადისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტყვედ აყვანილი და პატიმრობაში მყოფი მნიშვნელოვანი პერსონების გათავისუფლება. მაგრამ „ყარაქოლის“ მთავარ დანიშნულებას ოსმალთა იმპერიაში ამ ორგანიზაციის განტოტვილი ქსელის შექმნა და წინააღმდეგობის ორგანიზება წარ-

მოადგენდა [21: 52]. მეორე თურქი მეცნიერის, ჰულია ქუჩუკის (Hülya Küçük) მიხედვით, „ყარაქოლის“ მიზანს წარმოადგენდა იტიჰადისტებისა და თურქი მოსახლეობის დაცვა ომის შემდგომ პერიოდში ანტანტის, ლიბერალებისა და ქრისტიანი მოსახლეობის მხრიდან შესაძლო შურისძიებისაგან.[22: 102].

სწორედ ამ საიდუმლო ორგანიზაციების – Teşkilât-ı Mahsusa-სა და მისი მემკვიდრე „ყარაქოლის“ ეგიდით მიმდინარეობდა აღმოსავლეთ ანატოლიისა და სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსლიმურ რეგიონებში განტოტვილი აგენტურული ქსელის შექმნა და ე.წ. „ეროვნული ისლამური საბჭოების“ დაარსება.

საკითხის სისრულისათვის კი იმასაც აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ „ყარაქოსის რესპუბლიკა“ არ წარმოადგენდა Teşkilât-ı Mahsusa-სა და „ყარაქოლის“ იდეოლოგიური აქტივობის პროდუქტს ამიერკავკასიაში. მუდროსის ზავის ხელმოწერიდან სულ რამდენიმე დღეში, 1918 წლის 3 ნოემბერს ამიერკავკასიაში შეიქმნა ისლამური ტაპის პირველი ფსევდოსახელმწიფო, ე.წ. „არაქსის რესპუბლიკა“ ან „არაზის თურქული რესპუბლიკა“, დედაქალაქით იგდირი. ახლადშექმნილი რესპუბლიკის საქმეთა მმართველობისა და სამხედრო საქმეთა ძირითადი ორგანოები ნახიჭევანში იყო კონცენტრირებული. ახლდშექმნილი „რესპუბლიკის“ ტერიტორიები მოიცავდნენ შარურ-დარალაგვის, ვედიბაზარის, სარიყამიშის, ორდუბადის ტერიტორიებს [23: 136]. მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამ „არაქსის რესპუბლიკის“ სამხედრო მინისტრი იბრაჰიმ ბეი ჯიჰანგიროლი (ჯიჰანგიროზადე-ჯანგიროვი) იყო. სწორედ ის ჯიჰანგიროლი, რომელიც ძალიან მალე „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ მთავრობის თავმჯდომარედ და „პრეზიდენტად“ მოგვევლინება.

ოსმალთა „სპეციალური ორგანიზაციისა“ და „ყარაქოლის“ სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ახალი თურქული სახელმწიფოს ძალების მოკრებად, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რეგიონში შექმნილ ისლამურ „სახელმწიფოებს“ უნდა უზრუნველყოთ პროთურქული და პანისლამური მუხტის შენარჩუნება. ეს ფსევდოსახელმწიფოები უნდა გამხდარიყვნენ „ისლამური კრისტალიზაციის“ ის ცენტრები, რომელთა გარშემოც მოხდებოდა კავკასიის მაჰმადიანი მოსახლეობის კონსოლიდაცია ენვერ ფაშასეული თურანული ამბიციების რეალიზაციის გზაზე.

1918 წლის შემოდგომიდან „ეროვნული ისლამური საბჭოები“ ფუნდებდა ყარსის ოლქის მთავარ ქალაქებში – ოლთისში, ყაგიზმანში, იგდირში, სარიყამიშში, არტანახა და თავად ყარსში. ასევე, საქართველოს მუსლიმი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებზე – ახალქალაქში, ახალციხეში, ბათუმში [24: 356]. ამ „ეროვნული ისლამური საბჭოებიდან“ ყველაზე მნიშვნელოვანი „ყარსის ისლამური საბჭო“ იყო, რომელიც 1918 წლის 5 ნოემბერს შეიქმნა. 1918 წლის 1 დეკემბერს გამოცხადდა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ შექმნა, დედაქალაქით ყარსი [25: 17]. ახლადშექმნილი სახელმწიფოს ტერიტორიებად ჩათვლილ იქნა ყარსისა და ბათუმის ოლქები, ახალციხის, ახალქალაქის, შარურის, ნახიჭევანისა და





სურმალის მაზრები, ასევე ერევნის გუბერნიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი [26: 74]. სახელმწიფო ენად თურქული იქნა მიღებული. 1919 წლის 17 იანვარს „რესპუბლიკის“ პარლამენტმა „კონსტიტუცია“ (Teskilâtı Esasiye Kanun) მიიღო. 18 იანვარს კი, კონსოლიდაციის მოწოდებები დაეგზავნა ახალციხე-ახალქალაქის მაზრებისა და ბათუმის ოლქის მაჰმადიანებს [27]. მთავრობის მეთაურს პრეზიდენტის ტიტულიც მიენიჭა [28]. „ყარსის მთავრობამ“ თხოვნით მიმართა ანტანტის უმაღლეს საბჭოს ცნობის შესახებ და მზადყოფნა გამოთქვა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე თავისი დელეგაციის გაგზავნაზე [29: 26].

ამ მოვლენების პარალელურად მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა „რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალების შესაქმნელად. ამიერკავკასიაში გაშლილი ოსმალთა მე-9 არმიის მე-3 დივიზიის მეთაური, პოლკოვნიკი შალიდ ბეი ამ მოვლენების აქტიურ მხარდამჭერად და ორგანიზატორად მოგვევლინა. „ყარსის რესპუბლიკის“ შეიარაღებულ ძალებში მე-3 დივიზიის ბევრი ოფიცერი იქნა ჩართული. ასევე, დეოკუპაციის შემდეგ ამ ტერიტორიებზე დარჩენილი ოსმალური ქვედანაყოფებიც დაუყოვნებლივ იქნენ ჩართულნი „ყარსის რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში. შეიძლება ითქვას, რომ „რესპუბლიკა“ პროფესიონალი სამხედრო კადრის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა. თუმცა, რეალურად „ყარსის რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალები მხოლოდ ყარსის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს აკონტროლებდნენ [28]. სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მას დაშნაკური სომხეთის სამხედრო ნაწილები და საბრძოლო რაზმები დაუპირისპირდნენ.

„სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის“ მიერ პერსპექტივაში განსაზღვრული იყო ამ „სახელმწიფოს“ დაახლოება აზერბაიჯანთან და საბოლოოდ მასთან გაერთიანება. აზერბაიჯანის კონსული ბათუმში, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ატყობინებდა: „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის მოსახლეობის მზერა ბაქოსკენ, თავიანთი ერთმორწმუნებისკენაა მიმართული და იმედი აქვთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა დაეხმარება მათ მატერიალურად და მორალურად, როგორც საშუალებებით, ასევე სპეციალისტი-თანამშრომლებით...“ [29: 74].

რა მორალურ დახმარებაზეა საუბარი და ვინ იყვნენ ეს „სპეციალისტი-თანამშრომლები“? რა ევალუბოდათ მათ? ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხს იძლევა პირველი ქართული რესპუბლიკის ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი შალვა მაღლაკელიძე, რომელსაც იმ დროისათვის „სამოქალაქო და სამხედრო საქმეებში სამუსლიმანო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენლის“ თანამდებობა ეკავა: „მთელი სამაზრო ადმინისტრაცია და პოლიცია სულ მაჰმადიანების ხელში იყო. ბოქაულებად და უბრალო „სტრაჟნიკებადაც“ მხოლოდ ინგუშ-ოსები და აზერბაიჯანელები იყვნენ... სამაზრო აგრონომად მოწვეული იყო ზია-ბეგ ავალიშვილი, კაცი რუსული განათლებით, მაგრამ მთელი თავისი არსებით თურქი, სამაზრო ექიმად – აზერბაიჯანელი აზიზბეგ კადიმბეკოვი. ისიც ოს-მალეთის მოტრფიალე;



სოფელ ანყურში მასწავლებლობდა ვინმე ომარ-ფაიკი, უნინ „ახალგაზრდა თურქთა“ აჯანყების აქტიური მონაწილე ოსმალეთში. მის განკარგულებაში იყვნენ 30 აზერბაიჯანელი და 10 სამცხე-ჯავახეთიდანაც ახალგაზრდა მაჰმადიანი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის, რომლებიც უმთავრესად ზაფხულობით, ხალხს სოფლებში წერა-კითხვას ასწავლიდნენ. სინამდვილეში ესენი იყვნენ პროპაგანდისტები და ომარ-ფაიკის ხელით გაწვრთნილი აგენტები, ოსმალეთის სასარგებლოდ მომუშავენი... ყველაზე უფრო დაგეშილი და ოსმალეთისათვის სასარგებლო პიროვნება იყო ომარ-ფაიკის დისშვილი, ანყურელი ახმედ ბეგ ფეფინოვი, უნივერსიტეტში ჩემი მეგობარი და ერობათა და ქალაქთა კავშირის რწმუნებული კავკასიის ფრონტზე. ის იყო „დამაკავშირებელი“ ოსმალეთის დაზვერვისა და რუსეთის მინა-წყალზე ოსმალთა სასარგებლოდ მომუშავე აგენტებს შორის“ [30: 188-191].

ახლა უკვე გასაგებია, თუ ვის და რას წარმოადგენდნენ ეს ე.წ. „სპეციალისტი-თანამშრომლები“, რა საქმიანობით იყვნენ ისინი დაკავებულნი. ისინი სწორედ Teşkilât-ı Mahsusa-სა და „ყარაქოლის“ აგენტურულ ქსელს ქმნიდნენ მესხეთ-ჯავახეთში. სწორედ ამ აქტივობის შედეგი იყო 1918 წლის ბოლოდან ამიერკავკასიაში ე.წ. „ისლამური საბჭოების“, „ყარსის მთავრობისა“ და თვითგამოცხადებული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის“ შექმნა, რომლის ზურგს უკანაც ოსმალეთის მმართველი „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტია და იმპერიის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური წრეები იდგნენ. ყოველივე ამას კი, XIX საუკუნის ბოლოს გაჩენილი პანისლამისტური და პანთურქული იდეოლოგიები ედო საფუძვლად და არა ის გადაწყვეტილებები, რაც მიღებულ იქნა 1917 წელს აბასთუმანში ჩატარებულ მაჰმადიანთა ყრილობაზე, როგორც აღნიშნავს ამას თავის ნაშრომში ბატონი ვიქტორ ნოზაძე.

#### წყაროები და ლიტერატურა:

1. ე. ნოზაძე. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი. 1989 წ.
2. გ. ივანიძე, მ. ივანიძე. ზაქარია დიდიმამიშვილი და მისი დღიური „ახალციხის დღეები“ (1918-1919 წლები). ახალციხე. 2012 წ.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. (შემდგომში სცსსა). ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 1.
4. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 183, ფურცელი 10.
5. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 18, ფურცელი 6.
6. სცსსა. ჰარვარდისა და ლევილის ფონდები. ფონდი 1970, ანაწერი 3, საქმე 18, ფურცელი 17.
7. სცსსა. ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 14, ფურცელი (18-19).



8. როინ ყავრელიშვილი. 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი. 2002.
9. Гаджиев Айдин. Из истории образования и падения Юго-Западной Кавказской (Карсской) демократической республики. История Азербайджана. Управление делами Президента Азербайджанской Республики. Президентская библиотека. <http://files.preslib.az/projects/azerbaijan/rus/gl3.pdf>.
10. Mondros Armistice. Turkish Greek relations. Istanbul. 2004.
11. Prof. Nihat Erim. Devletlerarası Hukuku ve Siyasi Tarih. Metinleri. Cilt:1. (Osmanlı İmparatorluğu Andlaşmaları). Ankara Ünivesitesi Hukuk Facültesi Yayinlari. 1953. <http://www.ttk.org.tr/templates/resimler/File/ktpbelge/antlasmalar/mondros.pdf>.
12. Nur Bilge Criss. Istanbul under Allied Occupation 1918-1923. Leiden; Boston; Köln: Brill, 1999.
13. ა. ჩაჩხანიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ეკსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. 2007 წ.
14. Kamuran Gürün. The War of Independence. Ankara. 1982. H. G. Armstrong.
15. Basiret gazetesinden aktaran; David Kushner, a.g.e.
16. Şevket Süreyya Aydemir, Enver Paşa, Cilt III.
17. Şeref Cavuşoğlu, İttihat ve Terakki'nin Gizli Planı, Yakın Tarihimiz, Cilt I.
18. Erik-Jan Zürcher. Atatürk as a Young Turk. Contemporary Turkish Studies.
19. Nersin Ersoy McMeekin. Turkey's relations with the Bolsheviks (1919-1922). The department of international relations. Bilkent University. Ankara. 2007. pg. 25. Fahri Can. "Karakol Cemiyeti Nasıl Kurulmuştu?" Hartalar, Vesikalar, Resimlerle Yakın Tarihimiz. 1963.
20. Мустафа Кемаль. Путь новой Турции. 1919-1927. Т. I. Первые шаги национально-освободительного движения. Государственное издательство „Литиздат“ НКИД. 1929.
21. Şuhnaz Yilmaz. An Ottoman Warrior Abroad: Enver Pasha as an Expatriate. Middle Eastern Studies. A Frank Cass Journal. ISSN 0026-3206, p. 52. (Philip Hendrich Stoddard. The Ottoman Government and the Arabs, 1911-1918. A Preliminary Study of the Teşkilât-ı Mahsusa. Umpub. Ph.D. Princeton University. 1963.
22. Hülya Küçük. The role of the Bektâşîsh in Turkey's national struggle. A historical and critical study. Center for Adult Education, Cambridge, MA, USA. Library of Congress Cataloging-Publicaton Data. 2001.
23. Гамза Джафаров. Аразско-Тюркская Республика. История Азербайджана. Управление делами Президента Азербайджанской Республики. Президентская библиотека. <http://files.preslib.az/projects/azerbaijan/rus/gl3.pdf>.
24. W. E. D. Alenn. Caucasian battlefields. A history of the wars on the Turko-Caucasian border. 1828-1921. Cambridge. 1953.
25. Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX \_ начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. Стр. 74. Журн. Фигара фиозаты, 271, 1921г. №3, стр. 74. ЦГАНИ АР, ф. 970. оп. 1, ед. хр. 27, л. 15.

26. Бадаев А. Забытая республика. Азербайджанское национальное движение от Мусавата до Народного фронта. Баку. ЭЛМ. 1992.
27. სცხსა. ფონდი 1976, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი (28-30).
28. Н. Pehlivanli, "The Post Armistice situation on South-West Caucasia" in "Kars and Eastern Anatolia in the Recent History of Turkey", Ankara, 1994.
29. Попов А. Из эпохи английской интервенции в Закавказье. Журнал „Пролетарская революция“. 1923, №6-7. Москва.
30. შ. მალაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები. „პეგასი“. თბილისი. 2012.

ARCHIL CHACHKHIANI

## THE IDEOLOGICAL AND POLITICAL PRECONDITIONS FOR ESTABLISHING THE SELF-PROCLAIMED “SOUTH-WESTERN CAUCASIAN DEMOCRATIC REPUBLIC”

### Summary

There is the opinion widespread in the Georgian historiography that the major part in establishing the self-proclaimed “South-Western Caucasian Democratic Republic” belongs to the ethnically Georgian muslim beys (nobles), and political-psychological foundations were laid at the Muslim Congress, held at Abastumany, in 1917. We argue that those opinions are wrong. The ideological and political foundations of the “Kars Republic” were laid not at Abastumany Congress, and not in 1917, but much earlier, and in the different surroundings and political circumstances.

In the given article, we have introduced the ideological and political preconditions for establishing the so-called “South-Western Caucasian Democratic Republic.” outlined as far back as in 1914, when the “Special Organization” (Teşkilât-ı Mahsusa) and lately, the secret organization “Karakol” were founded by the Central Committee of the Ottoman Party “Unity and Progress.”

Under the auspices of the organization Teşkilât-ı Mahsusa and its inheritor organization Karakol, after the WWI the efforts were taken to create the wide-branching network of the agents in the Eastern Anatolia and among the muslim regions of the Transcaucasus, and to establish the so-called “National Islamic Councils” every where in the regions. The proclaimed “South-Western Caucasian Democratic Republic” was exactly the output of the mentioned activities.



А. ЧАЧХИАНИ

**ИДЕОЛОГИЧЕСКИЕ И ПОЛИТИЧЕСКИЕ ПРЕДПОСЫЛКИ  
ВОЗНИКНОВЕНИЯ САМОПРОВОЗГЛАШЕННОЙ  
„ЮГО-ЗАПАДНОЙ КАВКАЗСКОЙ ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ  
РЕСПУБЛИКИ“**

Резюме

В грузинской историографии распространено мнение, что в деле возникновения самопровозглашенной „Юго-Западной Кавказской демократической республики“, или коротко – „Карсской республики“, решающую роль сыграли мусульманские беги - грузины по национальности, а политико-психологический фундамент т. н. „Юго-Западной Кавказской демократической республики “ был заложен в 1917 году на съезде мусульман в Абастумани. Но это ошибочное мнение. Идеологический фундамент т. н. „Карсской республики“ был заложен не в Абастумани и не в 1917 году, а гораздо раньше, и в совершенно другом политическом пространстве и в другой политической ситуации.

В статье рассматриваются идеологические и политические предпосылки возникновения т. н. „Юго-Западной Кавказской демократической республики“, которые вырисовывались еще в 1914 году, когда центральным комитетом Оттоманской партии „Единение и Прогресс“ были созданы т. н. „Специальная Организация“ (Teşkilât-ı Mahsusâ) и позже, секретная организация „Каракол“.

Именно под эгидой этих организации, после окончания первой мировой войны, проходил процесс создания разветвленной агентурной сети в Восточной Анатолии и в мусульманских регионах Закавказья, создания „Национальных Исламских Советов“. Провозглашение т. н. „Юго-Западной Кавказской демократической республики“ явилось продуктом как раз этого движения.

## ოპარ გომიავილი

### ილია ეროვნული და რელიგიური უმცხარაბლოგის უსახაბა

„შემწყნარებლობა დღესაც ჩვენი უმთავრესი თვისებაა -  
ესაა ჩვენი არჩევანი“.

ილია II.

2007 წლის საადღგომო უბისტოლე

ილიას პოლიტიკურ ფილოსოფიასა და მსოფლმხედველობაში რელიგის პრობლემების ანალიზისას გვერდს ვერ აუვლით შემწყნარებლობას, ტოლერანტიზმს, რომელიც თავისი არსით „საერთო ნიადაგის“ თეორიის უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ჩვენი დიდი წინაპრების თვალსაზრისი ამ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შესახებ დღეს უფრო საინტერესო და აქტუალურია, რადგან პრობლემამ გარკვეული სიმძაფრე შეიძინა და წარმოჩინდა, როგორც უთანხმოების საფუძველი საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებს შორის. თუმცა სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ეროვნულ-სარწმუნოებრივ ღირებულებებსა და დღეს განათლებული სამყაროს პრიორიტეტებს შორის გადაულახავი შეუთავსებლობა არ არსებობს.

ილიას მუდმივი სიამაყის და ოპტიმიზმის საგანს წარმოადგენდა ქართველი ერის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი თვისება, შემწყნარებლობა სხვა ერების, უცხო რელიგიებისა და კონფესიების მიმართ, რაც ქართველებმა მთელი მისი არსებობის ისტორიის მანძილზე დაადასტურეს. მათ შორის ყველაზე მძიმე პერიოდებში, მაშინაც კი, როცა ერთი ერის ან სარწმუნოების ქვეყნები საქართველოს და ქართველობის განადგურებისა და ამონყვეტის მიზნით ხანგრძლივ ომებს აწარმოებდნენ, საქართველოში მცხოვრები ამავე ეროვნების და სარწმუნოების წარმომადგენელთა მიმართ ქართველები მოთმინებას და შემწყნარებლობას ინარჩუნებდნენ. ამის საფუძველი კი ის იყო, რომ „...პატარა საქართველოს ერს არ ეუცხოება დიდი გრძნობა კაცთ-მოყვარეობისა“ [1: 1] – მიუთითებდა ილია.

ქართველი ერის ამ არსებითი ნიშნის შესახებ იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა: „ქართველები ხშირად ექცეოდნენ ერთმანეთს უსამართლოდ და უდიერად, მაგრამ სხვა ტომის ხალხებს კი ხათრით და პატივისცემით ეპყრობოდნენ და ეს პატივისცემა და ხათრი მით უფრო მატულობდა ჩვენში, რამდენიც უფრო ღონიერი და ძლიერი იყო საქართველო“ [2: 404].

ილია მიუთითებდა, რომ ქართველობა ისტორიულად არასდროს არ ყოფილა დამწყვედელი თავის გვარ-ტომობის ვინრო წრეში და ყოველთვის „გულგაშლით და პატივისცემით“ ეკიდებოდა სხვა გვარტომსა. ის საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „...დევნა და იძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მარტო ბრყევის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონება-გახსნილ კაცისგან“ [3: 1].

ქართველი ერისათვის დამახასიათებელ ეროვნულ შემწყნარებლობას, სხვა ერებისადმი ქსენოფობიის უქონლობას თანამედროვე ქართველი მეცნიერებიც უპირობოდ აღიარებენ.

აკად. დ. მუსხელიშვილი, როცა ქართველი ერის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს აანალიზებს, წინა პლანზე სწორედ ეროვნულ შემწყნარებლობას აყენებს: „პირველი ეს არის ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი შემწყნარებლობა. მე ვგულისხმობ არა მხოლოდ სარწმუნოებრივ ტოლერანტობას, არამედ, საერთოდ, ქსენოფობიის უქონლობას, რაც ჩემი აზრით ჩვენი ხალხისათვის არსებითი თვისებაა, რომელიც მას განახსვავებს სხვა მეზობელი თუ შორეული ხალხისაგან“ [4: 126].

დ. მუსხელიშვილს მიაჩნია, რომ ქართველი ერის ზნეობრივ ორიენტორებში პატრიოტიზმთან ერთად ეროვნული შემწყნარებლობა უპირველესი ნიშანია.

ეს კარგია თუ ცუდი ცალე საკითხია, მაგრამ ის კია, რომ ტოლერანტიზმის ასეთი მაღალია ხარისხით ბევრი ერი ვერ დაიტრაბახებს.

ტოლერანტობის იდეალმა მას შემდეგ შეიძინა ადამიანთა და ერებს შორის ურთიერთობაში ერთი მთავარი ღირებულების ფუნქცია, რაც კაცობრიობამ მსოფლიოს მრავალ რეგიონში რელიგიური ომები და შინაომები გადაიტანა. სამწუხაროდ ეს დილემა კაცობრიობას მხოლოდ ცივილიზაციის ადრეულ საფეხურებზე არ სტანჯავდა. მაშინაც და ახლაც მშვიდობის მთავარი მტერი რელიგიური ფანატიზმია, ანუ იმის ბრმა რწმენა, რომ არსებობს მონოპოლიური ჭეშმარიტება და ამქვეყნიური დანიშნულება პიროვნების თუ ერის იმაშია, რომ ეს ერთადერთი სიმართლე რაც შეიძლება მეტის საკუთრება გახდეს. მეთოდი შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს — უწყინარი ქადაგებიდან თანამემამულეთა მასობრივ ყლეტამდე, ან რეგიონის ორი უძლიერესი სახელმწიფოს ასწლიან ომამდე.

რელიგიური დაპირისპირების შედეგების დასანახად, რომ იტყვიან, შორს წასვლა არ სჭირდება ილიას. მის დროს რუსეთში სასტიკად უსწორდებოდნენ, სწავდნენ მთელ სოფლებს, ყლეტდნენ ქრისტიანული სექტების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც უარყვეს ზოგი კანონიკური წესი. ხელისუფლება იძულებული იყო იმპერიის სხვა ადგილებში, სადაც რელიგიური შემწყნარებლობა ეროვნული ტრადიციის დონემდე ჩამოყალიბდა, გადაესახლებინა მთელი სოფლები. ასე გაჩნდნენ საქართველოში „რასკოლნიკები“, მალაკნები, დუხობორები.

რელიგიის საკითხებს, მის კვლევას და ტოლერანტიზმის პრობლემებს დიდ მოაზროვნეთაგან პირველმა მნიშვნელოვანი ადგილი თავის კონცეფციებში ჯონ ლოკმა დაუთმო. ეს იმ პერიოდისათვის უმწვეველი პრობლემა იყო, რადგან XVII საუკუნეს რელიგიური შეუწყნარებლობა და რელიგიურ საფუძველზე საზოგადოების დაპირისპირებულ ბანაკებად გაყოფა და ურთიერთბრძოლა ახასიათებდა. ჯ. ლოკის უმთავრესი პრინციპი რელიგიური შემწყნარებლობა იყო, ის მოუწოდებდა საზოგადოებას შეენწყვიტათ რელიგიური რწმენის განსხვავების გამო ადამიანების დევნა და დასჯა. ჯ. ლოკი გრძნობდა, რომ ასეთ დაპირისპირებულ საზოგადოებაში საკაცობრიო ღირებულებების განხორციელება, რასაც თავისი შემოქმედებითაც მრავლად სთავაზობდა თანამედროვეებს, შეუძლებელი იქნებოდა. მას მიაჩნდა, რომ რელიგია ადამიანის შინაგანი რწმენის სფეროა და არ შეიძლება ის ძალით თავს მოახვიო ვისმეს. სახელმწიფომ უნდა დაიცვას თავისი მოქალაქეების თავისუფლება და უფლებები, მათი ინტერესები და ჯანმრთელობა, მიუხედავად სარწმუნოებრივი კუთვნილებისა. სარწმუნოებრივი თავისუფლების პრინციპები ჯ. ლოკმა ორგანულად დაუკავშირა შემწყნარებლობას და ხელისუფლების უპირველეს ფუნქციად სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების დაცვა გამოაცხადა, მაგრამ ხელისუფლებას არ აქვს უფლება იზრუნოს ადამიანის სულებზე [5: 144].

ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავებული ინდივიდები არიან, რომლებსაც არ შეიძლება ჰქონდეთ რელიგიურ-ზნეობრივი ღირებულებების მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება. ტოლერანტიზმი გულისხმობს ადამიანის უნარს მოითმინო, აიტანოს შენგან განსხვავებული აზრი, მოქმედება, მოვლენებისა და პროცესებისადმი დამოკიდებულება და ფართო გაგებით, განსხვავებული ცხოვრების წესი. ლიბერალიზმის ეს ნიშანი ყველაზე უკეთ და ფრთიანად გამოხატა ვოლტერმა (1694-1778) თავის დეკლარაციაში: „მძაგს, რასაც ამბობ, მაგრამ საფლავის კარამდე დავიცავ შენს უფლებას, თქვა შენი სათქმელი“.

შემწყნარებლობა-შეუწყნარებლობის საინტერესო ფორმულა შემოგვთავაზა კარლ პოპერმა: „შემწყნარებლობის სახელით ჩვენ მოვითხოვთ იმის უფლებას, რომ არ გამოვამჟღავნოთ შემწყნარებლობა შეუწყნარებლობასთან თუ არაშემწყნარებლობასთან“ [6: 625].

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ილია შემწყნარებლობას ლიბერალურ იდეოლოგიას უკავშირებდა, როდესაც თავის „მეტატიან“ ოპონენტს, მ. თუმანოვს მიმართავდა: „ამას ჰქვია იგი შეუწყნარებლობა სხვისი აზრისა, რომელაც ეხლანდელს დროში მარტო ბარბაროსი თუ კადრულობს და არა ქქმარაიტი ლიბერალი“ [7: 298].

ილია ტოლერანტიზმის, როგორც ქართული ეროვნული ცნობიერების სანყისებს და საფუძველებს, ისევე როგორც სხვა არსებით ნიშნებს, ტრადიციონალისტურ-კონსერვატიული მიდგომით ჩვენს ისტორიაში, ტრადიციებში ეძიებდა. ამ მხრივ მეტად საგულისხმოდ გვეჩვენება 1888 წელს ილიას მიერ დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელ დღეს – 26 იანვარს გამოქვეყნებული

„დავით აღმაშენებელი“. ეს მრავლისმეტყველი და მრავლისმასწავლებელი სტატიაა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთ ასპექტზე მსურს მკითხველის ყურადღების შექერება, კერძოდ, რას ხედავდა ილია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაში მთავარს. მაგრამ მანამდე ილიას თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ რატომ არის საჭირო და აუცილებელი დიდი წინაპრების ღვანლის გახსენება, მათი დაფასება. „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შესაძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს.“ ამასთან დაკავშირებით მოაქვს სენეკას ციტატი – დიდი ადამიანი როგორ წვრთნის თანამოძმეებს არა მარტო სიცოცხლეში, არამედ გარდაცვალების შემდეგაც.

ილია დავით აღმაშენებლის მრავალმხრივი საქმიანობის დახასიათებას და მისი პიროვნული პორტრეტის ძირითად ნიშნებს სთავაზობს მკითხველს. მის უპირველეს თვისებად ეროვნულ და სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას მიიჩნევს და სტატიის ძირითადი ნაწილი ამ თვისებების დახასიათებას ეთმობა. ფაქტობრივად, მისი როგორც სახელმწიფოს და პოლიტიკური მოღვაწის უმთავრესი ნიშნებიდან ეს ასპექტი ყველაზე წინა პლანზეა წამოწეული, მაგრამ ამასაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ უცხო ეროვნებისა და სარწმუნოების ღრმა პატივისცემას მშვენივრად უხამებდა თავისი ერისა და სარწმუნოებისადმი ერთგულებას:

„იგი თავგადასხეული მოყვარე თავისი ეროვნების და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისცემელი იყო სხვისი ეროვნების და სარწმუნოებისა“ [8: 180-181]. ილია განსაკუთრებით მიუთითებდა დავით აღმაშენებლის იმ თვისებას, რომ „უცხო“ ამისთანა შემწყნარებელი დარჩა მაშინაც, როცა ის, ყოვლისშემძლე მბრძანებელი შეიქმნა „სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა“ და ფაქტურად არ იყო ქვეყანა, არ იყო ძალა არც მის სამეზობლოში და არც მის გარეთ, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაენია. მისთვის არ იყო სამიში არც გრიგორიანული სომხეთი, არც მუსულმანური, შიიტური და სუნიტური სამყარო. აქედან ილიას ლოგიკური დასკვნა გამოაქვს – დავით აღმაშენებელი, ეს „დიდბუნებოვანი კაცი“ სწორედ ბუნებით იყო დიდი ჰუმანისტი და შემწყნარებელი თავისი ქვეშევრდომების მიმართ, ისევე როგორც სასტიკი და დაუნდობელი ქვეყნის მოღალატეების მიმართ.

დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი მრავალეროვნული და მრავალკონფესიური სახელმწიფოს პოლიტიკური სიძლიერის საფუძვლების დახასიათებისას დ. მუსხელიშვილი მიუთითებს: „დიდ ქართველ პოლიტიკოსთა ძალისხმევით შექმნილი ამიერკავკასიური სახელმწიფოს ერთიანობა შიშველ ძალაზე კი არ იყო დაფუძნებული, არამედ ხალხთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ერთიანობაზე. ეს არის უნიკალური მოვლენა შუა საუკუნეების ისტორიაში საერთოდ მაჰმადიანური, ქრისტიანული და წარმართული სახელმწიფოების თანაცხოვრებისა, რომელიც ამიერკავკასიაში, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენდა. ეს იყო ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და კულტურის უმაღლესი სტანდ-



არტების მაჩვენებელი მსოფლიოში, როდესაც ჯვაროსნულმა ომებმა სამყარო ორ შეურიგებელ ბანაკად გახლიჩა. ამ კატასტროფული დაპირისპირების ტალღამ საქართველომდეც მოაღწია. მაგრამ სწორედ დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი საერთო-კავკასიური სახელმწიფოებრიობის მყარ საფუძველს მონაშობს ის, რომ დიდგორის ომში, ისევე როგორც შამქორის ომში შარვანის და დარუბანდის პოლიტიკოსებმა მხარი დაუჭირეს არა ანტიქართულ მაჰმადიანურ კოალიციას, არამედ ქართველებს. ეს არ შეიძლება ქართველები-სათვის დამახასიათებელი ტოლერანტული სულის გამოვლინების შედეგი არ ყოფილიყო" [4: 126, 127].

დავით აღმაშენებელმა შემწყნარებლობის საფუძველზე შექმნა თავისი დიდი სახელმწიფო და როგორც ხშირად ხდებოდა ისტორიაში ამ სახელმწიფოს პრინციპები მისი პირადი ბუნების, ზნეობის და გნებავთ პოლიტიკური გამოვლების გამოძახილი იყო. დიდი სახელმწიფო მოღვაწეების პიროვნული თვისებები, ზნეობრივი პრიორიტეტები და მართვის სტილი მათ პირმშო სახელმწიფოს უმთავრეს ღირებულებებში აისახება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი დაუნეტარესი ილია II 1992 წლის სააღდგომო ეპისტოლეში მიუთითებდა: „გალობანი სინანულისანი“ საკუთარი თავის გაკერპების წინააღმდეგ ბრძოლის დასტურიცაა, ისევე, როგორც დავითის სურვილი, დაკრძალულიყო გელათის ტაძრის ქვიშარში, რათა კაცთა და პირუტყვეთ მის საფლავზე დაედგათ ფეხი.

ამგვარი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი დავით აღმაშენებლის ზნეობის, მისი სულიერი სიმინდის მაჩვენებელია; ამის საწინააღმდეგო მაგალითია, ვთქვათ, ნაბუქოდონოსორი, რომელმაც თავისი კერპი აღმართა და უნდოდა ყველას თაყვანი ეცა მისთვის იმიტომ, რომ მისი მიზანი იყო ამქვეყნიური, მიწიერი დიდებისა და ნეტარების მოპოვება, თავისი „მეს“ დამკვიდრება" [9: 138-139].

დავით აღმაშენებლის განსაკუთრებულ ღირსებად ილიას სწორედ ის მიაჩნდა, რომ ის მოღვაწეობდა იმ ეპოქაში, „როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არ ჰზოგავდა" და ამის გამო სრულიად გასაგებია ილიას აღფრთოვანება დავით აღმაშენებლის პიროვნული ღირსებებისა და შორსმჭვრეტელოური პოლიტიკის გამო; „...ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოების ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცთაგან?"

ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი როინ მეტრეველი მიუთითებს: „როცა ილია ჭავჭავაძე ასე განსაკუთრებულად აღნიშნავდა დავით აღმაშენებლის სხვა ერისა და რჯულის ხალხთა შემწყნარებლობას (ტოლერანტობას), ბუნებრივია იგი კარგად იცნობდა ისტორიას და იცოდა კიდეც, რომ არსად, არც დასავლეთის (ქრისტიანულ) და არც აღმოსავლეთის (მუსლიმანურ) ქვეყნებში ამგვარი რამ არ არსებობდა... ევროპის ვქვეყნებში.. საკმაოდ მძიმე ადათწესები იყო გაბატონებული უცხოელთა მიმართ... განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ დასავლეთ ევროპაში მცხოვრები, როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სხვა სარწმუნოების მიმდევარნი.

თავის რჯულთმეუწყნარებლობით გამოირჩეოდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც სიმკაცრეს იჩენდა არა მხოლოდ ებრაელებისა და მაჰმადიანების, არამედ მართლმადიდებლების მიმართაც... მუსლიმანური აღმოსავლეთის ქვეყნებში ისლამმა იმთავითვე მკვეთრად გაავლო ზღვარი მუსლიმანებსა და არამუსლიმანებს შორის. იგი უარყოფდა ეროვნებას და ერთადერთ კრიტერიუმად მუსლიმანობას თვლიდა. ტერმინ „უცხოელში“ ძირითადად სარწმუნოებრივი შინაარსი იდო. ყურანი ხმამაღლა აცხადებდა: „ებრძოლეთ მით, რომელთაც არა სწამთ ჭეშმარიტი სარწმუნოება“.. რუსეთშიც უცხოელებს პოტენციურ მტრად სახავდნენ – ყოველ შემთხვევაში ასე იყო პეტრე I-მდე“ - მიუთითებს რ. მეტრეველი. ის იმასაც აღნიშნავს, რომ ქართული სახელმწიფოს პოლიტიკაში დავით აღმაშენებლის დროს ჩამოყალიბდა სარწმუნოებათა შედარებით თავისუფლების – რჯულთ შემწყნარებლობის პოლიტიკა, რასაც ერთხმად აღიარებდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი (სომეხი, არაბი, სპარსი) ისტორიკოსები [10: 119-120].

ილია საამაყოდ, ერის ღირსებად თვლის იმას, რომ რაც XIX საუკუნის ბოლოს „განათლებულ ეპოქას“ საკვირველად მიაჩნდა, - კერძოდ ბრიტანეთის პრემიერის გლადსტონის გამოსარჩლება ირლანდიელი ერისა და მისი სარწმუნოების მიმართ, უფრო მეტ შემწყნარებლობას, კაცთმოყვარეობას და ჰუმანიზმს იჩენდა ჩვენი დიდი წინაპარი შვიდი საუკუნით ადრე. „მეტილა დიდბუნებოვნება მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნებას და სარწმუნოებას ესარჩლება და იმე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსა სცემდა [8: 181]. ილია დავით აღმაშენებლის შემწყნარებლობისა და ჰუმანიზმის დასამტკიცებლად მეტი დამაჯერებლობისათვის იმ ერებისა და რელიგიების მემატყიანებს იმონებებს, რომელთა მიმართაც იჩენდა გაერთიანებული საქართველოს მეფე ასეთ დამოკიდებულებას. თავდაპირველად მოაქვს სომეხი მემატყიანის მათე ედესელის ციტატი, სადაც დავით აღმაშენებელი დახასიათებულია როგორც წმინდა, კეთილმსახური საესე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული. შემდეგ მეორე სომეხის ვარდან დიდის დავით აღმაშენებლის დახასიათება, სადაც სწორედ მის სარწმუნოებრივ შემწყნარებლობაზეა აქცენტი გადატანილი. ილია იმასაც აღნიშნავდა, რომ სომეხები მაინც მართლმადიდებელი ქრისტიანები გრიგორიანული კონფესიის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ „დიდ-ბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა მაჰმადიანებსაც მოეფინათ, და მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები დავით მეფისა და მისი ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად“ [8: 182]. დავით დიდი აღმაშენებელი რომ მაჰმადიანებსაც გულუბნავდა სწყალობდა და ისე მფარველობდა, როგორც ქრისტიანებს, ილია ამ ერების წარმომადგენელი მემატყიანების გამონათქვამებს იმონებებს და კიდევ ერთხელ ახდენს იმის კონსტატირებას, რომ ამას აკეთებდა XII საუკუნის ძლევაშოსილი მონარქი, რომელიც ერთპიროვნულად კარნახობდა თავის ნებას უზარმაზარ ქვეყანას და არავითარი რეალური საგარეო და საშინაო

ძალა ამას არ აიძულებდა: „...ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო მის დიდებუნივან გულს და გონებას უნდა მიენეროს და არაფერს სხვას [8: 182-183]. ის, რომ მუსლიმი დამპყრობლებისაგან 4 საუკუნის შემდეგ გათავისუფლებულ საქართველოს დედაქალაქში დავით აღმაშენებელმა ღორის დაკვლა აკრძალა, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ მუსლიმების რწმენის პატივისცემა მხოლოდ ამაში არ გამოიხატებოდა. არაბი ისტორიკოსის ალო-ფარიკის გადმოცემით მუსლიმებისათვის მოჭრა სპეციალურით ფული – დირჰამი, რომელზეც ამობეჭდილი იყო ხალიფას და სულტანის სახელები. მუსლიმების აბანოში ვერ შევიდოდა ქართველი, ებრაელი და სომეხი. სარწმუნოებრივ-რიტუალური განსაკუთრებული მდგომარეობის გარდა მათ სერიოზული ეკონომიკური შეღავათებიც დაუწესა – ქართველის გადასახადი ნელინადში შეადგენდა ხუთ დინარს, ებრაელისა ოთხს, მუსლიმისა სამს. [11: 30] – აღნიშნავს პროფესორი ა. სილაგაძე.

რა თქმა უნდა, შემწყნარებლობა და ჰუმანიზმი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, დავით აღმაშენებლის პიროვნებაში უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია, რომლებიც ილიამ ალბათ მისთვის და ჩვენთვისაც გასაგები მიზეზების გამო წინა პლანზე წამოწია, მაგრამ ამ სტატიაშიც და სხვა ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის ნარკვევებშიც ილიას დავით აღმაშენებლის უმნიშვნელოვანესი პიროვნული და საზოგადოებრივი მახასიათებლებიც არ გამოორჩენია: სახელმწიფოებრივი სიბრძნე, მხედართმთავრული ნიჭი, პირადი მამაცობა – „უშიშარი, ვითარცა უხორცო“, რეფორმატორული უნარი, საშინაო და საგარეო ფაქტორების უნიკალური ანალიზი და მასზე დაფუძნებული, ყოველმხრივ გაზომილ-ანონილი გადანყვეტილებების მიღება. ამ სიბრძნის, ნიჭისა და მამაცობის ერთობლიობამ გახადა შესაძლებელი, რომ „ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავის ქართველობას, აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი დაუფრთხო და დაუფანტა და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, – ეს იქნება მისი ღვაწლი, მისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა...“ [8: 181] ყოველივე ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივია ილიას შემდეგი შეგონება, რომელიც ვფიქრობთ, „მეტი არ უნდა იყოს“ კიდევ ერთხელ შევასვენოთ ჩვენს მკითხველს: „აი ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და იმისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა“ [8: 183].

განსაკუთრებული თვისება, რაც მას გამოარჩევდა მისი და გარკვეულწილად შემდეგდროინდელი დიდი პოლიტიკური ფიგურებისგან და რაც ილიამ პირველმა შენიშნა, დიდი დავით აღმაშენებლის პიროვნულ ბუნებასა და მოღვაწეობაში იყო ის, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესი არ დაუპირისპირებია პიროვნებებთან ან პიროვნებების ჯგუფთან. კიდევ მრავალი საუკუნე გაივლის დავითის შემდეგ, რომ დიდი ქვეყნის დიდ ლიდერს მივუსადაგოთ ის თვისებები, რაც ილიამ დავითის პიროვნულ ხასიათსა და აღმშენებლობის სტრატეგიაში დაინახა – ის ისე იბრძოდა ქრისტიანი ქართველების ზნეობითი და ნივთიერი კეთილდღეობისათვის, ქვეყნის აღმშენებლობისათვის, რომ ამ

დიდი ამოცანების აღსრულებისას მისი ზეციური სიყვარული „ყოველ კაცს“ სწვდებოდა:

„კაცი მეფის დიდების მექონე, ყოველის ძალითა და ძლიერებით შემოსილი ილწვის დაცემულის ქრისტიანის ქართველობის ზნეობითის და ნივთიერის კეთილდღეობისათვის და ამავე ჟამს როგორც კაცი შემოსილია იშვიათის კაცობრივის სიკეთითა, მისი აზრი მიმართულია როგორც მთელის სამეფოს სიკეთეზე, აგრეთვე თვითოეულად ყოველს კაცზე. იმისი სიყვარული ზეციური სიყვარულია, რომელიც აკავშირებს მას ცასთან და ქვეყანასთან“ [12: 407].

რელიგიური და ეროვნული შემწყნარებლობა ილიას ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების არსებით ნიშნად მიაჩნდა. ის ყოველთვის სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა, რომ რელიგიური ომები, რელიგიური უმცირესობის დევნა და მათი განადგურება, რაც გარკვეულ ისტორიულ ეტაპებზე ბევრი დანიშნულებული ერისათვის იყო დამახასიათებელი და არც ილიას პერიოდისთვის იყო უმნიშვნელო ფაქტორი ერებს შორის ურთიერთობაში, ქართველ ერს არასდროს არ ახასიათებდა. ამიტომ ილიას არ ჰქონია იმის შიში, რომ რელიგიურ-კონფესიურ საფუძველზე საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხები ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა. 1877 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის პირობებში, როცა რეალურად გამოისახა ისტორიული ქართული ტერიტორიების შემოერთების პერსპექტივა, ილიამ ქართული ეროვნული თვისების ამ არსებით ნიშანზე ყურადღების გამახვილება აქტუალურად ჩათვალა. თავის ცნობილ „ოსმალის საქართველო“-ში ის მიუთითებდა: „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოებისა დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ ნაგვაყვედურებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი – აქ ჩვენში პოულობენ მშვიდობისმყოფელს საენანესა და სინდისის თავისუფლებას“. ილია დარწმუნებული იყო, რომ ისტორიული ტრადიცია ქართველებში ცოცხლობს, ის ფეხმოკიდებულია და სარწმუნოების ნიადაგზე საქართველოში პრობლემები არავის შეექმნება. ილია ნატრობს იმ დროს, როცა ისტორიული ბედუკუღმართობით უცხო სახელმწიფოს შემადგენლობაში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ საქართველოს კვლავ დაუბრუნდება თავისი შვილები და თუ საჭირო იქნება ისტორიული ოცნების აღსრულებისათვის მზად არის ქართველებმა სისხლიც გაიღონ იმისათვის, რისთვისაც „ორი ათასი წელიწადი თავი უნირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“. ილია დარწმუნებულია თავისი ერის პუმანიზმსა და შემწყნარებლობაში და ოღონდ კი „მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთს ვეძმოთ, და ქართველი, ჩვეენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განმორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ლმობიურს

გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი" [4: 13-16].

ქართულ ეკლესიას და მის საჭეთმპყრობლებს ყოველთვის საამაყოდ ჰქონდათ ის ისტორიულად დადასტურებული გარემოება, რომ მართლმადიდებლობა ჩვენი არასდროს ყოფილა რელიგიური ან სოციალური დაპირისპირების მიზეზი. მას შემდეგ, რაც 1917 წლის 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ქართველმა სამღვდელოებამ ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადა, 1917 წლის 17 სექტემბერს თბილისში გამართულმა I საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II-ის სახელწოდებით. თავის მიმართვაში ქართველებისადმი, რომელიც ამ სიტყვებით დაიწყო „არღარ ვართ მონა; არამედ აზნაურ,“ – მღვდელმთავარმა მიუთითა ქართულ ეროვნულ შემწყნარებლობის ტრადიციებზე და ქრისტიანული ეკლესიის როლზე ამ ეროვნული ღირებულების ჩამოყალიბებაში: „ჩვენი ეკლესიის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ ის არასდროს არ ყოფილა საერთაშორისო დამოუკიდებლობის გამწვავებულ იარაღად და ფანატისმის დამყარების მიზეზად. პირიქით, ჩვენი ვიცით, რომ ქართული სახარება და მუსლიმანთა ყურანი ერთსა და იმავე საპატიო ადგილს პოვებდნენ წიაღსა შინა გვირგვინოსან ჩვენი წმინდანისა: ეკლესია იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ ყველა უცხო ტომი ჩვენი შპოულობდა მეორე სამშობლოს და ბევრი მათგანი საქართველოს ეკლესიის წმინდანთა შორისაც კი აღირიცხა“ [13: 10-11].

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ერის უმნიშვნელოვანესი ნიშანი, ტოლერანტობა ზოგადად ერის განმაზოგადოებელი ღირებულების – ქართული იდეიდან გამოყავს და როგორც პატრიარქი კირიონი მიუთითებს, სწორედ შემწყნარებლობა იყო ის საფუძველი, რომელიც უცხო ერისა და აღმსარებლობის უმცირესობებს ერის სამსახურში აყენებდა:

„სწორედ ქართული იდეიდან მომდინარეობს ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ტოლერანტობაც, რაც იყო საფუძველი აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ჩვენი ჭირ-ვარამის გაზიარებისა და საქართველოსთვის მსახურებისა“ [14: 5].

ქართული ისტორიული ტოლერანტიზმიდან მომდინარე მის საერთაშორისო ავტორიტეტზე საუბრობს 2007 წლის სააღდგომო ეპისტოლეში საქართველოს პატრიარქი: „შემწყნარებლობა დღესაც ჩვენი უმთავრესი თვისებაა – ესაა ჩვენი არჩევანი.

სწორედ ჩვენი რაინდული და ტოლერანტული ბუნების გამო იყო, რომ მოუხედვად დაპირისპირებისა და ომებისა, ქართველები ყოველთვის დიდი პატივით სარგებლობდნენ არაბების, სპარსელების, მონღოლების, ოსმალების... პოლიტიკურ წრეებში. იგივე იყო მიზეზი იმისაც, რომ წმიდა მინაზე მუსულმანთა გაბატონების შემდეგ, XIII-XIV საუკუნეებში, იერუსალიმის მაჰმადიანი მმართველები ქრისტიანთაგან მხოლოდ ქართველებს აძლევდნენ უფლებას, გაშლილი დროებით, ცხენზე ამხედრებულნი, ბაჟის გადაუხდელად შესულიყვნენ წმიდა ქალაქში და მაცხოვრის საფლავის კლიტეთა მფლობელებიც

ყოფილიყვნენ. ჩვენ ეს პატივი ომით არ მოგვიპოვებია. იგი იყო ქართული დიპლომატიის შედეგი, რასაც საეკლესიო ურთიერთობებიც განაპირობებდა“.

იმავე, 2007 წლის საშობაო ეპისტოლეში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებდა: „ტოლერანტობა ჩვენი ბუნებიდან მომდინარეობს და მისი სწავლა არასოდეს დაგვჭირდება“ [15: 98-99, 198].

ქართულ ისტორიულ შემწყნარებლობაზე მსჯელობა, როგორც ერის ერთ უმთავრეს ნიშანზე, ილიას ერთი მოსაზრებით გვინდა დავასრულოთ. XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმების ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი იყო საქალაქო რეფორმა, რის საფუძველზეც 1870 წლის დებულებით თბილისის გარდა თვითმმართველობის უფლება მიიღეს ქუთაისმა, გორმა, ახალციხემ, ფოთმა და ბათუმმა.

მოსახლეობისათვის სრულიად უცხო, შეკვეცილი, მაგრამ ძველთან შედარებით დემოკრატიული საქალაქო მმართველობის ორგანოების ფორმირების ახალმა წესმა, ქართული საზოგადოების წინაშე მანამდე არარსებული საკითხების მთელი წყება წამოჭრა. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მნიშვნელობას მოსახლეობის დიდი ნაწილი სათანადოდ ვერ აცნობიერებდა დიდი ხნის მანძილზე. ამის შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ 1911 წლის თელავის საბჭოს არჩევნებში ქართველი მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მუნიციპალურ ორგანოში (საბჭო) მხოლოდ სომხები აირჩია. ამ შემთხვევას გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც ქართველების მოქმედება დაახასიათა როგორც „ინტერნაციონალური ინდიფერენტიზმი“ [8: 182], რაც ვფიქრობთ, მოვლენის ზუსტი შესატყვისია.

რაც შეეხება თბილისს, თავდაპირველად მისთვის უცხო პოლიტიკურ ასპარეზზე სომხური მოსახლეობა და ბურჟუაზია ქალაქის მმართველობაში არ აქტიურობდა და ქალაქის თავის პოსტიც დიმიტრი ყიფიანს ერგო. მაგრამ შემდგომ, როცა ამ მმართველობის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა კარგად გააცნობიერეს, ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდნენ უმრავლესობის მოპოვებას სათათბიროშიც, გამგეობაშიც და ამას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ახერხებდნენ. 1878 წლიდან 1891 წლამდე ქალაქის თავი ა. მატინოვი იყო. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებები, რომ სომხური თემი თბილისში მრავალრიცხოვანი იყო (მთელი მოსახლეობის 47%) და არსებული საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც უპირატესობას აძლევდა იმ ამომრეველს, რომელიც კერძო საკუთრებას ფლობდა. ქალაქის ხელმძღვანელ ორგანოებში სომხური ეროვნების პირთა გაბატონება მათ იდეოლოგიებს საფუძველს აძლევდა ამბიციურად და ხშირად თავხედურად ემტკიცებინათ, რომ თბილისი სომხური ან სომხების ქალაქია.

ილია და ქართული პატრიოტული ბანაკის წარმომადგენლები ასეთ მტკიცებულებებს და მდგომარეობას რომ ვერ შეეგუებოდნენ, ცხადი იყო. ილიამ 70-80-იან წლებში ყოველგვარი რევერანსების გარეშე მოვლენებს თავისი სახელი დაარქვა ამ საკითხისადმი მიძღვნილ, ჩვენი დათვლით 40-ზე მეტ სტატიასა და ნარკვევში. ეს პროცესი, ილიას მიერ თბილისის სომხური

თემის ნარმომადგენელთა ამბიციური, უსაფუძვლო, და ხშირად თავხედური პრეტენზიების კრიტიკა, ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად სრულად ავსახეთ „ილია დღეს“ - მეორე შევსებული გამოცემის მეორე ნიგნში [17: 141-189], და ამჯერად აღარ დავუბრუნდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ილია კატეგორიულად არ ეთანხმება იმ ავტორებს, არც სომხებს და არც ქართველებს, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ კონფრონტაციის აღსაკვეთად, ძმობისა და ერთიანობის დასამკვიდრებლად ყველაფერზე, რაც იყო, თვალი დავხუჭოთ, ქრისტიანულად შევუნდოთ და ასეთი მიდგომა ქვეყანას მეტ სარგებლობას მოუტანსო. ილია ამასთან დაკავშირებით მრავალგზის, არგუმენტირებულად, ზოგჯერ აშკარად და ზოგჯერ მინიშნებებით მიუთითებს, რომ მწვავე პრობლემის ასეთი „მიფუჩეჩება“ დიდხანს „თავს ვერ დაიჭერს“ და მისი შედეგები საზოგადოებისათვის გაცილებით კატასტროფული იქნება. ამიტომ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას და ძმობის ფიცილი მაშინ, როცა დამამცირე, დავიანებებულა.

„ერთი გამკითხავი არავინ არის, ჰკითხოს: ადამიანო, თუ ძმა ხარ და ერთობა გინდა, რადა მკარ პანლური და გამომადგე ჩვენის ქალაქის საბჭოდამ, რად მართმევე ჩემს დედაქალაქს და მარტო შენთვის იჩემებ. რატომ ხმა არ გაეცი შენს საკუთარს მოძმე გაზეთს (იგულისხმება Новое Обозрение - ო.გ.), როცა კაცთა მოყვარეობა და ჰუმანიზმი, მაშასადამე ძმობა და ერთობა, ვირზე შესვა და სანაგვეზედ გადააგდო“ [18: 478].

ილიას სერიოზულ და ხანგრძლივ, არცთუ „უსაგნო“, როგორც მაშინ ზოგს ეგონა (გ. წერეთელს და სხვებს), კამათს სომხებთან, რომლებიც საქართველოს დედაქალაქის დასაკუთრებას ცდილობდნენ მისი მართვის და ინფრასტრუქტურის ყველა სფეროს დაპატრონებით, ერთი ამონარიდით დავამთავრებთ. დასკვნაში ეს ამონარიდი იმიტომ შემოვიჩინებთ, რომ აქ უკეთესად ჩანს, ჩვენი აზრით, ილიას პოზიციის სამართლიანობა, ჰუმანურობა, დემოკრატიზმი და ამავე დროს ბევრი ფიქრისა და განსჯის საფუძველზე ჩვენი საამაყო ტრადიციის - რელიგიური და ეროვნული შემწყნარებლობის, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო შედეგები:

„მართლის მოყვარე კაცი იტყვის: უფრო უპრიანია საქართველოში ქართველი უყურებდეს მზეს, ვიდრე სხვა ვინმე, თორემ ქართველი ხომ სხვას არ უშლის ერთად ცხოვრებას. იგი არც უშლიდა არასდროს და იქნება, ეს თავისი გულკეთილობა და სხვის შემწყნარება სანაწურად გახდომია და ცხვირში ძმარს ადენს, მაგრამ რაღა დროს? „ნამხდარს საქმესა რას არგებს მერმელა თითზე კბენანი“ [18: 476].

### წყაროები და ლიტერატურა:

1. „დროება“, № 240, 1888.
2. ო. გოგიაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1990.
3. „ივერია“, № 53, 1997.



4. ისტორიანი. სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი რ. მეტრეველის 70 წლისთავისადმი. თბილისი, 2009.
5. Локк Д. Избранные философские произведения. ტ.2. М., 1990.
6. История политических учений. М., 1999.
7. ილია ჭავჭავაძე, ტ. XIV (ოცტომეული).
8. ილია ჭავჭავაძე, ტ. IV (ათტომეული, პავლე ინგოროყვას რედაქციით).
9. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. წიგნი I. თბილისი, 1997.
10. რ. მეტრეველი. საისტორიო ნარკვევები. წიგნი I, თბილისი, 2009.
11. ა. სილაგაძე. ქართული იდეა. თბილისი, 2010.
12. ილია ჭავჭავაძე, ტ. XV (სავარაუდო).
13. ს. ვარდოსანიძე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში, თბილისი, 2010).
14. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. 2011 წლის სააღდგომო ეპისტოლე. თბილისი, 2011.
15. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვაი, ქადაგებანი. წიგნი III. თბილისი, 2008.
16. კ. ტოტოჩავა. იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი. თბილისი, 2000.
17. ო. გოგიაშვილი „ილია დღეს“, პოლიტიკური ფილოსოფია, იდეოლოგია, პოლიტიკა, პოლიტიკოსები. წიგნი 2. თბილისი, 2012.
18. ილია ჭავჭავაძე ტ. XVIII.

OMAR GOGIASHVILI

## ILIA CHAVCHAVADZE REGARDING NATIONAL AND RELIGIOUS TOLERANCE OF THE GEORGIAN PEOPLE

### Summary

The viewpoint of our great ancestors regarding the common values to all mankind is of singularly great significance today, when we are forced to face the extremely acute issue which has triggered discrepancy among different groups of our day-to-day society.

Iliа Chavchavadze was immensely proud of one of the core innate features of the Georgian nation; this feature was tolerance of different nations, of representatives of different religions and denominations; and precisely tolerance has always been one of our key assets. Believe it or not, Georgians remained tolerant of each and every representative of different ethnic groups residing in Georgia; they remained tolerant of them even if their countries launched large-scale wars to annihilate the Georgian people.

Iliа Chavchavadze meticulously analyzed the basics and principles on which Great David the Builder founded the state that was the most powerful multinational and multi religious entity in the Middle East of the 12th century; Iliа Chavchavadze defined tolerance one of the key constituent elements of our country's principles that,



as it always happens in history, reflected political taste and key characteristics of its founder. Iliа the Right considered our luminous predecessor's determination to be tolerant and humane to the representatives of different tribes and convictions as the nation's most precious value. David the Builder fully comprehended the importance of tolerance in the XII century, whereas in as late as the XIX century, the civilized world did not hesitate to label British Prime Minister's move to support the Irish people in upholding their statehood and nation as something strange and incredible. The fact that one of our greatest kings was tolerant to Muslims at his own discretion, in the era, when inside the country as well as outside it, he could not meet a military-political force counterweight of that of Georgia's, is of really special importance. For more credibility, Iliа Chavchavadze brought some extracts from the chronicles of Armenian, Arab and Persian historians, in which they highlighted that their compatriots enjoyed special privileges in Georgia; believe, it or not, Georgians in Georgia were a more underprivileged ethnic group than the representatives of these nations. As a result of our traditional tolerance, even today, we, Georgians, live in a multi-national and multi-religious state, and, as our Catholicos-Patriarch maintains, tolerance is, was, and will be one of the key virtues of the Georgian people.

О. Г. ГОГИАШВИЛИ

## ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ О НАЦИОНАЛЬНОЙ И РЕЛИГИОЗНОЙ ТЕРПИМОСТИ

Резюме

Точка зрения наших великих предков на эту общечеловеческую ценность сегодня особенно актуальна, так как данная проблема обрела определенную остроту и стала основой разногласий между некоторыми группами общества.

Предметом постоянной гордости Ильи Чавчавадзе была важнейшая естественная черта грузинского народа - терпимость по отношению к другим нациям, религиям и конфессиям. Даже тогда, когда страны людей какой-либо национальности или вероисповедания с целью истребления грузин вели длительные войны, грузины сохраняли терпимость по отношению к живущим в Грузии представителям той же национальности или вероисповедания.

Илья Чавчавадзе детально анализирует основы политической мощи созданного Давидом Строителем в XII веке сильнейшего на Ближнем Востоке многонационального и многоконфессионального государства. Такой основой он считал, в первую очередь, терпимость и, как это часто происходило в истории, важнейшие принципы государства являлись отголоском личных качеств, нравственности и политического вкуса его создателя. Илья Чавчавадзе считал достоинством нации тот факт, что тогда как заступничество премьера Великобритании за ирландцев и их вероисповедание представлялось "просве-

щенной эпохе” в XIX веке странным, наш великий предок семь веков тому назад проявлял еще больше терпимости, человеколюбия и гуманизма в отношении других народов и вероисповеданий. Особенно примечательно то обстоятельство, что Давид Строитель к мусульманам такое отношение проявлял, став всемогущим государем, когда ни внутри страны, ни вне ее не существовало военно-политической силы, с которой бы он должен был считаться. Для большей убедительности Илья Чавчавадзе приводит отрывки из трудов армянских, персидских, арабских историков, где отмечается, что инородцы и представители чужих вероисповеданий имели особые привилегии (даже по сравнению с грузинами). Такая традиционная терпимость обусловила то, что Грузия и сегодня является многонациональным и многоконфессиональным государством и, как указывает нынешний Католикос-Патриарх, терпимость и сегодня является нашей важнейшей чертой.

დეკანოზი მიქაელ ჭავჭავაძე

**მღვდელ ალექსი ბაქრაძის ეპითიმია თაყაიშვილისადმი მიწერილი წერილები**

მღვდელი ალექსი ბაქრაძე დაიბადა 1835 წლის 24 ივლისს საეკლესიო აზნაურის იოსებ ბაქრაძის ოჯახში, რაჭაში. პირველი წიგნი, „ასკეტიკური კრებული“, ვანის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის უდაბნოში დედის ძმის – ილუმენ მაკარი იაშვილის კურთხევით 1852 წელს გადაუწერია. მაშინ გადამწერი 16 წლისა ყოფილა.

1860 წლის 25 აგვისტოს იმერეთის ეპისკოპოსმა გერმანე გოგოლაშვილმა იგი დიაკვნად აკურთხა. 1863 წლის 4 მარტს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ მღვდლად დაასხა ხელი და ლენჯერის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის წინამძღვრად განაწესა. მამა ალექსის ხატწერა ეხერხებოდა. 1868 წელს მას თბილისში მიავლენენ ხატწერის სრულყოფილად შესასწავლად. მისი ხელით ყოფილა მოხატული სოფ. სევას ტაძარი. ეს მოხატულობა 1960 წლამდე იყო შემორჩენილი. 1873 წელს იგი დაინიშნა სვანეთის ეკლესიების და იქ არსებული საეკლესიო ქონების შემსწავლელი და აღმრიცხველი კომისიის წევრად. ორ რვეულში აღწერილი კომისიის მუშაობის ანგარიში მან გადასცა ექვთიმე თაყაიშვილს.

1898 წელს მოხუცებულობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო მამა ალექსი პენსიაში გავიდა და მიიღო უფლება, დარჩენილი წლები ათონის მთაზე, წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა სვანეთში გაეტარებინა. 1899 წლის დასაწყისში იგი უკვე ათონზეა. ამ წლის 23 იანვრით დათარიღებულ წერილში ე. თაყაიშვილს სწერს: „უწინარეს ყოვლისა წმიდა ათონის მთიდან სიმდაბლით მოგიკითხავ. ქრისტეს მიერს ლოცვა-კურთხევას მოგახსენებ“.

მამა ალექსიმ იერუსალიმში იმოგზაურა. როგორც ე. თაყაიშვილისადმი 1899 წლის 10 მაისს მიწერილ წერილში აღნიშნავს, იერუსალიმში მან 3 თვე გაატარა: „იანვრის 24-ითგან დავრჩი იერუსალიმში 27 აპრილამდე და ამ რიცხვს გიახელით ზღვის პარახოდით წმიდა ათონში“. ამავე წელს იგი ივერიის ღვთისმშობლის ხატის მონასტერში თან ხლებია ათონის მთაზე მოსალოცად მყოფ დეკანოზ პეტრე კონჭოშვილს, რომელიც მას ასე ახასიათებს: „მღვდელი მ. ალექსი ბაქრაძე, დახელოვნებული მკითხველი ქართულის ძველის ხელთნაწერებისა“ (1:158).

1902 წელს ათონის მთას ესტუმრა პროფესორ ალ. ხახანაშვილი, რომელსაც მამა ალექსიმ თავისი გადაწერილი წიგნები გადასცა. სანკტ-პე-

ტერბურგში დაბრუნებულმა მეცნიერმა შეისწავლა ისინი და რამდენიმე მათგანი გამოაქვეყნა.

1907 წელს ათონის მთა მოილოცა პახუმ ჯაფარიძემ, რომელიც მშობლებს ატყობინებს: „დამხვდა ათონში ჩვენი ნათესავი, მოხუცი მწერალი ალექსი ბაქრაძე, რომელიც თარგმნის ბერძნულიდან, ფრანგულიდან და სხვა ენებიც იცის“ (2). აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ მამა ალექსიმ შესანიშნავად იცოდა რუსული ენა. მან რუსულიდან თარგმნა მიქაელ მთავარანგელოზის დაუჯდომელი.

მამა ალექსი აღესრულა 1908 წლის 23 იანვარს. სიკვდილის წინ იგი სქემაში აღკვეცეს და სახელად ათანასე დაარქვეს.

ექვთიმე თაყაიშვილი მამა ალექსიზე დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით საუბრობს: „ბერი ალექსი ბაქრაძე შესანიშნავი სათნოიანი პიროვნება იყო, უზომო თავმდაბალი, კეთილი, ღვთისნიერი, წყნარი, უაღრესად მორწმუნე და მუშაკი... ღრმად მოხუცებული ის დადიოდა ჩემთან ტფილისში და მოქონდა წიგნები... შემდეგ ათონის მთაზე წავიდა და იქიდან მიგზავნიდა მის მიერ გადაწერილ სტატიებს ივერიის მონასტრის ძველი ხელნაწერებიდან. ესენი ახლა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაშია. ეს ადამიანი იქ, ათონის მთაზე გარდაიცვალა“ (2).

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აკადემიკოს ე. თაყაიშვილის არქივში დაცულია მღვდელ ალექსი ბაქრაძის 7 წერილი (საქმე N1227). პირველი წერილი 1897 წლის 24 ოქტომბერსაა დაწერილი, მეორე - 1899 წლის 23 იანვარს, მესამე - 1899 წლის 10 მაისს, მეოთხე - 1899 წლის 30 ივლისს, მეხუთე - 1899 წლის 10 ოქტომბერს, მეექვსე - 1900 წლის 18 სექტემბერს და მეშვიდე - 1901 წლის 8 მარტს.

მამა ალექსი ბაქრაძის წერილებში ჩანს განსაკუთრებული სითბო და სიყვარული, პატივისცემა და დაფასება ადრესატისა და მისი მამულიშვილური საქმიანობისა. „ქრისტეს მიერ ლოცვა-კურთხევას მოგახსენებთ და ვისურვებ თქვენს ბედნიერად და კეთილ წარმატებით სუფევას მარადის“, „მომავალს ბრწყინვალე დღესასწაულსა პასექისასა მოგილოცავ! ღმერთმან მრავალს მიგაგებოს აღმატებით წარმატებული, სანუგეშოდ ჩვენდა და სასიქადულოდ ქართველთა ერთა!“ - ასეთი გულითადი სიტყვები ექვთიმე თაყაიშვილის მიმართ მრავლადაა ამ წერილებში.

მღვდელ ალექსი ბაქრაძის წერილები მრავალ საინტერესო ცნობას გვანწვინან. უპირველესად, ჩვენ თვალწინ იხატება პიროვნება, რომელიც უანგაროდ უდგას გვერდში ე. თაყაიშვილს სიძველეთა მოძიება-შეგროვების საქმეში. ათონის მთაზე გამგზავრებამდე მას მეცნიერისთვის გაუშზადებია რამდენიმე წიგნი: „ცხოვრება ხონის მთავარ ეპისკოპოსის ანტონისა“ (16 ფ.), „სიბრძნე ბალაეარისა“ (31 ფ.), „დაარსების ანუ ნებროთის წიგნი“ (7 ფ.), გუჯრები ბაქრაძეთა, ჯაფარიძეთა, გამყრელიძეთა და ასათიანთა. გუჯრების დედნები მას არ უნახავს, დედნების ასლებიდან გადმოუღია საბუთები. იგი ექვთიმეს ჰპირდება: „და თუ სადმე სხვას შევხვდი ამგვარებსა, გადმოვიწერ და მოგართმევთ დიდის კმაყოფილებით, ვითარცა ჩვენს დიდპატივისმცე-

მელისა და სამშობლოს მოყვარულსა“. 1897 წლის 24 ოქტომბერს გაგზავნილ წერილში იგი წერს, რომ სურდა გაეგზავნა „ნეტარი იერონიმეს წინასწარმეტყველებისა“, მაგრამ რადგან ტექსტი „ერთობ წმინდა და ქარაგმიანი იყო“, გადაუწყვეტია, გადაენერა და ისე მიერთმია. ვფიქრობთ, აქ სხვა წიგნზე - „იერემიას წინასწარმეტყველებაზეა“ საუბარი.

მღვდელ ალექსი ბაქრაძის ათონის მთაზე გამგზავრების ერთ-ერთი მიზანი იქ გაბნეული ქართული ხელნაწერების პირთა დამზადება და სამშობლოში გამოგზავნა იყო. 1897 წელს მიწერილ წერილში იგი ე. თაყაიშვილს ჩამოუთვლის 19 წიგნს, რომლებიც საქართველოში არსად მოიპოვება. ცხრამეტეზე წიგნი სხვადასხვა წმინდანთა ცხოვრებაა. ამის გარდა, მოძღვარს განზრახული ჰქონდა ათონის მთაზე უყურადღებოდ დაყრილი ქართული წიგნების მოძიება და კატალოგის შედგენა: „უნეებულ არს ჩემდა მრავალთაგან, რომელ არიან მუნ მრავალნი წიგნნი განურჩეველნი უაღფავიტოდ, არეულნი და დაფუშვილნი, და რომ ვინმე პირთაგანი შემწეობას აღმომიჩენდეს მინერილობის და მინდობილობის ძალით, შემეძლოს თავისუფლად მათი განხილვა და კათალოგის შედგენა, დიდის მხიარულებით მივიღებ შრომას“. მინერილობისა და მინდობილობის თხოვნა შემდეგმა გარემოებამ აიძულა: „უამისოდ ბერძნის ბერები არ მომცემენ ნებას მათი განხილვისას, და აგრეთვე ზემოთ ხსენებულ წმიდათ ცხოვრებისას, და თუ რაიმე საინტერესო წიგნები ვიპოვოთ, მათი დანერისას“.

ქართველების მიმართ ბერძენ ბერთა აგრესიულ მოპყრობაზე მამა ალექსის რამდენჯერმე გაუმახვილებია ყურადღება. იგი გულდანწყვეტილი მოუთხრობს ე. თაყაიშვილს, თუ როგორ უსწორდებიან ქართველთა მონასტერში მისულ მომლოცველებს ბერძნები: ქვებითა და კვერთხებით დევნიან, სასულიერო პირებს არ აძლევენ ივერიის ღვთისმშობლის ხატთან პარაკლისის გადახდის ნებას. უკვე ათონის მთაზე დამკვიდრებულ და იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა კელიის მოღვაწე მამასაც, ალექსი ბაქრაძესაც, არ აძლევდნენ საშუალებას ეხილა ივერიის მონასტერში უპატრონოდ მიყრილი და განადგურების პირას მისული ხელნაწერი წიგნები. ამის შესახებ იგი დიდი გულისტკივილით უამბობს ე. თაყაიშვილს 1899 წლის 10 მაისს გაგზავნილ წერილში: „საუბედუროდ ჩემდა, ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკა ძველი ქართული წიგნებისა ხომ სრულებით დაკეტილია, არავის აჩვენებენ ეს უწყალო ბერძნის ბერები. თვინიერ თუ მთავრობისაგან დიდის უფლებით არ მოვიდა. ასე რომ არ იყოს, მრავალს წარწერაებს და ისტორიულთ ძველთ მოთხრობას და ხრონიკონებს გადმოვიღებდი და გაახლებდი, მაგრამ სიდგან?! სადაც არავის უშვებენ.“ მამა ალექსი იმედს არ კარგავს, რომ რაიმე საშუალებით მოახერხებს ისეთი საბუთის მიღებას, რომელიც ბერძნებს აიძულებს გახსნან ქართული წიგნთსაცავი და მუშაობის საშუალება მისცენ მოძღვარს. მამა ალექსი ექვთიმეს ახსენებს, ბერძენ არქიმანდრიტს წერილი მოაწერიოს ივერიის მონასტრის წინამძღვართან, რათა მან ხელი არ შეუშალოს ხელნაწერებზე მუშაობაში. ნებართვის შემთხვევაში მამა ალექსი ჰპირდება ექვთიმეს: „თუ რასმე შევხვდი, დიდის სიხარულით ვიპრომებ... და მოგართმევ, რო-



და სინას მთაზედ, მაგრამ ჩვენდა დიდათ სამწუხაროთ, არ მოკიდეს ხელი ნამდვილ გამოკვლევას და არც ძველ კედლებიდან სურათების გადმოღებას, რომელთაც საუკუნოდ დაუკარგავს საქართველოს," – სწერს იგი ექვთიმე თაყაიშვილს. თუმცა მამა ალექსი დიდად აფასებს და აღნიშნავს მეცნიერთა ღვაწლს ქართული ხელნაწერების აღწერა-კატალოგიზაციის საქმეში. კერძოდ, იგი ნიკო მარის შესახებ ამბობს: „აქ იყო ერთი პრაფესორი, გვარათ „მარი“, მან ერთი თვე დაყო აქ, ნიგნების კათალოგი შეადგინა, დაანყო აღფავიტურად და დანომრა“.

მამა ალექსის ბარათებში აღწერილია ის ვანდალიზმი, რაც ბერძენმა ბერებმა ჩაიდინეს ივერიის მონასტერში. ამის შესახებ იგი ექვთიმეს რამდენიმე წერილში უამბობს. 1900 წლის 18 სექტემბერს სწერს დეკანოზ პეტრე კონჭოშვილის ათონის მთაზე მისვლის ამბავს, რომელსაც ბერძენებმა არ აჩვენეს ქართული ხელნაწერები და ძველი ნივთები: „ნარსულს წელს, როგორც გაზეთებით უწყით, მ. დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი ბრძანებდა ათონზე. ივერიის მონასტერშიდაც, სადაც დიდი მსურველი იყო, ძველი ნივთები და ნიგნები ეჩვენებინათ ბერძნის ბერებს. სამწუხაროდ, მათ დახშეს და არ სცეს პატივი“.

მამა ალექსის წერილები საინტერესო ცნობას გვანვდიან მაშინდელი კერძო ბიბლიოთეკების ზეგდრის შესახებ. იგი ექვთიმე თაყაიშვილს უამბობს მღვდელი იოსებ საბანიძის, პელაგია გურიელიშვილისა და ნესტორ წერეთლის ბიბლიოთეკებზე. გულდანყვეტილი აცნობებს, რომ მღვდელ საბანიძის ნიგნები ქალებს ფურცელ-ფურცელ გაუქრიათ, პელაგია გურიელიშვილების ნიგნები პატრონის სიკვდილის შემდეგ დაუტაციათ, ხოლო ნესტორ წერეთლის ნიგნები, რომელთა კატალოგის შედგენაზე მამა ალექსის პატრონისაგან უარი მიუღია, ნესტორის სიკვდილის შემდეგ გაუზიდავთ და დაურბევიათ. „სულითაც და ხორცილთაც უნაყოფოდ დაშთა ამათ ნესტორ“, – ამბობს მამა ალექსი.

ათონის მთაზე მოღვაწეობის განმავლობაში მამა ალექსის არაერთი ნიგნი შეუწირავს ექვთიმე თაყაიშვილის სკოლისთვის. 1899 წლის იანვარში 18 დასახელების ნიგნი გაუგზავნია. ამათგან ზოგი სამეცნიერო შინაარსისაა, ზოგი - რელიგიური, არის 3 რუსული ნიგნი, „ბ. კათოლიკოსის 150 სურათები დავითნისა (მინიატიურა)“ და „ვანის მონასტრის დავითნის 12 სურათის კოპიოები“. ამავე წლის ივლისის თვეში, აგრეთვე სკოლისთვის, 20 დასახელების ნიგნი შეუწირავს. ამის შესახებ მამა ალექსი ექვთიმე თაყაიშვილს სწერს: „ან თქვენს სკოლას ვსწირავ შემდგომ ნიგნებს, თუმცა ამათგანს ბევრს რვეულეები აკლია, სამწუხაროდ ჩემდა, ენუქის ნიგნის არ იყოს. ვერსად ვიშოვე, რომ შემემსოს. მისთვის ნუ დამემღურებით. აი, ნიგნები, ტიუკით მიიღებთ“. ამას მოსდევს ნიგნების სია. მათ შორისაა სასწაულმოქმედი ხატებისა და ძველი და ახალი აღთქმის 158 ილუსტრაციის ასლები.

ასეთი უანგარო და თავდაუზოგავი ზრუნვა სიძველეებსა და ხელნაწერებზე მღვდელ ალექსი ბაქრაძეს თავის მამულიშვილურ მოვალეობად მიაჩნდა. „მარადის მზა ვიქნები, სამშობლოს რაიმე მოუტანო სარგებლობა, რო-

მელიც ჩემი ვალია“, წერს იგი. სანაცვლოდ მოძღვარი ერთ რამეს სთხოვს ექვთიმე თაყაიშვილს: „ამისთვის ნუ დამივიწყებ, ყოვლად მონყალეო ბატონო ექვთიმე, თქვენის ძვირფასი წერილებით“. კორესპონდენციიდან ცნობილი ხდება, რომ მამა ალექსი დიდ მეცნიერს ათონის ქართველთა მონასტრის კრებულის სახელით სთხოვს, გამოუგზავნოს დეკანოზ გიორგი ხელიძის მიერ „სასულიერო მახარებელში“ დაბეჭდილი „ღვთის-მშობლის ცხოვრება“, რომელიც მღვდელ თადეოზ კანდელაკს რუსულიდან უთარგმნია. იგი ექვთიმეს პირობას აძლევს, რომ წიგნს გადაწერენ და უკან დააბრუნებენ. ამის გარდა, სთხოვს: „ტყემაღაძის ჟამნ-გულანი თუ გადააღებე, ისიც მიბრძანეო“. 1899 წელს იოანე ღვთისმეტყველის ბერთა საძმოს მიუღია ე. თაყაიშვილის გამოგზავნილი „მელის წიგნი“, რისთვისაც მადლობას უთვლის მას.

დიდია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ერისა და ეკლესიის წინაშე. აკი ამიტომაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა 2002 წელს იგი წმინდანად შერაცხა. ექვთიმე ღვთისკაცის ხსენების დღედ განწესებულია 3 იანვარი. თუმცა, სამართლიანად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნულ სიძველეთა და სინამდვიეთა შეგროვებაში დიდ მეცნიერს, ერისკაცსა და წმინდანს მხარში ედგნენ სასულიერო პირები: წმ. ალექსანდერ ეპისკოპოსი (ოქროპირიძე), მღვდელმონაწივე კირიონი (საძაგლიშვილი), წმინდანები - ძმები ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილები, წმინდა ამბროსი აღმსარებელი (ხელაია), კათოლიკოს-პატრიარქნი: ლეონიდე ოქროპირიძე და კალისტრატე ცინცაძე, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, დეკანოზები: კორნელი კეკელიძე და პეტრე კონჭოშვილი და სხვები. მათ გვერდს უმშვენებს მღვდელი ალექსი ბაქრაძე (სქემამი - ათანასე), რომელიც სიკვდილამდე ექვთიმე თაყაიშვილის თანამოსაგრე იყო.

### წყაროები და ლიტერატურა:

1. დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი 1901: დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი, მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზე, ტფ., 1901.
2. საპატრიარქოს უწყებანი 2012: მღვდელი ალექსი ბაქრაძე, გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2012, N11.



**ARCHPRIEST MICHAEL CHABASHVILI**
**PRIEST ALEX BAKRADZE'S LETTERS**
**Summary**

Written to Academician Ekvtime Takhaishvili At the National Center of manuscripts, in the personal archives of Ekvtime Takhaishvili, are preserved seven letters (case number 1227) of priest Alex Bakradze (1835-1908).

From Mount Athens Father Alex donated many books, copies of manuscripts, miniature psalms and miracle working Icons to the school of Ekvtime Takhaishvili.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, რიგი ინოვაციური მასალის გამოვლენის საფუძველზე, მე საშუალება მომეცა, იმ დროს თრიალეთური კულტურის ფინალურ სტადიად აღიარებულ ძეგლებსა და ქრონოლოგიურად მის მომდევნოდ მიჩნეულ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისთვის მიკუთვნებულ ე.წ. ფოთლისებური სატევრისპირების კულტურას შორის დამატებით გამომიყო განვითარების კიდევ სამი ახალი საფეხური. ამის საფუძველზე ეს ორი ეპოქა სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში გენეტიკურად რეალურად დაუკავშირდა ერთიმეორეს [12: 753-756; 13: 123-206], რაც შემდგომ, ახალი მასალების მოძიებით, კიდევ უფრო მყარად იქნა დადასტურებული [9: 28-37]. შედეგად, ბუნებრივია, უარყოფილ იქნა იქამდე არსებული ქრონოლოგიური სქემის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ფაქტიურად მხოლოდ თითო-ოროლა დეტალის მსგავსებაზე დაფუძნებით, ქრონოლოგიურად ერთიმეორესთან უშუალოდ იქნა მიახლოებული, სინამდვილეში განვითარების სამი ფაზით დაშორებული, ერთი და იგივე კულტურის განვითარების ეტაპები [1: 115-140]. ეს, ბუნებრივია, თავისთავად რიგ მნიშვნელოვან პრობლემებზე არასწორი დასკვნების გამოტანის საფუძველად იქცა.

ამ ცვლილების დროს სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ბრინჯაოს ხანის კულტურის ქრონოლოგიური სქემის საწყის ნაწილში თავიდანვე, მცირე მასალის საფუძველზე, შუაბრინჯაოს ხანის ფინალური ფაზის არსებობაც ივარაუდებოდა. შემდგომ ეს მრავალი, კარგად დოკუმენტირებული მასალითაც დადასტურდა თრელის სამაროვანზე [2: 48-71]. უკვე ამ აღმოჩენების შემდგომ ჩვენმა სომეხმა კოლეგებმა ეს სიახლეები შენიშნეს სომხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი მასალების მიხედვითაც, რაც უკვე მცირე კავკასიონის მთიანეთის ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი და მეორე ნახევრის ძეგლების თანამიმდევრულ განვითარებას დაუდეს საფუძველად [16: 53-74; 17: 90-91].

ყოველივე ამან, ცხადია, სრულიად ახალი ელფერი შესძინა სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძვ. წ. II ათასწლეულის კულტურათა გენეზისსა და ქრონოლოგია-პერიოდიზაციის კვლევას, რამაც საშუალება მოგვცა ახალი განზომილებებით გვემსჯელა ამ მხარის წარსულზე. მაგრამ მაშინ არც მე და არც სხვა ავტორებს, ვინც რიგი ინოვაციური მონაცემების მიხედვით მხარი დაუჭირა ჩემ მიერ შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის განვითარების სამი ახალი საფეხურის გამოყოფას, ყურადღება არ გაგვიმახვილებია ადგილობრივი კულტურებისგან ამ მკვეთრად განსხვავებულ სიახლეთა წარმომავლობაზე.

რატომღაც განსასაჯელად არ დამდგარა არც ის, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის შუაბრინჯაოს ხანის ტიპურ ადგილობრივ კულტურებს შორის უეცრად ჩნდება სევან-უზერლიკის ტიპის ძეგლები, რომლის სამეთუნეო ნაწარმი თითქმის მხოლოდ მწკრივებად განლაგებული ნაქდევნი ნერტილებით და ნახაზის მკაცრად რეგლამენტირებული, ადგილობრივისგან განსხვავებული სახეებით არის შემკული [27: 388-430; 28: 74-102].

შავი ზღვის ჩრდილო რეგიონის სტეპური ზონის მასალების საგანგებო გაცნობის შემდეგ, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ შუაბრინჯაოს ხანაში და უფრო მის მიწურულს, სამხრეთ კავკასიის კულტურებში გაჩენილ ამ სიახლეთა დიდი ნაწილი კავკასიონის ქედს მიღმა გავრცელებულ კატაკომბურ კულტურასთან უშუალო კონტაქტის შედეგი შეიძლება იყოს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ვარაუდს სრულიად რეალური საფუძველი აქვს და მრავალი ფაქტობრივი მასალით დასტურდება. ძვ.წ. II ათასწლეულის მთელი პირველი ნახევარი ეს კატაკომბური კულტურის განსაკუთრებული აღმასვლის პერიოდია, როდესაც იგი მენინავეობს შავი ზღვის ჩრდილო უზარმაზარ ტერიტორიაზე, მთელ სტეპურ ზონაში დნეპრიდან ვოლგის აუზის ჩათვლით და ამ მიმართულებით სამხრეთ ურალსაც აღწევს [38: 21-60; 39: 161-177; 23: 35-48; 19: 2001; 32: 100-112; 36: 11-121; 44; 40; 55 და სხვ].

ამ პერიოდში კატაკომბელთა გარკვეული დაჯგუფების ერთ-ერთი მთავარი სამეურნეო საქმიანობა ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოება უნდა ყოფილიყო [32; 33: 40-42; 34: 100-112; 36: 111-121; 24: 254-261; 25: 6-21; 41: 210-213 და სხვ.].

ამასთან დაკავშირებით, დასაშვებია, ბორბლიანი ტრანსპორტის მქონე კატაკომბელების შეუჩერებელი ლტოლვა აღმოსავლეთით ურალის ქედის, სამხრეთით კი დიდი კავკასიონის ქედისკენ და მცირე კავკასიონის მთიანეთისკენ, ბრინჯაოს მეტალურგიისათვის აუცილებელი მადნის საძიებო მიზნითაც ხდებოდა. ეს, როგორც შევნიშნეთ, არაერთი ავტორის მიერ არის საკმაოდ დამაჯერებლად დასაბუთებული. კაცობრიობის ისტორიაში მოსახლეობის გარკვეული მასების გადაადგილება ამ მიზნით არცთუ იშვიათად ხდებოდა. ერთდროულად უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ამ მოძრაობას დამპყრობლური ხასიათი არც ჰქონდა და სამეურნეო საქმიანობით ერთობლივი დაინტერესების საფუძველზე მშვიდობიანი ინფილტრაციით იფარგლებოდა. ამაზე მათ მიერ განსახლებულ ტერიტორიებზე არქეოლოგიური ძეგლების ხასიათი



მიგვითითებს, რომელიც კულტურათა მშვიდობიანი შერწყმით სრულდებოდა. ერთი კი სრულიად ცხადია, რომ ისინი დასაწყისში, სულ მოკლე დროის განმავლობაში, ამ ხასიათის მოძრაობით იკავებენ მთელ ჩრდილო კავკასიას და სრულად ერწყმიან ადგილობრივ მოსახლეობას. კატაკომბელთა მიერ კავკასიონის ქედის გადალახვის შესაძლებლობაზე მიუთითებს მათი უშუალო მიახლოება დიდი კავკასიონის ულელტეხილებთან ჩრდილოეთის მხრიდან როგორც ქედის დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ მონაკვეთში [33: 40-42; 34: 65; 30: 167-203; 31: 92-96].

არსებული მასალების მიხედვით, კატაკომბელები თავიდანვე, ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში, არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და კავკასიონის ქედის უმთავრესი გადასასვლელით – თერგის ხეობით, ჯვრის ულელტეხილით და არაგვის აუზით მათი დიდი მასების ინფილტრაცია ხდება სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილშიც. როგორც აღვნიშნეთ, იგივე პროცესის არსებობა შეიძლება ვიგულისხმოთ სამხრეთ კავკასიის დასავლეთ მონაკვეთშიც. ეს თავდაპირველად მკვეთრად აისახა სამხრეთ კავკასიის მატერიალურ კულტურაში და ნაწილობრივ უცვალა მას სახე. შემდგომაც, სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში შუაბრინჯაოს და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალ პერიოდში და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე, მათი აქ არსებობა საგრძნობია. გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან კი, დაახლოებით ძვ.წ. XII საუკუნიდან, როგორც ჩანს, შემოსული ელემენტი უკვე მთლიანად კარგავს თავის ტრადიციულ ნიშან-თვისებებს, სრულ ასიმილაციას განიცდის, ერწყმის ავტოქტონურ მოსახლეობას და მასთან ერთად ადგილობრივი კულტურის შემოქმედი ხდება.

კატაკომბელთა სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში შემოსვლა ყველაზე მკვეთრად აისახა აქ ახალი, ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიისათვის სრულიად უცხო, კატაკომბური სამარხეული კონსტრუქციების გაჩენით [42: 501-503; 43: 11]. აღსანიშნავია, რომ კატაკომბური კონსტრუქციის სამარხები ყრილით და შუაბრინჯაოს ხანის ინვენტარით აღმოჩნდა ივრის ხეობაშიც [4: 27-55].

არსებითია, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილისათვის სამარხთა ამ უცხო კონსტრუქციამ გარკვეული გავლენა მოახდინა შუაბრინჯაოს ხანის ადგილობრივი ყორღანული სამარხების დასაკრძალავი ორმოს აგებულებაზეც და რიგ შემთხვევაში უცვალა მას სახე.

ამ გავლენის ერთ-ერთი ნიშანი ისიც უნდა იყოს, რომ ამ დროს ძალიან ხშირია სამარხის ორმოების კედელში შეჭრილი თახჩები, რომელშიც მიცვალებულისთვის გატანებულ ინვენტარს და საგზალს ათავსებენ.

1 მ. კაპანაძე, ტ. ხაჩატრიანთან ერთად, არ გამოირჩევენ კატაკომბური სამარხეული კონსტრუქციის სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბებას [კაპანაძე, 1976, გვ. 27-55; Хачатрян, 1979, გვ. 10, 11]. ეს სამარხეული კონსტრუქცია არ არის სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილისთვის ტრადიციული და დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ძვ.წ. IV ათასწლეულით დათარიღებული აქ ამ ტიპის მხოლოდ ორიოდ სამარხია ცნობილი [ვარაზაშვილი, 2008, გვ. 7-24], რაც არ იძლევა საფუძველს ამდენად განმარტოვებული დასკვნების მისაღებად.

როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხების დასაკრძალავი ორმოების ნაწილს, შესაძლოა კატაკომბური კულტურის გავლენის შედეგად, ეცვლება კონსტრუქცია და ფაქტიურად კატაკომბური სამარხის იმიტაციას წარმოადგენს. ამ სამარხებში ტრადიციულად იდგმება ოთხთველა ხის ურემი (ეს წესი კატაკომბელებსაც ახასიათებთ), რომელზედაც მიცვალებულია დაკრძალული. სამარხი ორმოს აღმოსავლეთ კედლის ორივე მხარეს, კუთხეებთან შეჭრილია ღრმულები, რომელშიც ურმის გამწვევ ძალად ნაგულისხმევი ხარის თავფეხია მოთავსებული [10: 1-12; 11: 43; 56: 23-30, სურ. 6,7; 59: 15-22; 52: ტაბ. 31, 89, 122 და სხვ.).

უალრესად მნიშვნელოვანია ამ დასაკრძალავი ორმოების აღმოსავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში, გარედან, იქ სადაც ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით დრომოსი უნდა ყოფილიყო, მცირე ზომის ღრმა, ჭისებური, ნვერნამახული ორმოს ამოჭრა დამრეცი, დასაკრძალავი ორმოსკენ დაქანებული ფსკერით, კატაკომბების მსგავსად. არ უნდა გამოირიცხოს, რომ ეს დეტალი სწორედ კატაკომბურ სამარხებში ჭისებური ჩასასვლელის მინაბაძს წარმოადგენდეს.

ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილისა და კატაკომბური სამყაროს ურთიერთკავშირზე პირდაპირი მითითებაა სევან-უზერლიკის ჯგუფის მასალებთან ერთად გამოსახული ქვის ცული, რომელიც თითქოს სამთო სამუშაოებთან დაკავშირებულ იარაღს უნდა წარმოადგენდეს (Puturidze, 60. სურ. 5,4 (45)). ქვის ცულები კატაკომბური კულტურისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი იარაღია. სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში კი მათი აღმოჩენა ერთ ათეულზე მეტს ითვლის, რაც ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში ამ რეგიონების კულტურათა მჭიდრო ურთიერთობაზე უნდა მიგვითითებდეს [15: 39-43].

მაგრამ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში კატაკომბური კულტურის შემოღწევაზე შუაბრინჯაოს ხანაში ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას მაინც სამეთუნეო ნაწარმი გვანდის.

სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის კულტურების სამეთუნეო ნაწარმში ჩნდება სიახლეთა მთელი ბლოკი, რომლის უმეტესობა, როგორც ამჟამად ირკვევა, კავკასიისთვის უცხო და ჩრდილო სტეპური კულტურებისთვის ყველაზე დამახასიათებელი – მწკრივებად დატანილი წერტილების შტამპით არის შესრულებული და მათი მონახაზიც მრავალ, ზუსტ პარალელს პოულობს კატაკომბური კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე. ესენია თიხის ჭურჭლის მხარს ირგვლივ გამოსახული: ნვერდაშეებული სამკუთხედები [38: სურ. 8; 19; 21; 2001: 48. 22: 150-164 და სხვა<sup>2</sup>]; ნახევარწრეები ფუძით ქვემოთ ან ზემოთ, რომელთა შიდა

2 კატაკომბური მასალების შესახებ მკითხველს ვაწვდი ჩემ ხელთ არსებული ვრცელი ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილს, რათა დასმული საკითხის გასააზრებლად მის თვალსაწიერში მოხედდეს კონკრეტული საილუსტრაციო მასალა, რაც სტატიის მოცულობის შეზღუდულობის გამო ტექსტს თან არ ახლავს. თანადროულ კავკასიურ მასალებს კი, იმედი მაქვს, დაინტერესებული მკითხველი თვითონ მოიძიებს.

არე სხვადასხვა სახეებით არის შევსებული [46: სურ. 2 (1,2); 38: სურ. 8; 45: 86-92; 19; 20: 165-186, 2001; 47: 75-88; 57; 55, 2003]; ჭურჭლის კორპუსზე დატანილი ვერტიკალური ტეხილი ხაზების ჯგუფები, რომელიც ხშირად კორპუსის მთელ ზედაპირს ფარავს [38: სურ. 8; 39: სურ. 2(2); 19: ტაბ. XII (2); 21: სურ. 10(6); სურ. 29(4,5), სურ. 33(5), სურ. 63(13), სურ. 69(7,10), სურ. 84(2), სურ. 86(3); 20: სურ. 9(8) და სხვა].

გარდა ჩამონათვალისა, როგორც კატაკომბური კულტურის, ისე სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის შუაბრინჯაოს ხანის ფინალურ სტადიაზე, ძალიან ხშირია თიხის ჭურჭლის შემკობა მხარს ირგვლივ მწკრივებად დატანილი წერტილების შტამპით გამოსახული სხვა სახეებითაც – ტალღური, ტეხილი ხაზები და სხვა. სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში თიხის ჭურჭლის შემკობა ამ ტექნიკით ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების შემდგომ სრულიად ქრება, მთელ სტეპურ ზონაში კი, რკინის ხანის ჩათვლით, ძველი ინტენსივობით აგრძელებს არსებობას.

მე მაქვს გადაუმოწმებელი ცნობები, რომ როგორც კატაკომბურ სამყაროს, ისე სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის შუაბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიის თიხის ჭურჭელი, რომელიც მწკრივად დატანილი წერტილების შტამპით არის შემკული, ხშირად გამოწვის შემდგომ თეთრი ანგობით არის ინკრუსტირებული.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში გამოწვის შემდეგ თიხის ჭურჭლის მოხატვის ტრადიცია თეთრი და წითელი ანგობით შეინიშნება ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების კერამიკულ ნაწარმზე, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგამდე სრულიად ქრება. ბუნებრივია ამ საკითხის უფრო ღრმა გააზრებამ მეტი სიცხადე უნდა შეიტანოს სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის ურთიერთობის გარკვევაში.

ჩემ მიერ დასმული პრობლემის შესწავლას უფრო პერსპექტიულს ხდის მონაცემთა კიდევ ერთი ბაზა. როგორც ცნობილია, სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკული ნაწარმი ძირითადად სამეთუნეო მორგეზეა დამზადებული და განსაკუთრებით მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მაგრამ, როგორც ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, მის ფინალურ ეტაპზე ამ მასალებს შორის ჩნდება, მართალია მორგეზე დამზადებული, მაგრამ სრულიად სხვა იერსახის უხეშედაპირიანი თიხის ჭურჭელი, რომელიც მსგავსია კატაკომბური კულტურის გარკვეული სამეთუნეო ნაწარმისა. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში კატაკომბელთა გამოჩენაზე სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში თითქოს ესეც უპირობო მითითებაა.

ამგვარად, ყოველივე ამ მონაცემის გათვალისწინებით, ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში კატაკომბური კულტურის მატარებელი საზოგადოების ინფილტრაცია სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში თითქოს ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს. ერთდროულად იგი თითქოს იმდენად ყოვლისმომცველი უნდა ყოფილიყო, რომ დასაშვებია, მათი ჯგუფები, რომლებიც მეტალურგიულ წარმოებაში ჩრდილოელთა ინტერესების განხორციელების

მაორგანიზებელნი უნდა ყოფილიყვნენ, კომპაქტურადაც კი სახლდებოდნენ. შესაძლოა, ამის დამადასტურებელი იყოს დიდი ტაძარი სამოსახლოთი „ტახტიფერდა“ აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. დედოფლისწყაროს მახლობლად, სოფ. თავწყაროსთან და ყარაბაღში, ქ. აგდამთან ნამოსახლარი ბორცვი „უზერლიკ თეფე“ [27: 388-430; 28: 74-102]. ორივე ეს ძეგლი წარმოდგენილია კატაკომბური კულტურისათვის დამახასიათებელი, ოდნავ სახეცვლილი კერამიკული ნაწარმით, რომელთა კომპლექსებშიც სრულიად არ ჩანს ადგილობრივი შუაბრინჯაოს ხანის კულტურებისთვის ჩვეული თიხის ჭურჭლის არც ერთი ფრაგმენტი.

ბუნებრივია, ორივე ამ არქეოლოგიური ობიექტის მკვიდრთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ, ჩემ მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ ისინი კატაკომბური კულტურის მატარებელ, სამხრეთ კავკასიაში შემოღწეულ მიგრანტებს უნდა ეკუთვნოდნენ, მტკიცებულების სახეს ჯერ ვერ მიიღებს, თუმცა კერამიკული ნაწარმის ორნამენტაციის ერთგვაროვნებას და მის თითქმის იდენტურ ხასიათს კატაკომბურ მასალებთან, ძნელია სხვა ახსნა მოეძებნოს.

იმას, რომ ამგვარი დასკვნის გამოტანა დასაშვებია სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, შესაძლოა ისიც უჭერდეს მხარს, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში, ამ რეგიონის ჩრდილო ნაწილში, ივარაუდება თავის სამშობლოში შესაძლოა, სწორედ კატაკომბელთა მიერ შევიწროებული, ჩრდილო კავკასიელების მცირე, მაგრამ კომპაქტური დასახლებების გაჩენა ნულთან და ქვასათალთან [14: 63-65]. ვფიქრობ, ჩემი ვარაუდის დასადასტურებლად, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება „ტახტიფერდასა“ და „უზერლიკ-თეფესთან“ სამაროვნების აღმოჩენა და მათი ძვლოვანი მასალის შესწავლა ინტერდისციპლინარული მეცნიერებების ყველა ახალი მიმართულებით. ამ საკითხზე გარკვეული პასუხის მიღება, ვფიქრობ, მეცნიერებს რეალურ საფუძველს შეუქმნის სამხრეთ კავკასიის ამ მხარეში არსებული ვეინახურ-დალესტური ტოპონიმების სწორი გააზრებისთვისაც [5; 7; 8].

ზოგიერთი ფაქტობრივი მასალა გვაგვარაუდებინებს, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში შემოღწეული კატაკომბელები, საკმაოდ მოგვიანებითაც ინარჩუნებენ თავის ინდივიდუალობას და ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებშიც აგრძელებენ აქ კომპაქტურ ცხოვრებას. კერძოდ, ამაზე უნდა მიგვითითებდეს ართიკის სამაროვანი, რომელიც მხოლოდ კატაკომბური კონსტრუქციის სამარხებით არის წარმოდგენილი [49: 5-217]. მიუხედავად იმისა, რომ აქ აღმოჩენილი ინვენტარი მთლიანად ტიპურია ადგილობრივი კულტურისათვის და კატაკომბური კულტურის გავლენის აღარავითარ ნიშანწყალს არ ატარებს, ჩვენი აზრით, მაინც საკმაო საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აქ, გვიანბრინჯაოს ხანის სანყის პერიოდშიც, ჯერ კიდევ კატაკომბელთა შთამომავლობა სახლობდა, ვინაიდან შენარჩუნებულია ყველაზე მყარი, დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ტრადიცია – მიცვალებულის კატაკომბური კონსტრუქციის სამარხში დაკრძალვა, რაც მთელი იმდროინდელი ადგილობრივი სამყაროსთვის სრულიად უცხოა.

ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანში აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ზოგიერთი ყორღანული სამარხის თიხის ჭურჭელი [18:

სარიჯანის ჯგუფი, ყორღანი №2,3; დაშოუზის ჯგუფი, ყორღანი № 4, სურ. LII-LXVII] სრულიად განსხვავდება ადგილობრივი თანადროული სამეთუნეო ნაწარმისგან და მხოლოდ მწკრივულად განლაგებული ნაქდევნი წერტილოვანი ორნამენტის მრავალი სახეობით არის შემკული.

ისინი ორნამენტის დატანის ამ ტექნიკურ ხერხთან ერთად, ჯერ კიდევ ინარჩუნებენ კატაკომბური კულტურისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ ნახაზსაც. ეს თითქოს იძლევა იმის შესაძლებლობას ვიფიქროთ, რომ სამხრეთ კავკასიის ამ მხარეშიც ძვ.წ. XIV-XIII სს. ჯერ კიდევ არსებობდა კატაკომბელთა კომპაქტური დასახლებები თავისი ტრადიციებით.

როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში კატაკომბური სამარხების კონსტრუქცია, როგორც ძალიან იშვიათი გამოწვევის, უფრო გვიანაც არსებობს [37: 69-77]. მაგრამ ეს, ბუნებრივია, სრულიად სხვა ისტორიული პროცესის ჩრდილში უნდა იყოს განხილული.

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, დასაშვებად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში კავკასიასა და ჩრდილო სტეპურ სამყაროს კულტურებს შორის კავშირის გააქტიურება ძირითადად მეტალურგიული წარმოების სფეროში ურთიერთინტერესებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. სამხრეთ კავკასიაში ამ დარგის განსაკუთრებული წინსვლა კი, რომელმაც არსებითი ცვლილება გამოიწვია მთლიანად კულტურის განვითარებაში, ბრინჯაოს მეტალურგიის ნედლეულზე ჩრდილოელთა დიდ მოთხოვნილებას უნდა განეპირობებინა. ამ მყისიერი წინსვლის ამკარა მაუწყებელია კავკასიაში, გვიანბრინჯაოს ხანიდან, მეტალურგიული წარმოების განუზომელი ზრდა და ტექნიკური პროგრესი, რაც მის მაღალხარისხოვან და განსაკუთრებით მრავალრიცხოვან პროდუქციაშია ასახული.

ეს პროცესი, ბუნებრივია, კავკასიაში დემოგრაფიული აფეთქებისა და საზოგადოების სოციალური ცხოვრების დანიწარუნების კატალიზატორად უნდა ქცეულიყო. მან ეს მისია შეასრულა კიდევც. კავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები ამის ნათელი დადასტურებაა.

ჩემ მიერ შემოთავაზებული კვლევის ახალი მიმართულება კავკასიის სიძველეთა გასააზრებლად ჯერჯერობით საკითხის დასმის ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ ვფიქრობ, იგი არ უნდა იყოს მოკლებული რეალობას და მიმაჩნია, რომ ამ სამუშაოების გააქტიურება მრავალმხრივ პერსპექტიული იქნება კავკასიის უძველესი წარსულის სწორად შესაცნობად.

### წყაროები და ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ, ტ. XIX-A და XXI-B. თბ., 1957.
2. აბრამიშვილი რ. თრელის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი. კრებული თბილისი I, არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1978.

3. ვარაზაშვილი ვ. მდინარე ივრის ზეგნის კატაკომბური სამარხების დათარიღებისათვის. „ამირანი“, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, XIX, თბილისი-მონრეალი, 2008.
4. კაპანაძე მ. ივრისპირების ბრინჯაოს ხანის სამაროვნები, კაც შრომები VI, თბ., 1976.
5. მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
6. მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ.წ. II-I ათასწლეულები), თბ., 1974.
7. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977.
8. მუსხელიშვილი დ. ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემა, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბ., 2002.
9. რამიშვილი აღ. შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი. „ძიებანი“, № 6. თბ., 2000.
10. სადრაძე ვ., მურვანიძე ბ. ნატახტარი I, შუაბრინჯაოს ხანის სამაროვანი (პრეპრინტი), თბ., 1991.
11. სადრაძე ვ. მცხეთის და მისი შემოგარენის ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2002.
12. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის გენეზისისა და პერიოდიზაციის საკითხები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 65, № 3, თბ., 1972.
13. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VIII სს.), თბ., 1973.
14. ჯაფარიძე ო. შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან. თბ., 2009.
15. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბ., 2007.
16. Арешян Г.Е., Оганесян В.Э., Мурадян Ф.М., Аветисян П.С., Петросян Л.А. Конец среднего бронзового века в междуречье Аракса и Куры. Историко-филологический журнал, № 1 (128), Ереван, 1990 .
17. Арешян Г., Оганесян В., Мурадян Ф., Аветисян П. Среднебронзовый III период и начало позднего бронзового века в междуречье Аракса и Куры. В сборнике – Кавказ в системе раннеметаллических культур Евразии, III, Тбилиси, 2003.
18. Ахундов Т. Северо-западный Азербайджан в эпоху энеолита и бронзы. Баку, 2001.
19. Братченко С.Н. Нижнее Подонье в эпоху средней бронзы (периодизация и хронология памятников), Киев, 1976.
20. Братченко С.Н., Швецов М.Л. Северскодонецкие катакомбные погребения на реке Красная. В сборнике – Катакомбные культуры Северного Причерноморья. Киев, 1991.
21. Братченко С.Н. Донецька катакомбна культура ранього металу. Частина I, Луганськ, Шлях – 2001.
22. Гершкович Я.П., Сердюков И.Л. Ямные и катакомбные погребения Донецкого курганного могильника. В сборнике - Катакомбные культуры Северного Причерноморья. Киев, 1991.

23. Изрусалимская А.А. О предкавказском варианте катакомбной культуры, СА, № 2, 1958.
24. Клошинцев В.Н. Погребения литейщика на реке Ингулея. Сборник - Катакомбные культуры Северного Причерноморья. Киев, 1991.
25. Кубышев А.И., Нечитайло А.Л. Центры металлообрабатывающего производства Азово-Черноморской зоны (к постановке проблемы). Сборник - Катакомбные культуры Северного Причерноморья. Киев, 1991.
26. Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды (Археологические изыскания в Рионской низменности и на Черноморском побережье 1935 и 1936 годов), II, Тб., 1950.
27. Кушнарера К.Х. Поселение эпохи бронзы на холме Узерлик-Тепе, около Агдама. Материалы и исследования по археологии СССР, № 67. Труды Азербайджанской (Оренкалинской) экспедиции, Москва-Ленинград, 1959.
28. Кушнарера К.Х. Новые данные о поселении Узерлик-Тепе, около Агдама. Материалы и исследования по археологии СССР, №125. Труды Азербайджанской экспедиции, Москва-Ленинград.
29. Микеладзе Т.К. К археологии Колхиды (эпохи средней и поздней бронзы – раннего железа), Тб., 1990.
30. Мунчаев Р.М. и Смирнов К.Ф. Памятники эпохи бронзы в Дагестане, СА, 1956, XXVI.
31. Мунчаев Р.М. Катакомбная культура и Северо-Восточный Кавказ. В сборнике – Новое в советской археологии, Материалы и исследования по археологии СССР, № 130, Москва, 1965.
32. Нечитайло А.Л. Верхнее Прикубанье в бронзовом веке, Киев, 1978.
33. Нечитайло А.Л. Формирование центров металлообработки в Северном Причерноморье (средняя бронза). Башкапсарский полевой семинар – медные рудники Западного Кавказа в III-I тыс. до н.э. и их роль в горнометаллургическом производстве древнего населения. Тезисы докладов. Сухуми, 1988.
34. Нечитайло А.Л. Связи населения степной Украины и Северного Кавказа в эпоху бронзы, Киев, 1991 (а).
35. Нечитайло А.Л. Верхнее Прикубанье в бронзовом веке, Киев, 1991 (б).
36. Нечитайло А.Л. Развитие взаимоотношений племен степной Украины и Кавказа в эпоху средней бронзы. В сборнике – Кавказ в системе раннеметаллических культур Евразии, III, Международный симпозиум (Сагареджо), Тб., 2003.
37. Петросян Л.А. Раскопки памятников Кети и Воскаска (III-I тыс. до н.э.), Ереван, 1989.
38. Попова Т.Б. Этапы развития и локальные варианты катакомбной культуры, СА, XXII, М., 1955.
39. Попова Т.Б. К вопросу о курильницах «северокавказского типа», СА, № 1, 1957.
40. Пряхин А.Д. Поселения катакомбного времени лесостепного Подонья, Воронеж, 1982.
41. Путуридзе М. Традиции и инновации в Триалетской культуре эпохи средней бронзы. В сборнике – Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, II, Тб. 1991.
42. Садрадзе В.Г., Давлианидзе Р.В., Шаншашвили Н.Э., Хубулури Н.Т. Катакомбные погребения Центрального Закавказья. Сообщ. АН Грузии, 136, №2, Тб., 1989.



43. Садрадзе В. Археологические памятники «Мицхета Великой» эпохи средней бронзы (Вопросы хронологии и периодизации памятников Шида Картли), Тб., 1993.
44. Санжаров С.Н. К вопросу о культурно-хронологическом членении катакомбных памятников Северного Дона, СА, 1991, № 3.
45. Свешников И.К. К вопросу о сходстве и различии Тшанецкой и Комаровской культур. Новое в советской археологии. М., 1965.
46. Смирнов К.Ф. Древняя культура в Оренбургских степях. Новое в советской археологии. М., 1965, с. 156-159, рис. 2(1,2).
47. Тихонов Б.Г., Матвеев Ю.П. Университетские поселения среднедонской катакомбной культуры в пойме р. Воронеж. Эпоха бронзы Волго-Уральской лесостепи, Воронеж, 1981, с. 75-88.
48. Трифонова В.А. Батуринский вариант предкавказской катакомбной культуры. Сборник – Катакомбные памятники Северного Причерноморья, Киев, 1991, с. 101-116.
49. Хачатрян Т.С. Материальная культура древнего Артика. Ереван, 1963.
50. Хачатрян Т.С. Артический некрополь (Каталог). Ереван, 1979, с. 10-11.
51. Apakidze J. Die Spätbronze – und Früheisenzeit in West- und Zentralkaukasien (Chronologische Studien zur Kolchis-Kultur 1600-700 v. Chr. Prähistorische Archäologie in Südosteuropa. Band 24. Teil I und II, Rahden/Westf. 2009.
52. Bertram J.K. Grab und Bestattungssitten des Späten 3. und des 2. Jahrtausends v. Chr. im Kaukasusgebiet, Langenweissbach, 2003.
53. В. Hänsel. Beiträge zur Chronologie der mittleren Bronzezeit im Karpaten becken. Teilen I und II, Bonn, 1968.
54. В. Hänsel. Beiträge zur regionalen und chronologischen Gliederung der älteren Hallstattzeit an der unteren Donau. Teilen I und II, Bonn, 1976.
55. Kaiser E. Studien zur Katakombengrabkultur zwischen Dnepr und Prut. Archäologie in Eurasien, Band 14, Mainz am Rhein, 2003.
56. Mansfeld G., Pischelauri K. Die erste Grabungskampagne auf dem Tgisbolo Gora in Kachetien (September/Oktober 1991), "Georgica", 15. Jahrgang, 1992, Konstanz, s. 23-30, Zeichn. 6,7.
57. Nagler A. Kurgane der Mozdok-Steppe in Nordkaukasien. Archäologie in Eurasien, Band 3, Espelkamp, 1996.
58. Parzinger H. Studien zur Chronologie und Kulturgeschichte der Jungstein-, Kupfer- und Frühbronzezeit und Mittleren Taurus, Teilen I und II, Mainz am Rhein, 1993.
59. Pischelauri K., Orthmann W. Der Kurgan "Tetri Kwebi I", "Georgica". Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens. Jahrgang, 1992; Heft 15, s. 15-22.
60. Puturidze M. Social and Economic Shifts in the South Caucasian Middle Bronze Age. Archaeology in the borderlands: investigations in Caucasia and beyond. Monograph series 47. Los Angeles, 2003, p. 111-127.

KIAZO PITSKHELARI

## SOUTH CAUCASUS AND STEPPE WORLD IN THE MIDDLE BRONZE AGE

### Summary

According to the North Caucasian archaeological materials in the first half of the II Millennium BC Catacomb culture tribes actively moved ahead to the South, with a purpose of finding an industrial raw material for the bronze metallurgy. New studies confirm their presence in the South Caucasus, caused by the strong innovation wave, which overflowed all the Caucasian cultures.

Apparently, intensive development of this infiltration process was based on the mutual interest: maximum processing of the South Caucasian copper deposits on the one hand, and realization of the extracted raw materials on another.

It should be thought that particularly great need for this material has become a driving force of the spasmodic development of metal producing in the South Caucasus and became the catalyst of demographic explosion and fast promotion in the social sphere.

The results of this progress which took place in the end of the Middle Bronze Age were fully manifested only in the Late Bronze Age.

Interaction between Caucasus and Steppe World was so intensive that in the first half of II Millennium B.C. the settlements, compactly populated with Catacombsians arose. Residential sites of this kind continue to exist as well at a later time (Artic), where steppe traditions are preserved only in part.

Thus, in Caucasian studies the question of so close communication between South Caucasus and the Northern Steppe World during a Bronze Age is raised for the first time. This process significantly changed a rhythm of development of the South Caucasian cultures, which demands new judgment of many issues of the past. Therefore, here the author confines himself only to the statement of the problem.

К. Н. ПИЦХЕЛАУРИ

## ЮЖНЫЙ КАВКАЗ И СЕВЕРНЫЙ СТЕПНОЙ МИР В ЭПОХУ СРЕДНЕЙ БРОНЗЫ

### Резюме

По северокавказским археологическим материалам установлено, что в первой половине II тыс. до н.э. племена катакомбной культуры активно продвигаются на юг, с целью поиска промышленного сырья для бронзовой металлургии. Новые исследования подтверждают их присутствие на Южном Кавказе, что сильной инновационной волной захлестывает все кавказские культуры.

Можно предположить, что интенсивное развитие этого инфильтрационного процесса основывалось на обоюдной заинтересованности, с одной стороны, в

максимальной обработке южнокавказских медных месторождений, а с другой – в реализации добытого сырья.

Особо большая потребность северян, нужно думать, стала движущей силой скачкообразного развития в металлопроизводстве Южного Кавказа. Не исключено, что именно это явилось катализатором демографического взрыва и быстрого продвижения вперед в социальной сфере современного ему общества.

Результаты этого прогресса в конце среднебронзовой эпохи полностью проявились лишь в последующем периоде, в эпоху поздней бронзы.

Взаимоотношения между югом и севером были настолько широко-масштабными, что в первой половине II тыс. до н.э. в центральной части Южного Кавказа появляются поселения, компактно заселенные катакомбийцами. Жилые объекты такого характера местами продолжают существовать и в более позднее время (Артик), где степные традиции сохраняются лишь частично.

Таким образом, в кавказоведении впервые ставится вопрос о столь близкой связи Южного Кавказа с северным Степным Миром в эпоху бронзы. Этот процесс существенно изменил ритм развития южнокавказских культур, что требует нового осмысления многих кардинальных вопросов прошлого. Поэтому здесь автор ограничивается лишь постановкой этой проблемы.

## გიორგი გიგაური

### პიქტოგრაფიი და კოსმოლოგია

#### შესავალი

საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეთნოგრაფია ადრიდანვე იქცევედა მკვლევართა ყურადღებას. ამ რეგიონში შემორჩენილი წინაქრისტიანული და ადრექრისტიანული საკულტო ძეგლები და რიტუალები ღრმად გვახედებს იბერიულ-ქართული ისტორიის ფესვებში. გამოცემულია ნაშრომები, მათ შორის ავტორებია: ვაჟა-ფშაველა, ნ. ურბნელი, დ. პავლიაშვილი, ვ. ბარდაველიძე, ბ. გაბური, ა. შანიძე, გ. ჩიტაია, ს. ბედუქაძე, ს. მაკალათია, ალ. ოჩიაური და სხვა. მკვლევარების აზრით, ტრადიციების სანყისი საღვთო წარმოდგენებიდან იღებდა სათავეს. ენათმეცნიერების, ისტორიკოსების, პალეოგრაფების, თეოლოგების და არქეოლოგების კვლევები, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სფეროს სხვადასხვანაირ მონაცემებს შეიცავს, საერთო აზრია, ამ რეგიონში შემორჩენილი ტრადიციული ფორმები უძველესია და მომავალში ფუნდამენტური კვლევები უნდა გაგრძელდეს და გაიზარდოს, რათა ეთნოგრაფიული უძველესი რიტუალების და წესების იდენტიფიცირება მოხდეს.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა კვლევების ჩატარების შემდეგ საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის რეგიონი კვლავ იქცევა ჩვენს ყურადღებას. აქ შემორჩენილი ასტრალური ხასიათის პიქტოგრაფიები, რომელიც საკულტო ძეგლებშია და მთებზე ჯერჯერობით აუხსნელი დანიშნულების წრიული ნაგებობები, მოითხოვს ღრმა შესწავლას.

2008 წელს ამ რეგიონში შედგა ექსპედიცია და ჩატარდა კვლევა საკულტო ძეგლებზე და ამ ძეგლებთან არსებულ ციხე-კოშკებზე შემორჩენილი, მეორადი გამოყენების ქვებზე ამოჭრილ პიქტოგრაფებთან დაკავშირებით. მოხდა უმეტესი ნაწილის პასპორტიზაცია, სისტემატიზაცია, ფოტოგრაფირება და მომზადდა შესაბამისი რუკები. ჩატარდა კონფერენცია და გამოიცა კონფერენციის შრომები, „ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ [20].

2012 წლის აგვისტოში ამავე რეგიონში ჩატარდა მოკლევადიანი სავლელ სამუშაოები, რომელიც მთებზე ჩადგმული ქვების („სამანის“ ქვების) და წრიული ნაგებობების აღწერას და მათ კლასიფიკაციას ეხებოდა. მთა მტკიცედ ინახავდა და ნაწილობრივ დღემდე ინახავს უძველეს ტრადიციებს, მათ შორის საღვთო წარმოდგენებს, წესრიგს. ხალხის ყოფა-ცხოვრება დამოკიდე-

ბული იყო წინაპართა გამოცდილი ცხოვრების წესზე. ამ რეგიონში გვხვდება მთებზე ჩადგმული ქვები და წრიული ყორე-ნაგებობები, რომელიც ზღვის დონიდან 2800- 3000 მეტრზეა. მათი უმეტესობა ლანდშაფტთან მიმართებაში ერთნაირად განლაგებულია (სამხრეთითაა მიმართული). მათ შესახებ ზეპირი ინფორმაცია აღარ არსებობს. წრიული ნაგებობები ძირითადად ჩაშლილია და დარღვეულია. მათ შიგნით ზოგან, ნაქცეული გრძელი ქვაც მოწმდება. ასევე მთებზე ჩადგმული ქვა-სამნების მდგომარეობაც, მათგან ზოგიერთი სალოცავთანაა დაკავშირებულია, მაგალითად, პირაქეთა ხევსურეთის სოფელი გველეთის 7 ქვა-სამანი, რომელიც „მთავარანგელოზის“ სალოცავის ტერიტორიაზეა. ქვა-სამნები მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად იყო ჩადგმული და მათი მდებარეობა ლანდშაფტთან მიმართაც ტრადიციული ჩანს. 2012 წელს კვლევა ჩავატარეთ სალოცავის ფსადების აღსაწერად (გეოგრაფიული მდებარეობა) და ასევე დაეადასტურეთ სალოცავი ნიშების ადგილები (მონაცემები ძირითად ნაწილშია). ძველ სალოცავებში შემორჩენილი სკრიპტული ნიშნების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მათი მიმართება ადგილობრივ რიტუალურ წესებთან, წრიული ყორეების აღწერა და მათი საკულტო წარმოდგენასთან კავშირი, ძველი ხალხის ცოდნა - წარმოდგენების ახსნა ახალ სიტყვას იტყვის ასტრონომიული ცოდნის შესახებ.

ასტრალური სიმბოლოების ტრადიცია მოდიოდა უხსოვარი დროიდან და მათი ჩართულობა ხალხური საკულტო დღეობების დროს ერთ-ერთი მთავარი საკვლევი მასალაა. საკულტო ძეგლებზე, ტანისამოსზე, სახლის ინტერიერში, პურ-საწირებზე, სამეურნეო და საბრძოლო იარაღებზე ხშირად ვხვდებით ასტრალურ სიმბოლოებს, რომელთაც ქართულად „ღვთაებრივი“ ნიშნები ეწოდებოდა ძველი დროიდან. ყოველი ნიშან-სიმბოლო მეორდება (სისტემურია) სხვადასხვა სოფელში და სხვადასხვა ობიექტზე. მათ შორისაა სპირალური, გასხვიებული და წრიული პიქტოგრამები და სხვა გეომეტრიული ფიგურები. ჩვენი კვლევის ობიექტს შეადგენს ადგილობრივ ქართულ დიალექტურ (ფხოური) ენაში შემონახული ისეთი სახელწოდებები და ტერმინები, რომელიც ასტრალურ ხასიათს შეესაბამება, მათ არქაულ სემანტიკას წარმოაჩენს და რწმენითი საფუძველიც შერჩენილი აქვს. მკვლევართა ზოგადი მოსაზრებები ასეთ საკითხთან მიმართებაში 1920-იანი წლებიდანაა ცნობილი. ამ ნაშრომთა შედარება თანამედროვე გამოცდილების კვლევებთან, დღეს აქტუალურია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ძეგლების და ასტრალური (ღვთაებრივი) სიმბოლოების შედარება, საერთო ძველ ქართულ მატერიალურ კულტურის ძეგლების სიმბოლოებთან საინტერესოა, მათ შორის ქართული დარბაზის დედაბოძის ორნამენტებთან, რომელიც ცნობილია X- XI საუკუნის ნიმუშებით [1: 16; 23].

### პიქტოგრაფიული ნიშნების და კოსმოლოგიური ცოდნის კვალი ქართულ სამყაროში

სხვადასხვა კულტურაში ინდივიდუალურად ვითარდებოდა ინფორმაციის გადასაცემი ხერხები და საშუალებები. უძველესი დამწერლობა შეიქმნა



სურ. 1.

შუამდინარეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში და ხმელთაშუაზღვისპირეთში. იმდროინდელი ეკონომიკური განვითარებისთვის დამახასიათებელი სიმბოლონიშნები, რომელიც მოცემულია სისტემური დამწერლობის ნიშნებში, ასახავს ძველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებს და ღირებულებას. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევებით ბევრი საინტერესო მასალა გამოვლინდა, მათ შორის, დეკორული და ინფორმაციის გადასაცემი სიმბოლო-ნიშნები. მათი ნაწილი აპოტროფიული დანიშნულებისაა. გეომეტრიულ ორნამენტებთან დაკავშირებით ბევრი მკვლვარი მუშაობდა, მათ შორის: რ. შემერლინგი, გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ირ. სურგულაძე და სხვები. ყველა აღიარებს, რომ „გეომეტრიული ორნამენტები საქართველოში ოდითგანვე იყო გავრცელებული“ [8]. პიქტოგრამების მიმართ სპეციალური გამოკვლევა და ყურადღების მიქცევა გვიან მოხდა, გამოვიდა აღწერითი სახის მონოგრაფია ქართულ-ინგლისურ ენაზე „ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ [20]. დღევანდელი მონაცემებით დაფიქსირებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი, ხევი) 165 ნიშნის ექვა, რომელზეც 900-ზე მეტი ერთეული გამოსახულებაა ამოჭრილი. ძირითადად 40-45 სიმბოლო-ნიშანია და აქედან განმეორებადი 20-ზე მეტი ნიშანია. ფიქსირდება ლიგატურა გამოსახულებები. პიქტოგრაფიული ან სკრიპტოგრაფიული (ფარული ნიშანი) ნიშნები მსგავსია ფშავ-ხევსურულ-თუშური გეომეტრიულ-დეკორულ ორნამენტებთან, რომელიც ცნობილია თავისივე სახელწოდებებით. პიქტოგრამებში წამყვანია ასტრალური ხასიათის სიმბოლო-ნიშნები (იხ. სურ 1).

ფარულ ნიშნებში ძირითადად ასტრალური („ღვთაებრივი“ ხალხური, გადმოცემით) ხასიათის ფიგურებია და მათი მხატვრული ხასიათი მსგავსია ქართული დარბაზის დედაბოძის ორნამენტებთან და დასავლეთ საქართველოს სარიტუალო (ლიფანალურ) სიმბოლოებთანაც, ასევე „ზედაშეს“ ღვინის ქვევრის სიმბოლო-ორნამენტებთან. 2012 წლის მონაცემებით, აღმოსავლეთ მთიანეთში ძირითადი ასტრალური პიქტოგრაფიული სიმბოლო-ნიშნების რაოდენობა (ქვაზე ამოკვეთილი) 4 ათეულს აღემატება. ძირითადი ფიგურები გეომეტრიულია და მათი უმეტესობა დეკორულ ორნამენტებშიც გამოიყენება დღემდე, ტანისამოსზე, ფარდაგებზე, ხის მხატვრულ დამუშავებაში. სალოცავებთან დაკავშირებულ ციხე-კოშკებზე პიქტოგრაფიული ღვთაებრივი სიმბოლოებია შემორჩენილი, რომელთაც პროფესიონალური კვლევა-ძიება ესაჭიროება. ხევსურეთში პიქტოგრაფიულ ნიშნებში დაფიქსირებულია უძველესი სიმბოლოს „მზის ნაღის“ მსგავსი გამოსახულება, სოფელ კისტანის

ციხის მეორადი გამოყენების ქვის ზედაპირზე [19: 69]. როგორც ადგილობრივი გამოცემა გვეუბნება, ციხის ქვები ჩამოტანილია უფრო ძველი ნასოფლარიდან „ზეზეიჯედან“. აქა „საკვირაოს“ გორი, რომელზეც ნაყოფიერების ძველი სალოცავი არსებობდა. დღეს სალოცავი „ღვთისმშობლის“ სახელობისა და ტრადიციული რიტუალები სრულდება. ასეთი გამოსახულება სხვაგან არსად შეგვხვდებოდა და ვფიქრობთ, იგი ლოკალური სიმბოლოა.



სურ. 2.

აღნიშნული ქვა ათანდილათ ციხის სამხრეთის კედელზეა, სარკმლის გვერდით ჩატანებული (ზომები: 60X80 სმ), (იხ. სურათი 2) „ზეციური ნავი“, „ღმერთების ნავი“, „მზის ნავი“ [24]. ასეთი სახელწოდებით იცნობენ მსგავს უძველეს შუამდინარეთულ გამოსახულებას. ჩვენ გამოვყოფთ ყველაზე სპეციფიკურ ნიშანს. ხევსურეთის ჭალაისოფელში „ეარატის“ სალოცავის შიგნით „კამალას“ (სალოცავის ყველაზე მთავარი და საკრალურად დაცული ადგილია) ქვეშ (სამხრეთის კედელთან) დაეაფიქსირეთ მითოლოგიური „ქადაგი ქალის, მინანის ქვა-ტაბლა“ (როგორც მას ადგილობრივმა ხუცესმა იმედა ლიქოკელმა (70 წ.) უწოდა). ამ ქვაზე (ზომები: 100X40 სმ) (იხ. სურათი 3) გეომეტრიული ასტრალური ნიშანია, რომელიც მეორდება სხვაგანაც. ასეთივე ნიშანი სხვა განმეორად ფიგურებთან ერთად გვხვდება. ამავე ხეობაში სხვა სალოცავის („იახსარი“) კედელშია ძველი ქვა (იხ. სურათი 4). მსგავსი ნიშანი უკვე რამდენიმე წრით თუშეთის სოფელ ფარსმის სალოცავის ტერიტორიაზეა დაცული (იხ. სურათი 5).

დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, სვანეთში, ზემოთ აღნიშნული პიქტოგრაფიული ნიშნების მსგავსი (სისტემურია) ნიშები გვხვდება ქვებზე



სურ. 3.



სურ. 4.





სურ. 5.



სურ. 6.

ამოკვეთილი, მაგალითად, სოფელ იფხის ეკლესიის სამხრეთ ფასადზეა სამი ნერტილიანი წრე, ხელების გამოსახულებები და სხვადასხვა ფიგურები. ასევე სვანეთის არქეოლოგიურ ნივთებშია (ცაიშის ძვ.წ. II ს. ქვა-ამულეტები, დაცული სვანეთის მუზეუმში) პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი დამწერლობის ამსახველი მსგავსი გამოსახულებები. სვანეთში სიმბოლოებიანი, მრგვალი გახვრეტილი ქვები ბევრია აღმოჩენილი, რომელიც თავის დროზე არა მარტო ინფორმაციის მატარებელი იყო, არამედ, ნივთს ფუნქციური დანიშნულებაც შეიძლება ჰქონდა.

პირაქეთა ხევსურეთის სოფელ ბლოს „მუხის ნშიდა გიორგის“ სალო-



სურ. 7.




სურ. 8.

ცავის დარბაზის კართან დავაფიქსირეთ პიქტოგრამებიანი ქვა-სკამი, ზომით 100X45 სმ. (შესაძლოა ძველი სატრაპეზო ქვაც იყო) (იხ. სურათი 6 და ჩანახატი სურათი 7). ქვის გვერდზე 5 ერთეული სიმბოლო-ნიშნებია. ერთ-ერთი აშკარად ასტრალური ნიშანია და მეორედება არლუნის ხეობის პიქტოგრამებში. ასევეა თუშეთის სოფელ დართლოს პიქტოგრამები და სკრიპტები (ფარული ნიშნები), მაგალითად, ერთ-ერთი საბერო სახლის კედელში ჩატანებულია მეორადი გამოყენების ქვა, რომელზეც ასტრალური გამოსახულებებია (იხ. სურათი 8).

ცალკე აღნიშვნის ღირსია „ბორჯღალოს“ მსგავსი სკრიპტოგრამა, რომელიც ხელების გამოსახულებების გვერდითაა ამოჭრილი და



სურ. 9.



სურ. 10.

იგი ხევსურეთის სოფელ ჭეჭყეთის ციხის ტერიტორიაზეა (ქვის ზომა 50 X 35 სმ, იხ. სურათი 9). თუშეთის სოფელ დანოს ციხის ქვაზეა ბოლოებმოხრილი ჯვარი და ხუთი სხვა ნიშანია გარშემო, აქაც ასტრალური ხასიათის სიმბოლოებია. ცენტრალური ფიგურა სხვა სიმბოლო-ნიშნებს აერთიანებს (ქვის ზომებია: 65 X45 სმ, იხ. სურათი 10).

ინფორმაციის გადმომცემი ასეთი პიქტოგრამები თუ იდეოგრამები ცნობილია მსოფლიოს ძველ ხალხთა კულტურაში. ძველი დამწერლობის მკვლევარები, დამწერლობის თავწყაროდ სწორეთ ასტრალურ-გეომეტრიულ სიმბოლოებს მიიჩნევდნენ, რომელმაც ადგილი დაუთმო სამინათმოქმედო დანიშნულების გამოხატველ სტილიზირებულ ნიშნებს [21]. ქართული „ღვთაებრივი“ (ასტრალური) სიმბოლო-ნიშნების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: გვქონდა თუ არა ძველ საქართველოში ასტრონომიული ცოდნა ან მსგავსი წარმოდგენა? რა ნაშთებია შემორჩენილი დღემდე?

საქართველოში როგორც სამინათმოქმედო კულტურის ერთ-ერთ უძველეს ქვეყანაში ცაზე და ვარსკვლავებზე დაკვირვების ტრადიცია ძველთაგანვე იყო განვითარებული. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ შემოღებულ რომაულ წელთაღრიცხვამდე ქართველებს თავისი ასტრონომიული წესით გამართული წელთაღრიცხვაც ჰქონდათ [10]. წერილობით წყაროებში შემონახული მდიდარი ტერმინოლოგია და ხალხურ სიტყვიერებაში არსებული სახელწოდებები დასტურდება. ე.წ. „მემარგეთა“ საქმიანობაში განსწავლული კადრების არსებობა და მათი საქმიანობა, „ცის მარაგის“, „მარაგიანი ცა“, „მარაგით ზრახვა“ და სხვა ტერმინები გვიანობამდე შემორჩენილია ქართულ ენაში [10]. ძველ საქართველოში „მზის კალენდრის“ არსებობა დასტურდება, რომლის წარმომავლობა მკვლევარებისთვის არაა ბოლომდე ამოხსნილი [15]. ეთნოგრაფიულ ყოფაში არქაული ნაშთებია მხოლოდ შემორჩენილი. ყოველივე ამის აღნიშვნის კვალდაკვალ საჭირო გახდა კვლევა და ადრე ჩატარებული ძიების შედეგების შეჯამება.

პირაქეთა ხევსურეთში (არაგვის ხეობა), ფშავეში, თუშეთში, ხევში ხშირად



სურ. 11.



სურ. 12.

გვხვდება „ქვა-სამნები“ და წრიული ყორეები მთის წვერებზე. მაგალითად, ხევში, სოფელ სნოს მთაზე ცნობილია 3000 მ-ზე „სპათანგელოზის“ სალოცავი და სამანის ქვა. ასეთი ადგილი ძველად, ბრძოლისთვის მოსამზადებლად და რწმენისთვის აქტიური დადებითი ენერჯის მიმნიჭებლად მიაჩნიათ (იხ. სურათი 11).


2012 წლის აგვისტოს თვეში ხევსურეთში მოვინახულეთ ერთ-ერთი ასეთი „მზის ბუდე“, როგორც მას უწოდებდნენ ძველად. იგი ლიქოკის ხეობის ზემოთ, საქარის მთაზეა და თითქმის ჩანგრეული დაგვიხვდა. ადგილობრივი მცხოვრების (დავით ლიქოკელი, 48 წლის) ინფორმაციით, წრიული ყორე ადრე მაღალი იყო, ხოლო მოგვიანებით საქონლის მწყემსებმა იგი ნაწილობრივ დაშალეს. ძველი ჩანაწერებით, არსებობდა მზის ბუდეები [10]. წრიული ყორეები შემორჩენილია ტანიეს ხეობაში, სახარის დელე, ფშანთ მაღალი, ზეთუკის მაღალი, ბლო-ხადუს გადასავალი, სოფელ ბლოში მზისბუდის გორი და სხვა. ხევსურეთში წლის დროთა აღრიცხვა წარმოებდა სოფლების აღმოსავლეთ მხარეს მწვერვალებზე აღმართული ქვის სვეტთა ჯგუფების, ე.წ. მზის ბუდეების საშუალებით, რომელიც პირველად ამოსული მზის დისკოს მოხვედრის და თანდათანობით მორიგ ბუდეზე გადანაცვლების ადგილის მიხედვით დგინდებოდა: თვე, სეზონი, წლის დასასრული, წლის დასაწყისი თუ სამინათმოქმედო-სამეურნეო საქმიანობისთვის განკუთვნილი ესა თუ ის მნიშვნელოვანი თარიღი“ [10].

აღნიშნული „მზის ბუდე“ საქარის მთაზე ზღვის დონიდან 2800 მეტრზეა და შიგნით ნაქცევული გრძელი ქვაც ფიქსირდება. წრის დიამეტრი 1.80 სმ-ია, შუაში ჩადგმული გრძელი ქვა (მენჰირი) მინის ზედაპირიდან 1.60 სმ-ია. ქვის წყობა გადმოცემით 70 -სმ იყო, ნაწილი ჩანგრეულია (იხ. სურათი 12).

ქვის ყორე და შუაში გრძელი ქვა, სწორედ ცის მნათობებზე დაკვირვებისთვის იყო განკუთვნილი. ქვა-სამანი ლიქოკის ხეობაში კიდევ სხვაც ფიქსირდება, იგი მთაზე „კარატის“ სალოცავის გზაზეა. მნიშვნელოვანი ამბის გადმოცემა და მნათობებზე დაკვირვება ერთი და იგივე ობიექტის საშუალებით დაკავშირებული იყო რწმენასთან, ამიტომ სალოცავებთან ხშირ-

ად შემორჩენილია ასეთი ქვა-სამნები. მაგ: პირაქეთა ხევსურეთის სოფელ გველეთის სალოცავის ტერიტორიაზე ასეთ მინაში 7 ქვა-სამანია ჩადგმული. ქვები სიმაღლით 1.80 სმ-ია, სიბრტყით 30-40 სმ, სისქით 8-10 სმ. ქვები სამხრეთისკენ მომართულად დგანან. წრიული ნაგებობა ფიქსირდება ფშავში, სოფელ მალალოსკარის სალოცავის მთაზე. სალოცავი „პირიშის“ დედ-ღეთისმშობლის სახელობისაა. მზის და ცის თაყვანისცემასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა დასავლეთ საქართველოში არსებული ხალხური წარმოდგენები და გადმოცემებიც [16]. ნაყოფიერებასთან ან მზის საპატივსაცემოდ აშენებული წრიული ქვის ნაგებობები და სალოცავები ურთიერთკავშირშია (ინფორმატორი - ვაჟა თურმანაული, ფშავი, სოფელი ხილანი, პედაგოგი). წრიული ნაგებობის ნაშთებია თუშეთში, სოფელ შენაქოსთან (შტაყოს გორზე, I ს. არქეოლოგი - რ. დოლაბერიძე) და სოფელ ბოჭორმის თავზე მთის წვერზე (ინფორმატორი - ნ. იდოიძე, ეთნოგრაფი-ისტორიკოსი). წრიული ნაგებობის ნაშთია სოფელ ჯუთის აღმოსავლეთ მთაზეც ე.წ. „კუჭისთავისგორზე“ (ღალანგურის ნიში). ჯუთის „მზის ბუდე და ნიში ერთადაა და კომპასით შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხელოვნურად მინაში ჩასმული ქვები ემთხვევა (ოთხივე) მხარეებს და ჩრდილოეთ და დასავლეთ მთების წვერებზე დადგმულ „ქვაკაცებსაც“. დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, ხვამლის მთაზე შემორჩენილია წრიული ნაგებობის ნაშთი და ასევე სამცხე-ჯავახეთში აბულთაზე და შაორის ნაგებობებშიც მზის სხივის დადგომის აღმნიშვნელი კარები ფიქსირდება. ქართულ წერილობით ძეგლებში ხშირად ფიქსირდება „მზის ბუდობა“ და „მზის სახლად შესვლა“, მაგალითად, „გაიყარნეს, ყმა ნავიდა სახლად ჩადგეს მზისა წვერნი“ [2: 770]. დროის გასარკვევად, ცაზე დაკვირვების საინტერესო ფაქტია ასევე ვეფხისტყაოსნის ადგილი „ზედ ნაადგა, შეექცევის, დროთა დღეთა ანგარიშობს, თვენი ესხნეს ორანილა, ამას სულთქვამს, ამად იშობს“ [2: 185]. მზის ამოსვლის თუ სახლად ჩასვლის შინაარსით ხშირადაა მინიშნება ფოლკლორულ მასალებშიც. ხევსურეთის მზის ბუდეების მიმართ ამბობენ: „აქ მზე რიგრიგობით ბუდობს მზის ბუდეებში, რომელიც ხელოვნურად ნაგებ ქვის სვეტების წყობას წარმოადგენს“ [10]. მზე-მთავარის შუქ-ჩრდილების დაკვირვების გარდა საფიქრებელია ვარსკვლავებზეც დაკვირვების აღმნიშვნელი ძველი გამოთქმაც: „ცას ჭვრიტს გაღვდებს“ [14: 1105]. „ჭვრიტს“ - დიდხნით დააკვირდება, ასეთი განმარტება აქვს დაფიქსირებული სულხან-საბას თავის ლექსიკონში. „ჭორტი“ და „ქვაკაცი“ სულხან-საბას სინონიმებად მიაჩნია, „ჭორტი“ - ქვაკაცი აგებული ნიშნად [4]. ხევსურულ საკულტო ტექსტებში რამდენიმეგან ნახსენებია მზეს შედარებული ღვთაება, მაგალითად, „მზის მყოლი ანგელოზი“, „მზეი მამარწყვილე-ბულა“ [11: 14].

მზე და მთვარეზე დასაკვირებელ ობიექტებად ჩანს ჩრდილოეთ კავკასიაში შემორჩენილი, კერძოდ, ხაშხის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ქვის სვეტებად აგება. მას სახელწოდებაც „ჩურტი“ ჰქვია და ადგილობრივები მემორიალურ ძეგლებად იცნობენ. ძეგლის სიმაღლე 2.50 მ-ია. [23] (იხ. სურათი 13). ნაგებობის ძირში კლდის გაყოლებაზე პატარა ღრმულები შინ-



სურ. 13.

იშნებოდა ანუ მზის და ციური მნათობების მოსანიშნავი ადგილები. კავკასიურ „ჩურტს“ ჯერის ფორმები აქვს საფუძველშივე და თავის დაბოლოებამდე ასევე გრძელდება („ჩურტი“ და „ჭორტი“ სახელწოდებებიც საინტერესო მსგავსებას ამჟღავნებს (ავტორი გ.გ.). სამხრეთ საქართველოშიც ბევრგან შემორჩენილა „ქვა-კაცები“, რომელთა განლაგებაც მომავალში გამოსაკვლევეია.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემორჩენილია ასევე ციხე-კოშკებში და ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის ფასადზე ჰორიზონტალური „მზის საათის“ მსგავსი ქვები. ერთ-ერთი ასეთი „მზის საათი“ დავაფიქსირეთ თუშეთის სოფელ ინდურთას ერთ-ერთი სახლის ფასადზე. გრძელი ქვა, რომელიც ჰორიზონტალურად გამოდის (60 სმ.) სამხრეთის კედლიდან, მინის ზედაპირიდან 2.80 სმ-ია. ქვის წვერზე სიმბოლოც არის ამოჭრილი (იხ. სურათი 14).

ხალხური ჰორიზონტალურ-ჭორტიანი მზის საათები ხშირად იყო საქართველოში, ძირითადად სამხრეთ კედლებზე. ისინი არამარტო დღის პერიოდს, არამედ სეზონის დადგომასაც აღნიშნავდნენ და მომავალი წლის ნალექიანობის გარკვევასაც ცდილობდნენ. ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ ეს ტრადიცია გადმოვიდა ადრექრისტიანულ ტაძრებზე, მაგალითად, სვეტიცხოველზე, გელათზე, ფოკაზე, ანანურის ტაძარზე. სვეტიცხოვლის ტაძრის (XI ს.) გუმბათის ზედაპირზე ფიქსირდება მაცხოვრის ბარელიეფი, რომელსაც ხელში წიგნი უკავია და წიგნზე წრეებია გამოსახული. ეს უკანასკნელი ძალიან გავს ძველ ბერძნულ ანტიკიტურული მექანიზმის გამოსახულებასაც. ე.წ. საათის არქექტივს, რომელსაც იკვლევდა დე სოლა პრეისი. დროის და პერიოდის საზომი ხელსაწყოები საღვთო ცოდნასთან იგივედებოდა ძველ დროს (იხ. სურათი 15).



სურ. 14.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.



სურ. 15.

გურამ ლორთქიფანიძე

**ქართული ანტიკური ხანის არქეოლოგიის ისტორიოგრაფია  
XX–XXI სს. მიჯნაზე¹  
(ნაწილი II)**

აკად. გ. მელიქიშვილი, ძველი ისტორიის საყოველთაოდ აღიარებული, მსოფლიო რანგის მკვლევარი, საუბრობდა რა XX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე, აღნიშნავდა:

„არქეოლოგიამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე (იგულისხმება II მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი – გ.ლ.) ჩვენი ბევრი რამ მოგვცა, აგრეთვე ანტიკური ხანის ქართული კულტურის და ამ ეპოქის საქართველოს ისტორიის შესასწავლად... საყოველთაოდ ცნობილია ბრწყინვალე შედეგები ძველი იბერიის დედაქალაქ მცხეთაში“ [1: 42]. უპირველეს ყოვლისა, მას მხედველობაში ჰქონდა ა. აფაქიძის, გ. გობეჯიშვილის, ა. კალანდაძისა და გ. ლომთათიძის ნაშრომი „მცხეთა I. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები“ [2: 1-253, 34 ტაბულა]. აკად. გ. ჩუბინაშვილის რედაქციით გამოსული ეს „შესანიშნავი ნიგნი“ (მელიქიშვილი გ. დასახ. ნაშრომი), რომელშიც გაანალიზებული გახლდათ არტეფაქტები, მათ შორის ეპირაფიკული ძეგლები, 1958 წ. გამოიცა რუსულ ენაზეც. მისი მრავალრიცხოვანი საილუსტრაციო ტაბულები მოსკოვის „გოსზნაკის“ ნიგნის ფაბრიკაში დაიბეჭდა. ბატონ გ. ლომთათიძის გადმოცემით მომზადებული ყოფილა მისი ინგლისური ვარიანტიც, მაგრამ პოლიტიკურმა კონიუნქტურამ ხელი შეუშალა მის გამოქვეყნებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა პუბლიკაციამ უცხოელი არქეოლოგებისა და ძველი ისტორიის მკვლევართა ყურადღება მიიპყრო, დაიბეჭდა რეცენზიები.

რამი მდგომარეობდა ჩვენი არქეოლოგიისათვის უპრეცედენტო ამ პუბლიკაციის ხიბლი? მასში მოცემულია არქეოლოგიური კომპლექსების ზუსტი აღწერილობა, შემუშავებულია ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგია, მოყვანილია პარალელური მასალები, ანალოგიები, გარკვეულია მათი ტიპოლოგია, ტექნოლოგია, მათი წარმოების ხერხები. დასაბუთებულია, რომ მათი დიდი ნაწილი საქართველოშია დამზადებული, რაც ქართლის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის მაჩვენებელია ახ.წ. I-III სს. ნაშრომში შესწავლილია პიტიახშთა სასახლის კომპლექსი, აბანო, სამეურნეო ნაგებობანი და სხვ. ცნობილი რუმინელი ანტიკოსი გაბრიელ ბორდენაკე აღტაცებით წერდა, ეს გამოცემა „ყოველგვარ მოლოდინს აჭარ-

¹ გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის ... სერია №1, 2014.

ბებსო" [დანვრ. იხ. 3: 9]. როგორც აღვნიშნეთ, ნიგნის რედაქტორი აკად. გ. ჩუბინაშვილი გახლდათ, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი. შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ბატონი გიორგი, რაფინირებული ინტელიგენტი და ერუდიტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სახელგანთქმული პროფესორის, ლექსიკოგრაფის დავით ჩუბინაშვილის შვილიშვილი გახლდათ. ის იყო მცხეთა-არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრების უშუალო მონაწილე, კონსულტანტი. ნიგნის ავტორები საგანგებოდ აღნიშნავენ: „მეტად მძიმე შრომის განევა მოუხდა, ავტორების მხარდამხარ, რედაქტორს, აკად. გ. ჩუბინაშვილს. რედაქტორის მრავალრიცხოვანმა შენიშვნებმა და სისტემატურმა რჩევ-დარიგებებმა საშუალება მისცა ავტორებს საგრძნობლად დაეხვეწათ ნაშრომი და შეძლებისამებრ შეემცირებინათ "მისი გამოცემის ნაკლოვანებები" [2: 16]. აქ უნდა გავიხსენოთ ჩვენი, ანტიკური არქეოლოგიისათვის არცთუ ისე უმნიშვნელო დეტალი. 1944 წელს აკად. ს. ჯანაშიას თავმჯდომარეობით ჩატარებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XVII სამეცნიერო სესიაზე აკად. გ. ჩუბინაშვილი გამოვიდა მოხსენებით „არმაზის პიტიახშთა ნეკროპოლში აღმოჩენილი ნივთების მეცნიერული დახასიათების ცდა“. მაშინ გამოქვეყნდა მოკლე თეზისები. დათარიღებასთან ერთად გააზრებული გახლდათ სამარხეული კომპლექსები. ამასთან ერთად წარმოდგენილ მოხსენებაში მოცემული იყო ამ გვიანანტიკური ხანის ოქრომჭედლობის შედეგების ღრმა, ამომწურავი მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზი. მან დაასაბუთა, რომ ერისთავთა დიდებულ საგვარეულო აკლდამებში აღმოჩენილი ელინისტურ-რომაული სტილის ოქრომჭედლობის ნიმუშების უმეტესობა ადგილობრივი წარმოებისაა. ისინი მიუთითებენ გვიანანტიკური იბერიის ქართლის სამეფოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეზე. ამ მეტად მნიშვნელოვანი მასალების მონოგრაფიის სახით გამოქვეყნება მოგვიანებით მაინც მოხერხდა [4: 13-189] რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. გ. ჩუბინაშვილმა დაადგინა არმაზისხევის არქეოლოგიურ კომპლექსებში შემავალი არტიფაქტების მხატვრულ-სტილისტიკური ერთიანობა. გამოავლინა მისი თავისთავადობა და ადგილი დასავლურ-აღმოსავლურ ანტიკურ ცივილიზაციებთან მიმართებაში. აკად. გ. ჩუბინაშვილის აზრით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შავიზღვისპირეთსა თუ კავკასიონის ჩრდილო ხეობებში აღმოჩენილი არმაზული საიუველირო ნაწარმის მსგავსი მაღალმხატვრული ნიმუშები ქართული ნივთიერი კულტურის, მისი „მთლიანობა-ერთიანობის“ მაჩვენებელია [5: 76]. იმდენად მძლავრი კულტურული იმპულსის მატარებელი აღმოჩნდა ეს „არმაზისხევის საგანძური“, რომ საქართველოს ანტიკურ არქეოლოგიაში გაჩნდა ტენდენცია ცალკე კულტურულ-ისტორიული პერიოდის – ე.წ. „არმაზული ხანის“ [6: 8, 12] გამოყოფისა უინვალის ნაქალაქარის თანადროულ (I-IV სს) კომპლექსებში, რასაც ბატონი გ. ლომთათიძე უჭერდა მხარს. „მცხეთა I“-მა სათავე დაუდო საქართველოში ანტიკური ხანის ქალაქების არქეოლოგიური გათხრებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ანგარიშების, გამოკვლევებისა და პუბლიკაციების



სერიალების (მაგ. „პიტიუნტი“, „ვანი“, „ნოქალაქევი“, ფიჭვნარი და სხვ.) ევროპულ ტრადიციას.

სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო დიდი მცხეთის მინა-წყალზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევებისადმი მიძღვნილი მორიგი, II ტომის გამოცემა მოხერხდა დაგეგმილი სერიალის პირველი ტომის გამოსვლიდან მხოლოდ 23 წლის შემდეგ [7: 5]. წიგნის წინასიტყვაობაში, რომელც ეძღვნება „დიდი მცხეთის“ ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს, მისი სამეცნიერო რედაქტორი ა. აფაქიძე წერდა: „1948 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა მკვეთრად შეცვალა არქეოლოგიური კვლევა-ძიების გეზი. მცხეთაში კარგა ხნით შეწყდა ფართო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები. დასაწყისი ხარზევი წარმოქმნა იმ წლებმა, რომელიც მცხეთაში გაუცდათ ქართველ არქეოლოგებს“ [7: 6]. 1964 წლიდან აღნიშნულ ინსტიტუტში არქეოლოგიის სექტორში არსებობდა ანტიკური არქეოლოგიის განყოფილება. 1952 წელს გამოვიდა ორი საინტერესო წიგნი, გ. ლომთათიძისა და გ. გობეჯიშვილის ავტორობით. მათში დანვრილებით არის განხილული ქართული არქეოლოგიის მიღწევები II მსოფლიო ომის შემდგომ [8: 5-206; 9: 3-166]. ამ წიგნებში მიმოხილულია ჩვენში ახლად გამოვლენილი, მათ შორის ანტიკური ხანის, არქეოლოგიური ძეგლები. განხილულია არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგები ვანში, ლებში, ცხინვალში (სტალინირი), ვაშნარში და სხვ.

მართალია, ბატონ გ. ლომთათიძის ნაშრომიც სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა, სპეციალური ლიტერატურისა და წყაროების მითითების გარეშეა, მაგრამ ის ზედმიწევნით ზუსტად ასახავს ანტიკური არქეოლოგიის მიღწევებსაც. მასში ცალკეა გამოყოფილი „პირველ ქართულ სახელმწიფოთა კოლხეთისა და იბერიის მატერიალური კულტურის ძეგლები [8: 129-165]. ეს წიგნები კარგად ასახავენ ჩვენი არქეოლოგიური ისტორიოგრაფიის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს. ამაში დიდი ამაგი აკად. ს. ჯანაშიას მოუძღვის. აღნიშნული გარემოება კარგად არის წარმოჩენილი ბატონ ა. აფაქიძის ნაშრომში – „სიმონ ჯანაშია და საქართველოს არქეოლოგია“ [11]. ისევე, როგორც ბატონ გ. ლომთათიძის სპეციალურ წერილში შესწავლილია ივ. ჯავახიშვილის ფასდაუდებელი ღვაწლი ქართულ არქეოლოგიაში [11: 1-36].

მცხეთის არქეოლოგიური შესწავლის შემდგომი ეტაპი 1975 წლიდან იწყება. 1974 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 24 მაისის დადგენილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა „მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია“. მის ხელმძღვანელად პროფ. ა. აფაქიძე დაინიშნა. 1975 წელს ველზე გასული ექსპედიცია მცხეთის „ახალმშენებლობებს“ ემსახურებოდა. კარსნისხევის მარჯვენა ნაპირზე, ხეობის ბოლოში გაითხარა ძვ. და ახ. წ. პირველი საუკუნეების ნამოსახლარი, თავისი სახელოსნო უბნითა და სამაროვნით [7: 8-142], შემდგომში მცხეთელ მეთუნე ხელოსანთა დასახლება, მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი (ნიკოლაიშვილი გ., 1993).

1994 წლის 1 აპრილს მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე შეიქმნა გ. ნიორაძის სახელობის „მცხეთის არქეოლოგიური ინ-



სტიტუტი". თანდათანობით ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მალაკვალიფიციურ არქეოლოგთა დიდი ჯგუფი (ვ. ნიკოლაიშვილი, გ. ყიფიანი, მ. კაპანაძე, ა. სიხარულიძე, ა. ნონეშვილი, გ. მანჯგალაძე, ე. გავაშელი, დ. ლეკიშვილი, მ. რჩეულიშვილი, თ. ბიბილური, ნ. ლლონტი, ა. აბუთიძე, გ. გიუნაშვილი, ნ. მაისურაშვილი და სხვ.), რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ანტიკური (კლასიკური) ქართული არქეოლოგიის ისტორიოგრაფიაში. მათი პუბლიკაციები თუ გამოკვლევები ჩვენი ისტორიო-გრაფიის წინსვლის მაჩვენებელია. 2007 წელს გააუზრებელი რეფორმების პერიოდში სპეციალური ბრძანებით „მცხეთის გ. ნიორაძის სახ. არქეოლოგიური ინსტიტუტი“ შეუერთდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ისე, რომ მისი სამართლებრივი სტატუსი დღემდე გაურკვეველია. მისი აღდგენა, ვფიქრობთ, მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ახალ იმპულსს მისცემდა „დიდი მცხეთის“ შემდგომ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. მთავრობის დადგენილებით მცხეთაში არქეოლოგიური მუზეუმი შენდება, სადაც „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა იქნება გამოფენილი.

მცხეთის არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა თავისი არსებობის მცირე პერიოდში ექვსი სამეცნიერო სესიის ჩატარება მოასწრო. ისინი მიეძღვნა მცხეთაში 1996-2002 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების სამეცნიერო ანგარიშებს [იხ. მაგალითად, 12: 4-137]. აღსანიშნავია ა. აფაქიძისა და გ. ნიკოლაიშვილის ერთობლივი ნაშრომი „არისტოკრატის სამარხი რომაული ხანისა მცხეთიდან“, რომელიც ლონდონში დაიბეჭდა [13]. ჩვენი ურნალის შეზღუდული შესაძლებლობები არ იძლევა აღნიშნულ ავტორთა ამ შრომების ანალიზის საშუალებას, დაკვამყოფილდები მხოლოდ ზოგადი განცხადებით. ამ მდიდრულმა სამარხებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ისტორიკოსები ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს, იბერიის, მისი ნობილიტეტის კულტურულ-ეკონომიკური განვითარების უმაღლესი დონის არსებობაზე. პიტიახშების, ქართლის სამეფოს ერისთავების, ამ უმაღლესი რანგის, ცალკე პროვინციის მმართველების მდიდრული სამარხები გამოვლენილი იქნა კასპის შემოგარენშიც 1964 წელს [15: 3-99], სოფ. ზლუდერთან. ავტორები თვლიან, რომ ზლუდერში არსებობდა იბერიის სამეფოს ერთ-ერთი რეგიონალური ადმინისტრაციული ცენტრი. აქ გაითხარა ახ.წ. 200-250 წწ. დათარიღებული „ელიტარული სამარხები“, რომლებშიც „მნიშვნელოვანი სიმდიდრე იყო თავმოყრილი“ [15: 27]. იბერ დიდებულთა სამარხებში ოქრო-ვერცხლის სამკაულებთან, ჭურჭელთან და სხვ. ერთად აღმოჩნდა ოქროს თერთმეტი მონეტა, მათ შორის კეისარ ალექსანდრე სევერესის საფასე, მოჭრილი 228 წელს. ახ.წ. I ს-ს განეკუთვნება ავგუსტე კეისრის, რომის იმპერატორის 28 დგნარი და ხუთი პართული დრაქმა. ჩანს, რომ I-III სს. იბერიაში ფულად-სასაქონლო ურთიერთობები საკმაოდ განვითარებულია. ეს დადასტურებულია მცხეთაში მარტო 1937-1957 წწ. მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალებითაც [16: 79-88], რომელთა რაოდენობა 304-ს აღწევდა, აქედან ოქროს 48, ვერცხლის 235 და სპილენძის 21 მონეტაა.

ახ.წ. II-III სს. მსგავსი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებშიც დასტურდება. სოფელ კლდეეთში გაითხარა მდიდრული სამარხები, რომლებიც ადგილობრივი მმართველი წრეების წარმომადგენლებს უკავშირდება [29].

1963 წელს გამოქვეყნდა პროფ. ა. აფაქიძის მეტად მნიშვნელოვანი, საეტაპო, მცხეთის მრავალწლიანი გათხრების შემაჯამებელი მონოგრაფია [17] (1968 წელს დაისტამბა მისი რუსული ვარიანტი). იმავე წელს მოსკოვში „არქეოლოგის ინსტიტუტმა“ გამოსცა სამეცნიერო შრომების სპეციალიზებული კრებული „ანტიკური ქალაქი“, სადაც ბატონ ანდროს პრობლემური წერილიც იყო დაბეჭდილი. წიგნის რედაქტორი ცნობილი ანტიკოსი პროფ. ვ. ბლავატსკი თავის შესავალ წერილში ხაზგასმით აღნიშნავდა თუ რა დიდ სამეცნიერო ინტერესს იწვევდა საბჭოთა ანტიკოსების წრეში აღნიშნული სტატია [18: 5]. მასში შევამებული გახლდათ ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქების მრავალწლიანი, ნაყოფიერი არქეოლოგიური კვლევის შედეგები. მონოგრაფიაში მრავალრიცხოვანი არტეფაქტების ანალიზსა და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით მოცემულია მცხეთის, საქართველოს (იბერიის) ძველი დედაქალაქის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და დემოგრაფიული განვითარების ისტორია. უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთის არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დაინერა პროფ. ო. ლორთქიფანიძის ცნობილი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა [19: 5-135], რომელშიც გამოწვლილით შესწავლილია იბერიის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობანი ანტიკურ სამყაროსთან. საყურადღებოა, რომ „გ. ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა“ თავისი ხანმოკლე არსებობის პერიოდში მოასწრო რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება. აკად. ა. აფაქიძის რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოვიდა მცხეთა-ნარეკვავის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნისადმი (ძვ.წ. VII-IV სს.) მიძღვნილი ნაშრომი [20: 3-183] და ანთროპოლოგ ქალბატონ მ. რჩელიშვილის გამოკვლევა, მიძღვნილი დიდი მცხეთის მოსახლეობის პრობლემისადმი ბრინჯაო-რკინის ხანაში [21: 3-153]. მონოგრაფიას საფუძველად დაედო მცხეთაში აღმოჩენილი პალეოანთროპოლოგიური მასალები. დაფიქსირდა მცხეთის მოსახლეობის გენეტიკური კავშირები როგორც კავკასიის ძირძველ მოსახლეობასთან, ასევე ევროპის შესაბამისი პერიოდის მოსახლეობასთან. დადგენილია „დიდი მცხეთის“ მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მათი საშუალო სიმაღლის საკითხები და სხვ..

მცხეთის სერიალის ბოლო ტომი მცხეთა-XI მთლიანად მცხეთის ანტიკური (კლასიკური) ხანის ძეგლების შესწავლას მიეძღვნა [22: 5-159]. აქ უპრიანი შევერდეთ ა. აფაქიძისა და გ.ნიკოლაიშვილის პუბლიკაციაზე, რომელიც ეძღვნება № 905 „სამარხ-აკლამას“. სამარხი სამეფო კარის წარჩინებულ, სეფე ქალებთან არის დაკავშირებული. ის აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის ე.წ. სამხრეთ უბანზე. სამარხეული ინვენტარი ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, მინის მალალმხატვრული, ძვირფასი ნივთებისაგან შედგებოდა. დაკრძალუ-

ლის მაღალი სოციალური მდგომარეობის უტყუარი მაჩვენებელია დიდი ვერცხლის მოოქრული ლანგარი (ახ. წ. III ს.) წერტილოვანი პართული (არმაზული) წარწერით: „თირიდატ უფლისწულის კუთვნილება“ (მსგავსი, უეჭველად ქართული წარმოების, ძვირფასი ლანგარი ნაპოვნია არმაზისხევში, „ბერსუმა პიტიახშის“ სამარხშიც – გ.ლ.).

ქართული არქეოლოგიის ისტორიოგრაფიაში პირველი გახლდათ ბატონი გ. ლომთათიძე, ვინც შეეცადა გაეაზრებინა წლების განმავლობაში დაგროვილი, გათხრებითა თუ შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოდან. მან ამისთვის გვიანანტიკური ხანის ახ.წ. I-III სს. არტეფაქტები შეარჩია, რომელთა ანალიზმა მას საშუალება მისცა წარმოეჩინა ერთიანი საქართველოს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული განვითარების დამაჯერებელი სურათი. კულტურულ-ისტორიული განვითარების ამ უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპს ჩვენ ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ რომაული ან ნაწილობრივ პართული ხანით მოიხსენიებენ ხოლმე. ამ დროს საქართველო, რომის იმპერიის სტრატეგიული მოკავშირე, კულტურულ-ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის, რაც შემდგომში ერთიანი დიდი საქართველოს საფუძველი, ქრისტიანობის ბასტიონი ხდება სამხრეთ კავკასიაში [23: 3-55]. ჯერ კიდევ 1952 წელს მან სოხუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სესიაზე ნაიკითხა მოხსენება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კულტურული ერთიანობის შესახებ გვიანანტიკურ ხანაში. შემონახულია მისი გამოსვლის თეზისები.

სამწუხაროდ, ასევე ჯერაც გამოუქვეყნებელი რჩება სვეტიცხოვლის ეზოში ა. აფაქიძის მიერ 2001 წელს გათხრილი, მაღალი წრის სამეფო (ახ.წ. III ს) კარის წარმომადგენლის, 50 წლის ქალბატონის აკლდამა მდიდრული დასაკრძალავი ინვენტარით [24: 36-39]. მათ შორის აღსანიშნავია ვერცხლის მოოქრული სანერი მონეობილობები, ე.წ. „პენალი“ და სტილოები (სანერკალმები), ოქროს სამელნე, მოოქრულ ფირფიტებზე გამოხატულია ჰომეროსი, მენანდრე, დემოსთენე, ხელოვნების მფარველი ცხრა მუზა შესაბამისი ბერძნული წარწერებით. ანტიკური ხანის მცხეთაში მანამდეც არაერთხელ აღმოჩენილა სანერი მონეობილობები, ძვლის და ბრინჯაოს წკირები, ვერცხლის სამელნეები და სხვ., რაც არა მარტო სამეფო კარის განათლების მაღალი დონის მაჩვენებელია. ამ მაღალმხატვრულ, ანტიკურ ტორეტიკის, ოქრომჭედლობის ნიმუშებს შორის აღსანიშნავია ნატიფი, ოქროს საბუჭდავი ბეჭედი სარდიონის თვლით – გემათი (ინტალით). ის ძალაუფლების აღმნიშვნელია – ისიგნია! ქვაზე ამოკვეთილია მისი მფლობელი ქალის პროფილი. მას თავზე გვირგვინით ადგას ე.წ. „ფრიგიული ქუდი“. ბერძნული წარწერის თანახმად, ეს არის „დედოფალი ულპია, მბრძანებელი“. ამ სახელს „ულპია“ ატარებდა რომის კეისარის, ადრიანეს (ახ.წ. 76-138 წწ.) ბებია. ქართლის მეფეების, სამეფო კარის „რომანიზაციაზე“ მეტყველებს ამავე, № 14 აკლდამა-სარკოფაგში აღმოჩენილი, ვერცხლის საკალმის დამაგვირგვინებელი ნაწილის ოქროს ჭვირული ბალთა. მასზე ამოჭრილია ბერძნული ასომთავრული წარწერა „მეფე უსტამისა იგივე ევგენი“. ამგვარად,

„ფლავიოს დადეს მაგვარად გამომზეურდა იბერიის უცნობი მეფის ორმაგი, უდავოდ რომანიზებული სახელი, რაც მომავალი კვლევა-ძიების საგანია. სვეტიცხოველთან აღმოჩენილი № 14 სამარხში წარმოდგენილია სხვა ე.წ. ქრილა ქვები, კამეები, ბავშვისა და მამაკაცის უწარწერო გამოსახულებებით. შესაძლოა ისინი სამეფო ოჯახის წარმომადგენლებია, რომელსაც დედოფალი მკერდით ატარებდა. გამთხრელების აზრით ისინი „უდავოდ წარმომადგენენ ანტიკური პერიოდის ბრწყინვალე გლობტიკურ ნიმუშებს“, რაც „უდავოდ დადასტურებაა ძველი საქართველოს განვითარებული საზოგადოებისა, მისი კულტურის და წიგნიერებისა“ [24: 37-39]. ასეთივე ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენებით აღინიშნა XXI ს-ის დასაწყისი ანტიკურ არქეოლოგიაში.

მანამდე, XX საუკუნის მიწურულში აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „საჭიროა არქეოლოგიური ობიექტებისადმი ტრადიციული მიდგომის შეცვლა, რადგან „ის დღემდე „თითქმის სულერთიანად შემთხვევით აღმოჩენილი ობიექტებით საზრდოობს (დაბლა გომი, ვანი, კლდეეთი, ურეკი, სამთავრო, თრიალეთი და სხვ.)... ასეთი ვითარება დღეს უკვე შეუძლებელია. დროა ვიცნობდეთ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას იმდენად, რომ მეცნიერული გათხრების წინასწარი დაგეგმვა შეგვეძლოს და შემთხვევათა ანაბრად არ ვიყოთ“ [26: 285]. მისი შთაგონება კვლავაც აქტუალურია...

ქართული არქეოლოგიის განვითარების ნახევრასაუკუნოვანი გზა, მათ შორის ანტიკური პერიოდის ისტორიოგრაფიის საკითხები, 1972-1973 წწ. შეაჯამა და გააცნო ფართო მკითხველ საზოგადოებას აკად. ა. აფაქიძემ [27: 3-122; ბიბლიოგრაფიული დამატება, 123-147; 28: 1-31]. მან ხაზგასმით აღნიშნა თუ „რარიგ მკვიდრად ამოიყენა გვერდით ქართულმა ისტორიოგრაფიამ, საქართველოს არქეოლოგია“.

1999 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი „საქართველოს არქეოლოგიური კომისიის“ თაოსნობით ჩატარდა I სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“. ა. აფაქიძემ თავის მოხსენებაში [29: 3-4] ყურადღება გაამახვილა „მოქცევათა ქართლისაში“ (IV-IX სს.) მინიშნებულ ალექსანდრე მაკედონელის დროინდელ საქართველოში (ძვ. წ. IV-III სს.) მოხსენიებულ საქალაქო ცენტრების სიმრავლეზე (მათი არქეოლოგიური შესწავლის პროგრამა, როგორც აღენიშნეთ, ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილმა შეადგინა). აკად. ა. აფაქიძის სიტყვებით: ანტიკური ხანის საქართველოს, „ძველი ქალაქების არქეოლოგიური კვლევა აღიარებულია XX საუკუნის დასასრულის ქართული არქეოლოგიის უპირატეს სამეცნიერო ამოცანად“ [29: 2]. ამ მიმართულებით ანტიკური ხანის ქართული მატერიალური კულტურის გეგმაზომიერი კვლევა-ძიება თვისობრივად ახალ დონეზე ავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში 1977 წ. შეიქმნა დამოუკიდებელი სპეციალიზებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი – „არქეოლოგიური კვლევის ცენტრი“. მის ხელმძღვანელებად დაინიშნენ ამ დროისთვის აღიარებული არქეოლოგები, პროფესორები ო. ლორთქიფანიძე და თ. მიქელაძე. მათთან ერთად ჩვენს არქეოლოგიაში დამკვიდრდა უნივერსიტეტის აღზრდილი მთელი თაობა ახალგაზრდა ან-

ტიკოსებისა, რომლებმაც გაამდიდრეს ჩვენი ისტორიოგრაფია ახალი გამოკვლევებით, რაზეც ჩვენი ნარკვევის დასკვნით, III ნაწილში გვექნება საუბარი [31: 5-193].

**წყაროები და ლიტერატურა:**

1. მელიქიშვილი გ. ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები საბჭოთა სა-ქართველოს 50 წლისთაზე. საქ. მეცნ. აკადემიის საზოგად. მეცნ. განყოფილების ჟურნალი „მაცნე“, 1971, № 1.
2. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. მცხეთა, I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955.
3. ლორთქიფანიძე თ. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო. „მეცნიერება“, თბ., 1968.
4. Чубинашвили Г. Опыт художественной характеристики из некрополя питнахшей в Армази. Тезисы XVI конференции АН Грузии, 1944.
5. ჩუბინაშვილი გ. არმაზის საგანძური. არმაზის პიტინახშთა ნეკროპოლში აღმოჩენილი ნივთების მხატვრული დახასიათების ცდა. გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2007.
6. რამიშვილი რ. ერნოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. „მეცნიერება“, თბ., 1979.
7. აფაქიძე ა., კალანდაძე ა. და სხვ. მცხეთა, II. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. „მეცნიერება“, თბ., 1978.
8. ლომთათიძე გ. ნინაპართა ნაკვალევი. „საბლიტგამი“, თბ., 1952. რედაქტორი ა. კალანდაძე.
9. გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, საქართველოს მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1952. რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი.
10. აფაქიძე ა. სიმონ ჯანაშია და საქართველოს არქეოლოგია. კრებული – „სიმონ ჯანაშია“, თბ., 1949.
11. ლომთათიძე გ. ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში. მიმოხილველი, ტ. I, თბ., 1951.
12. აფაქიძე ა. დიდი მცხეთის არქეოლოგია XX საუკუნეში და XXI საუკუნის დასაწყისში. კრებული „მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია“ მიძღვნილი 2001-2002 წწ. სავსე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. ანგარიშები. თბ., 2003.
13. Apakidze A., Nikolaishvili V. An aristokratik tomb of the roman period from Mtskheta. Georgia. The Antiquaries Journal. London 1994, 1 (XXI).
14. Apakidze A., Kipiani G., Nikolaishvili V. A rich burial from Mtskheta Ancient West and East N 1, (3), Leiden-Boston, 2004.
15. ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. საგანძური ზღურეთიდან. ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში. ახ.წ. 200-250 წწ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. თბ., 2009 (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
16. კაპანაძე დ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937-1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I, თბ., 1955.

17. აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I. «მეცნიერება», თბ., 1963.
18. Апакидзе А.М. Результаты археологического изучения античных городов. Сб. античный город. «Наука», М., 1963.
19. ლორთქიფანიძე ო. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია). «მეცნიერება», თბ., 1968.
20. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ა., გიუნაშვილი გ., გაგაშელი ე., ლლონტი ნ., კაპანაძე მ. მცხეთა-ნარეკვავეი, I. მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი. თბ., 1999; აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ა., გიუნაშვილი გ., გაგაშელი ე., ლლონტი ნ., კაპანაძე მ. მცხეთა-ნარეკვავეი, II. თბ., 2000. გამოიცა ნარეკვავეზე 2000-2001 წწ. მოპოვებული მასალის კატალოგი. იხ. ნიკოლაიშვილი ვ., გაგაშელი ე. «ნარეკვავეის არქეოლოგიური ძეგლები». თბ., 2007. იხ. აგრეთვე აფაქიძე ა., ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი ვ. ნარეკვავეის ახლად აღმოჩენილი სამაროვანი. კრ. მილსაფენის არქეოლოგია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, ტ. I. თბ., 1999.
21. რჩულიშვილი მ., დიდი მცხეთის მოსახლეობა ბრინჯაო-რკინის ხანაში. გ. ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი. თბ., 2005.
22. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთა XI. «მეცნიერება», თბ., 1996.
23. ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ.წ. I-III სს. არქეოლოგიური მასალების მიხედვით. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I. თბ., 1955. ეს ნარკვევი შევიდა მისი გარდაცვალების შემდეგ საქ. მეცნ. აკადემიის მიერ გამოცემულ წიგნში (თავი II) «საქართველოს მოსახლეობის კულტურა I-XII სს.», თბ., 1977.
24. აფაქიძე ა., ყიფიანი გ. დიდი აღმოჩენა მცხეთაში. სამეცნიერო საინფორმაციო ჟურნალი «მუდმივი კავშირის სამყარო», თბ., 2002, № 4 (16).
25. აფაქიძე ა., ბერძენიშვილი ნ., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., ჯაფარიძე ო., ხოშტარია ნ. საქართველოს არქეოლოგია. თსუ გამომცემლობა, თბ., 1959.
26. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, «მეცნიერება», თბ., 1964. მისივე ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხისათვის. მიმოხილველი II, თბ., 1951.
27. აფაქიძე ა. ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა. «მეცნიერება», თბ., 1972.
28. აფაქიძე ა. საქართველოს საბჭოთა არქეოლოგიის უმნიშვნელოვანესი ნარმატებიანი. საქართველოს სსრ საზოგადოება «ცოდნა», სერია 1, თბ., 1973, № 2.
29. აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგიური კომისიის I სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999 (კონფერენცია მიეძღვნა გამოჩენილ ქართველ არქეოლოგს, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის 85 წლისთავს).
30. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი ახალი ნელთალრიცხვის II ს. საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1957.
31. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. ბიბლიოგრაფია. 1977-1996. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ., 1997.



GURAM LORTKIPANIDZE

## GEORGIAN HISTORIOGRAPHY ON CLASSICAL (ANCIENT) ARCHAEOLOGY AT THE TURN OF XX-XXI CENTURIES (Part II)

### Summary

The second stage of ancient historiography covers postwar period of 1945-1957. In this period, there was the scientific program on study of the town and settlement of Iberia (Kingdom of Kartli) and Colchis (Kingdom of Egrisi, Lazika) of the ancient epoch implemented successfully. Explorer of ancient world, noted scientist G. Melikishvili, resuming the successes of Georgian historiography, noted: "In last decades the archaeology scored big successes, including the field of study of the monuments of ancient culture". First of all, it was meant the publication of the book "Mtskheta, I - Resume of researches. Archaeological monuments of Armaziskhevi. According to excavations in 1937-1946" (Authors: A.M. Apakidze, G.F. Gobejshvili, A.N. Kalandadze, G.A. Lomtadze. Scientific editor: Academician G. Chubinashvili), Tbilisi, 1955. Russian publication of the book appeared in 1958. In the given collective monograph, archaeological study, the artifacts found in Armaziskhevi hole are considered. Excavations revealed palace complex with Roman baths, patrimonial burial vault of the highest aristocracy, nobility of the Iberian Kingdom with the gorgeous sepulchral stock of I-III centuries AC. Archaeological, including epigraphic monuments testify high level of political, cultural-economic development of Georgia in late ancient epoch. In the fiftieth there were some works published. These works were dedicated to the archaeological excavations, including ancient monuments of Sokhumi, Vani, Gebi, Tskhinvali etc. of Georgia (G. Lomtadze, G. Gobejshvili, N.V. Khoshtaria, A.N. Kalandadze). This period of Georgian archaeological historiography of the antiquity was marked by appearance of new generation of the archaeologists in this scientific field. First works of historical-archaeological type appeared. They were based on the analysis of Greek- Roman and Georgian written sources and interpretation of different artifacts accumulated in the museum foundations of the country. In this respect, the monograph of O.D. Lortkipanidze is a model. In candidate's dissertation defended at the academic council of Tbilisi State University

There were key problems of economics and culture of ancient Georgia from IV century BC up to IV century AC considered. First doctoral dissertation on archaeology of A.M. Apakidze "Towns and urban life in ancient Georgia" was defended in 1958. Semi-centennial way of development of Georgian archaeological science was considered in review works of A.M. Apakidze and O.D. Lortkipanidze. XI volume of results of the archaeological studies in ancient capital of Georgia, Mtskheta was published in 1996 (Mtskheta, XI). In collection, along with the epigraphic studies of noted scientists: Academicians T. Kaukhchishvili, K. Tsereteli, there was published the study: "Tomb complex 905. Burial of III century AC" related to the representatives of the highest nobility of Iberian Kingdom. This study impresses us by description

of gorgeous and diverse sepulchral stock (A.M. Apakidze, V.V. Nikolaishvili). Necropolises of aristocracy testify flowering of culture and economics of the ancient Georgia (in Kldeti, Sargveti, Zgudera, Svetitskhoveli, etc.) studied by G.A. Lomtadze, Academician A.M. Apakidze, V.V. Nikolaishvili, G.G. Kipiani. In the period of study of the ancient monuments of Georgia considered by us there was a priority to study ancient towns and settlements. In 1977, in the system of Academy of Sciences of Georgia it was established a special scientific institution "Center of archaeological studies". It was headed by noted specialist of antiquity, Professor O.D. Lortkipanidze, author of great number of studies published both in Georgia and abroad.

Г. И. ЛОРТКИПАНИДЗЕ

**ГРУЗИНСКАЯ ИСТОРИОГРАФИЯ ПО КЛАССИЧЕСКОЙ  
(АНТИЧНОЙ) АРХЕОЛОГИИ НА РУБЕЖЕ XX–XXI ВВ.  
(Часть II)**

Резюме

Второй этап нашей античной историографии охватывает послевоенный период 1945–1957 гг. В этот период успешно осуществлялась научная программа по изучению городов и поселений Иберии (Картлийское царство) и Колхиды (Егрисское царство, Лазика) античной эпохи. Исследователь древнего мира, известный ученый Г. Меликишвили, подытоживая успехи грузинской историографии, отмечал: «В последние десятилетия археология многого достигла, в том числе в деле изучения памятников античной культуры». Прежде всего, имелось в виду издание книги – «Мцхета, I» - Итоги исследований. Археологические памятники Армазисхеви. По раскопкам 1937–1946 гг.» (Авторы А.М. Апакидзе, Г.Ф. Гобеджишвили, А.Н. Каландадзе, Г.А. Ломтатидзе. Научный редактор, акад. Г. Чубинашвили). Тб., 1955. В 1958 году появилось русское издание книги. В данной коллективной монографии, археологическом исследовании, рассмотрены артефакты, выявленные в урочище Армазисхеви. Раскопками были выявлены дворцовый комплекс с римской баней, родовая усыпальница высшей аристократии, нобилитета Иберского царства с богатейшим погребальным инвентарем I–III вв. н.э. Археологические, в том числе и эпиграфические памятники свидетельствуют о высоком уровне политического, культурно-экономического развития Грузии в позднеантичную эпоху. В пятидесятые годы было издано несколько работ, посвященных археологическим раскопкам, в том числе и античных памятников Грузии, Сухуми, Вани, Геби, Цхинвали и др. (Г. Ломтатидзе, Г. Гобеджишвили, Н.В. Хоштария, А.Н. Каландадзе). Этот период грузинской археологической историографии античности ознаменовался появлением на научном поприще нового поколения археологов. Появились первые работы историко-археологического характера,

основанные на анализе греко-римских и грузинских письменных источников и интерпретации накопившихся в музейных фондах страны разнообразных артефактов. Показательна в этом отношении монография О.Д. Лордкипанидзе. В кандидатской диссертации, защищенной на Ученом совете Тбилисского государственного университета, были рассмотрены ключевые проблемы экономики и культуры античной Грузии с IV в. до н.э. по IV в. н.э. В 1958 году была защищена первая докторская диссертация по археологии А.М. Апакидзе – «Города и городская жизнь в древней Грузии». Полувековой путь развития грузинской археологической науки был рассмотрен в обзорных работах А.М. Апакидзе и О.Д. Лордкипанидзе. В 1996 году вышел в свет XI том результатов археологических исследований в древней столице Грузии Мцхета (Мцхета, XI). В сборник, наряду с эпиграфическими исследованиями известных ученых: академиком Т. Каучишвили, К. Церетели, публикуется комплекс гробницы 905. Погребение III в. н.э., связанное с представителем высшей знати Иберского царства, впечатляет богатством и разнообразием погребального инвентаря (А.М. Апакидзе, В.В. Николаишвили). О расцвете культуры и экономики античной Грузии свидетельствуют некрополи знати (в Клдети, Саргвети, Згудера, Светицховели и др.), исследованные Г.А. Ломтатидзе, акад. А.М. Апакидзе, В.В. Николаишвили, Г.Г. Кипиани. В рассмотренном нами периоде исследования античных памятников Грузии приоритетным оставалось изучение античных городов и поселений. В 1977 году в системе АН Грузии было создано специальное научное учреждение «Центр археологических исследований». Возглавил его широко известный к тому времени античник. проф. О.Д. Лордкипанидзе, автор множества исследований, опубликованных как в Грузии, так и за рубежом.

მეჩუკაძე

## დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გააშუქოს საქართველოში დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლის და პოპულარიზაციის საკითხი. თემა არის საინტერესო და აქტუალური. აღნიშნული პრობლემა ისტორიოგრაფიაში დღემდე შესწავლილი არ ყოფილა, ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით გამოგვესწორებინა ეს ხარვეზი და ამ თემას საგანგებო ყურადღება მივაპყარით. ეს საშუალებას გვაძლევს შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი. ამ სფეროში „თეთრი ლაქები“ გაცილებით უფრო ნაკლები დარჩება.

ფრანგი ისტორიკოსის შარლ სამარანის თქმით „ისტორიული წყარო წარმოადგენს ისტორიის თავდაპირველ ნედლეულს“. ყველა ინფორმაცია წარსულის შესახებ წარმოადგენს წყაროს. წყაროთმცოდნეობა ისტორიის დამხმარე დისციპლინაა. ერთნი ძალიან აახლოებენ, თითქმის აიგივებენ წყაროთმცოდნეობას და ისტორიას. „ისტორია სხვა არაფერია თუ არა წყაროების დამუშავება“. ეს ერთი უკიდურესობა იყო. არის მეორე უკიდურესობა, რომლის მომხრეები წყაროთმცოდნეობაზე გაზვიადებული წარმოდგენის არიან. წყაროთმცოდნის და ისტორიკოსის დაპირისპირება ამის ლოგიკური შედეგია. ასეთი დაპირისპირება ხელოვნურია და რეალობას არ შეესაბამება. წყაროების მიგნებას და დამუშავებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. წყაროების გარეშე ისტორიკოსი ნაბიჯსაც ვერ გადადგამს. ფაქტების და მოვლენების დადგენა მას შეუძლია მხოლოდ ისტორიული წყაროების საშუალებით. ახალი ისტორიის მკვლევარს უნდა შეეძლოს უამრავი მასალიდან არსებითის მთავარის დანახვა. მან კეთილსინდისიერად უნდა შეისწავლოს წყარო, რაც მას ისტორიული პროცესის მეცნიერული შესწავლის საშუალებას მისცემს. ამიტომ ისტორიული წყარო არ წარმოადგენს მარტო წყაროთმცოდნის დომენს, ის ისტორიკოსის სამფლობელოა.

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება თვალი გადავავლოთ თუ რა გაკეთდა დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში ქართულ ისტორიოგრაფიაში. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამ პრობლემით დაინტერესების გარკვეული ტრადიცია არსებობს. შესაძლოა, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ საინტერესოა და ამ მემკვიდრეობის შეუფასებლობა სწორი არ უნდა იყოს.



\* \* \*

დაეინყოს საკითხის პერიოდიზაციით. საქართველოში დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებით დაინტერესება ორ პერიოდად იყოფა და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად: 1. აღნიშნული პრობლემის დამუშავება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. 2. ამ საკითხის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ სანამდვილეში. პირველი პერიოდი, ჩვენი აზრით, კიდევ რამდენიმე მონაკვეთად, ქვეპერიოდად, შეიძლება დაიყოს. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის შიდა პერიოდიზაცია. ერთ-ერთი ასეთი მიჯნა უნდა ჩანდეს 50-იანი წლების შუა ხანები ი. სტალინის გარდაცვალება. ამან ნერტილი დაუსვა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციას, როდესაც ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ამიტომ ამ პერიოდში საქართველოში ახალი ისტორიის ქრესტომათიის გამოცემა მცდელობის საზღვრებს არ გასცილებია. ეს არის ამ პრობლემატიკით დაინტერესების, პირველი ქვეპერიოდი. ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ იწყება „დათბობის პერიოდი“. ცენტრის ზენოლამ შედარებით იკლო. ამ პრობლემით დაინტერესების კულმინაციად გვევლინება ახალი ისტორიის ქრესტომათიის პირველი მონაკვეთის გამოცემა. ამიტომ მონაკვეთი ი. სტალინის გარდაცვალებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 90-იანი წლების დასაწყისში, აღნიშნული პრობლემით დაინტერესების მეორე ქვეპერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. ამით მთავრდება თემა – აღნიშნული საკითხის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში.

90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლით, იწყება საქართველოში დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებით დაინტერესების მეორე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. ეს პუბლიკაციები საინტერესოა და აღნიშნული პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების პირველ სერიოზულ მცდელობად გვევლინება. მათი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს [8].

\* \* \*

აღნიშნული საკითხით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში. მის სათავეებთან დგანან ამ დარგის ფუძემდებლები, მესაძირკველები, პროფ. გრიგოლ ნათაძე და პროფ. ალექსანდრე ნამორაძე. ისინი საკმაო ყურადღებას აქცევდნენ დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესახებ არსებული პირველწყაროების პუბლიკაციას ქართულ ენაზე. ამით მათ სურდათ შეძლებისდაგვარად შეეცნოთ ის ხარვეზი, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიაში არსებობდა.

1938 წელს პროფ. გრ. ნათაძემ მოახერხა გამოცემა დოკუმენტების კრებული 1871 წლის პარიზის კომუნაზე. უნდა ითქვას, რომ თემა კარგად იყო შერჩეული და მნიშვნელოვანწილად ამით იყო განპირობებული, რომ მისი პუბლიკაცია მოხერხდა [12].

პროფ. გრ. ნათაძეს და პროფ. ალ. ნამორაძეს განზრახული ჰქონდათ შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის ქრესტომათიის გამოცემა. ამ მხრივ მათ მართლაც ჩაუტარებიათ უზარმაზარი შავი სამუშაო. პროფ. ალ. ნამორაძის პირად არქივში თავმოყრილი დოკუმენტური მასალა და კრებულები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი). მაგრამ, 30-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა კავშირში განხორციელებულ გარდაქმნებს შედეგად მოჰყვა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, უნიფიკაცია, ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა და მაშინ ახალი ისტორიის ქრესტომათიის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. ამიტომაც ეს საკითხი შემდგომ წლებში კვლავ აქტუალურად რჩებოდა [6]. ამ ეტაპის მთავარ მახასიათებელ თვისებად ახალი ისტორიის ქრესტომათიის გამოცემის მცდელობა შეიძლება მივიჩნიოთ.

აღნიშნული პრობლემის შესწავლას ორი მხარე გააჩნია. პირველი გამოიხატება წყაროების პუბლიკაციაში, ხოლო მეორე გულისხმობს დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხების შესწავლას და პოპულარიზაციას. ამ დარგის ფუძემდებლები, მხოლოდ წყაროების პუბლიკაციით არ შემოიფარგლებოდნენ. ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ დაემუშავებინათ ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები და თავისი წვლილი შეეტანათ აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. მართალია, კონკრეტული შრომები ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობაში მათ ძალიან ცოტა აქვთ დაწერილი, მაგრამ ამა თუ იმ ისტორიული პრობლემების შესწავლის დროს ისინი, ბუნებრივია, განიხილავდნენ წყაროებს და საკითხის წყაროთმცოდნეობაში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდნენ. ეს მათი შრომების ერთ-ერთი მთავარი ღირსება გახლდათ. იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც ამ საკითხზე ქართულ ენაზე ლიტერატურა თითქმის არ მოგვეპოვებოდა, ამგვარი დამოკიდებულება წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ნაწილობრივ მაინც ავსებოდა იმ ვაკუუმს, რომელიც ამ დარგში არსებობდა.

ამრიგად, პროფ. გრ. ნათაძემ და პროფ. ალ. ნამორაძემ თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოში დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხების დამუშავების და პოპულარიზაციის საქმეში და საქართველოში ამ ისტორიული დისციპლინის მესაძირკვლეებად, ფუძემდებლად, მოგვევლინენ. ეს ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მათი კიდევ ერთი დამსახურება იყო [6].

ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამოწაკლის წარმოადგენს პროფ. გრ. ნათაძის ნაშრომი „ნაპოლეონის მემუარები და ანდერძი“ [1]. ის წყაროთმცოდნეობით სახიათესა ატარებს და საქართველოში ამ სფეროში დაწერილი პირველ სპეციალურ ნაშრომად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. დღეს ეს ნაშრომში, შესაძლოა, უკვე მოძველებული იყოს, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ხომ არ აიგივებდა იგი ნაპოლეონის მემუარებს და ანდერძს? [5: 135-138; 6: 91-92].

1943 წელს ქართულ ენაზე გამოვიდა ნაპოლეონის რჩეული ნაწერები, სადაც უმთავრესად საუბარია ნაპოლეონის ლაშქრობაზე იტალიაში 1796-1797 წლებში, რომელიც სამხედრო ისტორიკოსების თვალსაზრისით, შესაძლოა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ამიტომ ძნელია დავეთანხმოთ ისტორიკოს გ. ფერეროს როდესაც ნაპოლეონის ლაშქრობას იტალიაში გამანადგურებელი შეფასება მისცა [28]. მემუარული ჟანრი კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს. მას ახასიათებს მემუარისტის როლის ჰიბერბოლიზაცია, გაზვიადება. ნაპოლეონის ჩანაწერები, სწორედ ასეთი კრიტიკული გაცხრილვის შემდეგ ხდება მეცნიერულად ღირებული. ნაპოლეონის „რჩეული ნაწერების“ გამოქვეყნება საქართველოში ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საქმეში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო [13].

მასწავლებლების მიერ დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელეს მათმა მოწაფეებმა. ნათქვამი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შეეხება პროფ. კ. ანთაძეს და პროფ. გ. კილურაძეს.

პროფ. კ. ანთაძის დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთმა პირველმა საგანგებო ყურადღება მიაპყრო დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებს და ამ თემას რამდენიმე საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა. ის ამ სფეროში რამდენიმე კარგი საქმის მოთავე გახდა. უწინარესად უნდა აღნიშნოს, რომ ის ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად საგანგებოდ დაინტერესდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის საკითხით და ამ თემაზე ორი ნაშრომი გამოაქვეყნა, რომელიც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია [1; 2; 7]. დიდი ხნის განმავლობაში ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს ახალი ისტორიის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდილების გაზიარების მცდელობას ნარმოადგენს მისი ნაშრომი „ახალი ისტორიის სწავლების გამოცდილებიდან“ [21]. მას ამ დარგის თვალსაჩინო სპეციალისტად მოიაზრებდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთში. ეს ქართული ისტორიოგრაფიის აღიარება იყო. კ. ანთაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში.

დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის, განსაკუთრებით კი საფრანგეთის დიდი რევოლუციის, წყაროთმცოდნეობის საკითხში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდა პროფ. გ. კილურაძე. მართალია, მას აღნიშნულ საკითხზე სპეციალურ გამოკვლევები არ დაუწერია, მაგრამ თავის ნიგნებში იგი ამ თემას ეხებოდა და საფუძვლიანად მიმოიხილავდა. დავინწყოთ საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობით. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი მთავარი ნაშრომი „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792)“ [10]. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას მტკიცე საძირკველს უყრის უალრესად მრავალფეროვანი და მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია რევოლუციის თანამედროვე ჟანლუი კლოდ ემერის (1742-1823) არქივი, რომელიც სრულად დაუმუშავებელი



იყო. მის კვალს ის ნააწყდა მოსკოვში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში და აღსანიშნავია, რომ მას ამ ძვირფას მასალაზე ცნობილმა ისტორიკოსმა პროფ. ვ. დალინმა მიუთითა. ამან საშუალება მისცა მას მთელი რიგი საკითხები სრულიად სხვაგვარად, ახლებურად, გაეშუქებინა. ეს ქართული ისტორიოგრაფიის დიდი წარმატება იყო [7]. ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები უფრო ფართო სპექტრშია წარმოჩენილი მის წიგნში „ახალი ისტორია“. ამ წიგნის პირველი თავი წყაროთმცოდნეობით ხასიათს ატარებს და სულ მთლიანად ამ თემატიკას მიმოიხილავს [9: 3-17].

ამ დარგში მისი წვლილი ამით არ ამოიწურება და ამ სფეროში მისი დამსახურების კულმინაციადა, ახალი ისტორიის ქრესტომათიის გამოცემა მიგვაჩნია. იგი იყო მისი მთავარი სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი, რედაქტორი და ერთ-ერთი თანაავტორი.

ახალი ისტორიის ქრესტომათიის გამოცემა იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. დღევანდელი გადასახედიდან, მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპების გამო, მისი განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და სუპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ჩვენ ამ თემას ცოტა სხვაგვარად გვინდა შევხედოთ. „ქრესტომათია ახალ ისტორიაში“ წარმოადგენს იმის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, თუ როგორია მეცნიერებისადმი ტოტარიტარული რეჟიმის დამოკიდებულება, როდესაც ის ძალით გახვევს თავს მისთვის სასურველი იდეოლოგიას და არჩევანი ძალიან შეზღუდული გაქვს. ფაქტობრივად, ირჩევ უარესსა და ცუდს შორის. სხვა გამოსავალი კი არ არსებობს.

პირველი ნაწილი ქრონოლოგიურად მოიცავს ისტორიულ მონაკვეთს 1648 წლიდან 1789 წლამდე. ეს პერიოდიზაცია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო და მის წინააღმდეგ ხმის ამოღებას, ცხადია, მაშინ ვერავინ გაბედავდა. საერთაშორისო სტანდარტებით კი ახალი დროის დაწყება XVII საუკუნის შუა ხანებიდან დაგვიანებული ჩანდა. ქრესტომათია ძალიან კარგად თავსდებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის კონტექსტში და სავსებით შეესატყვისებოდა იმ ეპოქის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს. მათ აირჩიეს სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მარქსისტულ აპკში გაახვიეს. თუ მას მარქსისტულ გარესამოსს ჩამოვაცლით მასში მოთავსებული პირველწყაროები საინტერესოა, თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ და მათი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. დღეს მათ სრულიად სხვა ინტერპრეტაცია მიეცემა. ქრესტომათია მნიშვნელოვანწილად აესებს იმ სიცარიელეს, რომელიც დიდი ხნის მანძილზე, ამ დარგში არსებობდა და საქართველოში დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხების მეცნიერული დამუშავების და პოპულარიზაციის საქმეში კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია. ქრესტომათია ამ დაინტერესების პიკს წარმოადგენს.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ახალი ისტორიის ქრესტომათიის მეორე ნაწილის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. ის ქრონოლოგიურად მოიცავდა პერიოდს 1789 წლიდან 1870 წლამდე. ხელსაყრელი შანსი



ხელიდან იქნა გაშვებული. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქრესტომათიის მეორე ნაწილზე მუშაობა მიმდინარეობდა, თუმცა ძნელი სათქმელია, თუ რამ შეუშალა ხელი მის გამოცემას. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება ის ინერტულობა, რომელიც ამ სფეროში 80-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში სუფევდა.

ამრიგად, მიუხედავად პოლიტიკური და იდეოლოგიური წნეხისა ქართული ისტორიოგრაფიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხების შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მარქსისტულ იდეოლოგიასთან კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა სწორი არ იქნებოდა. თუ არა ეს კომპრომისი მაშინ ამ საკითხზე ქართულ ენაზე ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რომელიც დღეს გაგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს.

\* \* \*

90-იანი წლების დასაწყისი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში მნიშვნელოვანი ტეხილი იყო. საბჭოთა კავშირი დაიშალა. ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატი, მონოპოლია, დასრულდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ სუვერენობა დაიბრუნა. ახლა მას შეეძლო საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა. დაიწყო მსოფლიო ისტორიის მარქსიზმისაგან გათავისუფლების პროცესი. ეს არ იყო ადვილი საქმე და გარკვეული დრო ესაჭიროებოდა. ფაქტობრივად, ამით იწყება საქართველოში დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებით დაინტერესების მეორე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება.

ვერ ვიტყვით თითქოს ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არაფერი კეთდება. რაღაც არის გაკეთებული, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ძალიან ცოტაა. რა თქმა უნდა, გასაკეთებელი ბევრია. პირველ ყოვლისა მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქართულ ენაზე თანამედროვე ტიპის ახალი ისტორიის ქრესტომათიის გამოცემა. ამის გაკეთება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად გვესახება.

ამ პერიოდში გამოცემული შრომებიდან, პირველ ყოვლისა, აღნიშვნის ღირსია, ლ. ფირცხალავას წიგნი „ისტორიული მეცნიერების შესავალი“. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად დაიწერა სახელმძღვანელო ამ საგანში. ეს XX საუკუნის მინურულის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი წარმატება იყო.

სახელმძღვანელოში საუბარია ისტორიული მეცნიერების წარსულზე, წყაროთმცოდნეობაზე, დამხმარე ისტორიულ დისციპლინებზე: ნუმისმატიკა, ბონისტიკა, ფალიერისტიკა, შერალდიკა, გენეალოგია, ისტორიული ანთროპოლოგია, ისტორიული დემოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, არქივთმცოდნეობა, ისტორიული ბიბლიოგრაფია და სხვ. [17].

სახელმძღვანელო ისტორიულ მეცნიერებაზე ნათელ წარმოდგენას შეუქმნის სტუდენტ – ისტორიკოსებს. სახელმძღვანელოს მონოგრაფიად გამოცხადება, როგორც ეს გაკეთებულია ნიგნის სატიტულო ფურცელზე, პრეტენზიულად უღერს და ამბიციურად მიგვაჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ პ. ბრენერის სიძულვილი პეტრე I-სადმი იმდენადვე ძლიერი იყო, რამდენადაც ამ უკანასკნელისა მის მიმართ: პეტრემ შეიძულა და მკაცრად დასაჯა ახალგაზრდა შვედი სწავლული იმის გამო, რომ იგი ნებით თუ უნებლიეთ გაერკვია მისი ჭეშმარიტი წარმომავლობის საიდუმლოში, რის შესახებ მან პ. ბრენერის ჩანაწერებიდან შეიტყო, რომლებიც დაპატიმრებისას ჩამოართვეს. ამიტომ პეტრე I არც თუ უსაფუძვლოდ განიხილავდა პ. ბრენერს როგორც პიროვნებას, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა მისი საერთაშორისო რეპუტაციისათვის. მაგრამ მეფემ მის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებისაგან თავი შეიკავა, როგორც ჩანს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ პ. ბრენერის დაპატიმრებასა და მისთვის უმკაცრესი რეჟიმის შეფარდებას დიდი რეზონანსი ჰქონდა, არამედ მის დამცველთა და მეფის წინაშე შეწყალების შესახებ შუამავალთა როლში შვედეთის ტყვეობაში მყოფი რუს მაღალჩინოსანთა ნაწილი გამოვიდა, მათ შორის ალექსანდრე ბაგრატიონი, რომელიც პირველყოელისა, შეეცადა შვედი მეგობრისათვის დახმარება თავისი მამის არჩილ მეფის მეშვეობით აღმოეჩინა, მაგრამ მალე შეიტყო, რომ მამამისს არ ძალუძდა შვედი სწავლულის ბედზე დადებითი ზემოქმედება მოეხდინა, რადგან, როგორც გაირკვა, იგი უშუალოდ რუსი მეფის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული.

4 Brenneri H. Op. cit. გვ. 93-94.

5 იქვე, 90.

ჰ. ბრენერსა და ალექსანდრე ბაგრატიონს შორის არსებულმა მეგობრულმა ურთიერთობამ ეს უკანასკნელი აიძულა პეტრე I-სათვის ორჯერ წერილით მიემართა ამ საკითხთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც ა. ხილკოვმა მეფეს თხოვნა გაუგზავნა ჰ. ბრენერისათვის პატიმრობის რეჟიმის შემსუბუქების თაობაზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შვედეთის მთავრობა პირადად მას როგორც რუსეთის მთავრობის ოფიციალურ ნარმოშადგენელს მკაცრი რეპრესიული ზომების მიღებით დაემუქრა, რასაც იგი ფაქტობრივად ვერ გადაურჩა (გარკვეული დროით ა. ხილკოვი სტოკჰოლმიდან პროვინციაში გადაასახლეს და გამკაცრებული რეჟიმი დაუნიშნეს). პეტრე I-ის სიძულვილი ჰ. ბრენერისადმი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მასთან მეტად დაახლოებული ორი პიროვნების თხოვნა მის შესახებ უგულვებლყო და უპასუხოდ დატოვა, რაც, კერძოდ, ალექსანდრე ბატონიშვილმა ზედმიწევნით მტკივნეულად აღიქვა. ამის შესახებ ვგებულობთ პეტრე I-სადმი ალექსანდრეს 1710 წ. სექტემბრით დათარიღებული წერილიდან (ანუ ხუთი თვით ადრე ბატონიშვილის გარდაცვალებამდე), რომელშიც ჰ. ბრენერი მოხსენიებული არ არის, მაგრამ მისი სახელი ორი სიტყვით „ვინმე პერსონა“-თია დამიფრულ<sup>6</sup>. წერილის კონტექსტიდან ირკვევა, რომ ალექსანდრეს თხოვნით ბრენერის შესახებ მეფისათვის ადრე ორჯერ მიუმართავს, მაგრამ პასუხი არ მიუღია: აქ უდავოდ ალექსანდრე ბაგრატიონის პეტრე I-სადმი გაგზავნილი ის ორი წერილი იგულისხმებოდა, რომლებიც ამ უკანასკნელმა ტყვეობაში მყოფი თავისი ქართველი მეგობრისადმი 1710 წ. 28 ივლისს გაგზავნილ ზემოთ ციტირებულ წერილში მოიხსენია და რომლებიც პასუხის გაუცემლად დატოვა.

საფიქრებელია, რომ ქართველმა ბატონიშვილმა არ იცოდა შეედი დიპლომატის მიმართ რუსი მეფის სიძულვილისა და მოსკოვში მისდამი ასეთი მკაცრი მოპყრობის ნამდვილი მიზეზი, რის გამო ალექსანდრე თავის წყენასა და გვირგვინოსანი მეგობრისაგან იმედის გაცრუებას არ მალავდა. ეს პირველი შემთხვევა იყო მეგობრების ურთიერთობაში გაჩენილი ბზარისა, რაღაცნაირი სიყალბის მსგავსი გამოვლინებისა, რაც თითქმის არაგულწრფელობის ტოლფასი იყო. ამიტომ ალექსანდრე ბატონიშვილი პეტრე I-სადმი თავის წერილში ცდილობდა რამდენადაც შესაძლებელი იყო გულლიად ეთქვა ყველაფერი იმის შესახებ, რაც მისი უკმაყოფილების გამომწვევი იყო. ამდენად ეს წერილი, ჩვენი აზრით, ერთგვარი ნიმუში იყო მეგობრებს შორის აღმოცენებული უმზრახობისა და ნახევრად ნათქვამის თავშეკავებული გამოვლინებისა, როდესაც ასაკითა და „რანგით“ უმცროსი ჯიქურ უტევს უფროსს, თუმცა ცალმხრივი პაექრობის „აგრესიულობა“ მას აიძულებს უფროსს „წაღრენის“ გამო ზოდიში მოუხადოს.

ვიდრე ამ წერილის შინაარსს მოკლედ გადმოვცემდეთ, გვსურს მისი ავტორისათვის, როგორც დასაელებთ ევროპაში განსწავლული ადამიანისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშან-თვისება აღვნიშნოთ: "Sire" – ასე მიმართავს ალექსანდრე ბატონიშვილი პეტრე I წერილის დასაწყისში, ხოლო

ამთავრებს მას "P.S."-ით ანუ "Post Scriptum"-ზე მინიშნებით<sup>7</sup>, რაც ერთობ უჩვეულო იყო იმდროინდელი არა მხოლოდ ქართველისათვის, არამედ ევროპასთან შედარებით უფრო ახლოს განლაგებული რუსეთის განათლებულ მკვიდრთათვისაც. მაგრამ ყველაზე მძაფრ ინტერესს იწვევს შინაარსი წერილისა, რომელიც რელიგიურ სენტენციებთან ერთად მამხილებელ ელემენტებსაც შეიცავს. წერილი ბიბლიაზე მითითებით იწყება: „თურქული დიალექტით ხატიშარიფი რუსულად საღმრთო წერილს ნიშნავს“-ო. ამის შემდეგ ალექსანდრე პეტრეს ატყობინებდა იმის შესახებ, თუ რა უზომო სიამოვნება მიანიჭა მას ამასწინანდელმა მისდამი გამოგზავნილმა მეფის წერილმა, იმდენად დიდი, რომ ცალკეულ ასოებსაც კი ამ წერილისა კოცნით აღვიქვამდით. როგორც წერილიდან ირკვევა, ალექსანდრე ნაწილობრივ ინფორმირებული იყო იმ ზომების შესახებ, რომლებსაც რუსეთის მეფე და მისი გარემოცვა ქართველი ბატონიშვილის ტყვეობიდან გასათავისუფლებლად გეგმავდა, რის გამოც ეს უკანასკნელი პეტრეს ატყობინებდა, რომ არაფერზე ისეთზე არ დათანხმდებოდა, რაც ომის ვითარებაში მყოფ რუსეთის სახელმწიფოს „დეტრიმენტს“ (ანუ ზარალს) მიაყენებდა.

რუსეთის მიმართ თავისი პატრიოტული სულისკვეთების ხაზგასმით დადასტურების შემდეგ ალექსანდრე გულლიად საყვედურობდა პეტრეს ამ უკანასკნელის მიერ მისი თხოვნის შეუსრულებლობის გამო, იმ თხოვნისა, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, მის *შეედ მეგობარს პენრიკ ბრენერს ეხებოდა*, თუმცა მისი სახელი წერილში, როგორც აღვნიშნეთ, არ იყო მითითებული:

„მე მხოლოდ ვინმე პერსონისადმი მოწყალებას გთხოვდით, მაგრამ რადგან ამაზე მონარქის კეთილგანწყობას ვერ მივალნიე რომელილაც ჩემი ნაკლისა, ან უღირსობის გამო, აღარასდროს გავკადნიერდები, (ჩემი) პირილობით მთქნარება რომ არ მოგგვაროთ და ამიერიდან პირბაგესაც კი შევიკრავ. ასეთად დავრჩები, როგორც ვარ და კუბოს ფიცრამდე ვიქნები თქვენი ყოვლად მონა-მორჩილი ალექსანდრე გრუზინეცი“<sup>8</sup>. საყვედურით აღსავსე ასეთი ტირადით მიმართა ალექსანდრე ბაგრატიონმა თავის სიყრმის მეგობარ რუსეთის გვირგვინოსანს, რომელმაც ალბათ მართლაც პირველად გაუტყრა იმედი. გამოთქმული საყვედურის დასამძიმებლად იყო, ჩვენი აზრით გაანგარიშებული წერილის ხელმოწერა ზედსახელით („ალექსანდრე გრუზინეცი“), რომელიც ავტორს პეტრე I-ის ბავშვობისდროინდელი შესაქცევარი სამხედრო თამაშების დროიდან ჰქონდა შერქმეული თანატოლი რუსი ყმანვილებისგან. განსახილველი წერილის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც ალექსანდრეს პეტრეს მიმართ საყვედურს შეეხება, ვფიქრობთ, აუცილებლად გასათვალისწინებელია ზემოთ აღნიშნული მოსაზრება, რომ ქართველმა ბატონიშვილმა, როგორც ჩანს, არ იცოდა ნამდვილი მიზეზი რუსეთის მეფის პენრიკ ბრენერისადმი გამჟღავნებული განსაკუთრებული სიმკაცრისა და ამ უკანასკნელის შესახებ პეტრეს მხრივ მისი თხოვნის იგნორირებისა. მაგრამ,

7 იქვე.

8 იქვე.



დამოუკიდებლად ამისგან, ალექსანდრე ვერ მალავდა თავის უკმაყოფილებას იმის გამო, რომ გვირგვინოსანმა მეგობარმა თხოვნა არ შეუსრულა, რისთვისაც მას ფაქტობრივად ჰქიცხავდა და საკმაოდ მკაცრადაც.

ალექსანდრე ბატონიშვილის სწორედ ასეთი განწყობა თვალნათლივ ჩანს პეტრე I-სადმი მისი წერილის "Post scriptum"-იდან, რომელიც არანაკლები ინტერესის აღმძვრელია, ვიდრე ძირითადი ტექსტი წერილისა. შინაარსი წერილის ამ მონაკვეთის ავტორს ზოგადად თეოლოგიაში და, კერძოდ, კათოლიციზმისაგან განმდგარი ეკლესიის რეფორმატორების (იგივე პროტესტანტების) სწავლების ნიუანსებში ერთობ გათვითცნობიერებულ პიროვნებად წარმოაჩენს. ეს ასპექტი წერილისა იმ მხრივაცაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ ალექსანდრე ქარაგმულად მას პროტესტანტ ჰენრიკ ბრენერის პრობლემას უკავშირებდა. "Post scriptum"-ის პირველ ფრაზაში, რომელიც ადრესატისადმი მიმართული, ნათქვამი იყო: „თითქმის მაცდუნებს მსჯელობა რეფორმატებისა (ანუ პროტესტანტებისა – ჯ.ვ.)...“ რომელიც, როგორც ირკვევა, უშუალოდ ეხებოდა ამ უკანასკნელთა მოწოდებას შეწყალებისა და ლმობიერებისადმი. მთლიანად ამ ფრაზის კონტექსტი ქართულად ასე იკითხება: „თითქმის მაცდუნებს მსჯელობა რეფორმატებისა, რომლებიც თავის მოსაზრებას მოციქულ პავლესთან (დამონმებულ) ღმერთის მიერ მოსესადმი მიმართულ სიტყვებზე რომ ამყარებენ: შევიწყალე მას და კიდევ შევიწყალე უფრო გულუხვად, ვიდრე მანამ (შევიწყალე)<sup>9</sup>.

ამის მიხედვით ცხადია, რომ შეწყალებას ნიშუში არ გააჩნია: თუ ორი იქნება (შესაწყალებელი), ერთი შეიწყალება, (მეორე შეუწყალებელი დარჩება). მაგრამ მადლობა ღმერთს, არა საქმეთა (მიხედვით), არამედ მომწოდებლის (ღმერთის – ჯ.ვ.) ნების მიხედვით<sup>10</sup> («Не от дел, но от Призывающего»). მომიტვე, მოწყალეო ხელმწიფე, ასე რომ ვიღრინები («огрызаюсь»)<sup>11</sup>. ვიდრე წერილიდან ზემოთმოტანილ ამონაწერს კომენტარს დავურთავდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის მრისხანე მეფის გარემოცვიდან მის მიმართ ასეთი მკვახე გამონათქვამების მსგავსს (რასაც ადგილი ჰქონდა ალექსანდრეს წერილში და რისთვისაც მან თავი ვალდებულად ჩათვალა მოეზობიშებინა), არა თუ ვერავინ შეებდავდა მას, არამედ აზრადაც კი არ გაივლებდა ასეთ დაპირისპირებას მონარქთან. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი ორ მეგობარს შორის არსებულ ძალზე მჭიდრო ურთიერთობაზე მიგვანიშნებს. "Post scriptum"-იდან ზემოთ დამონმებული ტექსტი საღმრთო წერილის შესაბამისი ადგილის მიხედვით ასეთ განმარტებას შეიცავს: „ის (ღმერთი) მიმართავს მოსეს: ვინც შესაწყალებელია, შევიწყალე. ამრიგად შეწყალება დამოკიდებულია არა მსურველზე (შენწყარებისა) და არც მოღვაწეზე, არამედ შემწყარებზე-

9 წმინდა მოციქულის პავლეს მიმართვა რომაელთადმი (თავი IX, 15-16): „რამეთუ იგი მოსეს ეუბნება: ვინც შესაწყალებელია, იმას შევიწყალე, ვინც შესაცოცხლა, შევიცოდებ. ამდენად შეწყალება არა მსურველზე ან ღვაწლმოსილზეა დამოკიდებული, არამედ მწყალობელ ღმერთზე“.

10 იქვე (თავი IX, 10-12).

11 РГАДА. Ф. 9 (Кабинет Петра I). Отд. II. Кн. 11. გვ.386-386 იბ.

ლი ღმერთისაგან<sup>12</sup>. სწორედ პავლე მოციქულის სენტენციიდან გამომდინარე ამ დებულებას ემყარებოდა წინასწარგანზრახულობის კალენისტური დოქტრინა, რომლის დედააზრია: ღმერთმა თვით უწყის ვის ჩათვლის ღირსად შეწყალებისა, ხოლო ადამიანს უფლება არა აქვს თავის პირად ღირსებათა თუ დამსახურების გამო ღმერთის შეწყალების იმედი ჰქონდეს<sup>13</sup>. ამავე დებულებაზე დაყრდნობით ალექსანდრე ბატონიშვილი პეტრე I, ერთი მხრივ, იმას შთააგონებდა, რომ ღვთის მოწყალების მოტივირების ახსნა ადამიანური ლოგიკით შეუძლებელია, ხოლო – მეორე მხრივ, იმასაც, რომ მეფის მიერ გაღებული მოწყალებაც (და არა მსჯავრდება) თითქმის ასევე განუკითხავია, როგორც ღვთიური, ოღონდ განსხვავებული შინაარსით, და იქვე ცდილობს განმარტოს ეს სხვაობა: როდესაც პეტრემ არ შეინყნარა ბატონიშვილის თხოვნა სასჯელისათვის განწირული თავისი შვედი მეგობრისადმი მოწყალების შესახებ, გარკვეული აზრით ეს მისი როგორც მეფის „პრეროგატივა“ იყო და ამდენად ალექსანდრემ პეტრეს მიმართ თავისი გულისწყრომა და საყვედური გადაჭარბებულად ჩათვალა, რისთვისაც მეფეს ბოდიში მოუხადა. სულ სხვა შინაარსისაა ორ ცოდვილს შორის ღმერთის გასაკეთებელი არჩევანი (რაც ღვთის განგების „პრეროგატივაა“ თუ შეიძლება ასე ითქვას), როდესაც ერთ მათგანს შეწყალება ენიჭება, ხოლო მეორეს განკითხვის დღე ელოდება. ალექსანდრეს კომენტარს პავლე მოციქულის ამ სენტენციისა და მის მიმართ „რეფორმატივის“ დამოკიდებულების შესახებ შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: ცოდვილისადმი ვერდიქტი (შენყნარებული იქნას იგი თუ განსაკითხავ სამსჯავროს გადაეცეს) მხოლოდ ღმერთს გამოაქვს (და არა მეფეს!). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ალექსანდრე პეტრეს I იმაში სდებდა ბრალს, რომ მან („ცოდვილი“ ბრენერის მიმართ მკაცრი მსჯავრდებით) დაარღვია მცნება „კეისარს კეისრისა“ და ხელჰყო „ღმერთისა“ (ანუ ღვთის განგების „პრეროგატივა“).

ეს სერიოზული ბრალდება იყო, რომელიც მეგობრებს შორის გარკვევას საჭიროებდა, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა მათ, სამწუხაროდ, აღარ მიეცათ. მოვლენათა მომდევნო განვითარებამ ამის შესაძლებლობა გამორიცხა, თუმცა ჩრდილოეთის ომის დასრულებისთანავე ცნობილი გახდა არა მხოლოდ ის, რომ პეტრე I-სათვის ქართველი მეგობრის ალექსანდრე ბაგრატიონის ნათელი ხსოვნა წარუშლელი დარჩა, არამედ ისიც, რომ ამ უკანასკნელის თხოვნა პენრიკ ბრენერის შეწყალების შესახებ პეტრემ ერთობ მოგვიანებით, მაგრამ მაინც შეასრულა: შვედი დიპლომატი საპყრობილედან გაანათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა მისცეს.

ალექსანდრე ბატონიშვილის პეტრე I-სადმი წერილის ზემოთ განხილული შინაარსი იმის საფუძველს იძლევა, რომ შემდეგი დამაჯავმებელი დასკვნა გაკეთდეს. შ. ბრენერის პრობლემასთან დაკავშირებით, რომელმაც სპარსეთში ყოფნის შედეგად რუსული დინასტიური საგვარეულოს ისტორიაში მნიშვნელოვანი კორექტივის შეტანა შეძლო, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მან

12 რომაელთა მიმართ, თავი IX, 12.

13 იქვე.

უნებურად ორი მეგობრის – პეტრე I-ისა და ალექსანდრე ბაგრატიონის დაპირისპირება გამოიწვია. ობიექტურად ამ საკითხში ორივეს პოზიციას თავისი ახსნა ჰქონდა: პეტრე I ცდილობდა პირადი საერთაშორისო რეპუტაციის დაცვას და ამის გამო არ მოერიდა ჰ. ბრენერის მკაცრ დასჯას, მაშინ როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი გვირგვინოსანი მეგობრის ასეთი მოქმედება მიკერძოებული დაინტერესებით ახსნა, იგი ზნეობრივ-რელიგიური პრინციპების დარღვევაში დაადანაშაულა და ფაქტობრივად იმაზე მიანიშნა, რომ „ჭეშმარიტება მეფეზე უფრო ძლიერია“, როგორც ეს მომდევნო დროის ლიტერატურის კლასიკოსმა ზნეობრივი პოსტულატის სახით ჩამოაყალიბა<sup>14</sup>. ასეთი გახლდათ ალექსანდრე ბაგრატიონის 1710 წ. 6 სექტემბრით დათარიღებული და პეტრე I-სადმი მიმართული წერილის სტრიქონშუა აზრი. იგი ქართველი ბატონიშვილის არა მხოლოდ მაღალი დონის განათლებაზე, არამედ ჰუმანურობასა და პრინციპულობაზეც მეტყველებს, განსაკუთრებით პატივისა და ღირსების დაცვის საკითხებში, დამოუკიდებლად დიდ რუს მეფე – რეფორმატორთან მისი გულწრფელი და ერთგული მეგობრული ურთიერთობისა.

ქვემოთ შევეცდებით მოკლედ შევეხოთ ზოგიერთ ისტორიულ ფაქტსა თუ გარემოებას, რომლებიც ჰ. ბრენერის მიერ პეტრე I-ის წარმომავლობის პრობლემატიკაში შეტანილი „კორექტივის“ მართებულობაზე, ჩვენი აზრით, თვალნათლივ მეტყველებენ. საესებით ბუნებრივია, მაგალითად, იმის დაშვება, რომ ნიკოლოზ დავითის ძემ – ერეკლე I-მა საიდუმლო მოსკოვში დატოვებული უფროსი ვაჟის შესახებ, არა მხოლოდ ჰ. ბრენერს გაანდო, არამედ თავისი ოჯახის წევრებსაც. ასეთი აზრი გვებადება კახეთის მეფის კონსტანტინე II-ის (მუსლიმანობაში მამამად-ყული – ხანის) მიერ პეტრე I-სადმი გაგზავნილი წერილის გაცნობისას, როდესაც ეს უკანასკნელი 1725 წ. თავისი ჯარით კავკასიაში იმყოფებოდა. ერეკლე I-ის სპარსეთში შეძენილი ორი ვაჟიშვილისაგან კონსტანტინე უმცროსი იყო, რომელიც შაჰის კარზე აღიზარდა და კახეთის ტახტს მემკვიდრეობითი უფლებით დაეუფლა. ჩვენი ვარაუდით იგი გათვითცნობიერებული იყო რუსი მეფე-რეფორმატორის ნამდვილი წარმომავლობის საიდუმლოებაში. პეტრე I-სადმი მის მცირე მოცულობის წერილში გამოხშირულია ასეთი შემთხვევებისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი მისწრაფება ხოტბის შესხმისა ან მაღალფარდოვანი „შტილით“ მლიქვნელოვანი მიმართვისა რუსეთის პირველი იმპერატორის მიმართ, რომელმაც საქვეყნოდ გაითქვა სახელი თავისი გამარჯვებებით შევდებსა და სპარსელებზე და რომელმაც თავისი ქვეყნის საზღვარი საქართველოს მიუახლოვა. მაგრამ კონსტანტინეს წერილში ყურადღებას იპყრობს არა იმდენად პოლიტიკური აზრი პეტრესადმი მისი მიმართვისა, რამდენადაც ავტორის მისწრაფება ადრესატი მასთან პირადი საუბრისათვის რომ განეწყო (ვითარცა ნათესავთან, უფრო ზუსტად კი ძმასთან მამის ხაზით) დამოუკიდებლად იმისგან, თუ სად ან ვისთან შედგებოდა ასეთი შეხვედრა (მასთან თუ პირიქით). რადგან წერი-

14 Пушкин А.С., Сочинения. Переписка. СПб., 1911. т. 3. гл. 443.

ლის შინაარსი თავისთავადაა საინტერესო, ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ მისი ტექსტის ქართულ თარგმანს მცირეოდენი კუპიურებით:

„თქვენთან სასიამოვნო საუბრის დიდი ხნის მაძიებელი ვახლავართ, რომელიც ასე შემოკობილი ხართ კეთილზნობით, რომლის ნახვას ასე მონყურებული ვართ, ჩვენ, მეფე კონსტანტინე, მოგახსენებთ თქვენ, დიდად პატივცემულო ჩვენი დამცველო, რომლის ნახვა ასე ძლიერ გვსურს. თქვენთვის შესაფერ ბევრ თავყანისცემას გიგზავნით თქვენ... რომელზეც ასე დანდობილნი ვართ და რომელიც ჩვენ დიდ საყრდენსა და იმედს წარმოადგენს. გაცნობებთ თქვენთან მოსვლის ჩვენ სურვილს, რათა მოგესალმოთ თქვენ... ღმერთს რა შეეძლო იმაზე უკეთესი გაეკეთებინა ჩვენთვის (რაც გააკეთა!). ახლა, როდესაც მან ღირსგვყო თქვენი აქ ჩამობრძანებისა და თქვენ ასე ახლოს იმყოფებით ჩვენგან, შიკრიკს გიგზავნით; ისე არ მოიმოქმედოთ, რომ ჩვენთან არ ჩამოხვიდეთ, მოდიეთ, იხილეთ ჩემი მდგომარეობა, გვაცნობეთ როგორი იქნება თქვენი განკარგულებები და ჩვენ მათ შევასრულებთ. თან წამოიძღვარეთ ხუთი ან ექვსი ადგილობრივი მამასახლისი“<sup>15</sup>.

კახეთის მეფის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოურიდებლად,“ თითქმის შინაურულ-ფამილიარულად, ყოველგვარი ეპითეტებისა და რევერანსების გარეშე მიმართვა უკვე განთქმული რუსეთის იმპერატორისადმი (რასაც არ დაუშვებდა არცერთი ევროპელი, მით უმეტეს აღმოსავლელი გვირგვინოსანი), ამასთან ერთად თითქოს-და საყოველღეო თხოვნით შეხვედრის თაობაზე tête à tête სასაუბროთ, ცხადია, არ აიხსნებოდა კონსტანტინეს აზიატური უტაქტობით. ამ უკანასკნელის მიერ რუსი მონარქის ასეთი გულითადი მიწვევის მორალურ საყრდენს, ჩვენი აზრით, მათ შორის არსებული ნათესაობრივი კავშირი წარმოადგენდა, ხოლო წერილში ორჯერ ხაზგასმული სურვილი პირადი შეხვედრისა, შესაძლოა, სწორედ ამის თაობაზე საუბრისა და უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი ნიკოლოზ დავითის ძის – ერეკლე I-ის გახსენებასაც ითვალისწინებდა. ასეთი ახსნა კონსტანტინე მეფის პეტრე I-სადმი გაგზავნილი წერილის შინაარსისა სუბიექტურად ან მით უმეტეს ტენდენციურად არ უნდა მოგვეჩვენოს, რადგან იგი ემყარება პ. ბრენერის ნაშრომში დამონტებულ ფაქტობრივ მინიშნებას იმაზე, რომ პეტრე I-სა და კახელ ბაგრატიონებს შორის პირდაპირი ნათესაობრივი კავშირი არსებობდა.

ზემოთ აღნიშნულს უშუალოდ უკავშირდება ერთი გარემოებაც, რომელიც საკმარისი ფაქტობრივი და ლოგიკური მონაცემებით, ჩვენი აზრით, ასაბუთებს ნარიშკინ-რომანოვებსა და ბაგრატიონებს შორის არსებულ ნათესაობას. საქართველოდან რუსეთში ემიგრირებული არჩილ II-ის ოჯახის მოსკოვში დაფუძნებისთანავე ხმა დაირხა ახალგაზრდა პეტრე I-ის ქართველი მეფის ქალიშვილზე დარეჯანზე შესაძლო ქორწინების შესახებ. ეს მითქმამოთქმა, როგორც ჩანს, იმდენად საფუძვლიანი ჩანდა, რომ მისი ანარეკლი აისახა პოლანდიელი რეზიდენტის მოსკოვიდან ნიდერლანდების გენერალური მტატებისადმი გაგზავნილი რელაციის ტექსტში. მაგრამ ქორწინება პეტრესა

15 Переписка грузинских царей с российскими государями, от 1639г. по 1770г. СПб., 1861. გვ. 164.

და დარეჯანს შორის არ შემდგარა. რას შეეძლო ამისთვის ხელი შეეშალა, მაშინ როდესაც ეს ქორწინება ორმხრივ სასურველი იყო? თუ პეტრე I-ის ბაგრატიონული წარმომავლობა საფუძველს მოკლებული არ არის, გამოდის რომ პეტრე და დარეჯანი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ (და-ძმა ქეთევან და ერეკლე ბაგრატიონების შვილები ანუ დავით თეიმურაზის ძის შვილიშვილები და თეიმურაზ I-ის შვილთაშვილები). რადგან ეს ძალზე ახლო ნათესაობრივი ურთიერთობა იყო<sup>16</sup>, ქორწინება მათ შორის დაშვებული ვერ იქნებოდა და, ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ მას წინ აღუდგებოდა ნატალია კირილეს ასული ნარიშკინა, რომელსაც დასაქორწინებელთა შორის არსებული ასეთი მჭიდრო ნათესაობრივი კავშირის შესახებ სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა.

ეს მოსაზრება რალაცნაირად უკავშირდება, ჩვენი აზრით, რუსი მუსიკათმცოდნის ს. დიანინის ერთ-ერთ დაკვირვებას. თავის საფუძვლიან გამოკვლევაში დიდი რუსი კომპოზიტორის ა. ბოროდინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ იგი შეეცადა ღრმად ჩაწვდომოდა ამ უკანასკნელის ქართული წარმომავლობის ფესვებს, რის შედეგად მან არასწორად დაუშვა კომპოზიტორის ნათესაობა არჩილ II-სთან დარეჯან არჩილის ასულის ხაზით, თითქოსდა ამ უკანასკნელის „მორგანატიკური“ კავშირის გზით<sup>17</sup>. ამ თავისი მცდარი ვერსიის შესამაგრებლად იგი აღნიშნავდა: „ხომ ცნობილია, რომ პეტრე I-ს თავი ქართლის მეფეთა მემკვიდრედ მიაჩნდა და დიდად უარყოფითად აღიქვა ქართლის (უნდა იყოს „იმერეთის“ – ჯ.ვ.) უკანასკნელი (?) მეფის სურვილი, რომ მისი ქალიშვილის მასზე ქორწინებით თავისი საგვარეულო გაეგრძელებინა“<sup>18</sup>. ამ ფრაზას როგორც აზრობრივი, ისე ფაქტობრივი აღრევა შეაქვს განსახილველ საკითხში: ზემოთ დამონშებული არჩილ მეფის ე.წ. „სულიერი ანდერძის“ ძალით პეტრე I შეეძლო თავი საქართველოს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთა ნომინალურ მფარველად ჩაეთვალა. რაც შეეხება იმას, მიაჩნდა თუ არა პეტრე I თავი ქართველ მეფეთა მემკვიდრედ, შემდეგი უნდა აღვნიშნოთ: თუ დავუშვებთ, რომ მან იცოდა თავისი ბაგრატიონული წარმომავლობის შესახებ, მაშინ მას თავი არა იმერეთისა და ქართლის მეფეთა მემკვიდრედ, არამედ კახეთის მეფეთა პირდაპირ შთამომავლად

16 ამ ვარაუდის განსამტკიცებლად შეიძლება აღვნიშნოთ ფაქტი მოსკოვში არჩილ მეფის მსახურთუხუცესის ნოდარ ჯორჯაძის წარუმატებელი ნიშნობის ევდოკია დავითიშვილზე-ბატონიშვილ ნიკოლოზ დავითის ძის ამაღლის წევრის ხოხონა დავითიშვილის ქალიშვილებზე, როდესაც სარძლოს დედის ეჭვი შეეპარა ამ ქორწინების მართებულობაში, ვინაიდან მისი მახლი ელიზბარი (ილია) რომანის ძე სასიძოს სიძე იყო. იძულებული გახდნენ ამის გამო პატრიარქ იოაკიმესთვის მიემართათ, რომელმაც დიდი ყურყურის შემდეგ ასეთი ქორწინების დაშვება შესაძლებლად ჩათვალა. მაგრამ ქორწინილი ბიძაშვილ-მამიდაშვილს შორის, როგორც სისხლის აღმრევი, მართლმადიდებლური პოსტულატების გათვალისწინებით დაუშვებლად ითვლებოდა. ამასვე ადასტურებს ი. რეიტენფელსის დაკვირვება მაშინდელი მოსკოვის ცხოვრების წეს-ჩვეულებებზე: „ნათესაეები მეოთხე მუხლამდე, ისევე როგორც ნათლობაში ორმხრივი მონაწილე ნათლები არ ქორწინდებიან“ (იხ. Извлечение из сказаний Якова Рейтенфельса о состоянии России при царе Алексее Михайловиче. // Журнал Министерства народного просвещения. 1839. №7, Словесность, науки и художества. გვ. 53).

17 ბატონიშვილი დარეჯან არჩილის ასული, რომელზეც ს. დიანინი მიაწინებს, 1740 წ. გარდაიცვალა ისე, რომ არ გათხოვილა და არც შთამომავლობა დაუტოვებია.

18 Дианин С.А. Бородин: Жизнеописание. Материалы и документы. М., 1955. გვ.154.

უნდა ჩათვალა. მაგრამ ს. დიანინის ნაშრომიდან ციტირებული ამონაწერი, შესაძლოა, მკრთალ მინიშნებას შეიცავს იმაზე, რომ პეტრე I-ის ჯვრისწერა დარეჯან არჩილის ასულზე სისხლის აღრევის ტოლფასი იქნებოდა და, როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ თავიდან ასე ოპტიმისტურად ჩაფიქრებული ეს ქორწინება არ განხორციელდა.

დაბოლოს მოკლედ შევეხებით კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც განსახილველ პრობლემას ასევე ეხმიანება. საუბარია ცნობილ წესდებაზე, რომელიც რუსეთის მეფის ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის ახალ წესს ითვალისწინებდა და რომელიც პეტრე I-მა თავის გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე დაამტკიცა<sup>19</sup>. წესდებამ გააუქმა ტრადიციული წესი ტახტის მამიდან შვილზე გადაცემისა და შეცვალა იგი მეფის უფლებით ტახტი მისთვის გადაეცა, ვისაც ამის ღირსად ჩათვლიდა. აი როგორ შეფასებას აძლევს ამ წესდებას ზოგიერთი ისტორიკოსი, იმონებს-რა ამასთან დაკავშირებით პეტრეს ერთ-ერთი თანამოღვაწის გამონათქვამს: „ამ ჭეშმარიტად რევოლუციურ ნაბიჯს მაშინდელი ადამიანებისათვის არანაკლებ უცნაური განკარგულება მოჰყვა მომავალი მემკვიდრისათვის ფიცის დადების შესახებ – პეტრემ თავისი სიცოცხლის ბოლომდე მისი დასახელება ვერ მოასწრო. ასეთი გაუგებარი სიახლენი ხალხის დრტინვასა და ფიცის მიცემაზე უარსაც იწვევდა; საჭირო იყო იმაზე დაფიქრება, რომ საუკუნოვანი ტრადიციების დარღვევას თვით მმართველ წრეებში შეეძლო სახიფათო განხეთქილება გამოეწვია. პეტრეს ნამყვანმა იდეოლოგმა თეოფანე პროკოპოვიჩმა რუსებისათვის ამ უჩვეულო აქტისადმი მიცემულ განმარტებაში აღნიშნა, რომ ხელმწიფეს მემკვიდრის შერჩევისას შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს „თვით შვილობასაც“ კი. თუმცა მანვე, უარყოფდა-რა შეუზღუდავი მონარქიის მონინააღმდეგეთა აზრს, იწინასწარმეტყველა ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხში გაურკვევლობის შესაძლებელი შედეგების შესახებ, როცა დიდებულები აირჩევენ „უილაჯოსა და გონებაშეზღუდულს, რომლის მმართველობისას თვითონ შეძლებენ მეფობასა და მფლობელობას...“<sup>20</sup>.

ამ კომენტარში, ჩვენი აზრით, არასწორადაა გაკეთებული აქცენტები, რომლებიც პეტრეს სიახლის ნამდვილ აზრს ამახინჯებენ, რასაც არ ამართლებს თ. პროკოპოვიჩის გამონათქვამზე მინიშნება. საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ „რუსეთისთვის უჩვეულო ეს აქტი“ გათვალისწინებული იყო „მმართველ წრეებში“ შესაძლო განხეთქილების აღმოსაფხვრელად, იმის მსგავსისა, რომლის მომსწრე 1682 წელს თვით ჭაბუკი პეტრე იყო. ზემოთ დამონშებულ კომენტარში წესდება რეტროსპექტულად მის მომდევნო „სასახლის გადატრიალებათა“ უკუპროექციის პრიზმით განიხილება და მათ გამომწვევ თითქმის მთავარ მიზეზადაა მიჩნეული, რაც, ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ

<sup>19</sup> წესდება ტახტის მფლობელობის შესახებ, რომელიც 1722 წ. 5 თებერვლითაა დათარიღებული (იხ.: ПСЗ. № 3893), ისტორიკოსთა აზრით, 1719 წ. ბატონიშვილ პეტრე პეტრეს ძის გარდაცვალებას უკავშირდებოდა. მის უფლებას რუსეთის ტახტზე „სტარობრიადცეველები“ ეჭვქვეშ აყენებდნენ (რადგან იგი უცხოელი ქალისგან იყო დაბადებული).

<sup>20</sup> Волкова И.В., Курукин И.В. Феномен дворцовых переворотов в политической истории России XVII-XX вв. // Вопросы истории. 1955. № 5. გვ. 45.



შეესაბამება. თუ წესდების შინაარსის აზრს ჩაუვკვირდებით ნათელი ხდება, რომ იგი გაანგარიშებული იყო ძალაუფლების კონსოლიდაციაზე მომავალი მონარქისა, რომელიც ტახტის მემკვიდრედ ყოველთვის შეირჩევა წინამავალი მეფის გადაწყვეტილებით „შვილობისა“ და ნათესაობრივ ცნებათაგან დამოუკიდებლად. რუსეთში ტახტის ერთი მეფიდან მეორისთვის გადაცემის ამ ახალი წესის მიზანშეწონილობის გადაწყვეტილებამდე პეტრე I, ჩვენი აზრით, მიიყვანა თავისმა 40-წლიანზე მეტი ხნის მეფობის გამოცდილებამ ბატონიშვილ ალექსი პეტრეს-ძისათვის ტახტის მემკვიდრის უფლების ჩამორთმევის ეპიზოდის ჩათვლით, როდესაც ის ამ დანიშნულებისათვის შეუფერებლად ჩაითვალა. პეტრე I-ის პიროვნებისთვის დამახასიათებელი თვისებების გათვალისწინებით იმის დაშვებაც შეიძლება, რომ იგი ასეთ უფლებას მეორე ვაჟიშვილსაც ჩამოართმევდა-თავის სეხნია პეტრეს, რომელიც ძალიან უყვარდა და მეტსახელად „შიშჩკას“ ეძახდა (იგი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა), თუ მასში იმ მონაცემებს ვერ აღმოაჩენდა, რომლებიც, მისი აზრით, რუსეთის მონარქს დაწყებული რეფორმების გასაგრძელებლად სჭირდებოდა, რათა ქვეყანა პროგრესული განვითარების გზას არ ასცდენოდა. როგორი შეიძლება ყოფილიყო 1722 წ. წესდების შინაარსში ნაგულისხმევი ძირითადი მოსაზრებები?

1. თვითონ პეტრე I-მა, რომელიც რუსეთის ტახტის, მკაცრად რომ ვთქვათ, უკანონო მფლობელად ითვლებოდა, თავისი დაუღალავი და მიზანმიმართული მოღვაწეობით ხელი შეუწყო და ფაქტობრივად განაპირობა კიდევ ჩამორჩენილი რუსეთის ევროპის პირველხარისხოვან, ხოლო შემდეგ დიდ სახელმწიფოდ (იმპერიად) გარდაქმნა. მაგრამ თუ XVII ს-ის 80-იანი წლების რუსეთის პოლიტიკურ არენაზე პეტრე ტახტის დაკავების პოტენციური პრეტენდენტი ვერ გახდებოდა და უღირს ოპონენტებს ვერ დასძლევდა, მაშინ ავადმყოფ და ადრე გარდაცვლილ მეფე თევდორე ალექსის ძეს რუსეთის ტახტზე უფრო ავადმყოფი და ჭკუასუსტი იოანე ალექსის ძე ჩაანაცვლებდა, რომელიც მეფის ასულის სოფიოსა და მისი ფავორიტების ხელში ჭეშმარიტად „სათამაშოდ“ გადაიქცეოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირადი განვლილი ცხოვრების მაგალითმა პეტრე I იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ თავისი ახალი წესდებით მას სახელმწიფო ინტერესები „კანონიერ“ დინასტიურ წარმომავლობაზე უფრო წინ უნდა დაეყენებინა. ამრიგად 1722 წ. წესდებამ, ჩვენი აზრით, საკანონმდებლო ძალა მიანიჭა იმას, რაც იმ ისტორიულ ეპიზოდში გარკვეული აზრით შემთხვევითობაზე იყო დამყარებული.

2. ყურადღებას ის გარემოებაც იპყრობს, რომ პეტრეს წესდების შინაარსის ელემენტებმა თავი იჩინეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თევდორე ალექსის ძის მეფობის დასასრულისათვის ტახტის მფლობელის ტრადიციული წესის დარღვევით მეფემ თავის მემკვიდრედ მომდევნო ლეიძლი ძმა კი არა, არამედ დედით განსხვავებული უმცროსი ძმა პეტრე დანიშნა. ამ უკანასკნელს უპირატესობა მიენიჭა მისთვის დამახასიათებელი მონაცემების გამო, იმის მიუხედავად, რომ მისი უკანონო წარმომავლობის შესახებ გავრცელებულ ხმებს უკვე მთარული ხასიათი ჰქონდა მიღებული და რაც ძირითადი მიზეზი



გახდა სამეფო კარზე მომხდარი იმდროინდელი პირველი გადატრიალები-სა. ამრიგად ზემოთ აღნიშნული პრინციპები სამეფო ტახტის პრეტენდენტის შერჩევისა, მიღებული ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, საფუძვლად დაედო პეტრეს წესდებასაც, რომელიც ზღვარს დაუდებდა მომავალში სამეფო კარზე ადრე მომხდარ ექსცესებს, რადგან ისინი სახელმწიფო ინტერესებს მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ.

3. 1722 წ. წესდების დამტკიცებას, ცხადია, იმ გარემოებამაც შეუნყო ხელი, რომ პეტრე I იმდენადვე მკაცრი მამა იყო, რამდენადაც უბედური, რადგან თავის შემდეგ საკუთარ მემკვიდრეს ვერ ტოვებდა, რომელიც შეძლებდა მამის მიერ დანაყებული რეფორმების დიდი საქმე ღირსეულად გაეგრძელებინა. წესდება, ბუნებრივია, ითვალისწინებდა მონარქის პასუხისმგებლობას მის მიერ დანიშნული ტახტის მემკვიდრის მიმართ, რომელსაც შეეძლო მმართველი დინასტიური საგვარეულოს წარმომადგენელი არ ყოფილიყო. მაგრამ პეტრე I-ის ტრაგედია სწორედ ის იყო, რომ თავისი უმცროსი ვაჟიშვილის („შოშქკას“) გარდაცვალების შემდეგ მის ირგვლივ მყოფ დაახლოებულ პირთა და ნაცნობთა შორის არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვისზეც მას არჩევანის გაკეთება შეეძლო. ამიტომ იგი ისე განშორდა ცხოვრებას, რომ რუსეთის ტახტზე მის მიერ შერჩეული მემკვიდრის დასახელება ვერ მოასწრო. ეს ფაქტი, როგორც ჩანს, იმით აიხსნებოდა, რომ ტახტის მემკვიდრის საკითხისადმი მისი დამოკიდებულება ზედმინევენით პასუხისმგებლური იყო. მეფე-რეფორმატორის დიდი განცდები გარდაცვალების წინ, კერძოდ იმის გამო, რომ სახელმწიფოსათვის ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი მას ფაქტობრივად გადაუჭრელი დარჩა, შესანიშნავად აისახა ი. ტინიანოვის შესაბამისი შინაარსის ნაშრომში<sup>21</sup>.

21 Тынянов Ю. Сочинения. Л., 1985. ტ.1. გვ. 355-356. რუსეთის სამეფო ტახტზე პეტრე I-ის მემკვიდრეთა შესახებ შემდეგი უნდა ითქვას. რუსულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულად ითვლება ის მოსაზრება, რომ რუსეთის ტახტზე რომანოვების ბოლო წარმომადგენელი იყო ელისაბედ პეტრეს ასული. მის შემდეგ რუსეთს მართავდნენ ამ საგვარეულოს გერმანული განშტოების წარმომადგენლები, ბოლო იმპერატორის ნიკოლოზ II ჩათვლით. მაგრამ წინამდებარე ნაშრომში, პეტრე დიდის ბაგრატიონულ წარმომავლობაზე დასაბუთებული მოსაზრების გათვალისწინებით, რომანოვების საგვარეულოს წარმომადგენლების მიერ რუსეთის ტახტის მფლობელობის შესახებ რუსულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ თანამიმდევრობაში კორექტივი უნდა იყოს შეტანილი: რუსეთის სამეფო ტახტზე რომანოვების უკანასკნელ წარმომადგენლად დედოფალი ანა იოანეს ასული უნდა ჩაითვალოს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე შემდეგი მოსაზრება: „... ამ საგვარეულოს (რომანოვების - ჯ.ვ.) მონარქების დინასტიური ერთიანობა ერთობ პირობითია: იოანე IV ანტონის ძე და პეტრე III რომანოვებს მხოლოდ ქალთა ხაზით ეკუთვნოდნენ (პირველი მათგანი ბრაუნშვაიგ-ლიუნებურგელი პრინცი იყო, ხოლო მეორე - პოლშტეინ-გოტტორპელი პერ-ცოვების შთამომავალი). რაც შეეხება ეკატერინა II - ანჰალტ-ცერბსტელ პრინცესას, რომანოვების დინასტიასთან მას მხოლოდ ქმრის მეშვეობით შეიძლება შეხება“ (იხ.: Файнсовиц В.Н. Россия и Швейцария: от войны к миру. // St.-Peterburg Review. 1999. Июль-август. გვ.27). ზემოთ დამონებული ციტატის ბოლო შენიშვნაშიც კორექტივია შესატანი: ეკატერინა II-ის მეუღლის პეტრე III-ის დედა ანა პეტრეს ასულიც არ იყო რომანოვების შთამომავალი, რადგან წარმომობით, ისევე როგორც მამამისი, კახელ ბაგრატიონთა განშტოებას ეკუთვნოდა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, თვით პეტრე I რომანოვებთან არა სისხლით, არამედ დედის ქორწინებით იყო დაკავშირებული.

1722 წ. წესდებასთან დაკავშირებული ამ მცირე დასკვნის ბოლოს, რომელიც პეტრე დიდის წარმომავლობის საკითხს ასევე უკავშირდება, არ შეიძლება ის დასაბუთებული იყოს არ აღენიშნოთ, რომ ამ წესდების შინაარსი და ზოგიერთი სხვა მოსაზრება ცალკეულმა ურაპატრიოტიულად განწყობილმა რუსმა ისტორიკოსმა იმისთვის გამოიყენა, რომ რუსეთისათვის პეტრე დიდის მიერ განეწესა ფასდაუდებელი ღვაწლისათვის ჩრდილი მიეყენებინა და განსაკუთრებულად გაემეტებინა. აი როგორ გამოიყურება ზემოთ ციტირებული წერილის ავტორების საყვედურები პეტრე I-ის მიმართ, რაც უშუალოდ ეხმიანება ცნობილ სლავიანოფილურ პოზიციას ამ საკითხში: «ძველრუსული „მემკვიდრეობის“ უარყოფას (რომელიც XVIII საუკუნის ადამიანთა თვალში ჩამორჩენილობის, ერთ წერტილზე გაყინვისა და ცრურწმენათა სიმბოლოდ იქცა), კულტურულ ფასეულობათა მკვეთრ ცვალებადობას არ შეეძლოთ გავლენა არ მოეხდინათ პოლიტიკური ეთიკის ნორმებზე. მით უმეტეს, რომ მაგალითს თვით მეფე იძლეოდა, რომელიც „მოსკოვური“ ტრადიციის საპირისპიროდ საზღვარგარეთ ინკოგნიტოს დაცვით მოგზაურობდა, დემონსტრაციულად არღვევდა კარის ეტიკეტს, ფლობდა რამდენიმე საესებით „არამეფურ“ პროფესიას და თავს იქცევდა „სრულიად სახუმარო კრების“ შემადგენლობაში»<sup>22</sup>. ამ „საყვედურის“ ავტორები უნებურად გვახსენებენ რუსეთის „დიდი ელჩობის“ იმ რამდენიმე დიდგვაროვან მონაწილეს, რომლებმაც ითაკილეს და აღშფოთება გამოთქვეს თავისი მეფის განხორციელებული სურვილის გამო, რათა ამსტერდამის ვერფზე დურგლად ემუშავა და რომლებიც ძლივს გადაურჩნენ ახალგაზრდა პეტრეს მრისხანე სასჯელს.

რუსეთის ტახტზე მყოფი ხელედაკაპინებული „მეფე-მუშაკის“ მიმართ საყვედურით აღსავსე მსგავსი დასკვნა მკრეხელურად გვეჩვენება, რადგან პეტრე I ითვლებოდა და დღესაც ითვლება შემოქმედებითი შთაგონების ეტალონად და რუსული გენიალურობის ერთგვარ საზომად: საკმარისია გაეიხსენოთ ვ. ბელინსკის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ „ა.ს. პუშკინი – რუსული ლიტერატურის პეტრე პირველია!». სწორედ მისი არაორდინარულობისა (რომელიც მიუღებლად და „მკრეხელურად“ მხოლოდ სლავიანოფილურად მოაზროვნე ზოგიერთ ისტორიკოსს ეჩვენება) და რუსეთის საკეთილდღეოდ მოღვაწეობის გამო ჩამოყალიბდა პეტრე I მსოფლიო ისტორიის დიდ შემოქმედ მოღვაწედ, სწორედ რუსეთის კეთილდღეობას ემსახურებოდა პეტრეს მისწრაფება მრავალი პრობლემის გადაჭრისათვის მოეკიდა ხელი გლობალურიდან უმცირესამდე, რომელიც თითქოს-და მეფის ყურადღებას არც კი იმსახურებდა, რაშიც სწორედაც რომ ვლინდებოდა მისი გენიალურობა და ნამდვილი რუსული პატრიოტიზმი. ამ თვალთახედვით კონგენიალურად ჟღერს ნაპოლეონ ბონაპარტის გამონათქვამი პეტრე დიდის შესახებ, როდესაც მან ზაანდამში არსებული რეფორმატორი რუსი მეფის ფიცრული სახლ-მუზეუმი დაათვალიერა: «ქემშარიტად დიდისათვის არაფერი არ ითვლება მცირედ». არანაკლებ შთამბეჭდავად და გულწრფელად გამოთქვა თავისი აზრი პეტრეს შესახებ მისმა თანამედროვემ და დაბალი ფენიდან გამოსულმა რუსმა

ადამიანმა, რომელიც თავის საქმიანობას მეფე-რეფორმატორმა აზიარა და რომელმაც მას, როგორც დიპლომატმა, იმედი არ გაუტრუა. საუბარია XVIII, ცნობილ მოღვაწეზე ი. ნეპლიუევზე (1693-1773), რომელმაც პეტრეს გარდაცვალებას ასეთი გამოხატულებით მიაგო პატივი: „ამ მონარქმა ჩვენი სამშობლო სხეებს გაუტოლა და ის გვასწავლა, რომ ჩვენც ადამიანები ვართ“ (ი. ნეპლიუევის ეს გამოხატულება ვ. კლიუჩევსკიმ თავის ნაშრომში „პეტრე დიდი თავის თანამშრომელთა შორის“ საგანგებოდ აღნიშნა).

ზემოთ მითითებული ორი რუსი ისტორიკოსის პეტრე I-ის მისამართით გამოთქმულ, ჩვენი აზრით, უსამართლო შენიშვნებზე ამ მოკლე კომენტარით შემოვიფარგლებით, ხოლო მათ მიმართ ჩვენს, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაორებულ დამოკიდებულებას გამოვხატავთ: ერთის მხრივ, პატივისცემას, რადგან მათ სტატიაში ბევრი რამ არის საინტერესო და ანგარიშგასანევი, ხოლო მეორე მხრივ თავშეკავებულს, რადგან მათ იმავე ნაშრომში თავს იდევს რუსეთისა და მსოფლიო ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი პიროვნების ბევრ შემთხვევაში გაუმართლებელი კრიტიკა, რასაც არა მხოლოდ ისტორიულ-მეცნიერული, არამედ ადამიანური გამართლებაც არ გააჩნია.

ახლა კი იმას მივუბრუნდეთ, თუ წინამდებარე გამოკვლევის ავტორი რამ შთააგონა პეტრე I-ის გვარტომობა – გენეალოგიის საკითხს რომ შეხებოდა, კერძოდ, ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ადრე არსებული და შედარებით ბოლო დროს გამოვლენილი საბუთები და მათზე დამყარებული მოსაზრებები ერთმანეთისთვის რომ შეეჯერებინა და პეტრეს „ბაგრატიონული“ წარმომავლობის შესახებ გარკვეული დასკვნები გაეკეთებინა. ავტორისათვის ერთ-ერთ მთავარ სტიმულს საიმისოდ, რომ ეს დასკვნები მკითხველისათვის გაეზიარებინა, ის ცნობილი ფაქტი წარმოადგენდა, რომ წინა წლებში ამ თემაზე საბჭოთა მთავრობის მიერ ყადაღა იყო დადებული. საინტერესოა დღეს რა ვითარებაა ამასთან დაკავშირებით? ყადაღა ამ თემაზე მოხსნილია, თუმცა „რგადაში“ (ყოფილ „ცვადაში“) დაცული ზემოთ აღნიშნული საბუთები, რომლებიც პეტრე I-ის ბაგრატიონულ წარმომავლობაზე მეტყველებენ, ისევ მიუწვდომელ „რარიტეტებშია“ გამოკეტილი და მათი de visu გაცნობა შეუძლებელია რუსეთის არქივების მოჩვენებითი თავისუფლების გამო. ამან ავტორი აიძულა თემასთან დაკავშირებული მის მიერ მიკვლეული ახალი ფაქტობრივი ხასიათის მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანით დაკმაყოფილებულიყო, ხოლო „რგადაში“ სავარაუდოდ დაცული, მაგრამ ხელმიუწვდომელი საბუთების შესახებ მკითხველისათვის სათანადო ინფორმაცია მიენოდებინა, სამწუხაროდ, კონკრეტულ წყაროზე მითითების გარეშე. ამასთან ერთად ავტორს იმედი აქვს, რომ საკვლევ თემასთან დაკავშირებული, მაგრამ სადღეისოდ დაფარული საბუთები დროთა განმავლობაში გამომზეურდებიან და პეტრე I-ის წარმომავლობის შესახებ სხვა ახალმოძიებულ და ზემოთ განხილულ ფაქტობრივ მონაცემებს ურთიერთშეავსებენ, რითაც საკითხის მეცნიერულ შესწავლას დააკვირგვინებენ და მეფე-რეფორმატორის წარმომავლობისადმი მისი დაბადებიდან დღემდე არსებულ საზოგადოებრიობის ინტერესს დააკმაყოფილებენ.

## პახტანგ გურული

### გაყალბებული ისტორია პეპამონისტური პოლიტიკის სამსახურში (ა. ეპიფანცევის სტატიის გამო)

საქართველოს ისტორიის გაყალბებით დღეს ვერავის გააკვირვებ. ისტორიას აყალბებს ყველა: პროფესიონალი და მოყვარული, მცოდნე და სრულიად უმეცარი. მეტწილად ისტორია ყალბდება რომელიმე პოლიტიკური ძალის დაკვეთით, ხანაც – დაკვეთის გარეშე. მევანს და მევანს უჩნდება შინაგანი მისწრაფება ნაივარჯიშოს რომელიმე ერისა და სახელმწიფოს ისტორიაში, თავისი „აღმოჩენებით“ მიიპყროს საზოგადოების ყურადღება. საბოლოოდ, ასეთი კალმოსნები, ნებისთი თუ უნებლიედ, მაინც რომელიმე პოლიტიკური ძალის ნისქვილზე ასხამენ წყალს და ისტორიის გაყალბების საძრახ საქმეს ემსახურებიან. ზემოთ თქმულის დადასტურებაა **ანდრეი ეპიფანცევის ვრცელი სტატია** სათაურით **„იყო კი საქართველო რუსეთის მოკავშირე?“** (<http://www.apn.ru/publications/article21261.htm>; <http://www.runivers.ru/lib/reader/144534/>).

სტატიის სათაური არაფრით იქცევს ყურადღებას. ასეთი კითხვა შეიძლება დასვას ნებისმიერმა ისტორიკოსმა, მათ შორის რუსმაც და ქართველმაც. ამას ვერ ვიტყვით სტატიის ქვესათაურზე – **„ქართული სახელმწიფოს გადარჩენის პოლიტიკური მოდელი“**. როგორც ირკვევა, სტატიის ქრონოლოგიური ჩარჩო XVI-XXI საუკუნეებია ანუ ქართული სახელმწიფოს ისტორიის ბოლო 500 წელი. ამ დიდ და ურთულეს ეპოქაში ქართული სახელმწიფოს გადარჩენის პოლიტიკური მოდელის გააზრება, უამრავი ფაქტისა და მოვლენის განზოგადება ადვილი საქმე არ არის. პრობლემის მეცნიერული გაშუქებისათვის საქართველოს ისტორიის ხუთსაუკუნოვანი პერიოდის (XVI-XXI სს.) საფუძვლიანი გამოკვლევა არ არის საკმარისი. ობიექტური სურათის შექმნა მოითხოვს საქართველოს ძველი, შუა, ახალი და უახლესი ისტორიის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას. გარდა საქართველოს ისტორიისა, აუცილებელია ირანის, ოსმალეთის, რუსეთის ისტორიის, ამ ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ჩრდილო კავკასიის ხალხების ისტორიის, დასავლეთ ევროპის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა. ა. ეპიფანცევის სტატიის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ამ პრეტენზიული ნაშრომის ავტორს „ქართული სახელმწიფოს გადარჩენის პოლიტიკური მოდელის“ განსაზღვრისათვის აუცილებელი ცოდნა არ გააჩნია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ა. ეპიფანცევი კარგი პოლემისტი და ურთულესი პრობლემის მკითხველამდე მარტივად და გასაგებად

მიტანით შეუძლია საქმეში ჩაუხედავ მკითხველს სიცრუე ქეშმარიტებად მოაჩვენოს. ა. ეპიფანცევი ძალზე კარგად იყენებს პოლემიკაში დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ ხერხს: საქართველოს ისტორიიდან ზოგიერთი ფაქტისა და მოვლენის ობიექტურად გააზრებით ნელ-ნელა მოიპოვოს ხოლმე მკითხველის ნდობა, ხოლო ამის შემდეგ იწყოს მიზნის განხორციელება – საქართველოს ისტორიის გაყალბება.

ა. ეპიფანცევი თავიდანვე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, აკეთებს დასკვნას: საქართველოს ისტორია არსებობს ორი ვერსიით – „ტრადიციული“ და „თანამედროვე, ხელახლა მთლიანად გადაწერილი“. ამ ვერსიების შეფასებაზე ავტორი დროს არ კარგავს. მალე ნათელი ხდება, რომ ანდრეი ეპიფანცევს აქვს საქართველოს ისტორიის მესამე ვერსია, მის მიერ შეთხზული და მის მიერვე უცილობელ ქეშმარიტებად გამოცხადებული. ამის შესახებ დანვრილებით ქვემოთ შევჩერდებით.

უშთავრესი დასკვნა, რომელიც საფუძვლად უდევს მთელი ისტორიული პროცესის გაყალბებას, ასეთია: „საქართველო ყოველთვის და ყველგან მოქმედებდა ერთნაირად ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველთვის და ყველგან ახდენდა ქცევის ერთი და იმავე მოდელის დემონსტრირებას“. სტატიის დასაწყისში ა. ეპიფანცევი არ აკონკრეტებს თუ რას გულისხმობს „ქცევის ერთსა და იმავე მოდელში“. სამაგიეროდ ამ კითხვაზე პასუხს ეპოულობთ სტატიის დასკვნით ნაწილში: „საქართველო ყოველთვის იყო ყველაზე ძლიერის მხარეზე, დამოუკიდებლად იმისა თუ ვინ იყო ის ძლიერი. როგორც კი საქართველოს მფარველი ძალის დემონსტრირებას შეწყვეტდა, საქართველო დაუყოვნებლივ აქცევდა მას ზურგს, იწყებდა ახალი ძლიერის ძებნას და როცა მას იპოვიდა, 180 გრადუსით შებრუნებული იწყებდა ძველი პატრონის ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლას და თან უხამსად შეურაცხყოფდა ძველ პატრონს, გლეჯდა მას ტერიტორიებს. ქცევის ამ მოდელს გამონაკლისი არ ჰქონია“.

ა. ეპიფანცევი კარგად იცის, რომ მის მიერვე „აღმოჩენილი“ საქართველოს ისტორიის ორი ვერსიით („ტრადიციული“ და „თანამედროვე, ხელახლა მთლიანად გადაწერილი“) ზემოთ მოტანილ უშთავრეს დებულებას ვერ დაამტკიცებდა. ამიტომაც, ა. ეპიფანცევს საქართველოს ისტორიის გაყალბების სხვა ხერხი უნდა აერჩია. სტატიის ავტორი XVI საუკუნის დამდეგიდან საქართველოში (სამეფო-სამთავროებში) ირანისა და ოსმალეთის ბატონობას ახასიათებს, როგორც „მძიმე დროს“, როდესაც „ქართველებს ხოცავდნენ, მიერეკებოდნენ მონებად, აკისრებდნენ ხარკს“. აქვე ავტორი იხსენებს დავით გარეჯის უდაბნოში დახოცილ 6000 ბერს, თევდორე კველთელს, ბიძინა ჩოლოყაშვილს, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებს, შაჰ აბას I-ის ლაშქრობას კახეთში XVII საუკუნის დამდეგს, ირანში გადასახლებულ 200 ათას ქართველს და სხვა. ეს გამორული ისტორია რომ სინამდვილეა, ამაში ანდრეი ეპიფანცევს ეჭვი არ შეაქვს: „ყველაფერი ეს სიმართლეა. ასე იყო“. ასეთი დასკვნით ა. ეპიფანცევი თითქოს ობიექტური მკვლევრის შთაბეჭდილებას ტოვებს, ცდილობს ქართველი მკითხველის ნდობის მოპოვებას. ამის შემდეგ ქართველი ერის ისტორიის ტრაგიკული მოვლენებით „შეძრ-

წუნებული“ ავტორი სრულიად მოულოდნელ განცხადებას აკეთებს: „მაგრამ არსებობს ამ სიმართლის მეორე მხარე, გაცილებით ნაკლებად გაშუქებული“.

ა. ეპიფანცევის აზრით, ეს „სიმართლის მეორე მხარე“ არსებობს მხოლოდ „დაცალკევებული ფაქტების“ სახით და დღემდე არაა „შეპირისპირებული“ ისტორიულ მოვლენებთან. რატომ აძლევს სტატიის ავტორი თავს უფლებას გააკეთოს ასეთი განცხადება და თანაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე? მას, როგორც მკვლევარს, რა გაუეკეთებია საქართველოს ისტორიის შესწავლის მიზნით? რას დაუდებს იგი საპირწონედ ქართველი ისტორიკოსების, მათ შორის კორიფეების, უამრავ გამოკვლევას? რატომ ფიქრობს, რომ მის მიერ „აღმოჩენილ“ და ფართოდ რეკლამირებულ „სიმართლის მეორე მხარეს“ ასევე სიმართლედ მიიჩნევენ ქართველი ისტორიკოსები? როგორც ჩანს, ა. ეპიფანცევი ამ კითხვებზე პასუხის გაცემას არც აპირებს. უნებლიედ ჩნდება ეჭვი, რომ მას აქვს პოლიტიკური დაკვეთა და საქართველოს ისტორიაც ამ დაკვეთის მოთხოვნილებიდან გამომდინარე უნდა გაიაზროს. დამკვეთი ითხოვს არა მეცნიერული გამოკვლევის შექმნას, არამედ პოლიტიკური მიზნით ისტორიული ფაქტებითა და მოვლენებით სპეკულირებას, საინფორმაციო სივრცეში მისთვის სასურველი „სიმართლის“ გაბატონებას.

მოკლე „მეთოდოლოგიური“ შესავლის შემდეგ ა. ეპიფანცევი იწყებს საქართველოს ისტორიის 500-წლიანი პერიოდის მისეული ვერსიის წარმოდგენას. ავტორი იმდენად თავდაჯერებულია, რომ საწინააღმდეგო აზრს არ უშვებს, ქართულენოვანი და უცხოური წყაროებიდან მხოლოდ იმათ იმონებს, რომლებიც მისეული ვერსიის დამტკიცებისათვის გამოდგება, სხვა წყაროები მთლიანად უგულვებელყოფილია. რაც უფრო ყურადღებით კითხულობ ა. ეპიფანცევის სტატიას, სულ უფრო და უფრო რწმუნდები: **ნაშრომს არანაირი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. მთელი სტატია თითქოსდა ახლის, მკითხველისადმი მოულოდნელის მინოდების ეფექტზეა აგებული, ყოველივე ამის უკან კი იმალება საქართველოს ქვეშაირი ისტორიის გაყალბების, საბოლოო ჯამში, არც თუ კარგად შენიღბული მცდელობა.**

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სტატიის „იყო თუ არა საქართველო რუსეთის მოკავშირე?“ ქრონოლოგიური ჩარჩო XVI-XXI საუკუნეებია, უფრო ზუსტად, XVI საუკუნის დამდეგიდან (ირან-ოსმალეთის ომების დასაწყისიდან) – XXI საუკუნის დამდეგამდე. ირან-ოსმალეთის ომები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა. პირველი ომი 1555 წელს ამასიის ზავით დასრულდა. საქართველოს ისტორიული ტერიტორია ირანმა და ოსმალეთმა გადაიწიანა. ქვეყნის ერთი ნაწილი (ქართლის სამეფო, კახეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგოს ნაწილი) ირანის შემადგენლობაში აღმოჩნდა, მეორე ნაწილი (იმერეთის სამეფო, გურიის სამთავრო, სამეგრელოს სამთავრო და სამცხე-საათაბაგოს ნაწილი) – ოსმალეთის შემადგენლობაში. ასე დაიწყო ირანისა და ოსმალეთის ბატონობა საქართველოში, რაც თითქმის XVIII საუკუნის დასასრულამდე გაგრძელდა.

საქართველოში დამპყრობთა ბატონობით გამოწვეული მთელი უბედურება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კარგად ესმის ა. ეპიფანცევის: „ქართველებს



ხოცავდნენ, მიერეკებოდნენ მონებად და აკისრებდნენ ხარკს“. ამ აღიარების შემდეგ ა. ეპიფანცევი იწყებს მის მიერ აღმოჩენილი „სიმართლის“ მეორე მხარის წარმოჩენას. სტატიაში ვკითხულობთ: „საქმე იმაშია, რომ ქართველების ცხოვრების მთელი ტრაგიზმის მიუხედავად, მათი მდგომარეობა თურქეთის, განსაკუთრებით კი ირანის, სახელმწიფოებში ყოველთვის და ყველაფერში არ ემსგავსებოდა უბედურ, გაყვლეფილ და ჩაგრულ კოლონიას“. ამ სტრიქონების ავტორს ზერელე წარმოდგენაც კი არ აქვს იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ირანის მბრძანებელი (შაჰ თამაზი, შაჰ აბას I, ნადირ შაჰი) ატარებდნენ ქართლისა და კახეთის სამეფოებში. ეს იყო ქართლისა და კახეთის გამუსლიმებისა და ირანის განუყოფელ ნაწილად გადაქცევის მზაკვრული გეგმა. თუ არა „უბედური, გაყვლეფილი და ჩაგრული კოლონიები“, რა შეიძლება ვუნოდოთ ქართლს შაჰ თამაზის და კახეთს შაჰ აბას I-ის გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ, ქართლსა და კახეთს ყიზილბაშობისა და ოსმალობის პერიოდში? ქართლისა და კახეთის სამეფოების იავარქმნა, დაქცევა არ მოჰყვა შედეგად ნადირ შაჰის მიერ შემოღებულ გადასახადებს? ირანისა და ოსმალეთის უღელქვეშ ქართველების არც თუ მძიმე ხვედრის დახასიათების შემდეგ ა. ეპიფანცევს აქცენტი გადააქვს ირანის მიერ დაპყრობილი ქართლისა და კახეთის სამეფოებზე, რომელთაც რაღაც „სამთავროებს“ უწოდებს და აღნიშნავს: „ირანის სახელმწიფოს შემადგენლობაში ქართული სამთავროები არც არსით და არც ფორმით არ იყვნენ კოლონიები, არამედ წარმოადგენდნენ ირანის სახელმწიფოს ნაწილებს – პროვინციებს, ისეთივე რეგიონებს, როგორებიც იყო ხორასანი, ბალხი და ფარსი“. ავტორი ამით არ კმაყოფილდება და აღნიშნავს, რომ ირანის ქართულ პროვინციებში მოქმედებდა იგივე კანონები, რაც საკუთრივ ირანში, ხოლო შაჰი მოხელეებად პრაქტიკულად მუდამ ქართველებს – გამუსლიმებულ თავადებსა და აზნაურებს – ნიშნავდა. ა. ეპიფანცევს თუ დავუჯერებთ, ირანის შაჰები ქართლსა და კახეთში „ინახავდნენ ჯარს, რომელიც საქართველოს საზღვრებს იცავდა მთიელი ტომების შემოსევებისაგან“. ზემოთ მოტანილი ამონაწერები ცხადად ამტკიცებს, რომ სტატიის ავტორი აშკარად მოიკოჭლებს ირანის ისტორიის ცოდნაში. შაჰები არ ცდილობდნენ ქართლისა და კახეთის სამეფოების ირანის კოლონიებად ქცევას იმ გაგებით, რა გაგებითაც დიდმა ბრიტანეთმა ინდოეთი აქცია თავის კოლონიად. შაჰების მიზანი იყო ქართლი და კახეთი ტიპურ ირანულ პროვინციად ექციათ, ანუ ექციათ იმ სივრცედ, რომელსაც ირანის კანონების საფუძველზე განაგებდნენ ირანელი მოხელეები. ეს მოხელეები შეიძლება დრომდე ქართველებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ აუცილებელად მუსლიმები. რაც შეეხება ანდრეი ეპიფანცევის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ თითქოს ირანის შაჰის ჯარები ქართლსა და კახეთს მთიელთა შემოსევებისაგან იცავდნენ, ხოლო ამ ჯარებს შაჰები თავიანთი ხარჯით ინახავდნენ, მტკნარი სიცრუეა. ირანის ჯარები მართლაც იდგნენ ქართლსა და კახეთში, მაგრამ ეს ჯარები აქ იმიტომ იდგნენ, რომ არ დაეშვათ ოსმალეთისა და მისი მოკავშირე მთიელების შემოჭრა, ისევე როგორც თავის დროზე ქართლსა და კახეთში მდგარი ოსმალეთის ჯარები ცდილობდნენ არ დაეშვათ ირანისა და მისი მოკავშირე



მთიელების შემოჭრა. ირანის ჯარების მიერ „მთიელი ტომების შემოსევები-საგან დაცვა“ საქართველოს ძვირად დაუჯდა, განსაკუთრებით ნადირ შაჰის (1737-1747) დროს. არასერიოზულად გვეჩვენება ა. ეპიფანცევის მიერ იმის მტკიცება, რომ თითქოს ქართველები ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოებს უზდიდნენ იმავე რაოდენობის გადასახადს, რასაც იხდიდა საკუთრივ ირანისა და ოსმალეთის მოსახლეობა. უფრო მეტიც, თურმე ქართველები ზოგჯერ უფრო მცირე გადასახადსაც კი იხდიდნენ. საყოველთაოდაა ცნობილი, თუ რა მძიმე გადასახადები დააკისრა ნადირ-შაჰმა ქართლსა და კახეთს, რა დაუჯდა მოსახლეობას ირანის ლაშქრობები ჩრდილო კავკასიაში. ა. ეპიფანცევა, ცხადია, იცის, თუ როგორ აწესებდნენ გადასახადებს ირანის შაჰები და ოსმალეთის სულთნები, დაპყრობილ ქვეყნებში, კერძოდ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გადასახადები ხან იზრდებოდა, ხან მცირდებოდა. იცის, მაგრამ სდუმს!

დაპყრობილ ქართლსა და კახეთში ირანის ბატონობის სიმძიმე რომ შეამსუბუქოს, ა. ეპიფანცევი წერს: „ქართველი დიდგვაროვნები ორგანულად და თანასწორი უფლებით შედიოდნენ ირანის უმაღლეს წოდებაში“. თავის „აღმოჩენას“ ა. ეპიფანცევი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებით უმაგრებს საფუძველს. სტატიაში ვკითხულობთ: „გავრცელებული იყო დინასტიური ქორწინებები – ქართველი თავადის ქალი ხდებოდა შაჰის ცოლი, ხოლო ცნობილი ქართული საგვარეულოების წარმომადგენლების სისხლს შეერია სპარსული სისხლი“. მიუხედავად დიდი მონდომებისა, ა. ეპიფანცევა ვერ დაამტკიცა, უფრო სწორედ, არც უცდია დამტკიცება, ირანის შაჰის კარზე დანიშნურებული ქართველები (სარდლები, პოლიტიკური მოღვაწეები), რომელთა ნაწილს მართლაც დიდი ძალაუფლება ჰქონდა, როგორ ამსუბუქებდნენ დარბეული, გავრანებული და მოსახლეობისაგან დაცლილი ქართლისა და კახეთის მდგომარეობას. ქართველი მეფე გიორგი XI, რომელიც ავღანელების წინააღმდეგ მებრძოლი ირანის შაჰის ლაშქარს სარდლობდა, როგორ უნდა დახმარებოდა საქართველოს? პირიქით, მეფეს ავღანეთში საბრძოლველად მიჰყავდა ქართველთა რჩეული ლაშქარი. ხანგრძლივ ბრძოლებში ქართველთა დიდი ნაწილი ავღანეთში დაიღუპა. ან როგორ უნდა დახმარებოდნენ საქართველოს ირანის შაჰის კარზე დიდი ძალაუფლების მქონე ალავერდი ხან უნდილაძე და მეფე ერეკლე I ნაზარალი ხანი? ვერ დავიჯერებთ, რომ ა. ეპიფანცევა არ იცოდეს: ირანის შაჰის სამსახურში გადიდკაცებული ქართველები (ალავერდი ხან უნდილაძე, როსტომ ხანი, გიორგი XI, ერეკლე I ნაზარალი ხანი და სხვ.) ისევე ვერ დაეხმარებოდნენ საქართველოს, როგორც რუსეთის იმპერატორის სამსახურში გადიდკაცებული ქართველები – რუსის ჯარის გენერლები (პავლე ციციანოვი, პეტრე ბაგრატიონი და სხვ.).

ა. ეპიფანცევი სვამს კითხვას: ირანისა და ოსმალეთის ლაშქრობები საქართველოში, მოსახლეობის დასჯა და განადგურება ნამდვილად იყო თუ არა? ავტორი „კეთილგანწყობილებას“ იჩენს დღევანდელი ქართველობის მიმართ და კითხვას, რომლის პასუხიც საყოველთაოდაა ცნობილი, მოკლედ პასუხობს: „მე გეტყვით თქვენ – იყო“. იმდენად იაფფასიანი ხერხია, რომ

ლიმილს ინვესს. მას შემდეგ, რაც თავისი პასუხით ქართველები საშვილიშვილოდ დაგვაყალა, ავტორი ისევ ადრე დაწყებულ საძრახ საქმეს აგრძელებს. სტატიის კვითხულობით: „საქმე იმაშია, რომ იმდროინდელი (XVI-XVIII სს. – ვ. გ.) საზოგადოების ზნეობა სავსებით არ ჰგავს ჩვენი საზოგადოების ზნეობას. პრობლემებს, რომელთაც ამჟამად ჩვენ ვწყვეტთ სასამართლოს გზით, საპროტესტო ნოტებით, ბოლოს და ბოლოს, ცენტრალური ხელისუფლების მრისხანე შეძახილით, იმხანად მივყავდით ომებამდე და სისხლიან ანგარიშსწორებამდე. იმ დროს პრობლემის გადაჭრისას საერთოდ ასე ექცეოდნენ ადამიანებს, მთელ პროვინციებს. ამასთან ერთად, ხელისუფალნი მკაცრად ეპყრობოდნენ არა მარტო სხვა აღმსარებლობის ან დამორჩილებულ ხალხებს, არამედ საკუთარ თანატომელებსაც... აღმოსავლეთის დესპოტური ქვეყნები, როგორებიც იყვნენ თურქეთი და ირანი, ამ შემთხვევაში აშკარა ლიდერები არ იყვნენ. ამ თვალსაზრისით განათლებულ ევროპას შეეძლო ფორა მიეცა აღმოსავლეთისათვის. ასე მაგალითად, ჰენრი VIII ინგლისელმა ... სიკვდილით დასაჯა 72 ათასი კაცი, მისმა ქალიშვილმა ელისაბედ ინგლისელმა – „ინგლისელი ერის ბებია“ – სიკვდილით დასაჯა 90 ათასი კაცი, ჰერცოგმა ალბამ პოლანდიაში ომის დროს დახოცა 30 ათასი კაცი... ყოველივე ამას მათთვის ხელი არ შეუშლია ისტორიაში შესულიყვნენ როგორც ცნობილი, გამოჩენილი პიროვნებები, ისევე, როგორც ხელი არ შეუშლია შაჰ აბასისათვის ისტორიაში შესულიყო, როგორც თავისი დროის განათლებული ადამიანი, დახვეწილი დიპლომატი, მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეების მხარდამჭერი“. ესეც ა. ეპიფანცევის მორიგი აღმოჩენა! თურმე შაჰ აბასს 1614-1617 წლებში ქართველობა რომ ამოუნყვეტია, ხოლო 200 ათასი ირანში გადაუსახლება, ეს იმდროინდელი საზოგადოების ზნეობით დასაშვები ყოფილა და ჩვენ უგანათლებულესი შაჰის მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ კიდევ ბევრი ქართველი არ ამოუნყვეტა და უფრო მეტი არ გადასახლა ირანში! შეიძლება სხვა კუთხით შევხედოთ ავტორის თავგამოდებულ მცდელობას გაამართლოს ირანის შაჰებისა და ოსმალეთის სულთნების ნებით ათი ათასობით ქართველისათვის სიცოცხლის მოსპობა. სტატიის ავტორი გრძნობს, რომ ვინმე სამომავლოდ დაუსვაშს კითხვას: რამდენი ქართველი დახოცეს რუსებმა 1804 წლის ქართლის მთიანეთის, 1812 წლის კახეთის, 1819-1820 წლების იმერეთის, 1841 წლის გურიის აჯანყების დროს? რატომ დახოცეს სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველები? ა. ეპიფანცევის პასუხი წინასწარ ექნება მზად: იმდროინდელი საზოგადოების ზნეობისათვის ეს სულაც არ იყო მიუღებელი. საინტერესოა, ამართლებს თუ არა სტატიის ავტორი „იმდროინდელი საზოგადოების ზნეობით“, მაგალითად, ხაზარების, ყივჩაღების, მონღოლების ან პოლონელების მიერ რუსეთში დატრიალებულ ხოცვა-ჟლეტას, ათი ათასობით სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი რუსის გაჟლეტას.

მასობრივი ხოცვა-ჟლეტის გამართლება ა. ეპიფანცევის თურმე არა ირანის შაჰების დასაცავად, არამედ სულ სხვა მიზნით სჭირდებოდა. ნელ-ნელა ჩვენი ნოვატორი ავტორი მთავარ სათქმელს უახლოვდება. სტატიის კვითხულობით: „საქართველოს ყოფა ირანისა და ოსმალეთის იმპერიებში არც

თუ ისე ცუდი იყო. თუ წარმოვიდგენთ, რომ რაღაც ფანტასტიკური ძალით ქართველები რომელიმე იმდროინდელი ევროპული ზესახელმწიფოს საზღვრებში აღმოჩენილიყვნენ, მათ იგივე და შეიძლება უარესიც ელოდათ“. ამ ციტატის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა მოწოდება: ქართველებო! ნუ ეძებთ შველას ევროპაში! ამას ა. ეპიფანცევი მხოლოდ იმიტომ არ აკეთებს, რომ არ უნდა გასცეს თავისი სტატიის დამკვეთი. თუმცა ყველაფერი ისედაც ცხადია. ნათქვამის დასამტკიცებლად ავტორს არანაირი მასალა არ მოაქვს. ბუნებრივად იბადება კითხვა: ფერეიდნელი ქართველები უკეთ გრძნობდნენ თავს ირანის სახელმწიფოში თუ უნგრელები, სერბები და პოლონელები ავსტრიის სახელმწიფოში? ამ კითხვაზე პასუხი ა. ეპიფანცევისათვის მიგვიწვდის.

ამასიის ზავით (1555 წ.), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირანმა და ოსმალეთმა საქართველოს ტერიტორია გადაინაწილეს. გადანაწილება ძალაში დატოვა XVI-XVII საუკუნეებში ირან-ოსმალეთის ომების პერიოდში დადებული მსხვილი ხაზები. ა. ეპიფანცევი გვარწმუნებს, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ორ ისლამურ იმპერიას შორის გადანაწილება ქართველების გადარჩენის საფუძველი გამხდარა. სტატიაში ეკითხულობთ: „ორ ცენტრს შორის ყოფნა ქართველ მეფეებს გარკვეულ უპირატესობასაც კი ანიჭებდა. ხშირად, თუმცა ზოგჯერ წარუმატებლად, საქართველოს ინტერესებისათვის ბრძოლისას ისინი შუბლით შეჯახებდნენ ხოლმე სპარსელებსა და თურქებს, რითაც პირადად თავიანთთვის და ქვეყნისთვის პრივილეგიებს იღებდნენ“. ცოტა ქვემოთ ავტორი აგრძელებს: „ორ ცენტრს შორის არსებობის უმთავრესი უპირატესობა ის იყო, რომ ირანთან კავშირი საქართველოს ნაწილს იცავდა თურქების თავდასხმისაგან, ხოლო თურქეთთან კავშირი საქართველოს ნაწილს იცავდა სპარსელების თავდასხმისაგან. დამყარებული პარიტეტი – რთული, მრავალნახნაგოვანი, მაგრამ ეფექტური სისტემა, რომელიც 200 წელზე მეტხანს მოქმედებდა, ბევრწილად დაეხმარა ქართველობას, რომ იგი როგორც ერთი გადარჩენილიყო“. ამდენად, ა. ეპიფანცევი გვარწმუნებს: ირანსა და ოსმალეთს საქართველო რომ არ დაეპყროთ და მისი ტერიტორია არ გადაეწილებინათ, ქართველობა ალბათ ვერ გადარჩებოდაო. აი, ვის უნდა ვუმაღლოდეთ თურმე გადარჩენას! ორ მტრულ ძალას შორის ლავირება და ამ გზით ქვეყნის გადარჩენა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების თემაა. თუმცა ბავშვებს იმასაც ასწავლიან, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის ლავირება და შაჰისა და სულთნის „შუბლით შეჯახება“ ადვილი საქმე არ იყო. ირანის შაჰები და ოსმალეთის სულთნები ისეთი გულუბრყვილონი არ იყვნენ, რომ ქართველ მეფე-მთავართა დიპლომატიური სვლები ვერ ამოეცნოთ. ირანსა და ოსმალეთს შორის ლავირება ცუდად დაუმთავრდა ქართლის მეფეებს ლუარსაბ I-სა და სვიმონ I-ს. ლავირების პოლიტიკამ წარმატება მოუტანა კახეთის მეფეს ლევანს, მაგრამ დაღუპა მისი შვილი ალექსანდრე II. ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის ლავირებამ დაღუპა ქართლის მეფე ვახტანგ VI და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II. საერთოდ, XVI-XVIII საუკუნეებში ირანსა და ოსმალეთს შორის ქართველი მეფე-მთავრების ლავირების პოლიტიკა, რომელიც ლამის საქართველოს ხსნის მიზეზად გამოაცხადა ა. ეპიფანცევმა,

უმეტეს შემთხვევაში, საბოლოო ჯამში, წარუმატებელი იყო.

ა. ეპიფანცევი სავესებით სწორად აღნიშნავს, რომ XVII საუკუნეში ირანი და ოსმალეთი დასუსტდა. ოსმალეთი მარცხს მარცხზე განიცდიდა ევროპაში, ხოლო ირანში შინააშლილობა დაიწყო. საინტერესოა ავტორის აზრი იმის თაობაზე, თუ რა პოლიტიკა აირჩიეს ასეთ ვითარებაში ქართველებმა. სტატიაში ვკითხულობთ: „ქართველები მზად იყვნენ უცხოტომელთა ჩაგვრის პირობებში ეცხოვრათ, მოეხდინათ მჩაგვრელთა მიმართ ლოიალობის დემონსტრირება, ეხადათ ხარკი, მიეღოთ პრივილეგიები, ეხლართათ ინტრიგები უცხო სახელმწიფოთა კარზე იმ შემთხვევაში, თუ უცხოტომელი დამპყრობლები ძლიერნი იქნებოდნენ. პატრონი ძლიერი უნდა იყოს – ეს კანონია. დაე, პატრონს ჰქონოდა ცუდი ჩვევები, მაგრამ იგი უნდა ყოფილიყო იმდენად ძლიერი, რომ უზრუნველყო საქართველოს გლობალური უსაფრთხოება“. ავტორის აზრით, ასეთი იყო „საქართველოს ქვეყის მოდელი უკანასკნელი 500 წლის მანძილზე“. მაღლობელი უნდა ვიყოთ ქართველები ა. ეპიფანცევისა, რომელიც ქართველებს სავესებით ცხადად მიგვანიშნებს იმაზე, რომ არ უნდა დავივიწყოთ წინაპრების ტრადიცია. ზემოთ მოტანილი დასკვნა ავტორს იმისთვის დასჭირდა, რომ დღევანდელი ქართველობისათვის ეთქვა: ქართველებო! რატომ ეძებთ „ძლიერ“ და „კარგი“ თვისებების“ მქონე პატრონს, თქვენი წინაპრები 500 წლის განმავლობაში შესანიშნავად გრძნობდნენ თავს ძლიერი, მაგრამ „ცუდი თვისებების“ მქონე პატრონის ხელში, ანუ თუ არჩევანი უნდა მოხდეს ძლიერ და „კარგი თვისებების“ მქონე და ძლიერ და „ცუდი თვისებების“ მქონე პატრონებს შორის, თქვენც დაუფიქრებლად ძლიერი და „ცუდი თვისებების“ მქონე პატრონი აარჩიეთ! ძვირფასო მკითხველო! ა. ეპიფანცევის სტატიის საფუძვლიანად მცოდნეს მე შემეძლო მეთქვა, ვინ იგულისხმება ცუდი და კარგი თვისებების პატრონებში, მაგრამ, რადგან თვით ა. ეპიფანცევი ქართველების სავარაუდო პატრონების ვინაობას არ აკონკრეტებს, მეც თავს შევიკავებ, მეშინია, ჩვენი ბედით დამწუხრებულ ა. ეპიფანცევის ცილი არ დავენამო და თავი ცოდვაში არ ჩავიგდო!

ა. ეპიფანცევი ლოგიკურად აგრძელებს საქართველოს პატრონის თაობაზე დანყებულ მსჯელობას. ირანისა და ოსმალეთის (ძველი პატრონების) დასუსტების შემდეგ ქართველები შეშფოთებულან და, ცხადია, ახალი პატრონის ძებნა დაუწყიათ. სტატიაში ვკითხულობთ: „პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ არავის დიდთა და ძლიერთაგან რეგიონში მოსვლისა და სპარსთა და ოსმალთათვის საქართველოს წართმევის სურვილი არ გამოუთქვამს. არავის არ გამოუთქვამს ქართველების მფარველობის, საზრდოსა და სამეფო კარზე ტკბილი თანამდებობების მიცემის სურვილი“. ასეთ ვითარებაში ქართველებს გამოსავლის ძიება დაუწყიათ. ა. ეპიფანცევი აგრძელებს: „საქართველო იწყებს ძახილს. ეძახის დიდხანს და მოხმობით. ეძახის პატრონს. იმხანად მრავალ მიზეზთა გამო ასეთი პატრონი შეიძლებოდა მხოლოდ რუსეთი ყოფილიყო. საქართველო რუსეთში ელჩობას ელჩობაზე აგზავნის“. სტატიის ამ ნაწილში, თუ გამოხატვის დამამცირებელ ტონს არ მივაქცევთ ყურადღებას, ისტორიული სინამდვილეა ასახული: ქართველი მეფეები მართლაც ეძებდნენ ერთმორნ-

მუნე რუსეთში მფარველს. ისტორიული სინამდვილეა წარმოდგენილი სტატი-ის შემდეგ ნაწილშიც, სადაც ქართველთა მეფეთა მონვევაზე რუსეთის პოზი-ციაა წარმოდგენილი: „რუსეთი დიდხანს არ ეთანხმებოდა – იგი გრძნობდა: იმდენად ძლიერი არ იყო, რომ სერიოზულად ეცადა კავკასიაში მოსვლა. რუსე-თის ხელმწიფეები ქართველებს უგზავნიდნენ ოსტატებს (იგულისხმება შეიარა-ღების ოსტატები – ვ. გ.), ფულს, წიგნებს (იგულისხმება საეკლესიო წიგნები – ვ. გ.), თავშესაფარს აძლევდნენ გაქცეულებს (იგულისხმება ოსმალთა ტყვეო-ბიდან გაქცეული ქართველები – ვ. გ.), მაგრამ ყოველივე ეს ის არ იყო, რაც ესაჭიროებოდა საქართველოს და საქართველო აგრძელებდა ძახილს“. ა. ეპი-ფანცევი გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) მომზადებისა და დადების ის-ტორიას პრაქტიკულად არ ეხება, ძალიან მოკლედ გადმოსცემს ტრაქტატის შინაარსს. მთელი აქცენტი გადატანილია ერეკლე II-ზე. საქართველოს ისტო-რიის ახალი ვერსიის ავტორი ამკარად აღმაცურად უყურებს ქართლ-კახეთის მეფეს. საინტერესოა, რატომ არ მოსწონს ანდრეი ეპიფანცევს ერეკლე II? ამის მიზეზი, ჩანს, ერეკლე II-ის პროირანული ორიენტაცია ყოფილა. სტატია-ში ვკითხულობთ: „...მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოს ტახტზე ალბათ არ იჯდა მეფე, რომელსაც ირანთან ისეთი თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, როგორც ერეკლე II-ს. შეიძლება ეს სიტყვები მთლად ზუსტად ვერ ახას-იათებენ ერეკლეს პერსონას. ირანელები პატარა კახს თავისიანად მიიჩნევდნენ – იგი აღიზარდა ირანის შაჰის კარზე, დიდი ხნის მანძილზე მეგობრობდა ნადირ შაჰთან... ფაქტობრივად ერეკლე II იყო ირანის სახელმწიფოს ერთ-ერთი მაღალი რანგის მოხელე. ირანელებმა უხვად დააჯილდოვეს ერეკლე. მათი პატარა კახი გახადეს კახეთის მეფე... ირანი არაფრით არ ემუქრებოდა ერეკლეს, პირიქით, მისი მმართველობის წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ირანთან იდეალური ურთიერთობა ჰქონდა“.

ყოველივე ზემოთ თქმული ა. ეპიფანცევს იმისათვის დასჭირდა, რომ ერეკლე II ირანის ლალატში ემხილებინა. ავტორი გეორგიევსკის ტრაქტატს ერეკლე II-ის მხრიდან ირანის ლალატად მიიჩნევს. ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ ა. ეპიფანცევმა არ იცოდეს საქართველოს ისტორიის ელემენტარული კურსი. 1735 წლიდან თეიმურაზ II და ერეკლე II პროირანულ ორიენტაციას დაადგნენ და ნადირ ხანს (იგი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შაჰი) სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიიდან ოსმალეთის განდევნაში დაეხმარნენ. პროირანული ორიენტაცია მომგებიანი აღმოჩნდა, თუმცა თეიმურაზ II და ერეკლე II პროი-რანულ ორიენტაციას უცვლელად არ მიიჩნევდნენ. ორივენი კარგად ხედავდ-ნენ იმ დამლუპველ საფრთხეს, რაც ირანიდან მომდინარეობდა. მას შემდეგ, რაც ნადირ ხანმა ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის პერიოდში ქართლ-კახე-თის მოსახლეობას დიდი გადასახადები დააკისრა, თეიმურაზი და ერეკლე სე-რიოზულად ფიქრობდნენ პროირანული ორიენტაციის შეცვლაზე. 1752 წელს ქართლისა და კახეთის მეფეებმა ელჩობა მიაველინეს რუსეთში. ცხადია, ამ შემთხვევაშიც პროირანული ორიენტაციის შეცვლა იგეგმებოდა. იმხანად რუ-სეთი მზად არ აღმოჩნდა ირანთან დაპირისპირებისათვის. 1760-1762 წლების თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში ისევ და ისევ პროირანული ორიენტაციის

შეცვლას ისახავდა მიზნად. თეიმურაზ II და ერეკლე II კარგად ხედავდნენ, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა ქვეყნისათვის ირანი. 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მხარეზე ომში ჩაბმა ნუთუ ირანს არ მიანიშნებდა იმაზე, რომ ერეკლე II ისლამურ სამყაროსთან „თბილი და მეგობრული“ ურთიერთობის შენარჩუნებას დიდხნას აღარ აპირებდა? 1772 წელს ანტონ კათალიკოსმა და ლევან ბატონიშვილმა პეტერბურგში ჩაიტანეს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დასადები ხელშეკრულების პროექტი. ამ დოკუმენტის შინაარსს, თუ მყისიერად არა, რამდენიმე ხნის (თვის, წლის) შემდეგ ხომ მაინც შეიტყობდა ირანის დაზვერვა. ასე რომ, 1783 წლამდე, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე, ირანს კარგა ხნით ადრე უნდა სცოდნოდა, რომ ერეკლე II პროირანული ორიენტაციის შეცვლას აპირებდა. ნუთუ ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები არ იცის ა. ეპიფანცევი? ვერ დავიჯერებთ, რომ არ იცის. იცის, მაგრამ მაინც თავისას ამტკიცებს: ირანელებმა ვერ გაიგეს, რატომ აქცია ერეკლე II-მ ზურგი ირანს.

ა. ეპიფანცევის სურვილი იყო ერეკლე II წარმოედგინა, როგორც მოლაღატე, რომლის ნდობა არ შეიძლებოდა. ალბათ გაუგებარია მკითხველისათვის, თუ რატომ არის ასე შემფოთებული ა. ეპიფანცევი ერეკლე II-ის ანტიირანული პოლიტიკით. ნუთუ გეორგიევსკის ტრაქტატის დადება ასე მიუღებელია მისთვის? სრულებითაც არა! ქვემოთ ა. ეპიფანცევი შეეცდება დაარწმუნოს მკითხველი იმაში, რომ ერეკლე II-მ რუსეთს ისევე უღალატა, როგორც ადრე – ირანს. ა. ეპიფანცევი ერეკლე II-ის ჯავრი ბოლომდე რომ იყაროს ქართლ-კახეთის მეფეს დამამცირებელი ეპითეტებით მოიხსენიებს, უწოდებს „персидский грузин (или грузинский перс)“. ა. ეპიფანცევი წერს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით ქართლ-კახეთის სამეფოში დაემხო ირანის ბატონობა და იქვე სვამს კითხვას: როგორ იქცევა ამის შემდეგ ერეკლე II? პასუხი ასეთია: „პატარა კახი იწყებს ირანს ჩამოცილებული განჯისა და ერევნის სახანოებზე ლაშქრობას, იწყებს დასუსტებული ყოფილი პატრონისათვის ტყბილი ლუკმების წაგლეჯას. ყველგან დაატარებს რუსულ ბატალიონებს, ცდილობს ბრძოლაში მათ ჩაბმას, ყველას აწვევებს რუსულ ბატალიონებს და მთელი ძალით ხაზგასმით აცხადებს: თუ თქვენ მე წინააღმდეგობას გამიწევთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ მე კი არ მებრძვით, არამედ ებრძვით რუსეთს!“ ერეკლე II-ის ასეთ პოლიტიკას ავტორი რუსეთის საზიანოდ მიიჩნევს. ამ ამონაწერში ფაქტობრივი შეცდომებია: 1) 1784 წელს ქართლ-კახეთში გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ორი რუსული ბატალიონიდან მხოლოდ ერთი შემოვიდა, მეორე ბატალიონი იგვიანებდა. საქართველოში შემოყვანილი ჯარი რუსეთმა 1787 წელს უკანვე გაიწვია; 2) 1784-1787 წლებში, ანუ ქართლ-კახეთში რუსეთის ჯარის ყოფნის პერიოდში ერეკლე II-ს განჯაზე და ერევანზე არ უღალატებია. ეს ლაშქრობები გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე (1783 წლამდე) კარგა ხნის წინ განხორციელდა და, ცხადია, მასში რუსული ბატალიონები მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ.



ა. ეპიფანცევის სტატიიდან კარგად ჩანს, რომ ავტორს განსაკუთრებით ალიზიანებს ის, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადების შემდეგ ერეკლე II-მ ოსმალეთთან გააგრძელა ურთიერთობის მოგვარება და 1786 წელს ხელშეკრულებაც დადო მასთან (სინამდვილეში ერეკლე II-მ ხელშეკრულება დადო ახალციხის ფაშასთან – ვ. გ.). სტატიაში ვკითხულობთ: „ამ მომენტში ერეკლე II-მ გადადგა მეორე გადამწყვეტი ნაბიჯი – 1786 წელს თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დადო თურქეთთან. ასეთ ნაბიჯს საქართველოსათვის ჰქონდა დიდი და უკიდურესად ტრაგიკული მნიშვნელობა. საქმე იმაშია, რომ ამ ხელშეკრულებამ ხაზი გადაუსვა გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძვლებს. შეგახსენებთ, რომ რუსეთის მხრიდან დაცვის სანაცვლოდ ერეკლე II უარს ამბობდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე და ამ თვალსაზრისით ყოველი ნაბიჯი უნდა შეეთანხმებინა მოსკოვთან“. ამ შემთხვევაში ა. ეპიფანცევის რატომღაც ავიწყდება, რომ რუსეთი ხელშეკრულების დადების დღიდანვე არ იცავდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს. 1785 წელს ხუნძახის მფლობელმა ომარ-ხანმა ქართლი და კახეთი აიკლო. რუსეთის მცირერიცხოვანი ჯარი ომარ-ხანთან საბრძოლველად არ კმაროდა. ერეკლე II იძულებული გახდა ხარკი მიეცა ომარ-ხანისთვის და ასე აეცილებინა თავიდან ხუნძახელთა თავდასხმები მომავალში. რატომ ავიწყდება ა. ეპიფანცევის, რომ რუსეთი ვალდებული იყო დაეცვა ქართლ-კახეთის სამეფო გარე ძალის თავდასხმისაგან და თუ საქართველოში განლაგებული რუსული ჯარი საკმარისი არ იქნებოდა, მაშინ დამატებითი ჯარი შემოეყვანა?! რუსეთმა ეს არ გააკეთა არც 1785 და არც 1786 წელს. ერეკლე II იძულებული გახდა ახალციხის ფაშასთან (და არა ოსმალეთის სულთანთან) ხელშეკრულება დაედო, რათა აღმოსავლეთიდან (ჭარ-ბელაქნიდან) და ჩრდილოეთიდან (ჩრდილო კავკასიიდან) მთელთა შემოსევის შემთხვევაში სამხრეთის საზღვარი მაინც ყოფილიყო დაცული. 1787 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების მომიზეზებით, რუსეთმა გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ის მცირე ჯარიც გაიყვანა საქართველოდან. ამით დაირღვა გეორგიევსკის ტრაქტატის ძირითადი პირობა. ერეკლე II-ს განუმარტეს: რუსის ჯარის საქართველოში ყოფნა ისლამურ სახელმწიფოებს ალიზიანებს და ამიერიდან უფრო ადვილად მოაგვარებთ მათთან ურთიერთობასო. ა. ეპიფანცევი კი ამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს ასე ხსნის: „რუსეთის ვასალის საქართველოს სუპარატიული ზავი რუსეთის მტერთან ეკატერინე მეორისათვის პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა... პეტერბურგმა ჯარი გაიყვანა საქართველოდან...“ ე. ი. ა. ეპიფანცევის თუ დაუფერებთ, 1787 წელს ქართლ-კახეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის მიზეზი 1786 წელს ერეკლე II-სა და ახალციხის ფაშას შორის დადებული ხელშეკრულება ყოფილა, რაც სიცრუეა.

ა. ეპიფანცევი აგრძელებს ერეკლე II-ის მოღალატური პოლიტიკის მხილებას უკვე რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომის დასრულების შემდგომ პერიოდში. სტატიაში ვკითხულობთ: „...1791 წელს დამთავრდა ომი, მაგრამ მდგომარეობის გაუმჯობესება არ შეიმჩნეოდა. მალე პატარა კახი მიხვდა, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის ლავირებამ მას ცუდი სამსახური გაუნია. საქართ-



ველოს მდგომარეობა საკმაოდ ტრაგიკულად გამოიყურებოდა: მფარველების ჯერ მოხმობით და შემდეგ მათი მოტყუებით, მხოლოდ თავისი ინტერესების დაცვის მისწრაფებით ერეკლე II-მ საბოლოოდ გააფუჭა ურთიერთობა ორ მფარველთან – რუსეთთან და ირანთან“. ავტორის საქმის კურსში არ შეჰყავს მკითხველი, არ აცნობს იმ ვითარებას, რომელიც სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომის შემდეგ. იასის ზავით (1791 წ.) ცხადი გახდა, რომ ომში დამარცხებული ოსმალეთი საქართველოში რუსეთის შეჭრას წინ ვეღარ აღუდგებოდა. რჩებოდა ირანი. ქერიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ ირანში შაჰის ტახტისათვის ზენდებსა და ყაჯარებს შორის დაწყებულმა ბრძოლამ ქვეყანა უკიდურესად დაასუსტა. სამხედრო თვალსაზრისით ირანი რუსეთისათვის მეორეხარისხოვან მეტოქედაც კი აღარ განიხილებოდა. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ერეკლე II-ის პრორუსულ ორიენტაციას 1782-1783 წლებში (გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებისა და დადების დროისათვის) გადამწყვეტი თუ არა, დიდი მნიშვნელობა მაინც ენიჭებოდა. ამ დროისათვის რუსეთი ირანსა და ოსმალეთს სერიოზულ ძალად განიხილავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატს არ დადებდა. ოსმალეთის დამარცხებისა და იასის ზავის შემდეგ, ირანში შინააშლილობისა და ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში ერეკლე II-ის პრორუსულმა ორიენტაციამ ძველი მნიშვნელობა დაკარგა – ერეკლე II რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში უმნიშვნელო ფიგურად იქცა. აი, ამიტომ მიატოვა რუსეთმა ერეკლე II, აი, ამიტომ არ შეისმინა ეკატერინე II-მ ერეკლე II-ის მრავალი თხოვნა დაეცვა ქართლ-კახეთი ირანის მოსალოდნელი აგრესიისაგან. ა. ეპიფანცევი კი მფარველობაში მიღებული ქვეყნის გამწირველ, ბედის ანაბარად მიმტოვებელ და ე. ი. მოლაღატე ეკატერინე II-ს ნამუსს სწმენდს და ლალატში რუსეთისაგან მოტყუებულ ერეკლე II-ს ადანაშაულებს: „რუსეთმა ყურად არ იღო ვერაგი მეფის ხვეწნა-მუდარა – დახმარება არ მოდიოდა“. მკითხველო, ცხადია, მიხვდით, რომ ეს „ვერაგი მეფე“ ერეკლე II იყო. კიდევ უფრო შორს მიდის ა. ეპიფანცევის ცილისწამება, როცა ამტკიცებს, 1783 წელს ერეკლე II რუსეთის „მფარველობაში“ შევიდა, ხოლო მისი შვილი მეფე გიორგი XII მფარველობით არ კმაყოფილდებოდა და ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიასთან შეერთებას ითხოვდაო. სინამდვილეში, საყოველთაოდ ცნობილი დოკუმენტებიდან დგინდება, რომ რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის მომავალი ხელშეკრულების ერთ-ერთ ძირითად პირობად გიორგი XII ქართლ-კახეთში მეფობის შენარჩუნებას აყენებდა. სამეფო ხელისუფლების შენარჩუნება, ცხადია, სამეფოს შენარჩუნებასაც ნიშნავდა.

ა. ეპიფანცევისთვის ძალზე უხერხული უნდა ყოფილიყო 1795 წლის მოვლენების გახსენება. მას რალაცნაირად უნდა გაემართლებინა რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის მიტოვება ალა-მაჰმად ხანის ლაშქრობის დროს. სტატისის ავტორის აზრით, 1795 წელი ეს ის დროა, როცა ერეკლე II რუსეთისათვის უკვე ტაპურ მოლაღატედ იქცა. სტატიაში ვკითხულობთ: „რუსეთი არ ინვლდა სურვილით დაეცვა მოლაღატე“. ცოტა ზემოთ ა. ეპიფანცევი წერს, რომ ალა-

მაჰმად ხანი ერეკლესაგან კატეგორიულად ითხოვდა რუსეთთან კავშირის განყვეტას, მაგრამ ერეკლე ამაზე არ წავიდა. თუ ალა-მაჰმად ხანის კატეგორიული მოთხოვნისა და მუქარის მიუხედავად ერეკლემ რუსეთთან კავშირი არ განწყვიტა (გეორგიევსკის ტრაქტატი არ გააუქმა), მაშინ როგორღა მტკიცდება ერეკლეს მოლაღატეობა?!

რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობას, ანუ 1801-1810 წლების მოვლენებს, ა. ეპიფანცევი გვერდს უვლის. ისეთი გამოცდილი პოლემისტიც კი, როგორც სტატიის ავტორია უძღური იქნებოდა გამართლებინა დაპყრობის ფაქტი. ა. ეპიფანცევი სულ ერთი წინადადებით გადმოსცემს მომხდარს: „საქართველოს თავზე ამოვიდა რუსეთის ვარსკვლავი.“ („Над Грузией вошла Российская Звезда.“). 1801-1917 წლების ისტორიას იგი სწორედ რუსული ვარსკვლავის ამობრწყინების ფონზე იხილავს.

რუსეთის იმპერიაში საქართველოს იძულებითი ყოფნის პერიოდის (1801-1917 წწ.) შეფასებისას ა. ეპიფანცევი ცდილობს უხერხულ თემებს გვერდი აუაროს, შეარბილოს რუსული კოლონიური პოლიტიკა. თურმე, რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ქართველების მიმართ დამთმობი ყოფილა „მეფის ხელისუფლებასთან ქართველების მხრიდან აშკარა დაპირისპირების დროსაც კი“. მაგალითები ამ განცხადების დასამტკიცებლად ა. ეპიფანცევს არ მოჰყავს. თუმცა ასეთ მაგალითებს იგი წამდვილად ვერ იპოვიდა 1804 წლის ქართლის მთიანეთის, 1812 წლის კახეთის, 1819-1820 წლების იმერეთის, 1841 წლის გურიის აჯანყებებისა და 1905-1907 წლების რევოლუციის ისტორიაში.

ა. ეპიფანცევი მიიჩნევს, რომ რუსეთის ბატონობით ქართველები კმაყოფილნი იყვნენ XX საუკუნის დამდეგამდე. XX საუკუნის დამდეგს რუსეთი დასუსტდა და ქართველებმაც მაშინვე ააშოქმედეს ძველი სტრატეგია – „ახალ პატრონს“ დაუწყეს ძებნა: „პატრონი დასუსტდა. მას უკვე აღარ შეეძლო საქართველოსათვის იმ ფუნქციის შესრულება, რომელსაც გვიან ამერიკელებმა უწოდეს „ბედნიერი თავშესაფარი“. სტატიის ავტორი არც მალავს, რომ 1918 წელს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით ქართველებმა რუსეთს უღალატეს და უმადურებმა ეს „ბედნიერი თავშესაფარიც“ დაკარგეს.

ეს დაუფარავი ირონია ქართველთა მიმართ გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, როგორც ქართველი ერის ანტირუსული სულისკვეთების გამოვლინება, მიუღებელია ა. ეპიფანცევისთვის.

1918 წლის 26 მაისს გერმანიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტიის ფუნქციის შესრულება ძალზე აღიზიანებს ა. ეპიფანცევს და პროგერმანულ ორიენტაციას ქართველებს რუსეთის ღალატად უთვლის. იგი აღშფოთებულია იმით, რომ ნოე ჟორდანიას პროდასავლურ ორიენტაციას დაადგა, ანუ ძველი პატრონი (რუსეთი) ახალ პატრონზე (გერმანიაზე) გაცვალა. სტატიის ავტორი წერს, ორიენტაციის სწრაფად შეცვლის თვალსაზრისით ნოე ჟორდანიამ ერეკლე II-საც კი აჯობაო. ა. ეპიფანცევი თვლის, რომ საქართველოს მიერ 1918 წლის მაისში პროგერმანული ორიენტაციის აღიარება, ანუ ძველი პატრონის (რუსეთის) ახალი პატრონით (გერ-

მანიით) შეცვლა სხვა არაფერი იყო, თუ არა „ძველი ქართული ჩვევის“ განმეორება და არა ეპოქალურ ქარტეხილებში გადარჩენის გზაზე მოკავშირის ძიება.

ა. ეპიფანცევი განსაკუთრებული მონდომებით აყალბებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ისტორიის თავისებულ ვერსიას. ავტორის აზრით, საქართველოს დაუპყრია არა მარტო სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, არამედ სამხრეთ რუსეთიც. 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების შეფასებისას იგი აღნიშნავს, რომ როგორც რუსეთის იმპერიის მოლაპატე ერეკლე II XVIII საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ისევ რუსეთს სთხოვდა ირანის აგრესიისაგან დაცვას, ისე რუსეთის მოლაპატე ნოე ყორდანია 1920 წლის გაზაფხულზე რუსეთისაგან ითხოვდა შველას. სტატიამი ვკითხულობთ: „ასე თუ ისე, 1920 წელს ამიერკავკასიაში ვითარება შეიცვალა. დენიკინი დამარცხდა, სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. საქართველო მარტოდმარტო დარჩა. არც ინგლისი და არც სხვა რომელიმე სახელმწიფო არ იწვოდა სურვილით ეცნო და დაეცვა საქართველო. საქართველო კი მაინც მთელი ძალით მიიწევდა დასავლეთისაკენ“. ა. ეპიფანცევის უკვირს, დასავლეთისაგან მიტოვებულმა საქართველომ რუსეთი რატომ არ აღიარა ახალ პატრონად, ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რატომ არ დაუბრუნდა ძველ პატრონს. 1920 წლის მოვლენების განხილვისას სტატიის ავტორი ემყოფილებით აღნიშნავს: „ამ დროს... დასუსტებული, ქართველებისაგან დამცირებული და შეურაცხყოფილი ძველი პატრონი – რუსეთი – დაბრუნდა. იგი დღითიდღე ძლიერდებოდა, ქვეყნის შიგნით მყარდება წესრიგი, რუსეთი უსწორდება „ძველი სამყაროს“ ნარჩენებს“. ა. ეპიფანცევი თვითემყოფილებით აღნიშნავს, რომ 1920 წელს ქართველები ვეღარ იხსნა ტრადიციულმა პოლიტიკამ – ძველი, დასუსტებული პატრონის ღალატმა და ახალი, ძლიერი პატრონის მფარველობაში შესვლამ. ა. ეპიფანცევის ძალზე აღიზიანებს ის, რომ ქართველი ისტორიკოსები 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებს აფასებენ როგორც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას (ოკუპაციას, ანექსიას). სტატიის ავტორი დანერვილებით არ განიხილავს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომს და ისევე, როგორც 1801-1810 წლების დაპყრობების შეფასებისას, აქაც მოკლედ გვამცნობს: „საქართველოს თავზე ისევ ამოვიდა რუსეთის ვარსკვლავი“ („Над Грузией опять вошла Российская Звезда.“).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდი და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წელს კვლავ ა. ეპიფანცევის გაღიზიანებას იწვევს. მისთვის განსაკუთრებით მიუღებელია საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დასავლური ორიენტაცია. ა. ეპიფანცევი ერთმანეთს ადარებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (1918-1921 წწ.) და 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდის საქართველოს. ორივეს უწუნებს დასავლურ ორიენტაციას. იგი ქართველებს ბრალს სდებს „ძველი პატრონის“ (რუსეთის) ღალატში და „ახალი პატრონის“ (აშშ, ნატო, ევროკავშირი) ერთგულ-

ბაში. სტატიაში ვკითხულობთ: „არაფერი არ იცვლება. ახალი პატრონის სიყვარულთან ერთად საქართველოში მოდის ისტორიულად დამკვიდრებული ძველი პატრონის სიძულვილი“. ალბათ ეს არის ის მთავარი, რისთვისაც ა. ეპიფანცევიმ დაწერა ეს ვრცელი სტატია და არა სურვილი – პატარა ერის თვითგადარჩენის ფსიქოლოგიის არსის შეცნობა, წევდომა.

ა. ეპიფანცევის საქართველოს ისტორიის 500-წლიანი პერიოდის (XVI-XXI სს.) მიმოხილვა იმისთვის დასჭირდა, რომ დაემტკიცებინა ქართული პოლიტიკური ელიტის (მეფეების, დიდებულების, პრეზიდენტების, მთავრობების, პარლამენტარების) უსუსურობა, ეჩვენებინა ქართველების უმადურება, მოლალატური ბუნება. ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ ერთი ამონაწერი იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოუდგენია ა. ეპიფანცევის ქართული სახელმწიფოს გადარჩენის პოლიტიკური მოდელი, როგორ ასრულებდნენ და ასრულებენ ქართველები მოკავშირეზე დაკისრებულ ვალდებულებას. ცოტა ქვემოთ ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველო „ქმნის მეგობრობის, ერთგულების, გულწრფელობისა და მფარველზე დამოკიდებულების ილუზიას იმისთვის, რომ პატრონმა, რომელიც ემორჩილება ერთობის ყალბ გრძნობას, გადაწყვიტოს საქართველოს პრობლემები, ანუ უზრუნველყოს საქართველოს დაცვა“.

ა. ეპიფანცევის ვრცელ სტატიაში მრავალგზის მეორდება ცნებები: „ძველი პატრონი“ და „ახალი პატრონი“. ცნებების შინაარსი ავტორს განმარტებული არა აქვს. არ ვიცი, კონკრეტულად რას გულისხმობს ძველ და ახალ პატრონში. ის, ვისაც ა. ეპიფანცევი საქართველოს ძველ და ახალ პატრონს უწოდებს, სინამდვილეში იყვნენ საქართველოს ძველი და ახალი დამპყრობლები. დამპყრობელი იყო ირანიც, ოსმალეთიც და რუსეთიც. ქართველები გაურბოდნენ არა „პატრონს“, არამედ დამპყრობელს, რაც სავსებით ღირსეულ მისწრაფებად უნდა მივიჩნიოთ. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში დამპყრობლის მოსვლა ან წასვლა ქართველებზე სულაც არ იყო დამოკიდებული. საქართველო რეალობას ლეზულობდა ისეთს, როგორიც ჯერ ირან-ოსმალეთის, ხოლო შემდეგ ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირების შედეგად შეიქმნებოდა ხოლმე. დამპყრობლის (და არა „პატრონის“) დასუსტების შემდეგ დაპყრობილმა ერმა რომ დამპყრობლის წინააღმდეგ იარაღი მიმართოს, რა არის ამაში მოულოდნელი და საკვირველი? ნუთუ ამაში ვინმე ერის ღირსების დამამცირებელ თვისებას დაინახავს? საქართველოდან ერთი დამპყრობლის წასვლა მყისიერად იწვევდა მეორე დამპყრობლის მოსვლას, უფრო ზუსტად, ძველ დამპყრობელს ახალი დამპყრობელი გააძევებდა ხოლმე. რა უნდა მოემოქმედათ ამ შემთხვევაში ქართველ მეფეებს? ცხადია, ყოველი ღონე უნდა ეხმარათ იმისათვის, რომ ახალი დამპყრობლის მოსვლა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მომხდარიყო და ქვეყანა ნაკლებად დაზარალებულიყო. ქართველი მეფეები სწორედ ასე იქცეოდნენ. ამის დასადასტურებლად მრავალი ფაქტის გახსენება შეიძლება. ჩვენ ერთ ყველაზე უფრო მეტყველ მაგალითს მოვიყვანთ. 1724 წლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მათ შორის ქართლსა და კახეთში, ოსმალეთი გაბატონდა. ძველმა დამპყრობელმა ირანმა პოზიციები დათმო და დროებით რეგიონში ოსმალეთის გაბა-

ტონებას შეურიგდა. რა უნდა მოემოქმედათ ამ შემთხვევაში ქართველებს? ცხადია, შექმნილი ვითარება უნდა გაეთვალისწინებინათ და ოსმალეთთან მოეგვარებინათ ურთიერთობა. ა. ეპიფანცევს თუ დაუფუჯერებთ, ქართველები „ძველი პატრონის“ (ირანის) ერთგულები უნდა დარჩენილიყვნენ, ან სამშობლოდან აყრილიყვნენ და დამარცხებულ ირანის ლაშქარს გაჰყოლოდნენ, ანდა ოსმალეთის ურიცხვ ლაშქარს შეებოდნენ და დედაბუდიანად ამომწყდარიყვნენ. საბედნიეროდ, ქართველები ასე არ ფიქრობდნენ. ქართველებმა შეძლეს ახალ დამპყრობელთან (ოსმალებთან) ურთიერთობის მოგვარება, რაც ა. ეპიფანცევის აზრით ირანის ლალატს ნიშნავდა. ცხადია, როგორც ირანის, ისევე ოსმალეთის ბატონობა ქართლ-კახეთში საპუდამოდ არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ირანმა რევანშის აღება მოახერხა. სამხედრო მინისტრმა ნადირ ხანმა რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხა ოსმალები და 1735 წელს სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის მთავარ დასაყრდენს, განჯის ციხეს, შემოარტყა ალყა. კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენლებმა თეიმურაზ ერეკლეს ძემ (მომავალმა მეფემ თეიმურაზ II-მ) და მისმა შვილმა ერეკლე თეიმურაზის ძემ (მომავალმა მეფემ ერეკლე II-მ) შექმნილი ვითარება სწორად შეაფასეს, ქართველთა ლაშქრით განჯასთან მყოფ ნადირ ხანს ეახლნენ და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარნენ. ა. ეპიფანცევის ლოგიკით ამ შემთხვევაში ქართველებმა ოსმალეთს უღალატეს. სტატიის ავტორს თუ დაუფუჯერებთ, თეიმურაზი და ერეკლე „ძველი პატრონის“ (ოსმალეთის) ერთგულები უნდა დარჩენილიყვნენ, ნადირ ხანთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყვნენ და ქვეყანა გაენირათ. საბედნიეროდ, თეიმურაზი და ერეკლე ასე არ მოიქცნენ. ის, რასაც ქართველი მეფეები ერთი დამპყრობლის საქართველოდან ნასვლისა და მეორე დამპყრობლის მოსვლის პროცესში აკეთებდნენ, ლალატი კი არ იყო, არამედ ქვეყნის გადარჩენის კარგად გააზრებული გეგმა. შეიძლება, ყოველივე ზემოთ თქმული ა. ეპიფანცევმა კარგად არ უწყის, რადგან თვითონ რიცხვით მრავალი ერის შვილია და ველიკოდერჟავული ფსიქოლოგიის მატარებელს უჭირს პატარა ერისათვის მახასიათებელი თვითგადარჩენის ინსტინქტის ნიუანსების ცოდნა და შეგრძნება. ჭეშმარიტების აღიარების შემთხვევაში სტატიის ავტორი პოლიტიკურ დაკვეთას ვერ შეასრულებს: ქართველ მეფეებს მოღალატის იარლიყს ვერ მიაკრავს და საქართველოს როგორც არასაიმედო მოკავშირეს ვერ წარმოაჩენს. ა. ეპიფანცევს იმდენად წინა საუკუნეების ისტორია არ აინტერესებს, რამდენადაც თანამედროვეობა. მას სურს საქართველოს სახელი გაუტეხოს პოტენციური მოკავშირეების (ამერიკის შეერთებული შტატების, ნატოს, ევროკავშირის) თვალში, ხოლო ქართველები დაარწმუნოს იმაში, რომ ახალ პატრონს ისევ ძველი პატრონი უნდა ერჩიოთ. საკმაოდ ვრცელი სტატიის დაწერა სწორედ ამისათვის დასჭირდა ა. ეპიფანცევს.

**ა. ეპიფანცევის ვრცელმა სტატია მიზანს ვერ მიაღწევს – პოლიტიკაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს, მეცნიერებას კი ვერაფერს შემატებს.**

VAKHTANG GURULI

## THE FORGED HISTORY ON SERVICE GEGEMONISTICHERSKAYA OF POLICY (concerning Andrey Epifantsev's article)

### Summary

Today you will surprise nobody with falsification of history of Georgia. The history is forged by all: professionals and fans, people the knowing and full boors. Whether however even on this background Andrey Epifantsev's article "Quite odiously looks there was Georgia the ally of Russia? Political model of a survival of the Georgian state". The author sets as the purpose to consider in one article the big period of history of Georgia – the XVI-XXI centuries and to answer a question: whether there was Georgia the ally of Russia? Without attraction of reliable, documentary and other type of material A. Epifantsev proves that Georgia was never the ally of Russia and that the Georgian tsars didn't adhere to consecutive pro-Russian orientation. In a counterbalance of the statement of A. Epifantsev it should be noted that the Georgian tsars throughout centuries sought to resist by the military and political aid of Russia to aggression of the Islamic world. Despite all efforts of the Georgian tsars, Russia never carried out functions of the ally of Georgia, on the contrary, it left it unaided in fight against Iran and the Ottoman Empire more than once, and at the beginning of the XIX century she carried out occupation of Georgia.

В. ГУРУЛИ

## ФАЛЬСИФИЦИРОВАННАЯ ИСТОРИЯ НА СЛУЖБЕ ГЕГЕМОНИСТИЧЕСКОЙ ПОЛИТИКИ (по поводу статьи Андрея Епифанцева)

### Резюме

Сегодня никого не удивит фальсификацией истории Грузии. Историю фальсифицируют все: профессионалы и любители, люди знающие и полные невежи. Однако даже на этом фоне довольно однозвучно выглядит статья Андрея Епифанцева «Была ли Грузия союзником России? Политическая модель выживания грузинского государства». Автор ставит своей целью рассмотреть в одной статье большой период истории Грузии – XVI-XXI вв. и ответить на вопрос: была ли Грузия союзником России? Без привлечения достоверного, документального и другого вида материала А. Епифанцев доказывает, что Грузия никогда не была союзником России и что грузинские цари не придерживались последовательной прорусской ориентации. В противовес утверждения А. Епифанцева следует отметить, что грузинские цари на протяжении веков стремились путем военной и политической помощи России противостоять агрессии исламского мира. Несмотря на все усилия грузинских царей, Россия никогда не выполняла функций союзника Грузии, наоборот, она не раз оставляла ее без помощи в борьбе против Ирана и Османской империи, а в начале XIX в. ею самой была осуществлена оккупация Грузии.

ოთარ შორღანია

ისტორიკოსი გიორგი ძიძარია  
დაბადების 100 წლისთავის გამო

გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სახელმწიფო და დიმიტრი გულიას სახელობის პრემიების ლაურეატს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი ძიძარიას დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

პროფ. გ. ძიძარია 50 წლის მანძილზე ერთ-გულად და თავდაუზოგავად ემსახურა მშობელ ხალხს. იგი იყო მრავალმხრივი დიაპაზონის მოღვაწე, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ისტორიაში. მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ერთ-ერთი საპატიო ადგილი აფხაზი ხალხის სახელოვან შვილთა შორის.

პროფ. გიორგი ძიძარიას სახელთანაა დაკავშირებული აფხაზეთმცოდნეობის სხვადასხვა მიმართულების, უპირველესად, აფხაზეთის ახალი ისტორიის შემდგომი განვითარება. მისი თაოსნობით გაიშალა ფართომასშტაბიანი კვლევები აფხაზეთის ისტორიის კარდინალურ საკითხებზე. პროფ. გ. ძიძარიას ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით პირველად გამოქვეყნდა განმაზოგადოებელი ნაშრომები აფხაზეთის ისტორიაში: „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები“ ორ ნაწილად (სოხუმი, 1960, 1964), „აფხაზეთის ასსრ ისტორია (1917-1937)“, (სოხუმი, 1983).

პროფ. გ. ძიძარიამ საქვეყნოდ გაითქვა სახელი როგორც აფხაზეთის ახალი ისტორიის გამოჩენილმა მკვლევარმა. მისმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა გააქარწყლეს ბევრი პრინციპულად მიუღებელი დებულება აფხაზი ხალხის ისტორიულ წარსულზე, ხელი შეუწევს XIX-XX დასაწყისის საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის მთელი რიგი საკითხების გაშუქებას.

პროფ. გ. ძიძარიას სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული აფხაზეთის სახალხო განათლებისა და უმაღლესი სკოლის ისტორიასთან. იგი აღიარებუ-





ლია უმაღლესი სკოლის გამოჩენილ პედაგოგად და ხელმძღვანელად. დიდა პროფ. გ. ძიძარიას პირადი წვლილი მეცნიერ-მკვლევართა კვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის დღიდან პროფ. გიორგი ძიძარია მჭიდროდ თანამშრომლობდა სასწავლებელთან, სადაც კითხულობდა აფხაზეთის ახალი ისტორიის კურსს, იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

პროფ. გ. ძიძარია დიდ დროს უთმობდა აფხაზური სკოლის პრობლემებს. მან პირველკლასელებისათვის შეადგინა აფხაზური „ანბან“ - დედაენის სახელმძღვანელო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა აფხაზი ბავშვების აღზრდის საქმეში. მან შ. ინალიფასთან ერთად შეადგინა აფხაზური ლიტერატურის ქრესტომათია მე-7 კლასელთათვის, მასთან ერთად თარგმნა ს. შესტაკოვის მე-4 კლასის სახელმძღვანელო „სსრკ-ის მოკლე ისტორია“.

პროფ. გ. ძიძარია მჭიდროდ თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც წაიკითხა „XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის“ კურსი. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, აფხაზეთის უმაღლეს სკოლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებაში. ამ წვლილისათვის გ. ძიძარია ორჯერ დაჯილდოვდა თბილისის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი - ივ. ჯავახიშვილის მედლით (1971, 1982).

პროფ. გიორგი ძიძარია იყო სახელმწიფო მოღვაწე. 1959-1962 წწ. მას ეკავა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა. იყო საქართველოს სსრ და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გიორგი ძიძარია დაიბადა 1914 წლის 23 აპრილს (6 მაისს) გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. სიყვარული მშობელი ხალხისა და მისი კულტურისადმი ოჯახში შეისისხლხორცა. მამით ადრე დაობლებულმა დაწყებითი განათლება გუდაუთის საბავშვო სახლ-ინტერნატში მიიღო. 1934 წელს გ. ძიძარიამ დაამთავრა ნ. ლაკობას სახელობის სოხუმის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1939 წ. სამშობლოში დაბრუნებულმა ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა დაიწყო სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მასწავლებლად, ხოლო აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში - უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1941-1945 წწ. გ. ძიძარია ეწეოდა ანტიფაშისტურ პროპაგანდას; მონაწილეობდა აფხაზეთში თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაში; იყო სოხუმის გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლი. გ. ძიძარიას დამსახურება სამშობლოს წინაშე სამთავრობო ჯილდოებით აღინიშნა.

1946 წ. გ. ძიძარიამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1957-1966 წლებში უძღვებოდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს. მისი რექტორობის წლებში ბევრი რამ გაკეთდა სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, კვალიფიციური კადრების მომზადების, აფხაზეთმცოდნეობის განვითარებისათვის.

1958 წ. გ. ძიძარია მწარმოებელი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სახალხო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობანი აფხაზეთში XIX საუკუნეში“. 1960 წ. მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება. სამეცნიერო და პედაგოგიურ წარმატებებს თან მოჰყვა ახალი აღიარება – 1961 წელს მას საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

პედაგოგიურ მოღვაწეობის პარალელურად პროფ. გ. ძიძარია ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. 1953-1957 წწ. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ხოლო 1966 წლიდან სიკვდილამდე – ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

პროფ. გიორგი ძიძარია იყო არაერთი საერთაშორისო, საკავშირო, რეგიონალური თუ რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე, საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე, ნაყოფიერად თანამშრომლობდა პირველი ქართული ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიასთან (1966-1987 წწ.) და ა. შ.

გიორგი ძიძარია გარდაიცვალა 1988 წლის 1 მაისს. იგი დიდი პატივით დაკრძალეს მშობლიურ სოფელ ლიხნში, რომელსაც სწავლულმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე (1986 წ.) მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა.

პროფ. გიორგი ძიძარიამ მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი პუბლიკაციების ბიბლიოგრაფია 400-ზე მეტ ერთეულს შეიცავს. ზოგიერთ ნაშრომს საეტაპო მნიშვნელობა აქვს როგორც სწავლულის მეცნიერულ შემოქმედებაში, ასევე აფხაზეთის ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლა-გაშუქების თვალსაზრისით.

25 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც პროფესორი გიორგი ძიძარია გარდაიცვალა. დროის ამ მონაკვეთში ბევრ ისტორიულ მოვლენას ჰქონდა ადგილი, მათ შორის სსრკ-ის დაშლასა და ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის გაუქმებას. პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში რადიკალურად შეიცვალა ისტორიული პრობლემების კვლევის მიდგომები და შეფასებები. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები განთავისუფლდნენ უმძლავრესი საბჭოური ცენზურის დიქტატიზაციისგან, რომელმაც თავის დროზე არა ერთი მეცნიერი შეინირა. ბევრი მათგანი გატყდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ბოლომდე შეინარჩუნეს მეცნიერული და მოქალაქეობრივი პრინციპულობა. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც არაერთხელ მოუწევს საჯარო გაკიცხვა, რის შემდეგაც გააძევეს მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტიდან. ამგვარი პოლიტიკა გრძელდებოდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის უკანასკნელ წლებამდე. პარტიული ორგანოები მკაცრად აკრიტიკებდნენ მსოფლიოში სახელგანთქმულ სწავლულს, ლენინის პრემიის პირველ ლაურიატს ისტორიოგრაფიაში, აკადემიკოს გ. მელიქიშვილს იმისათვის, რომ ის, თითქოსდა, საზოგადოებრივი ფორმაციების გაშუქებისას ავითარებდა ანტიმარქსისტულ

და ანტილენინურ იდეებს. სკკპ უმაღლესი ხელმძღვანელების ყურადღება მიიპყრო პროფ. როინ მეტრეველმა, რომელსაც პარტიის მაღალი ტრიბუნიდან უკიჟინებდნენ საქართველოს ისტორიისა და საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეების - დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და სხვათა - თითქოსდა გაიდეალების გამო.

საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლას დიდი ზიანი მიაყენა ი. სტალინის, ა. ჟდანოვისა და ს. კიროვის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხზე, განსაკუთრებით დებულებაზე „ნაკლები ბოროტების“ შესახებ. საზიანი იყო სადირექტივო ორგანოების მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის ძმობისა და მეგობრობის მანიფესტად გამოცხადება და ა.შ. სამაგალითოა მკვლევარ უშანგი სიდამონიძის ბედი, რომლის სადოქტორო დისერტაცია და მონოგრაფია „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921 წწ.)“, თბ., 1970) ბურჟუაზიული იდეოლოგიის პროპაგანდის ნიშნად გამოაცხადეს. ამ ნაშრომის გამოცემისა და ვიზირების გამო პარტიული სასჯელი დაეკისრათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს, მის მოადგილეს, პარტიურს მდივანს, წიგნის რედაქტორს, გამომცემლობის დირექტორს და ა. შ. ამასთან, გაუქმდა დადგენილება უ. სიდამონიძისათვის სადოქტორო ხარისხის მინიჭების შესახებ.

პარტიულ წნეხს ვერც გიორგი ძიძარია გადაურჩა. 1947 წ. მან ბაგრატი შინკუბასთან და კონსტანტინე შაყრილთან ერთად სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გააპროტესტა ადგილობრივი ხელისუფლების ნეგატიური ქმედებები, მიმართული აფხაზი ხალხისა და მისი კულტურის წინააღმდეგ. წერილის ავტორები სამაგალითოდ დაისაჯნენ, მაგრამ მათ, როგორც იტყვიან, ფარხმალი არ დაყარეს და არ შეიცვალეს პოზიცია. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო იძულებული გახდა გაეუქმებინა დადგენილება ზემოთ დასახელებულ პირთა დასჯის შესახებ.

გიორგი ძიძარიას უნდა დაეძლია სხვა დაბრკოლებებიც, მათ შორის აფხაზი ეროვნების ზოგიერთი ხელმძღვანელის მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის საკითხებისადმი. საჭირო იყო ბურუსით მოცული აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე უტყუარი დოკუმენტური მასალების მოძიება და მათი კრიტიკულად გააზრება, ცალკეული პრობლემების მონოგრაფიული შესწავლა და მიღებული დასკვნების საფუძველზე აფხაზი ხალხის, აფხაზეთის როლისა და ადგილის განსაზღვრა მიმდინარე ისტორიულ პროცესში. სწორედ ამ რთულ და საშვილიშვილო საქმეს შეეჭიდა გიორგი ძიძარია, რომელიც რუდუნებით იკვლევდა თავისი ხალხის ისტორიულ წარსულს. დღეს ისტორიული მეცნიერება კარგად იცნობს მისი კვლევის შედეგებს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სამეცნიერო მუშაობისადმი ინტერესი გიორგი ძიძარიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოამყვანა. ჩვენამდე მოაღწია 1939 წ. დაწერილმა საკურსო ნაშრომმა „აფხაზეთის დაპყრობა რუსეთის მიერ“.

1958 წ. გამოქვეყნდა გიორგი ძიძარიას კაპიტალური მონოგრაფია „სახალხო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობები აფხაზეთში XIX საუკუნეში (1870 წელის საგლეხო რეფორმამდე)“, რომელშიც ნარმოჩენილია აფხაზეთის სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ხელოსნობის მდგომარეობის სურათი. პირველად სპეციალურ ლიტერატურაში ავტორმა მოგვცა აფხაზეთის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ყველაზე სრულყოფილი დახასიათება. გიორგი ძიძარიას აზრით, აფხაზეთში არსებულ ფეოდალურ ურთიერთობებს ბევრი საერთო ჰქონდა საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ ფეოდალურ ინსტიტუტებთან.

1960 წ. პროფ. გიორგი ძიძარიამ გამოაქვეყნა ნაშრომი, მიძღვნილი აფხაზეთის რუსეთთან შეერთებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი ფორმალურად ეყრდნობა იმუამინდელ ოფიციალურ იდეოლოგიას, ავტორმა თვალნათლივ უჩვენა აფხაზი ხალხის შეუპოვარი ბრძოლა აფხაზეთის მთავრების პრორუსული პოლიტიკის წინააღმდეგ. პროფ. გიორგი ძიძარიას შრომებში გაშუქებულია 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხები. რუსეთის მთავრობის ამ აქტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია აფხაზეთის საზოგადოებაში, რაც მკაფიოდ გამოვლინდა 1866 წლის აჯანყების დროს. მკვლევარმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ამ აჯანყებას, რომელიც 1955 წელს გამოქვეყნდა. ავტორის აზრით, აჯანყებას ანტიფეოდალური და ანტიკოლონიური ხასიათი ჰქონდა. წიგნიდან კარგად ჩანს, რომ აჯანყება სახალხო ომში გადაიზარდა, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის მმართველობის გაუქმებას და აფხაზეთის სამთავროს აღდგენას. აჯანყებულებმა აფხაზეთის მთავრად აირჩიეს უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე გიორგი შარვაშიძე, მომავალში ცნობილი მწერალი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი. მართალია, აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ათეულობის განმავლობაში აჯანყებულთა პოლიტიკური იდეა ასაზრდოებდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის აფხაზი ხალხის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

პროფ. გიორგი ძიძარიას მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მონოგრაფიას „მუჰაჯირობა და აფხაზეთის XIX საუკუნის ისტორიის პრობლემები“ (სოხუმი, 1976, 1982). ეს არის ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელშიც ნაჩვენებია XIX საუკუნის II ნახევარში კავკასიელი ხალხისათვის თავსდატენილი ტრაგედია. ავტორი სწორად უჩვენებს რუსეთის ვერაგ ზრახვას გაენმინდა კავკასია იმ არასაიმედო, მშფოთვარე მოსახლეობისაგან, რომელიც არ ეპუებოდა თვითმპყრობელობის ჰეგემონობას კავკასიაში. როგორც ცნობილია, 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში აფხაზეთი მოსახლეობის ნაწილი აჯანყდა რუსეთის წინააღმდეგ და ოსმალეთს მიემხრო. ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთმა დაიწყო აფხაზების ფართომასშტაბიანი იძულებითი გასახლება სამშობლოდან, რის შედეგად აფხაზეთის ისტორიული ოლქების ნაწილი მთლიანად გაუკაცრიელდა. ცარიზმმა ესეც არ აკმარა აფხაზეთის მოსახლეობას. სამშობლოში დარჩენილი აფხაზები დამნაშავე მოსახლეობად გამოაცხადა, რომელთაც შეუზღუდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტი-

კური უფლებები. პროფ. გიორგი ძიძარიამ უჩვენა რუსეთის ადმინისტრაციის უმძიმესი დანაშაული აფხაზი ხალხის წინაშე, რომელსაც თანამედროვე ტერმინოლოგიით ეთნიკური წმენდა ჰქვია. წიგნს დიდი რეზონანსი ჰქონდა. 1979 წ. პროფ. გიორგი ძიძარიას ამ გამოკვლევისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

1979 წ. პროფ. გიორგი ძიძარიამ პირველად ისტორიოგრაფიაში მოამზადა ნაშრომი, მიძღვნილი აფხაზური ინტელიგენციის ისტორიისადმი. ავტორმა ნათლად წარმოაჩინა ის რთული გზა, რომელიც განვლეს აფხაზური ინტელიგენციის პირველმა წარმომადგენლებმა; ნაჩვენებია რუსი და ქართველი მოღვაწეების წვლილი აფხაზური დამწერლობის, მეცნიერების, განათლებისა და სხვა დარგების განვითარების საქმეში. ეს მონოგრაფია არის ძეგლი იმ ადამიანების ხსოვნისა, რომლებიც ქმნიდნენ და აწვითარებდნენ აფხაზი ხალხის სულიერებას. 1980 წ. აღნიშნული გამოკვლევისათვის პროფ. გიორგი ძიძარიას დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

პროფ. გ. ძიძარია იკვლევდა კავკასიაში გადმოსახლებული დეკაბრისტების, პოლონეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, აშუქებდა ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურული ურთიერთობებისა და ცარიზმის წინააღმდეგ მათი ერთობლივი ბრძოლის საკითხებს და ა. შ. გიორგი ძიძარიას დაკვირვებანი აფხაზეთში მიმდინარე რევოლუციური ბრძოლების შესახებ აისახა მის წიგნში „აფხაზეთის ისტორიის ნარკვევები“ (თბილისი, 1963).

პროფ. გ. ძიძარიას მეცნიერული მემკვიდრეობის ამ მოკლე მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა მან ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. მისი ამაგი სათანადოდ დაფასდა: 1974 წ. პროფ. გიორგი ძიძარია არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიეძღვნა არა ერთი სამეცნიერო წერილი, ზეიმით აღინიშნებოდა მისი საიუბილეო თარიღები, მიღებული ჰქონდა მაღალი სამთავრობო ჯილდოები.

პროფ. გიორგი ძიძარიას გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთში ბევრი რამ გაკეთდა მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად: 1988 -2006 წწ. გამოქვეყნდა გიორგი ძიძარიას შრომების სამტომეული, პროფ. არველოდ კუპრავამ გამოსცა წიგნი „გიორგი ალექსის ძე ძიძარია“ (სოხუმი, 2006), აფხაზეთის უნივერსიტეტში დაწესდა გიორგი ძიძარიას სახელობის სტიპენდია (1989 წ.); სწავლულის სახელი ეწოდა ქუჩებს სოხუმსა (1994) და გალში (2004). 1995 წელს დაისტამბა საფოსტო მარკა „აფსნი 200 გ. ა. ძიძარია 1914-1988 წწ.“. დაწესდა გიორგი ძიძარიას სახელობის სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში (2004), გიორგი ძიძარიას სახელი მიენიჭა აფხაზეთის საისტორიო საზოგადოებას.

აფხაზეთა ცნობიერებაში პროფესორ გ. ძიძარიას სახელი სამშობლოს ერთგული მსახურების სიმბოლოდ იქცა.

ოთარ ჯანელიძე

## პროკოფი რატიანი - მეცნიერი და მოღვაწე

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროკოფი რატიანი ჭითაურის რაიონის სოფელ რგანში, კონსტანტინე რატიანის ხუთშვილიან ოჯახში დაიბადა 1914 წლის 7 მარტს. კონსტანტინე რიგითი მშრომელი კაცი იყო. მომავალი ისტორიკოსის ბავშვობის წლებში, რომელიც სწრაფ ცვალებად და უაღრესად დინამიკურ დროს დაემთხვა, ოჯახს დიდად არ უღიზნდა. მიუხედავად ამისა, მამამ მოახერხა და ბავშვს საშუალო სკოლა ჭიათურაში დაამთავრებინა. მომავალი მეცნიერი სკოლის დასრულების შემდეგ შრომით საქმიანობაში ჩაება. იყო გაზეთ „ჭიათურის მალაროელის“, შემდეგ გაზეთ „საბჭოთა ფიზკულტურელისა“ და გაზეთ „კომუნისტის“ ლიტმუშაკი.



1934 წელს პ. რატიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და 1939 წელს მისი სრული კურსი წარმატებით დაამთავრა. სწავლის პარალელურად იგი განაგრძობდა ჟურნალისტურ მუშაობას და გაზეთ „კომუნისტში“ ჯერ პასუხისმგებელი მდივნის, ხოლო შემდეგ რედაქტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

უნივერსიტეტში ბატონი პროკოფის მასწავლებლები იყვნენ ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია. ამ უკანასკნელის რეკომენდაციით, ისტორიის ინსტიტუტში მაძიებლად გაფორმებული პ. რატიანი ილია ჭავჭავაძის ნააზრვის შესწავლას შეუდგა, რაც მამინ ერთობ საშური და აქტუალური საკითხი იყო. აქტუალობას ის გარემოება განაპირობებდა, რომ სწორედ იმ ხანად, ი. სტალინის ნებით, ილია ჭავჭავაძის სახელის რეაბილიტაცია განხორციელდა. ისტორიკოსებისა და ლიტერატორების წინაშე ილიას ახლებურად გააზრების ამოცანა დაისვა.

პ. რატიანის საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც 1948 წელს პროფესორ სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით მომზადდა, ეძღვნებოდა ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებებს. დისერტაციის დაცვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში გაიმართა. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ შალვა რადიანი და მაქსიმე ბერძნისხილი.

პ. რატიანმა 1963 წელს ისტორიის ინსტიტუტშივე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. საკვალიფიკაციო ნაშრომი სათაურით „ქართველ სამოციანელთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან (ახალი საარქივო მასალების მიხედვით)“ რუსულ ენაზე იყო წარდგენილი. პაექრობა ისე გაჭიანურდა, რომ დისერტაციის დაცვა მეორე დღესაც გაგრძელდა, რაც ერთობ უჩვეულო მოვლენა იყო.

პ. რატიანის მეცნიერული მემკვიდრეობა 20-ზე მეტ წიგნსა და 250 სტატიას მოიცავს. ეს რიცხვი ცოტა არ არის, მაგრამ მას შეეძლო გაცილებით მეტი მოესწრო და შეექმნა, რომ არა ახალგაზრდული ასაკიდანვე მოღვაწეობა ადმინისტრაციული და პარტიული კუთხითაც, რასაც უზარმაზარი დრო და ენერგია მიჰქონდა. 1942-1945 წლებში პ. რატიანი, როგორც პირველი მდივანი, სათავეში ედგა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომს, 1946-1947 წლებში ეკავა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის თანამდებობა, 1947-1952 წლებში იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასკოლო და სამეცნიერო განყოფილებას.

პ. რატიანმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხების შესწავლას დაუთმო. ქრონოლოგიურად ეს ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა მოღვაწეობის პერიოდი. სწორედ მათ განსაზღვრეს ამ ეპოქის არსი, ხასიათი და აზრის სიმაღლე. მეტიც, ტიციან ტაბიძის სიტყვით თუ ვიტყვით, თავად ეპოქაც მათ შექმნეს: „მე-19 საუკუნე საქართველოში ილიამ კიდეც მოიგონა, კიდეც შექმნა და თავის სისხლით კიდეც დაჰკირა“. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ ხსენებული ეპოქის წარმოსაჩენად, ისტორიკოსი პირველ რიგში საქართველოს „უგვირგვინო მეფის“ შემოქმედებას, მის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნააზრევს უნდა ჩასწვდომოდა, ილიას საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა შეხედულებები უნდა გაეანალიზებინა. ბატონი პროკოფიც, სავსებით სამართლიანად, ასე მოიქცა და კვლევა ძირითადად ამ თემატიკის ირგვლივ წარმართა.

მეცნიერი ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს იკვლევდა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იმ ეტაპს, რომელიც თერგდალეულების სახელს უკავშირდება და წარიმართებოდა ცნობილი ლოზუნგით „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

დიდად საგულისხმოა, რომ წყართმცოდნეობითი ბაზა ანუ ისტორიული მასალა, რომელსაც მეცნიერი კვლევის პროცესში იყენებდა, დიდწილად თვით მის მიერვე იყო მოპოვებული და გამოვლენილი. პ. რატიანი ფართოდ ეყრდნობოდა საარქივო დოკუმენტებსა და სხვა პირველწყაროებს, რის გამოც მის ნაწერებში დადგენილია ბევრი მანამდე უცნობი ისტორიული ფაქტი და მოვლენა, არგუმენტირებულია მრავალი დასკვნა და დებულება, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ როგორც აქტუალობას, ისე მეცნიერულ ღირებულებასაც.



ნათქვამის საილუსტრაციოდ ქვემოთ რამდენიმე მაგალითს დავიმონუმებ:

1. იმხანად და ნაწილობრივ შემდეგაც, ქართული ლიტერატურის ბევრი მკვლევარი, ასევე საისტორიო მეცნიერების არაერთი წარმომადგენელი იზიარებდა აზრს, თითქოს მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძეს ელაღატნოს თავისი პირვანდელი შეხედულებებისათვის და „გადახრილიყოს მარჯვნივ, მეფისა და მემამულეების რეაქციისაკენ“. პროკოფი რატიანმა თავისი გამოკვლევებით დაასაბუთა ამ თვალსაზრისის მცდარობა. მან დამაჯერებლად უჩვენა, რომ ილია სიკვდილამდე დარჩა თავისი 60-იანი წლების იდეების, დემოკრატიული იდეების ერთგული“ (პ. რატიანი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. III, თბ., 1985, გვ. 247; 281).

2. პროკოფი რატიანის დამსახურებაა გიორგი წერეთლისეული ე. წ. „დასების თეორიის“ გადასინჯვა და არსებითად მისი მეცნიერული უარყოფა.

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გავრცელებულია თვალსაზრისი თერგდალეულთა შორის ორი დასის არსებობის შესახებ. თითქოს ილია ჭავჭავაძესა და მის მიმდევრებს XIX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი და სხვანი გამოეყვნენ და განსხვავებული მიმართულების ახალი – მეორე დასი შეადგინეს. მსგავსი შეხედულება პირველად 1895 წელს გიორგი წერეთელმა გამოთქვა.

უნდა ითქვას, რომ გ. წერეთლის მოსაზრება იმთავითვე მიუღებელი აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი ლასხიშვილის, ნიკოლოზ მოურისა და სხვა მოღვაწეებისათვის. ხსენებული თვალსაზრისი დამაჯერებლად უარყო არჩილ ჯორჯაძემ, რომელმაც ორი დასის გამოსვლას სულ რაღაც სამი წლის განმავლობაში „საკვირველი გაუგებრობა“ და ლეგენდა უწოდა. ა. ჯორჯაძე მიიჩნევდა, რომ ეს იყო არა „დასებად“ დაშლა, არამედ „ერთის იდეური ჯგუფის განვითარება და ევოლუცია“ (ა. ჯორჯაძე, თხზულებათა ნიგნი მეხუთე, თბილისი, 1914 წ, გვ. 193). პ. რატიანმა ჯერ კიდევ 1956 წელს საფუძვლიანად შეისწავლა ეს პრობლემა და მივიდა დასკვნამდე, რომ გიორგი წერეთლის თვალსაზრისი უნიადაგოა, არ ასახავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობას და იგი უკუგდებულ უნდა იქნას (პ. რატიანი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. III, თბ., 1985 წ, გვ. 274). აქვე დავძენ, რომ მიუხედავად პ. რატიანის სწორი დასკვნისა, ისტორიკოსთა ნაწილი დღემდე „დასების თეორიის“ ერთგული რჩება. შეხედულება თერგდალეულთა ნიაღში მეორე დასის აღმოცენების შესახებ ინერციის ძალით კვლავაც ცოცხლობს, რაც გაურკვეველობას ქმნის, განსაკუთრებით ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში.

რა თქმა უნდა, მეცნიერულ კვლევაში საკუთარი აზრის ქონას არავინ არავის უკრძალავს, მაგრამ ახლა მაინც, როდესაც არანაირი პოლიტიკური კონიუნქტურა და იდეოლოგიური კლიშეები აღარ გვბორკავს, ალბათ შესაძლებელია, მკვლევართა შორის, დისკუსიის გზით, ამ საკითხზე ჩამოყალიბდეს გარკვეული კონსენსუსი და თუნდაც ისტორიის სახელმძღვანელოებში აისახოს ერთიანი ხედვა.

3. პროკოფი რატიანმა მართებული შეფასება მისცა 1865 წელს თბილისში მოწყობილ ღარიბ მოსახლეობის (ამქართა) ცნობილ აჯანყებას, რომელიც მანამდე „ბრბოს“ რეაქციულ გამოსვლად იყო სახელდებული (ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954 წ, გვ. 291; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, გვ. 415). მეცნიერმა გაიზიარა ნიკო ნიკოლაძის თვალთახედვა და ხსენებული აჯანყება მიიჩნია „თბილისის მუშა-პროლეტარებისა“ და მოქალაქეების „სახალხო აჯანყებად“, რომელიც მეფის მთავრობის უსამართლობასა და ძალადობას დაუპირისპირდა (პ. რატიანი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. III, თბ., 1985 წ, გვ. 394).

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროკოფი რატიანის წვლილი ილიასმცოდნეობაში. ამ სფეროში მისი მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების დედააზრით, „ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები იყვნენ არა თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგები, როგორც ეს ადრე იყო მიღებული, არამედ ქართველი მშრომელი ხალხის, პირველ რიგში გლეხობის ინტერესების გამომხატველნი და დამცველნი“ (გ. მარგანი, უ. სიდამონიძე, ღრმა კვალი, გაზეთი „კომუნისტი“, 1989 წ, 10 აგვისტო).

დღეს ეს თვალსაზრისი გადასინჯულია, ილია ჭავჭავაძე მიჩნეულია არა რომელიმე ცალკე კლასის, არამედ ერთიანი საქართველოს, მთელი ქართველი ერის იდეოლოგად, რომლის მისწრაფება დასებად დანაწევრებული კი არა, მტკიცედ შეკავშირებული და განუყოფელი მამული იყო. მაგრამ სავსებით სწორია პროკოფი რატიანის დასკვნა, რომ თერგდალეულთა იდეოლოგიაში ორგანულად იყო შერწყმული ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა. ის ფაქტი, რომ ქართველ სამოციანელთა ნააზრეში საბჭოთა ისტორიოგრაფია და მათ შორის პ. რატიანიც წინა პლანზე სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხებს წამოსწევდნენ, რეჟიმის იდეოლოგიური გავლენით უნდა აიხსნას და არა იმით, რომ იმ თაობის ისტორიკოსებს თითქოს არ ესმოდათ, რა იყო სახელმწიფოებრიობამოშლილი და კოლონიური ერის უმთავრესი საზრუნავი, ან კიდევ, ვერ ერკვეოდნენ დევიზის „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ნამდვილ არსში.

პროკოფი რატიანი საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევარი იყო. მისი სამეცნიერო ნაშრომების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ ეპოქის პრობლემატიკის შესწავლისადმი მიძღვნილი. მაგრამ მეცნიერის კალამს იმავდროულად რამდენიმე საგულისხმო მონოგრაფია ქართულ მედიევისტკაშიც ეკუთვნის. ჩვენს სინადვილეში თითებზე ჩამოითვლება იმ ისტორიკოსთა რიცხვი, რომლებიც საქართველოს ახლო წარსულის პარალელურად, ქვეყნის ძველი ან შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებითაც დაინტერესდნენ და მათ კვლევამიც თავიანთი წვლილი შეიტანეს. პ. რატიანის დასახელებულ ნაშრომთაგან ორი რუსთაველოლოგიის სფეროს განეკუთვნება („ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“, თბილისი, 1969 წ; „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი“, თბილისი, 1975 წ). ამ ნიგნებში მკვლევარი შეეცადა დაე-საბუთებინა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის დიდად განსწავლული სასულიერო პირი, რუსთავის ეპარქიის ეპისკოპოსი ან მთავარეპისკოპო-

სი, რომელსაც გარკვეულ დროს ეკავა ბოსტან ქალაქის მღვდელმთავრის თანამდებობა. ე. მალრაძე, რედაქტორი წიგნისა „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი“, წინასიტყვაობი პროკოფი რატიანს „ერუდიციას, ალლოსა და მეცნიერულ გერგილიანობას“ უქებდა. მართლაც ბატონი პროკოფის მოსაზრებები, მიგნებები, ვარაუდები და დასკვნები საინტერესო აღმოჩნდა, მაგრამ ისინი მთლიანობაში გაზიარებული არ ყოფილა. პ. რატიანის კონცეფცია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ მცდარად იქნა მიჩნეული, თუმცა მის მიერ ისტორიულად ცნობილ რუსთველებზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვან ისტორიოგრაფიულ მოვლენად ჩაითვალა.

ვცხებით რა ამ თემებს, საჭიროდ მიმაჩნია, დავიმონმო ამონარიდი ცნობილი ქართველი პოეტის მარიკა ბარათაშვილის მოგონებიდან, რომელიც პროკოფი რატიანის შესახებ წერდა: „ორი შარავანდმოსილი ადამიანი-მოვლენა იყო პროკოფი რატიანის სალოცავი და შთაგონების წყარო: შოთა და ილია, და ამ მოვლენათა ღრმად წვდომასა და განდიდებას შესწირა მწერალმა და მეცნიერმა მთელი თავისი სიცოცხლე და სულის ძალა“.

1989 წელს, პ. რატიანის გარდაცვალების შემდეგ, გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „თბილელი ბერები“, რომელშიც XI საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ისტორიის საყურადღებო ეპოქაა გაცოცხლებული. ავტორმა არ გაიზიარა ვ. გაბაშვილის თვალსაზრისი, რომ „თბილელი ბერები“ ქალაქის პრივილეგირებული ზედაფენის (დიდვაჭრების) წარმომადგენლები და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქთა არისტოკრატია მოხელეების - „რაისების“ მსგავსი ხელისუფალნი იყვნენ (პ. რატიანი, „თბილელი ბერები“, თბილისი, 1989 წ, გვ. 29; 32). პ. რატიანმა უარყო ასევე შ. მესხიას დებულება, რომ „ბერი“ მაინცდამაინც მოხუცს აღნიშნავს, ხოლო „თბილელი ბერები“ ქალაქის „თავაკაცები“, („თავადები“) ყოფილიყვნენ. მკვლევარმა წინა პლანზე წამოსწია ქართული ეკლესიის როლი, ხოლო თბილელი ბერები გაიაზრა „საეკლესიო-სამონასტრო ძმობის“ წარმომადგენლებად, რომლებიც 1046 წლიდან მთელი ოთხი ათწლეულის განმავლობაში განაგებდნენ თბილისს. ეს სასულიერო პირები, როგორც მოქალაქეთა არჩეული თვითმმართველნი, ადგილობრივი ამირას დასუსტების პერიოდში, ქალაქის მთელ ცხოვრებას მესვეურობდნენ.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში ცარიზმის მიერ პეტერბურგსა თუ მოსკოვში გასახლებულ-განვეულ ბაგრატიონებს თან ათულობით მსახური, ქვეშევრდომი, ახლობელი თავადი და აზნაური გაჰყვა. ზოგიერთმა მათგანმა მოგვიანებით შეძლო სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ უმნიშვნელო არც რუსეთში დარჩენილთა რიცხვია. მათი შემდგომი ბედის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. პ. რატიანმა მოიძია საარქივო მასალა ერთ-ერთი ასეთი ქართველი თავადის, ავთანდილ თუმანიშვილის შესახებ და ამ პიროვნების ტრაგიკულ ბედს საგულისხმო ნარკვევი უძღვნა სათაურით „ცოცხლად დამარხული ტალანტი“ (თბილისი, 1982 წ). მეცნიერმა გაარკვია, რომ ახალგაზრდა ისტორიკოსი ავთანდილ თუმანიშვილი „საპატიო გაძევებაში“ მყოფი დავით გიორგის ძე ბატონიშვილის პირადი მდივანი ყოფილა. 1819 წელს იგი

იმპერატორ ალექსანდრე პირველის ბრძანების საფუძველზე დაუპატიმრებიათ და პეტრე-პავლეს ციხეში ჩაუსვათ. თავადი საპრობილეში დაბრმავებულია, მაგრამ მას სასჯელი კი არ შეუმსუბუქეს, დაუმძიმეს კიდევ და ციხის კატორღაში გაგზავნეს. პ. რატიანმა დაასაბუთა, რომ თუმანიშვილის დასჯის საფუძველი დავით ბატონიშვილთან მისი იდეური თანამოაზრეობა, თავისუფლებისმოყვარეობა და 1819 წელს დანყებულ იმერეთის აჯანყების ხელმძღვანელებთან კავშირი გამხდარა.

პროკოფი რატიანის სამეცნიერო ინტერესების სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართული ისტორიოგრაფიისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის პრობლემატიკას. ამ თემაზე მან ორი მოზრდილი წიგნიც გამოაქვეყნა, მაგრამ უფრო მეტი დაბეჭდილი აქვს ცალკეული სტატიების სახით.

მეცნიერმა სპეციალურად შეისწავლა ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხი, გააშუქა ა. ნულუკიძის ნაზრევი, წარმოაჩინა ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფცია, გააანალიზა კახა თორელის, აბუსერიძე ტბელისა და სხვა საისტორიო თხზულებები. მასვე ეკუთვნის საფუძვლიანი წყაროთმცოდნეობითი კვლევებიც.

ამასთან, პ. რატიანის დიდი დამსახურებაა, რომ ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ჯერ ისტორიოგრაფიული სემინარი და შემდეგ ისტორიული მეცნიერებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის განყოფილება, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სამეცნიერო ჟურნალსაც გამოსცემდა სახელწოდებით „ქართული ისტორიოგრაფია“, ჟურნალს თვითონვე რედაქტორობდა. აღსანიშნავია, რომ მანამდე პ. რატიანი სათავეში ედგა ახალი ისტორიის განყოფილებას, რომელიც ინსტიტუტში მისივე თაოსნობით დაარსდა.

ცალკე უნდა ითქვას ბატონი პროკოფის მონაწილეობის შესახებ სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნაში. 1958 წელს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოიცა საქართველოს ისტორიის სამტომეული, რომელიც გათვალისწინებული იყო დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის. ამ გამოცემის მომზადებაში ა. კიკვიძეს, ი. კაჭარავას, ა. სურგულაძესა და სხვებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროკოფი რატიანმა. 1960-იანი წლებიდან, ასევე ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით, რამდენჯერმე გამოქვეყნდა VIII-X და IX-XI კლასებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“, რომლის ავტორები ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია და პ. რატიანი იყვნენ.

1986 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა პროკოფი რატიანის „საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები“ (რედაქტორი შ. ხანთაძე), რომელმაც სპეციალ-ისტა მალალი შეფასება და საზოგადოების მონონება დაიმსახურა.

მეცნიერის ცალკეულ გამოკვლევებზე სხვადასხვა დროს დაბეჭდილია არაერთი რეცენზია, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ: ს. ყაუხჩიშვი-

ლის, ი. ანთელავას, ნ. შოშიაშვილის, ა. ბარამიძის, ე. მეტრეველის, ს. ცაიშვილის, გ. ნატროშვილის, ლ. ასათიანის, ვ. წულუკიძის, შ. ჩივაძისა და სხვათა შეფასებები და გამომხმარებები.

პ. რატიანი ცნობილი იყო, როგორც უკომპრომისო პოლემისტი. იგი ნაკლებ ანგარიშს უწევდა მეცნიერულ ავტორიტეტებსაც კი თუ მათ პუბლიკაციებში რაიმეს, მისი აზრით, არასწორს, საკამათოსა და სადავოს შენიშნავდა. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ პ. რატიანის კრიტიკული წერილი მიხეილ კვესელავას ორტომიან ნაშრომზე „ფაუსტური პარადიგმები“ (ალმანახი „კრიტიკა“, 1972 წ, № 1, გვ. 119-145) და პასუხი ავტორის გამომხმარებელზე (ალმანახი „კრიტიკა“, 1974 წ, № 6, გვ. 198-208), ა. სურგულაძის (ყურნალი „მნათობი“, 1977 წ, № 7, გვ. 136-154; ყურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1978 წ, № 1, გვ. 129-150), ს. ხუნდაძის, ლ. გორგილაძისა (პ. რატიანი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. III, თბილისი, 1985 წ, გვ. 329-355) და სხვ. ნაშრომებზე.

პ. რატიანი იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და სსრ კავშირის ყურნალისტთა კავშირის წევრი. საქართველოს მწერალთა კავშირში იგი კრიტიკისა და პუბლიცისტის სექციაში საქმიანობდა, აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ყურნალ-გაზეთებთან. როგორც ზემოთ ითქვა, იყო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე, ასევე რამდენიმე გამოცემის, მათ შორის ყურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვ.

პროკოფი რატიანი ახლოს იცნობდა თავისი დროის ბევრ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს, მათ შორის მწერლებს, პოეტებს, რეჟისორებს. მეგობრობდა გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეებთან, გიორგი ლეონიძესთან, მარია ბარათაშვილთან, რევაზ მარგიანთან, ბორის ნანიტაშვილთან, გიორგი მერკვილაძესთან, გიორგი ნატროშვილთან და ვალერიან მელქაძესთან. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნიკო ბერძენიშვილთან, სიმონ ჯანაშიასთან, შოთა მესხიასთან, ანდრია აფაქიძესთან, ნიკოლოზ სტურუასთან, გიორგი ჩიტიასა და ვერა ბარდაველიძესთან. შემორჩენილია ერთი საინტერესო ფოტოსურათი, რომელზეც პ. რატიანი და ლადო ასათიანი, ბაღის სკამზე მსხდომნი, 1939-1940 წელს აბასთუმანში არიან გადაღებული. მაშინ პ. რატიანი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე იყო, ლ. ასათიანი კი ცნობილი პოეტი. გაზეთ „კურორტნაია ჟიზნის“ კორესპონდენტს სწორედ პოეტის გადაღება სდომებია, ლადოს კი თავი გამოუდია, „ორივეს გადაგვიღეთ, განა გაზეთში ორივენი ვერ დავეტყვით?“ (ყურნალი „დროშა“, 1988 წ, № 5, გვ. 18).

პროკოფი რატიანის თითქმის მთელი შემოქმედებითი საქმიანობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან იყო დაკავშირებული. ამ ინსტიტუტში ბატონი პროკოფის მოღვაწეობის წლებში ცნობილი ქართველი ისტორიკოსების მთელი პლეადა იყო თავმოყრილი. ამიტომაც მეცნიერი მწვავედ განიცდიდა იმ ფაქტს, რომ ისტორიის ინსტიტუტმა არ იკისრა ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა და ეს საქმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადააბარა. პ. რატიანი იმის გამოც წუხდა, რომ ისტორიის ინსტიტუტში, რატომღაც, იგნორირე-

ნათელა ჯაბუა

## ღვანულმოსილი მეცნიერი

(პარმენ ზაქარაიას დაბადების 100 წლისთავი)

წელს ქართული სამეცნიერო საზოგადოება აღნიშნავს ღვანულმოსილი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის,



ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ პარმენ ზაქარაიას დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღს. პ. ზაქარაია იყო მრავალმხრივი ინტერესების ადამიანი, რომელიც თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა სფეროში ავლენდა. ის იყო არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე, ისტორიკოსი, არქეოლოგი, რესტავრატორი, პედაგოგი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების ძეგლთა კვლევა-ძიების, მეცნიერული შესწავლის, ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის, ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეს.

პარმენ (ნაპო) ზაქარაია დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ ნაჯახოვოში 1914 წლის 24 აგვისტოს სახალხო მკურნალის ფარნაოზ ზაქარაიას ოჯახში. გადმოცემის მიხედვით ზაქარაიების გვარის წარმომადგენლების სამკურნალო საქმიანობით დაინტერესება თურმანიძეებს უკავშირდება. დროთა განმავლობაში მათ წარმატებული სამკურნალო პრაქტიკის წყალობით სახელი მოიხვეჭეს სამეგრელოსა და აფხაზეთში. ეს ტრადიცია გააგრძელა პარმენის უფროსმა ძმამ ეფრემმაც, რომელიც ცნობილი დასტაქარი და მედიცინის პროფესორი გახდა. სწორედ მან ითავა ოჯახის პატრონობა და უმცროსი ძმის აღზრდა, როდესაც ორიოდე წლის პარმენს მამა გარდაეცვალა და მისი დედა, ქეთევან თოფურია, წვრილშვილით უამრავი პრობლემის წინაშე მარტო აღმოჩნდა.

პირველდაწყებითი განათლება პ. ზაქარაიამ მშობლიურ სოფელში მიიღო, შემდგომ სწავლა თბილისში გააგრძელა. ჩაირიცხა სამშენებლო ტექნიკუმში და ეს სასწავლებელი 1932 წელს დაამთავრა. მოგვიანებით არქიტექტურის სპეციალობაზე ჩააბარა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1940 წელს დაასრულა. მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო ახალი ნაგებობების

დაპროექტების და შენების პერსპექტივის არარსებობამ ახალბედა არქიტექტორს მომიჯნავე სფეროში მუშაობისაკენ უბიძგა. გ. ჩუბინაშვილის თაოსნობით პ. ზაქარაიამ მუშაობა დაიწყო ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ამ დროიდან მთელი მისი ცხოვრების მთავარი მიზანი ქართული ხელოვნების, უპირატესად, ხუროთმოძღვრების ძეგლების კვლევა-ძიება და მეცნიერული შესწავლა გახდა. მისი სამეცნიერო კვლევის პირველი ობიექტი იყო ცაიშის ტაძარი. ამ უაღრესად საინტერესო სამშენებლო ისტორიის მქონე ძეგლზე მუშაობის შედეგები საფუძვლად დაედო საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც მკვლევარმა 1947 წელს დაიცვა.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის სანყის ეტაპზე მეტი ყურადღება საკულტო ძეგლებს ენიჭებოდა, რასაც, ცხადია, თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდა. თუმცა ინსტიტუტის ხელმძღვანელი, გ. ჩუბინაშვილი, კარგად ხედავდა სხვა მიმართულებებით კვლევის აუცილებლობას. ამიტომ მან ახალგაზრდა, იმედისმომცემ, ენერგიულ სპეციალისტს საკმაოდ რთული დავალება მისცა და საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობების შესწავლა შესთავაზა. ეს კი არა მხოლოდ პროფესიულ ცოდნას, არამედ მრავალრიცხოვანი საველე სამუშაოების ორგანიზებას ითვალისწინებდა. ბატონი ნაპო დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ამ მნიშვნელოვან საქმეს, რასაც რამდენიმე ათეული წელი მიუძღვნა. პირველი ექსპედიცია 1948 წელს ქსნის ხეობაში მოეწყო, მომდევნო – არაგვისა და თერგის ხეობებში, შემდგომ კახეთში, დასავლეთ საქართველოში და ა.შ. ფაქტობრივად ამ საკითხზე მასალების მოძიება პ. ზაქარაიას მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არ შეუწყვეტია.

საქართველოში, რომელიც საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა გარე თუ შიდა მტრის ურთიერთდაპირისპირების ასპარეზს წარმოადგენდა, მრავალი ციხე, კოშკი თუ სხვა სახის თავდაცვითი ნაგებობაა შემორჩენილი. ისინი ხშირად საკმაოდ მოუვალ ადგილასაა აგებული და ჟამთა სვლის, საბრძოლო მოქმედებების შედეგად ნანგრევების სახით არის შემორჩენილი. ეს ფაქტორები და თავად ამ სახის ნაგებობების სპეციფიკა დამატებით სირთულეებს ქმნის მათი შესწავლის კუთხით. მიუხედავად ამისა, პარმენ ზაქარაიამ შეძლო მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი მასალის შეგროვება, ძეგლების აღწერა-დაფიქსირება, მათი ყოველმხრივი შესწავლა და კლასიციფირება. შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოში საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების რაობის, თავისებურებების, სახეობების წარმოჩენა, რასაც პ. ზაქარაიამ სხვადასხვა დროს გამოცემული არა ერთ ნაშრომი მიუძღვნა. მათ შორის „კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობები“-1962, „საქართველოს ძველი ქალაქები და ციხესიმაგრეები“- 1973 წ., „საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები“- 1988 წ., „ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია“- 2002 წ., და სხვა.

საფორტიფიკაციო ნაგებობების კვლევის პარალელურად პა. ზაქარაია განაგრძობდა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლას, რასაც მრავალრიცხოვანი სტატიები და მონოგრაფიები მიუძღვნა. მათ



შორის არის ისეთი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულების მქონე ძეგლები, როგორცაა წულრულაშენი, ფიტარეთი, იკორთა, ანანურის ანსამბლი და სხვა. ცნობილია, რომ ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების მთავარ თემას წარმოადგენს გუმბათიანი არქიტექტურა, რომლის ნიმუშებში ყველაზე სრულად გამოვლინდა ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალი. საქართველოში გუმბათიანი არქიტექტურის სხვადასხვა არქიტექტურულ ტიპებს შორის ძეგლების სიმრავლით და მნიშვნელობით გამორჩეულია ჩახახული ჯვრის ტიპი. აღსანიშნავია, რომ XI საუკუნისთვის ჩამოყალიბდა ადრეულ შუა საუკუნეებში ფორმირებული ამ ტიპის ახალი, უფრო ლაკონური ვარიანტი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში პ. ზაქარაიას სახელდებით ცენტრალურ-გუმბათოვან ტიპად მოიხსენიება.

ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ძეგლები XI საუკუნიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. სწორედ მათ შესწავლას, საერთო მახასიათებლების და ეტაპობრივი ცვლილების განმაპირობებელი ისტორიულ-კულტურული და არქიტექტურულ-მხატვრული თავისებურებების გამოვლენას მიუძღვნა პ. ზაქარაიამ ნაშრომები „ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა“ I-III ტ. 1975, 1978, 1981 წწ.; „ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს“, 1990 წწ. ამ პუბლიკაციებში ზედმიწევნით არის გამოკვლეული თითოეული ძეგლი, მათი გეგმა, სივრცული გადაწყვეტა, ფასადების გაფორმება თუ დეკორატიული მორთულობის ელემენტები. ავტორი საგანგებოდ განიხილავს ცალკეულ ძეგლებზე შემორჩენილ წარწერებსაც და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე გამოკვეთს თითოეული ნაგებობის დამახასიათებელ თავისებურებებს.

პ. ზაქარაიას ნაშრომების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი არქეოლოგიური ექსპედიციების მასალების მეცნიერული კვლევის შედეგებს ეძღვნება. მას შემდეგ რაც 1948 წელს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაიწყო მუშაობა, მას არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობის მიღების საშუალება მიეცა. ის რამდენიმე წელი, აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით წარმოებულ გათხრებში არქიტექტორისა და ხელოვნებათმცოდნის სტატუსით მონაწილეობდა. 1953 წლიდან კი ურბნისის ნაქალაქარის გათხრებში უკვე უფრო აქტიურად ჩაერთო საველე და კვლევით სამუშაოებში. მოგვიანებით მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა გათხრები შუხუთში, სადაც ცნობილი მოზაიკურიატაკიანი IV-V სს-ის სასახლე და აბანო აღმოჩნდა.

1956 წელს პ. ზაქარაია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. მისი ორგანიზებით 1963 წელს მოეწყო IV-XIII საუკუნეების მასალის პირველი დიდი გამოფენა. მას დიდი წარმატება ხვდა წილად, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა ექსპოზიციის მხატვრული გაფორმების ავტორმა, ცნობილმა მხატვარმა ა. ვარაზმა.

მუზეუმის ეგიდით მიმდინარეობდა ასევე არქეოლოგიური გათხრები. პ. ზაქარაია ხელმძღვანელობდა სამუშაოებს გვიანი შუა საუკუნეების ისეთ ძეგლებში, როგორიცაა გრემი და ნოსტე, სადაც კვლევის შედეგად ბევრი ახალი მნიშვნელოვანი მონაცემი გახდა მეცნიერებისათვის ცნობილი. ქართლისა და კახეთის შემდგომ ექსპედიციამ გადაინაცვლა დასავლეთ საქართველოში. სამეგრელოში შესწავლილ იქნა შთამბეჭდავი მასშტაბის ჭაქვინჯის ციხე, ხოლო შემდგომ სამუშაოები გაგრძელდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, გუდავაში. აქ გამოვლინდა ძველი ნაქალაქარის ნაშთები.

პ. ზაქარაიას ყველაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი უკავშირდება საქართველოს ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლს, როგორიცაა ნოქალაქევი. ამ ძეგლზე წარმოებული გათხრების განსაკუთრებულ ღირებულებას ქრონოლოგიური ფენების სიმრავლე, ნაგებობების ნაშთების ფუნქციური და არქიტექტურული მრავალგვარობა, საინტერესო, მრავალფეროვანი არტეფაქტები განაპირობებს. ეს ყველაზე უკეთ ესმოდა ბატონ ნაპოს და დიდ ძალისხმევას ახმარდა როგორც ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას, ასევე სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების გააზრებას. მისი თაოსნობით მომზადდა ნოქალაქევისადმი მიძღვნილი ნაშრომები, სადაც ნათლად აისახა მრავალწლიანი კვლევის შედეგები.

უკვე მოხსენიებული პუბლიკაციების გარდა, პ. ზაქარაიას მრავალი სხვა ნაშრომი აქვს გამოცემული, რომლებიც ეხება არა მხოლოდ არქიტექტურის, ასევე სახვითი ხელოვნების საკითხებს. მისი მემკვიდრეობა ორასამდე ნაშრომს ითვლის, რომელთა შორის 47 მონოგრაფიაა. მისი ნაშრომები ქართულის გარდა გამოცემულია რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

პ. ზაქარაია სამეცნიერო მოღვაწეობის გარდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. ის თავის ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად უზიარებდა ახალგაზრდა თაობას. წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, რუსთაველის სახ. თეატრალურ ინსტიტუტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიაში. მისი პედაგოგიური მოღვაწეობის ყველაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი პერიოდი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება, სადაც ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრას თითქმის სამი ათეული წელი ხელმძღვანელობდა.

პ. ზაქარაია კათედრას სათავეში 1975 წელს ჩაუდგა და მისთვის ჩვეული შემართებით შეეჭიდა სტუდენტებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევებისა თუ შესაბამისი ცოდნის მისაღებად სასწავლო პროცესის დაგეგმვის რთულ და საშურ საქმეს. მისი მცდელობით ახალი სალექციო კურსების პარალელურად სხვადასხვა ტიპის პრაქტიკის ჩატარება გახდა შესაძლებელი. მომავალ სპეციალისტებს არქიტექტურისა და ხელოვნების ნიმუშების ადგილზე ნახვისა და გაცნობის პირობები შეექმნა, რასაც, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფესიონალად ჩამოყალიბებისათვის. ბატონი ნაპო უშუალოდ მონაწილეობდა ამ პროცესში. კერძოდ, ნოქალაქევი, სადაც ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ ექსპედიციას, სტუდენტებს

აძლევდა საველე სამუშაო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას და დაუზარ-  
 ლად აცნობდა ნაქალაქარის ტერიტორიაზე თუ ახლომდებარე ძეგლების  
 ისტორიასა და არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებებს.

ამავდროულად, პარმენ ზაქარაია აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეო-  
 ბას ეწეოდა. იყო ათზე მეტი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საბჭოს წევრი,  
 ასევე არა ერთი ქართული თუ უცხოური ჟურნალის რედაქციის წევრი.  
 მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ძეგლთა დაცვის საქმეში. ის უშუალოდ  
 მონაწილეობდა ძეგლების აზომვით სამუშაოებში, ასევე მათი სარესტავრა-  
 ციო თუ დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვასა და კონსულტირებაში. მისი  
 თაოსნობით დაარსდა ნოქალაქევის მუზეუმი, რომელიც დღეს პ. ზაქარიას  
 სახელს ატარებს.

ბატონი ნაპო გამოირჩეოდა თავისი ადამიანური თვისებებით. უაღრესად  
 კეთილგანწყობილი იყო ურთიერთობებში კოლეგებსა და სტუდენტებთან.  
 იყო ერთგული მეგობარი და ჰქონდა შესანიშნავი ოჯახი, რომელიც ხშირ-  
 ად მასთან ერთად იზიარებდა ექსპედიციებში, საველე პირობებში, ყოფნის  
 სიძნელეებს. მას არასდროს დაზარებია ახალი თაობის წარმომადგენლებთან  
 საუბარი, მათთვის იმ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, რაც ნლების  
 მანძილზე დააგროვა. ყოველთვის დიდად აფასებდა თავის მასწავლებლებ-  
 ლებს, იმ მისთვის ძვირფას პიროვნებებს, რომლებთანაც მოუწია ურთიერ-  
 თობა და საქმიანობა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. ამის შესახებ  
 ხშირად მოუთხრობდა ახალგაზრდებს და საინტერესო საუბრის წყალობით  
 ნათლად აცოცხლებდა გარდასული დღეების ატმოსფეროს.

პ. ზაქარაია XX საუკუნის ქართული მეცნიერების ერთ-ერთ ღირსეუ-  
 ლი და ნარმატებული წარმომადგენელია, რომელმაც თავისი საქმის დიდი  
 სიყვარულის და დაუღალავი შრომის ფასად მნიშვნელოვანი შემკვიდრეობა  
 დაუტოვა მომავალ თაობებს.

გურამ ლორთქიფანიძე

**ალექსანდრე გამყრალიძის გახსენება  
(1918-1971 წწ.)**

ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა გამოჩენილი ქართული მეცნიერის, მთარგმნელობითი სკოლის ღირსეული წარმომადგენლის ალექსანდრე გალაქტიონის ძე გამყრელიძის გარდაცვალებიდან. ბატონი ალექსანდრე ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროების ბრწყინვალე სპეციალისტი, პედაგოგი, მრავალმხრივი ინტერესების მქონე მკვლევარ-ფილოლოგი, ცნობილი მთარგმნელი გახლდათ. იგი გამოცდილებას უშურველად ახმარდა საყვარელ საქმეს. მრავლისმომცველი და ჭეშმარიტად სანიმუშოა ბატონი ალექსანდრეს – ფილოლოგის, პედაგოგის მიერ გავლილი ცხოვრებისეული გზა. მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში ნათლად ჩანს უდიდესი განსწავლულობა, წერილობითი წყაროებისადმი სისტემური მიდგომა, ფილოლოგიურ-საისტორიო პრობლემ-ატიკის განზოგადების უნარი.



ალექსანდრე გამყრელიძე დაიბადა 1918 წლის 30 ოქტომბერს. ოჯახი წარმომავლობით ზემო რაჭიდან, დაბა უწერასთან ახლომდებარე სოფელ ჯინჭვისიდან იყო. 1936 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის 26-ე სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურის განყოფილებაზე ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. ახალგაზრდა, რომელიც საშუალო სკოლაშივე გამოირჩეოდა ნიჭით, ცოდნის სიყვარულითა და სიბეჯითით, კარგი ხელმძღვანელის ხელში მოხვდა. ეს იყო საქართველოში ინგლისური ფილოლოგიის ფუძემდებელი, მრავალმხრივ განათლებული ადამიანი, მეტისმეტად საინტერესო და თავისებური პიროვნება, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ერეკლე ტატიშვილი. მასწავლებელსა და მოწაფეს შორის იმთავითვე გულისხმიერი, საქმიანი ურთიერთობა დამყარდა. ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალგაზრდა ალექსანდრეს პიროვნების ჩამოყალიბებაში, მისი შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობის წარმართვაში.

უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ერეკლე ტატიშვილის რჩევით, ალექსანდრე სწავლას ასპირანტურაში, კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით აგრძელებს. მას აქაც თითქოს ბედი სწავლობს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის სრულ კურსს ისეთი დიდი მეცნიერის ხელმძღვანელობით გადის, როგორც იყო აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი. მისი ხელდებით ის პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს უნივერსიტეტში: ლექციებს კითხულობს ბერძნულსა და ლათინურ ენებში, ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში. ბატონი ალექსანდრე იყო შესანიშნავი ლექტორი, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე და მომთხოვნი მასწავლებელი.

1945-65 წლებში ალექსანდრე გამყრელიძე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში, სადაც ღრმა ერუდიციისა და მრავალმხრივი მეცნიერული ინტერესების წყალობით ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დაინტერესდა წინარებერძნული სალიტერატურო ჟანრების საწყისთა კვლევით, კერძოდ ძველი ბერძნული ელევგის გენეზისით. 1948 წელს ამ თემაზე წარმატებით დაიცვა დისერტაცია. „ტირტიკოსის საბრძოლო ელევგები“ (მასალები ძველი ბერძნული ელევგის გენეზისის საკითხისათვის). მასში ძველი ბერძნული ლირიკის ელევგური ჟანრის მცირეაზიური წარმომავლობის საკითხია გამოკვლეული. ავტორი ასაბუთებს დებულებას ძველი ბერძნული ელევგის მცირეაზიური წარმოშობის შესახებ. ამ ნაშრომმა სპეციალისტთა დიდი ყურადღება მიიპყრო, ხოლო მის ავტორს სერიოზული მკვლევარის სახელი დაუმკვიდრა.

შემდგომ წლებში მისი სამეცნიერო-ინტერესები უმთავრესად ეხებოდა საქართველოს შესახებ რომაელი და ბიზანტიელი მწერლების ცნობების გამოვლენას, შესწავლას, თარგმნას, კომენტარებას და პუბლიკაციას. მან აქაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის კვლევის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნაში.

ამ მიმართულებით ნაშრომთა შორის აღსანიშნავია „ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ცნობები ირაკლი კეისრის საქართველოში ლაშქრობის შესახებ“, „მიქელ პანარეტოსის ტრაპიზონის ქრონიკა“, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით და ვრცელი კომენტარებით. მიქელ პანარეტოსის ეს ნაწარმოები წარმოადგენს ძირითად წყაროს ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის შესწავლისათვის; „გიორგი აკროპოლიტესი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ“, თვით მე-III ს-ის ცნობილი მოღვაწისა და მწერლის გიორგი აკროპოლიტესის ცხოვრებისა და თხზულებების შესწავლა. ამავე ხასიათის ნაშრომთაგან აღსანიშნავია „ლაინიკოს ხალკოკონდილისი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ“, სადაც შესწავლილია ბიზანტიის იმპერიის დამხობის ხანის ერთ-ერთი მეთრონიის ცხოვრება და მის თხზულებაში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ.

აღ. გამყრელიძის მიერ ასევე შესწავლილია იმავე ხანის მეორე ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი ფრანძქის „ცნობები საქართველოს შესახებ“. ამ ისტორიკოსის ცნობები განსაკუთრებით იმითაცაა ჩვენთვის მნიშ-

ვენელოვანი, რომ იგი თვითონ იყო ნამყოფი მაშინდელ საქართველოში, როგორც ბიზანტიის იმპერატორის ელჩი და საგანგებო მოციქული. საქართველოს შესახებ უმეტესად თავისი თვალით ნახულსა და განცდილს გადმოსცემს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობის შემდგომ პერიოდში ალ. გამყრელიძე წარმატებით იკვლევდა რომაელ მწერალთა ცნობებს საქართველოს შესახებ. ბატონმა ალექსანდრემ დაამუშავა და თარგმნა ისეთი პირველხარისხოვანი რომაელი ისტორიკოსებისა და მწერლების თხზულებები, როგორებიც არიან კორნელიუს ტაციტუსი, პლინიუს უფროსი, პომპონიუს მელა, ამიანუს მარცელინუსი, პომპეუს ტროგუსი, ავგუსტუსის მეისტორიენი და სხვა. ყველა ამ ნაშრომში მოტანილია ლათინური ტექსტები, თავისი კითხვა-სხვაობებით და ქართული თარგმანით, რასაც წინ უძღვის ვრცელი გამოკვლევა და ახლავს დანვრილებითი, ვრცელი კომენტარები. ბატონმა ალექსანდრემ შეიტანა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კამარების ტომის საკითხი. ამ ტომს ტაციტუსის გარდა დიონისე პერიეგეტიც ახსენებს. მეცნიერის მიერვე არის წამოწეული ჭანებისა და რომაელების კავშირის საკითხი, რომისა და სპარსეთის ომში იბერების მონაწილეობის ამბავი და სხვა.

„პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ“ (ტექსტი თარგმანითურთ) ვრცელი და სერიოზული გამოკვლევაა საქართველოს ისტორიისათვის. ასევე საყოვეთაოდ ცნობილია, თუ რა ძვირფას წყაროს წარმოადგენს კორნელიუს ტაციტუსი, როგორც საერთოდ მსოფლიოს, ისე კონკრეტულად საქართველოს ისტორიისათვის. მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად მისი „ანალები“ და „ისტორიები“ ეხება საქართველოს საგარეო და საშინაო ცხოვრებას ძირითადად, ახ.წ. I საუკუნეში. მისი ნაწარმოებებიდან ფართოდ შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში სახელმწიფო მოღვაწეთა – ფარსმანის, რადამისტის, მიჰრდატის სახელები. ტაციტუსის თხზულებები შეიცავს სრულიად განსაკუთრებულ მასალას, რომელიც შუქს აუფენს იბერიისა და რომის ურთიერთობას, იბერიის საგარეო პოლიტიკას და სხვა, რისი გათვალისწინების გარეშეც ძნელია ამ პერიოდის საქართველოს ისტორიაზე სწორი წარმოდგენის შექმნა. ამდენად, ბატონი ალ. გამყრელიძის წიგნი – „ტაციტუსი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ“, აგრეთვე, ნაშრომი „პლინიუს უფროსის ცნობები საქართველოს შესახებ“, სადაც მონოგრაფიულადაა შესწავლილი ამ მნიშვნელოვან ავტორთა თხზულებები, უაღრესად ღირებულია საქართველოს ისტორიის კვლევისთვის. ეს არის სხვა ბერძნულ-რომაულ წყაროებთან შეჯერების საფუძველზე საგულდაგულოდ გაანალიზებული მნიშვნელოვანი მასალა.

ალ. გამყრელიძის სამეცნიერო ინტერესები არ შემოიფარგლებოდა ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიური სამყაროს კვლევით. შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულ-რომაული კულტურა და მწერლობა მას აინტერესებდა არა როგორც მხოლოდ თავისთავადი და მნიშვნელოვანი ფენომენი, არამედ, როგორც წყარო ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის საკითხების წარმოსაჩენად.

მას აქვს ქართულ წყაროთა ანალიზზე დაფუძნებული ნაშრომები, რომლებიც საკუთრივ საქართველოს ისტორიის საკითხებს ეხება. ამ მხრივ საინტერესოა მისი წერილები: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის ერთი ადგილის ნაკითხვისათვის“ და „თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის გარკვევისათვის“.

საქართველოს ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლებისადმი მიძღვნილი ალ. გამყრელიძის ორი წერილი: „უძველესი ქართული წარწერების აღმოჩენა პალესტინაში“ და „ახლად აღმოჩენილი ლათინური წარწერა ფარსმან მეფისა“ – პირველი ქართულენოვანი გამოხმაურება პალესტინასა და იტალიაში მოპოვებულ ამ საყურადღებო აღმოჩენასთან დაკავშირებით.

ხსენებული ნაწარმოებები შეიცავს ავტორისეულ საინტერესო მოსაზრებებსაც, როგორცაა მაგალითად, ქართულ წარწერაში მოხსენებულ პირთა იდენტიფიკაცია, დაზიანებული ადგილის სავარაუდო აღდგენა და სხვა. შუა საუკუნეების სახელგანთქმული სასულიერო რომანის „ბალავარიანის“ კვლევის პრობლემებს ეძღვნება ბატონი ალექსანდრეს რამდენიმე წერილი, რომელთა შორის აღსანიშნავია: „კამათი ბალავარიანის გარშემო“.

1965 წლიდან ალ. გამყრელიძე, აკადემიკოს ი. აბულაძის მონვევით მუშაობას იწყებს ახლად დაარსებულ ხელნაწერთა ინსტიტუტში, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. ამ მოვალეობას ბატონი ალექსანდრე პირნათლად, მისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებით და სიყვარულით ასრულებდა. იგი დიდი ინტერესით და თავდადებით ჩაება საინსტიტუტო სამეცნიერო მუშაობაში: მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა ისეთი ტექსტების გამოსაცემად მომზადებას, როგორცაა „მრავალთავი“, ძველი პალიმფსესტები, ბიბლიის წიგნები, ისტორიული დოკუმენტები და სხვა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოიცა მე-IX ს-ის ძველი „დიდი სჯულის კანონი“. საკმარისია ითქვას, რომ მისი გვარი ამშვენებს ქართველი ისტორიკოსების სამაგიდო წიგნს – გეორგიკა I, თავის მასწავლებელ, აკადემიკოს ს. ყაუხჩიშვილთან ერთად. (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1961 წ.).

ბატონი ალექსანდრე, სიცოცხლის უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ინტენსიურად მუშაობდა ნონეს მითოლოგიურ კომენტარებზე, რომლებიც გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებს ეხება. მისი უკანასკნელი მონოგრაფია კი თავად აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს ეძღვნება. აქ მიმოხილული და შეფასებულია ის უმდიდრესი ფონდები, რომლებიც ამ ინსტიტუტშია დაცული. ნაშრომში არც ისაა უყურადღებოდ დატოვებული, თუ როგორ იღვწოდა მთელი კოლექტივი ამ ფონდების დასაცავად და გამოსაქვეყნებლად. ბატონი ალექსანდრეს ეს მონოგრაფია გამოიცა ქართულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, ილუსტრაციებითურთ.

ბატონი ალექსანდრე, გარდა მეცნიერული, ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევითი მუშაობისა, დიდი ხალისით ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. მან შესანიშნავად იცოდა ქართული ენა და ასევე კარგად – ინგლისური.



ეს ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა თარგმანის წარმატებით შესასრულებლად, ლიტერატურათმცოდნეობით წვრთნასა და სამწერლობო შემოქმედებით ნიჭთან ერთად. მან არაერთი ცნობილი ინგლისელი ავტორის თხზულება თარგმნა ქართულად. ასეთებია: უილ. თეკერის „ამაოების ბაზარი“, ფ. კუპერის „უკანასკნელი მოჰიკანი“, რ. ლ. სტივენსონის „განძის კუნძული“ და „შავი ისარი“, ჯ. ლონდონის „თეთრი ეშვი“, ლ. კეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, ჯ. გოლზუორთის „ვამლის ყვავილი“, ედგარ პოს „ოქროს ხოჭო“ და სხვა.

ამასთანავე ბატონი ალექსანდრე იყო შესანიშნავი რედაქტორი და სტილისტი. მისი რედაქტორობით არის გამოქვეყნებული ბევრი მნიშვნელოვანი ნიგნი, მაგალითად, „სტრაბონის გეოგრაფია“ (1957 წ.), „აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია“ (1959 წ.), „ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ“ (1965 წ.), „ძლისპირნი“ (1971 წ.) და სხვა.

ბატონი ალექსანდრეს სახით ქართულ მეცნიერებას და მთარგმნელობით სკოლას ჰყავდა ერთდირებული, ფართოდ განათლებული, უაღრესად კეთილსინდისიერი, უპრეტენზიო მოღვაწე. ის გახლდათ ძალზე ნაყოფიერი მეცნიერი, მთარგმნელი და მოქალაქე. რომ დასცლოდა, ის კიდევ ბევრ სასიკეთო ნაღვანს დაუტოვებდა ისედაც მადლიერ შთამომავლობას.

და ბოლოს, გთავაზობთ ამონარიდს მისი მეგობრების – თინათინ ყაუხჩიშვილის, ვახტანგ ჭელიძის, ოთარ ჩხვიძის, რევაზ მარგიანის წერილიდან, რომელიც ბატონი ალექსანდრეს ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ 1971 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“:

„ალექსანდრე გამყრელიძე არ იყო ფათურაეებისათვის გაჩენილი ადამიანი, სუსტი, ხმელ-ხმელი აგებულება ჰქონდა, მხრები მოღვედილი, სახე დაძაბული და ნიგნებში ჩანყალბებული თვალები. ნიგნის ტრფიალი იყო, ნიგნებთან ერთად გავიციანით და ნიგნებთან ერთად გაგვახსენდება ყოველთვის. ნიგნებით ამოვობდა პატარა აღმართზე ერეკლე ტატიშვილის სენაკის პირდაპირ და თუ სარკმელში გადმომდგარი იყო ბატონი ერეკლე, მაშინვე მიხედებოდა, რომელიღაც ბუნდოვანი სტრიქონის თავისებური ახსნა ეპოვნა მის საუკუთესო სტუდენტს. თავიდანვე ყოველ სიტყვას ჩაჰკირკიტებდა, ყოველ სიტყვაში აზრს ეძიებდა, ყოველ სიტყვას ჩაჰყვებოდა ძირის ძირობამდე და არ მოიშორებდა ისე იოლად, როგორც ზოგიერთ მკლევარსა სჩვევია: გადამწერთაგან შერყვნილიაო. მისთვის შერყვნილი არაფერი იყო, თვითონ წმინდა ადამიანი, სულით სპეტაკი, სინმინდესა და სისპეტაკეს ეძიებდა ყველგან და ყველაფერში. უსპეტაკეს ადამიანებად წარმოუდგებოდნენ ძველი გადამწერნი თუ ჟამთააღმწერელნი და, ბერული ჩოხა რომ გადაეცვა, თვითონ იყო განსახიერება მათი. სიტყვის დიდი სიყვარულითა და ღრმა განცდით ჩაჰკირკიტებდა „ქართლის ცხოვრებასა“ თუ ბერძნულსა და რომაულ წყაროებს. უცხო ავტორთა ნაშრომებში „ქართლის ცხოვრების“ უტყუარობისა და უბადლობის ახალ-ახალ დამადასტურებელს ეძიებდა, უძველეს ქართველთა სწორუპოვრობის მაგალითებს ჰპოვებდა და თრთოლვით, სიხარულისა და სიყვარულის თრთოლვით გადმოჰქონდა. თეკერის „ამაოების ბაზარსაც“ იმავე

თრთოლვითა თარგმნიდა და ეამყებოდა, რომ ქართული ენა მოხერხებულად იურვებდა შექსპირის ტრაგედიასაც, დიკენსის იუმორსაც, თეკერის სატირასაც. იცოდა რამდენიმე ენა და მაინც ქართული ენით ამყობდა. იცოდა ბევრი ერის ისტორია და მაინც ქართლის ბედით გაბრუებულყო. ქართულ მინას ეთაყვანებოდა და წიგნიდან თავს თუ აიღებდა, მხოლოდ იმიტომ აიღებდა, რომ შემოველო საქართველოს მთა და ბარი, ერთხელ კიდევ შემოველო ძველი რაჭველის დაუღლეი მუხლით, შემოველო და დამტკბარიყო წარსულის უბადლო ძეგლებითა თუ გაუტეხელი ქართული მხნეობით. საზოგადოება მისგან ბევრ რამეს ელოდა, ღირსშესანიშნავ ფილოლოგიურ მიგნებებსაც, ბრწყინვალე თარგმანებსაც, ვრცელ მონოგრაფიებსა თუ ორიგინალურ თხზულებებსაც. ის ღრმა მოხუცობისათვის იყო გადადებული და მაშინაც წიგნებიდან თავს თუ აიღებდა, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ მოგონებები ენერა ჩვენზე, ჩვენს დროზე, ჩვენს ნუთისოფელზე. ის ფათერაკებისათვის არ იყო გაჩენილი, თუმცა სული ჰქონდა ძლიერი და სიავის მოთმენა არ შეეძლო, ზნეობით სპეტაკი გახლდათ და უზნეობას ვერ აიტანდა, ადამიანის დამცირება ალაშოვთებდა, ოღონდ გამეტებით ვერავის გაიმეტებდა და, როგორც ძველი მოციქული, თვითვე დაუდგებოდა შუამდგომლად: მიუტევე უფალო, რამეთუ არ უწყიან-ო. ეს იყო თავისებურება მისი”.

ბატონი ალექსანდრეს ჭეშმარიტი და ღირსეული მამულიშვილობა, საყვარელი საქმისადმი პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა, პიროვნული ხიბლი, მისი სამეცნიერო-ფილოლოგიური ნაღვანი და უცხოური მხატვრული ლიტერატურის თარგმანები, ალექსანდრე გამყრელიძის ხსოვნის, არდავინების უდავო სანინდარია.

ღვთის ნყალობით, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ მეცნიერთა ოჯახს, ბატონ ალექსანდრეს და ქალბატონ ეთერ გამყრელიძე-არჯევანიძეს, რომელთანაც წლების განმავლობაში კეთილი ურთიერთობა მაკავშირებდა, დარწა სათნო მემკვიდრეობა. ბატონი გელა გამყრელიძე ცნობილი ქართველი არქეოლოგია, 15 წიგნის ავტორი. წარმატებით იკვლევს (კლასიკური) და ადრეული შუასაუკუნეების ეპოქის საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. მისი მეუღლე ნათელა ჯაბუა, ცნობილი ხელოვნებათმცოდნეა. ჰყავთ ორი შვილი, ალექსანდრე და გიორგი, ერთი შვილიშვილი ლიზიკო გამყრელიძე. მეცნიერია ბატონი ალექსანდრეს ქალიშვილი ნანა გამყრელიძე-ლუჯავა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი.

ძველი რომაელები ამბობდნენ – *Hoc fac et vinces* „გააკეთე ეს და შენ გაიმარჯვებ“. ყველაფერი გააკეთა ბატონმა ალექსანდრემ ქვეყნისათვის და გაიმარჯვა. საუკუნო იყოს მისი ხსოვნა საქართველოში.

**ღირსშესანიშნავი ნიშნი საქართველოს სამხედრო ისტორიაში**

(„საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები“, ტ. 1. 2013 წ. 530 გვ.)

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არსებობისა და თვითგადარჩენისათვის პერმანენტულად ეწეოდა თავდაცვით თუ შეტევით ომებს. განადგურებისა და გაქრობის მუდმივმა საფრთხემ, რასაც მას ახლო და შორეული, ცივილიზებული ქვეყნებისა თუ ბარბაროსულ მომთაბარეთა ურდოების მოძალემა უქმნიდა, ქართველთა მოდგმისათვის შეიარაღებული ბრძოლა ყოველდღიურ რეალობად აქცია. ამგვარ საომარ ყაიდაზე აწყობილი ცხოვრების წესი თავისთავად გულისხმობდა ბრძოლის ხერხებისა და მეთოდების ცოდნის ტრადიციას, იარაღისა და აბჯრის მრავალფეროვნებას, მისი დამზადების ოსტატობას, სამხედრო ხელოვნების ფლობას და, ამავე დროს, ამ კუთხით გარემომცველ სამყაროში მიმდინარე ცვლილებებისათვის ფეხის აწყობას და გამოცდილების ათვისებას. უდავოა, რომ ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც ქართველი ერი ისტორიის მკაცრ ქარტახილებში გამოატარა და როგორც ეთნოკულტურული ერთობა გადაარჩინა, სწორედ სამხედრო საქმის ორგანიზაციის მაღალი დონე და ბრძოლისუნარიანობა იყო ისტორიის ყველა ეტაპზე. ამიტომ საესეებით გასაგებია ის განსაკუთრებული ინტერესი, რასაც საქართველოს სამხედრო ისტორიისადმი იჩენს როგორც ქართული ისტორიოგრაფია, ისე ფართო საზოგადოება. ინტერესების

ნრე კი საკმაოდ ფართოა: იარაღის სახეობები და მათი ტრანსფორმაცია დროთა განმავლობაში, მეომრისა და საბრძოლო ცხენის დამცავი აღჭურვილობა და მისი განვითარების ეტაპები, სააღყო დანადგარები, ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლა ქართულ სინამდვილეში და ამით გამონეული ცვლილებები სამხედრო ტაქტიკაში, საბრძოლო-ტაქტიკური ერთეულების სახეობები, თავდაცვისა და შეტევის წესები, სამხედრო ხელოვნების განვითარების დონე და ა.შ. აღნიშნული პრობლემების კვლევას ეძღვნება ივ. ჯავახიშვილის, თ. დადუშქელიანის, კ. ჩოლოყაშვილის, ი. შაიშველაშვილის, კ. გრიგოლიას, ქ. ჩხატარაიშვილის, გ. ანჩაბაძის, ჯ. სამუშიას და სხვ. ნაშრომები. სულ ახლახან მკითხველმა მიიღო მამუკა წურწუმეის ნიშნი – „საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. ტ. I“ – სადაც თავმოყრილია ავტორის მიერ ბოლო ოცი წლის მანძილზე შექმნილი ნარკვევები, რომლებსაც კვლევის საერთო მიზანი და მეცნიერული იდეა აერთიანებს.

ნიშნში მოთავსებული პირველი ნარკვევი შუა საუკუნეების ქართველ მხედრებს შორის ფრიად პოპულარული ფირფიტოვანი აბჯრის ორი სახეობის – ქერცლოვანისა და ლამელარულის – ნარმოშობისა და შემდგომი ევოლუციის, მათი დამზადების ტექნიკის, გამოყენებითი თვისებების (მოქნილობა, მედეგობა, წონა) და სხვ. საკითხების შესწავლას

ედგნება. ყოველივე ამას ავტორი განიხილავს ფართო ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ არეალში – ძვ. წ. II ათასწლეულიდან მოკიდებული ახ. წ. XIII-XV სს-მდე წინა აზიისა და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, ანტიკურ სამყაროსა და ბიზანტიაში – აღნიშნული ტიპის ჯავეშნის ჩამოყალიბებისა და განვითარების მდიდარ ისტორიასთან მჭიდრო კავშირში. ასეთი შედარებითი მეთოდი ავტორს საშუალებას აძლევს გამოავლინოს შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული აბჯრის უცხოურ ანალოგებთან საერთო და განმასხვავებელი სპეციფიკური მომენტები. დამაჯერებელია ამ გზით მიღებული დასკვნაც: „ფირფიტოვანი აბჯრის წარმოების და ინოვაციების ერთ-ერთ მსხვილ ცენტრად საქართველო ჩანს და ბიზანტიის იმპერიაში გავრცელებული აბჯრის ტიპებიდან ზოგიერთი, შესაძლოა, სწორედ აქ იღებდეს დასაბამს“.

წიგნში წარმოდგენილი ერთ-ერთი სტატია ეხება წარმომავლობას პოლონეთის ქალაქ კრაკოვში, ვაველის სასახლის მუზეუმში დაცული მუზარადისა, რომელზეც დატანილია ქართული მხედრული ანბანით შესრულებული წარწერა. დასავლეთის მეცნიერებაში გაბატონდა თვალსაზრისი, რომლის თანახმად ეს სფეროკონუსური მუზარადი (XIV ს.) წარმოშობით მონღოლური ირანის შვიარალებას ეკუთვნის. მ. წურნუშია აღნიშნული მუზარადის კომპონენტების (ფორმის, ორნამენტის და ა. შ.), ერთი მხრივ, აღმოსავლურ, მათ შორის, ილხანთა ეპოქის ირანული, მეორე მხრივ, ქართულ მუზარადთან შედარებითი შესწავლის საფუძველზე გეთავაზობს სასწავლებით დამაჯერებელ დასკვნას ვაველის მუზარადის ქართული წარმოშობის შესახებ.

საჭურვლის ისტორიის ციკლს განეკუთვნება ნარკვევი, რომელიც ერთი „უცნაური“ იარაღის ატრიბუციას ეძ-

ღნება. ესაა რკინისგან დამზადებული, მცირე ზომის ოთხწვერიანი საგანი, რომლის რამდენიმე ნიმუში (3 ცალი) გამოვლინდა ეშერის ანტიკური ნაქალაქარის (ძვ. წ. VI-I სს.) არქეოლოგიური შესწავლის შედეგად და ერთი ეგზემპლარი გასული საუკუნის 30-იან წლებში ლეჩხუმიდან, ოყურეშის ეკლესიიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოიტანა გ. ბოჭორიძემ. მ. წურნუშიამ აღნიშნული საგნის რაობის დასადგენად მოიხმო უხვი ფაქტობრივი მასალა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შვიარალების ისტორიიდან, რითაც თვალნათლივ ცხადყო, რომ ესაა რომის, ბიზანტიისა და არაბთა იმპერიის საბრძოლო არსენალში ფართოდ გავრცელებული ტრიბოლი, რომელსაც „ნალმებად“ იყენებდნენ მტრის ცხენოსანი და ქვეითი რაზმების წინააღმდეგ. აღნიშნული იდენტიფიკაცია, თავის მხრივ, ცხადყოფს, რომ საქართველოშიც კარგად იცნობდნენ ამ იარაღს და შესაბამისი დანიშნულებითაც იყენებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ავტორი სათანადო ყურადღებას უთმობს საქართველოში საბრძოლო ცხენის ჯავშანს, მისი შემოსვლის თარიღს, უცხოურ ანალოგებთან საერთო და განმასხვავებელი კომპონენტების წარმოჩენას. იქვე გეთავაზობს მძიმე ჯავეშნის აღმნიშვნელი ქართული ტერმინის – „თორნის“ – ორიგინალურ და საინტერესო ეტიმოლოგიას.

შუა საუკუნეების ქართველი მეომრისა და ცხენის აბჯარ-ჯავეშნის შესწავლის დროს მკვლევარი აწყდება მეტად მნიშვნელოვან სირთულეს. ესაა წერილობითი წყაროების სათანადო ცნობების სიმწირე და ზოგადი ხასიათი, აგრეთვე, ის გარემოება, რომ თვით აბჯარ-ჯავეშნის ნიმუშებმა ჩვენამდე კანტი-კუნტად მოაღწია. ასეთ ვითარებაში მკვლევარი მისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად იმარჯვებს მსოფლიო ისტორიოგრაფიაში აპრობირებულ მეთოდს, კერძოდ, მიმართავს ჯვარ-

ხატებზე, ფრესკებსა და ხელნაერთთა მინიატიურებზე შესრულებულ მეომარ წმინდანთა გამოსახულებებს. მკვლევარი კარგად აცნობიერებს ამგვარი მასალის, როგორც წყაროს, თავისებურებას, რაც ეკონოგრაფიული ტრადიციის კონსერვატულობასა და წმინდანთა გამოსახვის სტანდარტულობაში მდგომარეობს, რაც ცოცხალ სინამდვილეში მომხდარ ცვლილებებს, ვთქვათ, ჯავშნისა და იარაღის მოდიფიკაციაში, ყოველთვის სინქრონულად არ ასახავს. ამგვარი მასალის საფუძველზე აგებულ მსჯელობაში ავტორი ყოველთვის სათანადო სიფრთხილეს იჩენს და მხოლოდ კარგად შემონმეხულ ფაქტებზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნებს.

მკვლევრის საგანგებო ინტერესის საგანია საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის თარიღი. სათანადო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვის საფუძველზე ავტორი ასაბუთებს, რომ საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი, კერძოდ, ზარბაზანი პირველად აყვინილუს სახელმწიფოს მეთაურის იაკუბ ყანის სარდლობით შემოსეულმა დამპყრობლებმა გამოიყენეს 1485 წ. ახალციხის აღების დროს. ესაა წყაროთა პირდაპირი ჩვენებით დადასტურებული ფაქტი. ავტორი, ამავე დროს, გამოთქვამს ვარაუდს საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის პირველი გამოჩენის უფრო ადრეული თარიღის შესახებაც. ასეთად მიაჩნია 1445 წელი, როდესაც ქვემეხებითა და კულევრინებით აღჭურვილი ბურგუნდიელთა საბრძოლო გემები მოადგა ბათუმის სანაპიროს ქართველთა მიერ ბრძოლაში დატყვევებული ბურგუნდიელთა ერთ-ერთი ფლოტის მეთაურის, ყოფრუა დე ტუაზის გამოსახსენებლად.

ინტერესით იკითხება ნარკვევები, სადაც განხილულია საქართველოში სამხედრო ხელოვნების ისტორიის საკითხები,

კონკრეტულად, ნაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი და პოლიორკეტიკა – სააღყო მოქმედებების ხელოვნება. ავტორი, პირველ რიგში, მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან შუბით ბრძოლის სხვადასხვა ხერხს და ამ გზით წარმოაჩენს ნაგრძელებული შუბით ბრძოლის, როგორც განსაკუთრებული წესის, კავშირს ცხენოსანთა დარტყმით ტაქტიკასთან. ბრძოლის ეს მეტად ეფექტური სტილი დასავლეთ ევროპაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდა და დომინირებული მდგომარეობა საბრძოლო ტაქტიკაში XII საუკუნეში მოიპოვა. ავტორის აზრით, ბრძოლის აღნიშნული ხერხი საქართველოში ჯვაროსნების გავლენით დამკვიდრდა დავით აღმაშენებლის ეპოქაში. იქვე ავტორი დეტალურად გვიჩვენებს ამ ტაქტიკური ხერხის ეფექტიანობასაც და ნაკლოვანებასაც, დამოკიდებულს სიტუაციასა და სამწყობრო დისციპლინაზე.

ვრცლად განიხილავს ავტორი შუა საუკუნეების საქართველოში სიმაგრეთა აღებისა და მათი დაცვის, ანუ სააღყო ხელოვნების განვითარების დონეს, რის ჩვენებასაც სააღყო და საიერიშო ტექნიკისა და საშუალებების (ლოდსატყორცნი არტილერია, ბალისტა, საიერიშო კიბე, გვირაბები, სააღყო კოშკი, შურის ციხე) დამზადებისა და გამოყენების, აგრეთვე, ალყის საწინააღმდეგო თავდაცვითი ზომების დეტალური გადმოცემით აღწევს.

ქვეყნის სამხედრო ისტორიის ორგანულ კომპონენტად განიხილავს ავტორი მეფის საწინამძღვრე ჯვარს – ძელიცხოველს, რომელიც იყო „მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა“. ქართველების მიერ მისი ბრძოლებში გამოყენება, ავტორის დაკვირვებით, XII საუკუნიდან, დავით აღმაშენებლის დროიდან შეინიშნება. ამაში ის ერთგვარ მსგავსებას ხედავს ჯვაროსნებთან. უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების ქართული შეიარა-

ღებულის ძაღების მორალურ-ფსიქოლოგიური სულისკვეთების ჩამოყალიბებაში ქრისტიანული ეკლესიის როლი თითქმის შეუსწავლელი პრობლემა და მ. წუნუმიას აღნიშნული ნარკვევი ამ პრობლემის მომავალ მკვლევარს მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს.

მკვლევარი საგანგებოდ ეხება ფეოდალური ქართული ჯარის სოციალური შემადგენლობის ერთ-ერთ საკამათო საკითხს იმის თაობაზე, მონანიღობდა თუ არა ომში გლეხობა. ავტორი ევროპის ქვეყნების სინამდვილის გათვალისწინებითა და ქართული წერილობითი წყაროების ახლებური გააზრებით სავსებით დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ქართული ჯარის ქვეითთა კონტინგენტს, ძირითადად, გლეხობა ქმნიდა.

ავტორმა დავით IV აღმაშენებლის ყიფჩაყებთან დიპლომატიური ურთიერთობის დანყება ახლებურად დაათარიღა. მისი აზრით, ყიფჩაყთა მთავრის ასულზე ქართველი მეფის დაქორწინება 1104-1105 წლებში უნდა მომხდარიყო. იმ წლებშივე დაგეგმა მან ყიფჩაყთა გადმოსახლება, რაც მოგვიანებით განახორციელდა. ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მიუბრუნდა ანსელუსის წერილის წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის საკითხებსაც.

უაღრესად მნიშვნელოვანია ნიგნში შესული გამოკვლევები ქართველებსა და სირია-პალესტინის ჯვაროსნებს შორის კონტაქტების შესახებ. ერთ-ერთი მათგანი ეძღვნება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ორი ხატის გამოსახულებათა წარმომავლობას. საკითხის შესწავლისას ავტორმა ისტორიული რეალები, ჰერალდიკური ფაქტები, ხელოვნებათმცოდნეობის მიღწევები და იარაღთმცოდნეობის მონაცემები ერთობლიობაში განიხილა და შედეგად შესაბამისი მიიღო. ავტორმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ აღნიშნულ ხატებზე წმინდანების – სერგისა

და ბაქოსის გამომქანდაკებულ სირიელ ხელოვანთა შთაგონების წყაროს ქართველი მხედრები და პილიგრიმები წარმოადგენენ. ავტორი საგანგებო ყურადღებას აქცევს შუა საუკუნეების ევროპელი ავტორების მიერ ქართველებისა და ჩრდილოეთ ნიდერლანდელი ფრიზების მალალი საბრძოლო თვისებებისა და მხედრული ძლიერების შედარებას, რაშიც კარგად ჩანს, თუ რა მხედრული პრესტიჟით სარგებლობდნენ ქართველები დასავლეთ ევროპელთა თვალში.

საკითხთა იმავე რკალს განეკუთვნება ნიგნში მოთავსებული კიდევ სამი ნარკვევი, რომლებიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ორ ქართულ ხელნაწერში (XII ს.) დაცულ სირია-პალესტინის ჯვაროსანთა წარჩინებულებისა და სამხედრო-სასულიერო ორდენების მალალი რანგის წარმომადგენელთა მოსახსენებლების პროსოგრაფიულ შესწავლას ეძღვნება. მათში განხილულია სამ ათეულამდე მოსახსენებელში დასახელებული პიროვნებების (ჯვაროსნების) იდენტიფიკაციისა და ქრონოლოგიის საკითხები.

ნიგნში სათანადო ყურადღება ეთმობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) სამხედრო მშენებლობას და დამოუკიდებლობის დასაცავად ქართული არმიის ბრძოლას. წარმოდგენილია პირველი ქართული სამხედრო სკოლის შექმნისა და შემდგომი განვითარების ისტორია, ნაჩვენებია მისი როლი ეროვნული არმიისათვის საკუთარი კადრების მომზადებაში. გამოკვეთილია 1917 წ. 12 დეკემბერს ქართული სახალხო გვარდიის მიერ თბილისის არსენალის – ამიერკავკასიაში რუსული არმიის მთავარი საწყობის – დაუფლების მნიშვნელობა ქართული საჯარისო ნაწილების იარაღით უზრუნველყოფის საქმეში. შესწავლილია, აგრეთვე, 1921 წ. თებერვალში საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ ქართული არმიის სისხლისმღვრელი

ბრძოლები თბილისის დასაცავად.

საყურადღებოა რეცენზიები, სადაც ავტორი ეხმიანება საქართველოს სამხედრო ისტორიის სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილ ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომებს.

როგორც ვხედავთ, წიგნში დასმული და განხილულია მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი და, რაც მთავარია,

ყოველი ნარკვევი აღბეჭდილია საქმის ღრმა ცოდნით, ემყარება წყაროებისა და ლიტერატურის მდიდარ ბაზას, გამოირჩევა არგუმენტაციის დამაჯერებლობით, რაც განპირობებულია ფაქტების ზუსტი და ყოველმხრივი ანალიზით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მ. წურწუმიას აღნიშნული წიგნი თვალსაჩინო სიახლეა საქართველოს სამხედრო ისტორიის მეცნიერებაში.

გონელი არახამია

GONELI ARAKHAMIA

## NOTEWORTHY BOOK IN THE MILITARY HISTORY OF GEORGIA

### Summary

Quite recently readers have received a book by Mamuka Tsurtsunia "Issues of Military History of Georgia", in which there are collected essays written by the author for the past twenty years and which are combined with common research objective and scientific idea. In the essays, that had appeared in the book, are considered issues of history of armament of medieval Georgia, military tactics, military arts, mutual exchange of experience accumulated in this area; the social structure of troops, contacts between Georgians and crusaders of Syria and Palestine; as well as military construction in the Democratic Republic of Georgia (1918-1921) and the struggle of the Georgian Army to protect independence of the country. A large number of important issues are posed and reviewed in the book, and the main thing is that each essay is based on a rich basis of sources and literature, noted with accurate and comprehensive analysis of the facts. You can boldly say that the book by M. Tsurtsunia is visible newness in the science of military history of Georgia.

Г. М. АРАХАМИА

## ДОСТОПРИМЕЧАТЕЛЬНАЯ КНИГА В ВОЕННОЙ ИСТОРИИ ГРУЗИИ

### Резюме

Совсем недавно читатель получил книгу Мамуки Цурцумиа «Вопросы военной истории Грузии», в которой собраны очерки, написанные автором за последние двадцать лет, объединенные общей целью и научной идеей.



В очерках, вошедших в книгу, рассмотрены вопросы истории вооружения средневековой Грузии, боевой тактики, военного искусства, взаимного обмена опытом, накопленным в этой сфере; социальная структура войска, контакты между грузинами и крестоносцами Сирии и Палестины. А также военное строительство в демократической республике Грузии (1918-1921 гг.) и борьба грузинской армии для защиты независимости страны. В книге поставлены и рассмотрены множество важных вопросов и, что главное, каждый очерк основан на богатой базе источников и литературы, отмечен точным и всесторонним анализом фактов. Смело можно сказать, что указанная книга М. Цурцумия является наглядной новизной в науке военной истории Грузии.

## ახალი წიგნები:

დიმიტრი ყიფიანი - 200; პროექტის ავტორი და შემდგენელი ბ. კობაძე, რედაქტ. ლ. ამანათაშვილი, თბ., 2014, 1200გვ.

საიუბილეო კრებული ეძღვნება დ. ყიფიანის დაბადებიდან 200 წლისთავს. მასში დ. ყიფიანის მემუარებთან ერთად დაბეჭდილია უხვი მასალა XIX-XX საუკუნეების გამოჩენილი ქართველი მწერლების, პოეტების, სასულიერო პირების, საზოგადო და კულტურის მოღვაწეთა მოგონებები, აგრეთვე, დ. ყიფიანის ცხოვრებისა და საქმიანობისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური და სამეცნიერო ხასიათის სტატიები.

აღმოსავლეთმცოდნეობა, 2014 №3, ა. სილაგაძის რედაქციით, 401 გვ.

კრებული ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აღმოსავლეთმცოდნე აკად. გ. წერეთლის დაბადებიდან 110 წლისთავს.

მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, მ. ბახტაძე, საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან 1801 წლამდე. საკითხავი წიგნი. თბ., „ინტელექტი“ 2014, 246გვ.

წიგნი წარმოადგენს 2002-2006 წლებში მოქმედი საქართველოს ისტორიის X კლასის სახელმძღვანელოს შემოკლებულ ვარიანტს.

თ. შიოშვილი, თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში, რედაქტორი მ. ფალავა, თბ., „ლამპარი“, 2014, 232გვ.

მონოგრაფია ეძღვნება საუკუნეთა მანძილზე ჟანრობრივად მრავალფეროვან ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულ თამარ მეფის უკვდავ სახეს.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარაივის ელრობათა მასალები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ჯ. გამახარიაძე. თბ., 2014, 576გვ.

წარმომში განხილული და შესწავლილია მასალები 1636-1640 წლებში სამეგრელოს სამთავროსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის დიპლომატიური კავშირების შესახებ.

ე. მამისთვალისვილი, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., „საარი“, 2014, 400გვ.

წიგნი წარმოადგენს მეორე გადა-მუშავებულ და შეესებულ გამოცემას. მასში ქართული და უცხოურ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით განხილულია ჯვრის მონასტრის არსებობის ყველა მნიშვნელოვანი პერიოდი, მოცემულია დღეისათვის იქ შემორჩენილი ან დაკარგული მრავალი ფრესკისა და წარწერის ფოტო.

ნ. მინდაძე, ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბ., 2013, 334გვ.

წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისათვის, ისევე ფართო საზოგადოებისთვისაც.

დ. შველიძე, 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან, რედაქტორი თ. ჯოლოგუა თბ., „უნივერსალი“, 2014, 60გვ.

წიგნში დაბეჭდილი ორი ნარკვევი ავტორის მიერ წინა წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების გავერცობილი და შევსებული ვარიანტებია.

## საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ამ დღეებში თბილისში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ზურაბ ნერეთლის ფონდის ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“. ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში სხვადასხვა გზებითა და მიზეზებით ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების კულტურის ძეგლები უცხოეთში გაედინებოდა. არაერთი ძვირფასი რელიქვია უკვალოდ დაიკარგა. მაგრამ, საბუნდუნოდ, მათმა დიდმა ნაწილმა მუზეუმებში, არქივებში, ბიბლიოთეკებსა და სხვა სიძველეთსაცავებში ჰპოვა თავშესაფარი, რითაც ის იმთავითვე ხელმისაწვდომი გახდა კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის შესწავლით დაინტერესებული მონინავე ქვეყნების სამეცნიერო წრეებისათვის. სწორედ მათმა გამოკვლევებმა შეასრულეს ერთგვარი მეგზურის როლი იმაში, რომ შემდგომში ეს საგანძური საქართველოსა და კავკასიის ქვეყნებში აღორძინებული მეცნიერების სამსახურში ჩამდგარიყო, რითაც შორს გახიზნული საუნჯე, გარკვეული ფორმით, დაუბრუნდა თავისსავე შემქმნელებს. ამ მიმართულებით კოლოსალური შრომაა განეული როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ, მაგრამ საკვლევი და გამოსავლენი ჯერ კიდევ ბევრია. ეს საერთაშორისო კონფერენციაც ამის ნათელი დადასტურებაა. შთამბეჭდავია კონფერენციის წარმომადგენლობითი ხასიათი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბერლინის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის,

როსტოვის, გროზნოს, სოჭის, ერევნის, ბაქოს, თბილისის საყოველთაოდ ცნობილი მუზეუმებისა და სიძველეთსაცავების ხელმძღვანელები და წამყვანი მეცნიერთანამშრომლები.

კონფერენციის მუშაობის დაწყებას წინ უძღოდა მონვეული სტუმრების შეხვედრა უწმიდესსა და უნეტარესთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან.

სხდომები გაიმართა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. კონფერენცია გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ვ. პაპავა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გ. კვესიტაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თ. სანიკიძე, საქართველოს სასულიერო აკადემიის რექტორი მამა გიორგი ზვიადაძე.

მათავარი პათოსი, რაც კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებს აერთიანებდა, საზღვარგარეთის სამუზეუმო საცავებში დაუნჯებული კავკასიური, უპირატესად, ქართული სიძველეების მეცნიერული ღირებულების წარმოჩენა, მათ შესწავლაში დღეისათვის არსებული მდგომარეობის შეფასება და სამომავლო პერსპექტივების დასახვა იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთი მიზანდასახულობის სამეცნიერო ფორუმი პირველად შედგა და ამ პირველმავე შეხვედრამ

თვალნათლივ აჩვენა მისი გაგრძელების მიზანშეწონილობა.

სრულიად გასაგები მიზეზების გამო, საზღვარგარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების უდიდესი ნაწილი რუსეთის მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებში ინახება. ამ და სხვა მოვლენების საგარეო-პოლიტიკური საფუძვლების განხილვას მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს რ. მეტრეველის მოხსენება, რომელმაც საერთო ფონი შეუქმნა კონფერენციაზე განსახილველ თემატიკას. რუსეთში დაცული ქართული და კავკასიური არტეფაქტების განხილვას შეეხებოდა აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის გენერალური დირექტორის, პროფ. ა. სედოვის (მოსკოვი), მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის სექტორის გამგის, პროფ. ა. მოშინსკის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. გ. ლორთქიფანიძის (თბილისი), რუსული სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის, აკადემიკოს ვ. გუსევის (სანკტ-პეტერბურგი), რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის პროფ. ვ. დმიტრიევის (სანკტ-პეტერბურგი), ჩეჩნეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის აკადემიკოს კ. იბრაჰიმოვის (გროზნი), პროფ. ა. ჩერკასოვის (სოჭი) მოხსენებები.

დიდი ინტერესით მიიღო მსმენელმა ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების კურატორის, პროფ. მ. ნაგროტის მოხსენება ბერლინის მუზეუმებში დაცული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ.

სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთა ფონდის ახალი კოლექციების კავკასიური (ქართული, ალბანური, სომხური) ხელნაწერების მიშვნელობა, მათი შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები იყო განხილული აკადემიკოს ზ. ალექსიდის (თბილისი) მოხსენებაში. საზღვარგარეთის (იერუსალიმის, ათონის, სინას, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის და ა.შ.) სიძველეთსაცავებში წარმოდგენილ ქართულ ხელნაწერთა კოლექციები მიმოიხილა პროფ. დ. ჩიტუნაშვილმა (თბილისი).

იმხნის ტაძრის ახალ აღმოჩენილი საქტიტორო რელიეფის ატრიბუციას ეხებოდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის პროფ. ბ. კუდავას და პროფ. გ. საითიძის ერთობლივი მოხსენება.

კონფერენციაზე ყურადღება მიექცა საქართველოსა და კავკასიაში სამუზეუმო საქმის ისტორიის, ხელნაწერული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის საკითხებსაც, რაზედაც მოხსენებით წარდგინდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ლორთქიფანიძე (თბილისი), სომხეთის ხელნაწერთა ინსტიტუტის – მატენადარანის დირექტორის მოადგილე ა. ხმამაიანი (ერევანი).

კონფერენციაზე გაუღერდა თემატურად განსხვავებული, მაგრამ უაღრესად საყურადღებო საკითხი, რომელიც ეხებოდა ქართული დიასპორის ისტორიას დონის მხარეში, რომელიც წარმოაჩინა დონის როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ პროფ. ე. ნესმეიანოვმა.

კონფერენციის ორგანიზატორებისა და მონაწილეების ერთსულოვანი გადწყვეტილებით მოხსენებები გამოქვეყნდება კრებულის სახით, ხოლო ამავე პრობლემაზე სამეცნიერო ფორუმების გამართვა ტრადიციად იქცევა.

კონფერენციის თემატიკას ეხმიანებოდა მონაწილეებისათვის შეთავაზებული კულტურული პროგრამაც, რომლის ფარგლებში ისინი ინტერესით გაეცნენ

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციებს, ეწვივნენ ზ. წერეთლის მემორიალურ კომპლექსს «საქართველოს მატთანე», მცხეთას, უფლისციხესა და ი. სტალინის სახლ-მუზეუმს გორში.

თვალსაჩინოა კონფერენციის შედეგები – გადაიდგა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საზღვარგარეთ დაცული ქართული და კავკასიური სიძველეების

კვლევის გაღრმავების მიმართულებით, რაც, უდაოდ, ხელს შეუწყობს ამ მეტად მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის კიდევ უფრო ფართოდ გამოყენებას საქართველოს ისტორიის სამსახურში. ამასთანავე, აღნიშნული ფორუმი, როგორც ქვეყნის საზღვრებს მიღმა დაუნჯებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენის აქცია, წარმატებით შედგა.

გონელი არახაშია

**ნუგზარ ანდლულაძე – ხელოვანი და მეცნიერი**

ორ დარგს, ორ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ პროფესიას ფლობდა ნუგზარ ანდლულაძე, ფლობდა სრულყოფილად, წარმატებული იყო ერთშიც და მეორეშიც. მსახიობი და მკვლევარი – იშვიათი შერწყმა ერთ პიროვნებაში, ალბათ გამოჩაქვნილი, თუ იმასაც ვიტყვით, რომ თეატრიდან წამოვლის შემდეგ, მისი ინტერესის საგნად იქცა, არც მეტი, არც ნაკლები – შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება.



გამორჩეული იყო ცხოვრებაშიც – ნაღდი ქართველი კაცი, ქვეყნისა და ადამიანების მოყვარული, უღალატო, განწონასწორებული, ლალი და მზიარული, ზოგჯერ სევდიანი და ფეთქებადიც, მაგრამ არასოდეს ზღვარსგადასული. მის უამრავ ნაცნობ-მეგობრებს შორის არაფერს მახსენდება მისგან განანწყებული ან უკმაყოფილო, მაშინაც კი, როცა აღმინისტრაციულ თანამდებობებზე უხდებოდა მუშაობა და წესრიგისა და კანონის დაცვა ევალებოდა. იცავდა, მაგრამ უმტკივნეულოდ და უკონფლიქტოდ.

დაიბადა ბათუმში. უმამოდ გაიზარდა, ორ ძმასთან ერთად. მამა იმ წყნელ ოცდაჩვიდმეტში დაუზვრიტეს. მძიმე ბავშვობა ჰქონდა, რამაც, ჩანს, ბოროტების საპირისპირო ხასიათი ჩამოუყალიბა და ალბათ, ამანაც განაპირობა მისი რბილი და თბილი დამოკიდებულება მოყვასთან. დამთავრა თბილისის სახ. თეატრალური ინსტიტუტი და ნიჭიერებით გამორჩეული, იმთავითვე ჩაირიცხა, ნებისმიერი დამწყები მსახ-

იობისათვის საოცნებო, რუსთაველის თეატრის დასში.

ნანახი მაქვს თითქმის ყველა სპექტაკლი ნუგზარ ანდლულაძის მონაწილეობით (გასული საუკუნის 60-იან წლებში ახალგაზრდები, განსაკუთრებით ჩემი სამეგობრო, თეატრებს "ვეტანებოდით"). ნუგზარმა მალე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, რაც პრესაში არაერთხელ აღინიშნა კიდევ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა "ბახტრიონი" – ჩვენი დუბჭირი ისტორიის ამსახველი, ზეპატრიოტული სპექტაკლი, რომელშიაც ნუგზარი ანდარეზის როლს ასრულებდა და, რომლისთვისაც 1959 წელს იგი მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად დაასახელეს. გარდასახვის მაღალი ოსტატობა, გმირის ღრმად გაცნობიერებული ხასიათი, სხარტი მოძრაობა, პლასტიკა, მკაფიო მეტყველება, ხალასი ემოციები მაყურებლის აღფრთოვანებას იწვევდა და დღემდე ცხა-

დად მიდგას თვალნინ, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ავედით მასთან კულისებში. შევაქეთ. გაიხარა. შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შეეხვდით ერთმანეთს, უკვე მეგობრულ ატმოსფეროში და აენყო ჩვენი ურთიერთობა (ნუგზართან ადვილად განსახორციელებელი).

ნუგზარ ანდლულაძემ სულ რამდენიმე წელი იღვანა თეატრში. მალე დატოვა სცენა; დატოვა, რა თქმა უნდა, საკუთარი სურვილით. ვინ რას დაუნუნებდა! თეატრის ხელმძღვანელობა ვერ ელეოდა, მაგრამ ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი კორიფეები უცერემონიოდ გაისტუმრეს თეატრიდან (განირეს). იწყინა. ვერ აიტანა უსამართლობა. გული აუცრუვდა მსახიობობაზე და სხვა გზას დაადგა, გზას, რომელიც ფაქტიურად უკვე არჩეული ჰქონდა.

თეატრში ყოფნისას იგი ხშირად ესწრებოდა აკად. ვ. ბერიძის ლექციებს სამხატვრო აკადემიაში (ესწრებოდნენ სხვა გარემონი, მათ შორის – მეც) და ქართული კულტურის უმდიდრესი წარსულის შესახებ ბრძენკაცის საუბრები ღრმად გაითავისა. იმავდროულად “ჩაუჯდა” სათანადო ლიტერატურას და ასე შემზადებული, პირდაპირ თეატრიდან, აღმოჩნდა გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის საკრალურ გარემოში, მაღალი მეცნიერული ღირსებებით აღჭურვილ, ეროვნული სულიერებით დამუხტულ ადამიანთა წრეში.

ინსტიტუტში სწრაფად აულო აღლო ვითარებას და აქტიურად შეუდგა საქმიანობას. ამის დასტურია მისი მოხსენებები, პუბლიკაციები და თანამდებობრივი აღმასვლა უდაბლესი საფეხურებიდან (სტაჟიორი, ლაბორანტი) სწავლული მდივნის, შემდეგ არქიტექტურის განყოფილების გამგის, ბოლოს კი სამეცნიერო დარგში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის პოზიციაზე.

ახალგაზრდები ხშირად დაედიოდით ექსპედიციებში, მოვლილი გვაქვს საქა-

რთველოს ყველა კუთხე. ინსტიტუტის უფროსი თაობის წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით ვსწავლობდით ძეგლებს და მათთან “დამოკიდებულებას”. მთელი დღის განმავლობაში “მუხლ-ჩაუხრელი” მუშაობის (ძეგლის აღწერა, აზომვა, ფოტოფიქსაცია, წარწერების ნაკითხვა-გადმოღება) შემდეგ საღამოობით ვერთობოდით ჭადრაკით (ნუგზარი კარგად თამაშობდა; მიგებდა და ვბრაზობდი) ან ვმხიარულობდით ნუგზარის “ბილნი” ანეგდოტებით. თუ ადგილობრივები პურ-მარილს გაგვიშლიდნენ (რაც არც თუ იშვიათად ხდებოდა) სუფრას, რა თქმა უნდა, ნუგზარი ხელმძღვანელობდა

სუფრა ნუგზარისთვის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. იყო შესანიშნავი თამადა. სიტყვაც უჭრიდა და ცეკვა-სიმღერაც კარგად ეხერხებოდა; თავისი არტისტული ნიჭიერების დემონსტრირებით თვითონაც უდიდეს სიამოვნებას იღებდა და თანამესუფრენიც (ძმაცალებთან ხოშიანად ვიჭეიფოთო – იტყოდა ხოლმე).

დავუბრუნდები ექსპედიციებს, რაკი ერთ ერთი აუცილებლად უნდა გაეისხენო. ინსტიტუტის თანამშრომელმა, ცნობილმა მკვლევარმა – ნიკო ჩუბინაშვილმა ნუგზარი და მე წილკანში წაგვიყვანა, სადაც სოფლის ცენტრში აღმართული, დიდი გუმბათოვანი ტაძრის რესტავრაცია-კონსერვაცია მიმდინარეობდა. ორი სეზონი ვიმუშავეთ “შავ მუშებად”. დამტვერილ-გათხუპნულები დავრბოდით ხარაჩოებზე ზემოთ-ქვემოთ. გამოვლინდა ტაძრის უამრავი უცნობი მონაკვეთი, დეტალი, ფრაგმენტი სხვადასხვა დროისა. ნუგზარი განსაკუთრებით დაინტერესდა ნაგებობის უძველესი ნაწილებით, რომელთა შესახებაც უაღრესად საინტერესო მოხსენება ნაკითხა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმზე. გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომიც, ხოლო



უფრო გვიან რამდენიმე პოლემიკური სტატიის დაბეჭდვაც მოუხდა.

საქმე ისაა, რომ 80-90 წლებში ეროვნული მოძრაობის ტალღაზე, გამოჩნდნენ "გულანთებული პატრიოტები", რომლებმაც აკად. გიორგი ჩუბინაშვილის და მისი სკოლის მიერ მეცნიერულად აწყობილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის "გადახედვა" და რამდენიმე ძეგლის "დაძველება" მოინადინეს. აუცილებელი გახდა მკვლევართაგან ჭეშმარიტების კიდევ ერთხელ დასაბუთება. ძალზე ეფექტური გამოდგა ნ. ანდლულაძის მიერ წილენისა და სხვა მასალების ანალიზის საფუძველზე დაწერილი ცხარე სტატიები და უცხო პროფესიის ცრუ პატრიოტები საბოლოოდ ჩაჩუქდნენ.

ნ. ანდლულაძის სამეცნიერო ნაშრომებს შორის გამოირჩევა მონოგრაფია XIII ს-ის თირის მონასტრის, (შიდა ქართლი) ხუროთმოძღვრული ანსამბლის შესახებ. მონოგრაფიაში სრულად არის წარმოჩენილი ანსამბლის ისტორია, მასში შემავალ ნაგებობათა ხუროთმოძღვრული სტრუქტურა, ორნამენტაცია, წარწერები და ამით ნაკლებად ცნობილი, მაგრამ მნიშვნელოვანი ძეგლი მყარად არის ჩართული შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ისტორიაში (ნაშრომს ერთვის მკვლევარის მიერ შესრულებული ძეგლის რეკონსტრუქციის პროექტიც).

ამასობაში ნუგზარს კიდევ ერთი ასპარეზი გაეხსნა. მისი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით პროექტორად გადაიყვანეს სამხატვრო აკადემიაში, სადაც დიდად არასასურველი ვითარება სუფევდა. ნუგზარმა ორი ათეული წელი სრულად შეაღია აკადემიას. პარალელურად ხელმძღვანელობდა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრას. კითხულობდა ლექციებს. ერთხანს თითქოს მოწესრიგდა ძირითადი პრობლემები, მაგრამ ბოლოს ისევ აირია იქაურობა და

ნუგზარი გულნატკენი (შეურაცხყოფილიც) წამოვიდა აკადემიიდან.

კვლავ დაუბრუნდა ხელოვნების ინსტიტუტს. კვლავ ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმიანობას. ჩაერთო კულტურის ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფში, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტი – თამაზ დვალი ხელმძღვანელობს. ამ მცირე კოლექტივმა განახორციელა უნიკალური პროექტი, შექმნა მიკროფიშების რვა ტომი – "ქართული არქიტექტურა", რომელშიაც აღნუსხულია რამდენიმე ათასი ძეგლი (ფაქტურად მთელი ძველი ქართული ხელოვნება) ფოტოსურათებით, ნახაზებით, ანოტაციებით, ბიბლიოგრაფიით. კრებულისათვის მარტო ნუგზარს 1300-მდე სტატია აქვს შესრულებული. ნაშრომი დაიბეჭდა ჰოლანდიაში, ქ. ლეიდენში და გავრცელდა სხვადასხვა ქვეყნებში. პირველი ტომის ერთ-ერთ ავტორ-შემდგენელს – ნუგზარ ანდლულაძეს მიენიჭა სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

და ბოლოს – "მოგონებები" (ელექტრონულ ვერსიას ნუგზარის გარდაცვალების შემდეგ, ახლახანს გავეცანი) – მაღალი მწერლური ოსტატობით გაშლილი 500 გვერდიანი პანორამა; დროული კაცის ხანგრძლივი, წარმატებების სიხარულითა და ტრაგიკული ეპიზოდებით (სათაყვანებელი მეუღლის და შვილიშვილის გარდაცვალება) აღსავსე ცხოვრება; ოჯახი, შვილებსა (ორ ზნესრულ ვაჟკაცს) და შვილიშვილებზე გადაყოლილი მამა და ბაბუა, ქვეყნისა და დროის პრობლემები, თეატრი, ინსტიტუტი, აკადემია, მეგობრებისა და ახლობლების პორტრეტები, მიმოწერა, მწევე მოვლენებთან დაკავშირებული ტრაგიკომიკური სცენარები, ლექსები – საკუთარი, სხვათა... შეუნელებელი ინტერესით იკითხება. აქვე ჩანს მხატვრულ-დოკუმენტური კინო "ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", რომელშიაც ნუგზარი,



ჯერ კიდევ ტანადი, ჩოხაში "გამონკე-პილი" საკუთარ თავს განასახიერებს; ცდილობს (უკანასკნელად) დაუბრუნდეს თავის არტისტულ წარსულს და გამოსდის კიდევ ("მოგონებებში") ჩართულია უამრავი ფოტო და ჩანახატი).

ეტყობა, "მოგონებებს" დავრდომილ-დასნეულებული, სიცოცხლის ბოლო თვეებშიც წერდა. ტანჯვით აღესრულა. "წავიდა და დაგვიტოვა სიკეთე, სიყვარული, ლამაზი გახსენება გარდასულ დღეთა".

თამაზ სანიკიძე

